




ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ლევან ბრეგვაძე

# ქართული ჟარგონის ლექსიკონი

**1500-მდე**

ჟარგონული სიტყვა და გამოთქმა





ლევან ბრეგვაძე

# ქართული ჟარგონის ლექსიკონი

**1500-მდე**

ჟარგონული სიტყვა და გამოთქმა



გაქარ ნულაქარის  
გამომცემლობა

82134(038) = 353.11246



ლევან ბრეგაძე

ქართული ჟარგონის ლექსიკონი  
მესამე შეესებული გამოცემა

რედაქტორები: ანა ჭაბაშვილი, ნიკო ნერგაძე  
ყდის დიზაინი: ნათია კვარაცხელია

© ლევან ბრეგაძე, 1999, 2005, 2013

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
მისამართი: აღმაშენებლის 150, 0112, თბილისი  
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-468-4

Levan Bregadze  
THE DICTIONARY OF GEORGIAN SLANG

Third edition, 2005

Edited by Ana Chabashvili and Niko Nergadze  
Cover design: Natia Kvarackhelia

© Levan Bregadze, 1999, 2005, 2013

Published by Bakur Sulakauri Publishing,  
Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge



საქართველოს ეროვნული  
ბიბლიოთეკა

F 22.969

## შინაარსი

|                                  |   |
|----------------------------------|---|
| პირველი გამოცემის წინათქმა ..... | 5 |
| მეორე გამოცემის წინათქმა .....   | 7 |
| გამოყენებული ლიტერატურა.....     | 8 |
| ლექსიკონი (ა – ჰ).....           | 9 |

## დანართი

|  |     |
|--|-----|
| ბიბლიიდან ქართულ ჟარგონამდე.....                 | 175 |
| ჟარგონული ქართულის ჭაშნიკი (როსტომ ჩხეიძე)... .. | 177 |
| საილუსტრაციო მასალის წყაროები .....              | 196 |
| საილუსტრაციო მასალის წყაროთა საძიებელი .....     | 209 |

## პირველი გამოცემის წინათქმა

ყველგან, სადაც კი ახალგაზრდებს ხანგრძლივი დროით უხდებათ ერთად ყოფნა (სასწავლებელში, ჯარში, სპორტულ წრეებში, „ბირ-შაზე“ ...), აუცილებლად იქმნება ახალგაზრდული ჟარგონი. მერე ეს ჟარგონი მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ენაშიც აისახება. ახალგაზრდული ჟარგონი სწრაფად ცვალებადი, სწრაფად განახლებადია, ბევრი სიტყვა და გამოთქმა მალე გამოდის ხმარებიდან, მათ ნაცვლად კი ახალი ჩნდება. ზოგადი ტიპის განმარტებით ლექსიკონებში ამგვარი სიტყვები და გამოთქმები ან საერთოდ არ შეაქვთ, ან თითო-ოროლა მათგანი შეაქვთ ძალიან დიდი დაგვიანებით, რის გამოც ახალ თაობებს და, აგრეთვე, მთარგმნელებსაც სიძნელეები ექმნებათ ათეული წლების წინ გამოქვეყნებული ტექსტების ზოგიერთი ადგილის სწორად გაგების თვალსაზრისით. ამიტომ არის, რომ მაღალგანვითარებულ, მაღალკულტურულ ქვეყნებში სალიტერატურო ენისა და მის დიალექტთა განმარტებითი ლექსიკონების პარალელურად ჟარგონის (სლენგის) ლექსიკონებიც გამოდის. წინამდებარე წიგნი ქართული ჟარგონის ლექსიკონის გამოცემის პირველი ცდაა.

ეს კოლექცია 25 წლის განმავლობაში გროვდებოდა. იგი 600-ზე მეტ სიტყვასა და გამოთქმას შეიცავს, რომელთა უმეტესობა დღეს ძალიან აქტიურად გამოიყენება ზეპირმეტყველებასა და ლიტერატურაშიც, მაგრამ ლექსიკონებში მათ ვერ იპოვით ან იმ მნიშვნელობით ვერ იპოვით, რა მნიშვნელობაც მათ ჟარგონში აქვთ (ორიოდე გამონაკლისის გარდა: შევიტანეთ რამდენიმე სიტყვა, რომლებიც თუმცა არის თ. სახოკიასა და ი. გრიშაშვილის ლექსიკონებში, მაგრამ საილუსტრაციო მაგალითები არ ახლავს).

ქართული ჟარგონის ლექსიკონის სრული კორპუსის შესადგენად ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ მასალას უნდა დაემატოს ის სიტყვები და გამოთქმები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“, რომლებსაც უზით შემოკლება „ვულგ.“ (ვულგარული).

ამ კოლექციის ძირითადი ნაწილი 1998-99 წწ. ქვეყნდებოდა „კავ-კასიური სახლის“ გაზეთ „ალტერნატივის“ ფურცლებზე. ამჯერად მკითხველს წიგნად ვთავაზობთ იმ პუბლიკაციის მნიშვნელოვნად შევსებულ და შესწორებულ ვარიანტს.

ყველა სიტყვასა და გამოთქმას ახლავს სათანადო დოკუმენტაცია – საილუსტრაციო მაგალითები მწერალთა, მთარგმნელთა და პუბლიცისტთა შემოქმედებიდან, ავტორთა სახელისა და გვარის ან ზოგჯერ მხოლოდ ბეჭდვითი ორგანოს მითითებით (თუ ერთი ავტორის რამდენიმე ფრაზაა ზედიზედ მოხმობილი საილუსტრაციოდ, მაშინ ავტორის სახელი და გვარი ბოლო ფრაზის შემდეგ არის აღნიშნული და იგულისხმება, რომ წინა ფრაზაც (ან ფრაზებიც) მას ეკუთვნის).

ზმნები ლექსიკონში შეტანილია როგორც პირიანი (ანმყოფა და ნამყო სრულის მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის), ასევე სანყისის ფორმითაც (რამდენადაც ამის საშუალებას საილუსტრაციო მასალა გვაძლევდა). ზმნისწინიანი ფორმების წარმოსაჩენად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისაგან“ განსხვავებით, მომავალი დროის ფორმებს ნამყო სრულის (წყვეტილის) ფორმები ვამჯობინეთ, რადგან ამ გრამატიკულ დროში ზმნები უფრო ბუნებრივად ჟღერს – საერთოდ, ნამყო სრული (წყვეტილი) ყველაზე პოპულარული გრამატიკული დროა ჟარგონში. ზმნათა დიდი ნაწილი ანმყო დროში არც კი იხმარება. მაგალითად: „მოიხა“ (წავიდა) – არ იხმარება „იხევა“, „მოუსვა“ (გაიქცა) – არ იხმარება „უსვამს“, „წამსერდა“ (წავიდა) – არ იხმარება „მსერდება“, „თანხა გაიკრა“ (ფული იშოვა) – არ იხმარება „თანხას იკრავს“ და სხვა მრავალი.

თვალში საცემია ქართული ჟარგონის ერთი თავისებურება: მასში მეტად მწირად არის წარმოდგენილი სასკოლო ჟარგონი, რაც უცხოენოვანი ახალგაზრდული ჟარგონის ძირითადი ფონდის უდიდეს ნაწილს შეადგენს. მაგალითად, გერმანულ სლენგში „სკოლას“ რამდენიმე ათეული ჟარგონული შესატყვისი აქვს, მათ შორის: მაიმუნების ყუთი, განათლების ბუნკერი, სანამებელი კამერა, საპყრობილე, მეორე სამშობლო, გალია, თავლა, სიბრძნის ტაძარი და ა.შ.; ასევე „მასწავლებელს“ – უგვირგვინო მეფე, ხალიფა, კულტურის დამამუხრუჭებელი, მცობნელი და უამრავი კიდევ სხვა. ქართული სასკოლო ჟარგონი კი სულ ორიოდ სიტყვით ამოიწურება: შპარგალკა, შატალო, მასწ! – თითქმის სულ ეს არის. ამის გამო ქართული ჟარგონი რაოდენობით ბევრად ჩამოუვარდება სხვაენოვან ჟარგონებს.

ეს ნაშრომი, როგორც ამ სახის ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის პირველი ცდა, ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან. მისი შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით გამოთქმულ ყოველ შენიშვნას თუ წინადადებას ავტორიც და გამომცემლობაც უღრმესი მადლიერების გრძნობით მიიღებს.

ლ. ზ.

## მეორე გამოცემის წინათქმა

„ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ პირველმა გამოცემამ (1999 წ.) დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოქვეყნდა როსტომ ჩხეიძის, კარლო ჯორჯანელის, დავით პაიჭაძის, რამაზ ქურდაძის, მაკა ჯოხაძის, ზურაბ ჭუმბურიძის, ნომადი ბართაიას, ტარიელ ჭანტურიას რეცენზიები და გამოხმაურებები. ან განსვენებულმა პროფესორმა ალექსანდრე გვახარიაშვილმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ხელნაწერის სახით გადმოგვცა თავისი მოსაზრებები ჩვენს ლექსიკონში შესული რამდენიმე სიტყვის თაობაზე (მანვე მიგვითითა კ. დუმბაძის ნაშრომზე, რომელიც გამოყენებული ლიტერატურის სიაში გვაქვს დასახელებული). რეცენზენტთა მიერ გამოითქვა საყურადღებო შენიშვნები და სურვილები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალ გამოცემაში შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ.

პირველ გამოცემაში 600-ზე მეტი სიტყვა და გამოთქმა იყო თავმოყრილი, მეორე გამოცემაში მათი რაოდენობა 1000-ზე მეტია.

ის ჟარგონული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია“ შესული, არც ამ გამოცემაში შეგვიტანია. მაგალითად, ჩვენს ლექსიკონში არ არის *არიფი*, *ჩათლახი*, *ხოში* – ამ სიტყვების განმარტებას მკითხველი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ იპოვის. მაგრამ შეტანილი გვაქვს მათგან ნაწარმოები სიტყვები (*არიფული*, *ჩათლახმაცტრობა*, *ხოშიანი*), რომელთა განმარტებისას ზემოთ დასახელებულ სიტყვებზეც ვსაუბრობთ განმარტებითი ლექსიკონის დამონებებით. ამრიგად, ვთქვათ, *ხოშიანის* განმარტების გაცნობისას, ჩვენი ლექსიკონის მკითხველი *ხოშზეც* მიიღებს საჭირო ინფორმაციას.

გამოითქვა აზრი (ზეპირადაც, ხოლო წერილობით – ბატონების კარლო ჯორჯანელისა და რამაზ ქურდაძის რეცენზიებში), რომ ლექსიკონში შეტანილი რამდენიმე სიტყვისა და გამოთქმის ჟარგონისადმი მიკუთვნება სათუთა, ზოგის კი – უმართებულოც, რასაც სავსებით ვიზიარებთ, მაგრამ მათი ერთი ნაწილი – „გადააგორა“ (საქმის მომთავრების მნიშვნელობით), „აყვანილი“ (დაპატიმრებულის მნიშვნელობით), „უყარე კაკალი“, „შენ რო მიდიოდი, მე მოვდიოდი“, „შენოდენს ცალ ყურში ჩავისხამ“ და კიდევ ორიოდე, მაინც დავტოვეთ, ვინაიდან სხვა ლექსიკონებში ისინი არ მოიპოვება.

საქმიან გამოხმაურებებსა და შენიშვნებს კვლავაც ინტერესით დაველოდებით.

ლ. ბ.

## გამოყენებული ლიტერატურა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ტ. 1-8, „განათლება“, 1950-64; ერთტომეული, 1986.

თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, „მერანი“, 1979.

იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, „სამშობლო“, 1997, გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა.

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, მეორე გამოცემა, „განათლება“, 1984.

მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, „განათლება“, 1989.

ზურაბ ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, „ნაკადული“, 1982.

ზურაბ ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, „ნაკადული“, 1978.

ზურაბ ჭუმბურიძე, ებრაული ლექსიკა ქართულ გვარებში, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, „ინტელექტი“, 2002.

კარლო ჯორჯანელი, ევფიმიზმები და სიტყვის ტაბუ, თსუ გამომცემლობა, 1977.

კონსტანტინე დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, „ჯევანმარდი“ II, „მეცნიერება“, 1979.

Сергей Снегов, Толковый словарь лагерно-воровского языка; в: „Даугავა“, N11, 1990, Рига.

Heinz Küpper, Wörterbuch der Deutschen Umgangssprache, VI, Jugenddeutsch von A bis Z, Claussen Verlag, 1970.

Martin Stankowski, Einen Türken bauen. Geschichten über Alltagsrituale und Redensarten. ISBN 3-925817-98-0.

**ააგორა** – ნამოინყო, დასაბამი მისცა რალაც საქმეს, პროცესს (შდრ. „საქმე ააგორა“). „ბიზნესმენი არა ვარ და ვერც ვერაფერი „ავაგორე“ ისეთი, რომ ჩემი პროექტები დაეფინანსებინათ“ (გაზ. „ახალი ეპოქა“).

**ააგულავა** – გაათამამა. (შდრ. რუს. гулять – ქეიფი, დროს ტარება). „იმიტოა ეხლა ყველაფერი უკულმა, ქაჯები იქით რო გიპირებენ თავიანთ ჭკუაზე გადაყვანას, ავაგულავით ეს პედერასტები“ (ზურაბ სამადაშვილი).

**აადგა** – მიადგა (სახლში მიადგა ვილაცას). „მერაბამ კიდე, როგორ ფიქრობო, აადგებიანო? მეთქი, ვარიანტი არ არი“ (აკა მორჩილაძე).

**ააკიშკავა** – მადაზე მოიყვანა. (შდრ. რუს. кишка – ნაწლავი). „თუ ძმა ხარ, რა! კაი-კაი შემწვარი სუკები სანებლით უნდა გააფუჭო?! უჰ-უჰ, ამაკიშკავა!“ (მიხო მოსულიშვილი).

**ააორთქლა** – გააქრო, მოაშორა; მოკლა (თითქოს ორთქლად აქცია). „– კოროლიოვი თუ დგას? (...) – გაგიგონია! – ააორთქლეს...“; „შეეკვრები ერთ ყარაულს – ორ დღეში ააორთქლებენ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**აასქესა** – გაალიზიანა, გააბრაზა. ძალიან გავრცელებული იყო 1960-იან წლებში; ახლა აღარ იხმარება. „ისევა ვსვით. სადგურზე ჯერ რუსიკომ ამასქესა, მერე რუსიშვილმა. მერე ნუგ ზარის ტყუილმა“ (გურამ რჩეულიშვილი).

**ააჩალიჩა** – აამოქმედა, დაატრიალა (ვინმე რამე საქმის მოსაგვარებლად), (შდრ. „ჩალიჩობს“). „გუშინ ირმა ავაჩალიჩე და ექსტაზი ვაშოვნიე“ (ლაშა ბულაძე).

**ააცოცა** – მოიპარა, ვილაცას შეუმჩნევლად ცხვირწინ ააცალა რალაც. „ტომი ეცადა დეიდისათვის ცხვირწინ აეცოცებინა შაქარი“ (გრიგოლ ყიფშიძე. თარგმ.).

**ააჭრა** – ავარდა, მიაშურა (შდრ. „გააჭრა“). „იქვე ერთ ბაითში ააჭრეს, იბაზრეს, იბაზრეს და მოგვიბრუნდნენ“ (ზურაბ სამადაშვილი).

**აახვია** – წავიდა. იგივეა, რაც „დაახვია“ (იხ.). „აახვიე აქედან, სანამ გადამიფიქრებია“; „აბა, ავახვიოთ აქედან!“ (მიხო მოსულიშვილი).

**აბამს** – ცდილობს დაითანხმოს; მოხიბლოს, სასიყვარულო ურთიერ-



თობაზე დაიყოლიოს. ნამყო სრული – „დააბა“ (იხ.) ან „შეაბა“ სინთონიმი „ახვევს“<sup>24</sup>. „– ახლა ზღვას არაფერი აჯობებს... წადი, გაისეირნე, დაისვენე. – მაბამ?! – ვახ, ვითომ რადაო?! განა შვებულება არ გეკუთვნის?!“ (ოთარ ჩხეიძე).

აბაროტი აულო – სამაგიერო გადაუხადა, შური იძია. (შდრ. რუს. инорот – ბრუნვა, შეტრიალება). „დღესვე უნდა წახვიდე, აბაროტი აულო, რო ხვალე შერიგება შეგეძლოსო“, – ტაზიკამ“ (ზურაბ სამადაშვილი).

აბაროტის აღება – სამაგიეროს მიზლვა, შურისძიება. (რუს. взять инорот). „ახლა გეყოფათ, რაც იყო – იყო, „აბაროტი“ აღებულია, იცოდეთ, თქვენს შორის აღარაფერი უნდა მოხდეს!“ (გურამ გეგეშიძე).

აბეზალოვკა – ვალდებულება, სავალდებულო რამ. (შდრ. რუს. обязательство – ვალდებულება). „– მე რა უნდა ჩამიქციოთ, მე არ მევასება ეგეთი რამეები... ჯერ, ვაბშე, ბრმანანღავის ოპერაციას არ ვიკეთებ. – აზრზე არა ხარ, – თავი გააქნია პლენანოველმა მოგელამ, – აბეზალოვკა... (...) ყველას უკეთებენ“ (აკა მორჩილაძე).

აბითურებს – აბუჩად იგდებს. „რა უნდა დავნეროთ, ბატონო შალვა, მოვალთ მერე აქ და გვაბითურებთ“ (ნოდარ დუმბაძე).

აბიჟნიკი – ვინც შეგნებულად აწყენინებს ვინმეს; ჭინჭყლი. (რუსული ზმნიდან инижать – წყენინება). „არა, ჩხუბის არ მეშინოდა, პროსტა, ცხოვრებაში აბიჟნიკი არა ვყოფილვარ და რალა ამ ცხრანომერას მიზეზით უნდა დამეწყოს აბიჟნიკობა?“ (ზურაბ სამადაშვილი).

აბიჟნიკობს – ჭინჭყლობს; საქმის გარჩევას მოითხოვს. (შდრ. „აბიჟნიკი“). „შენო, ბიჭო, რამე კასტორკა ხომ არ დაგიღევიაო, მეუნება, რას აბიჟნიკობ აქაო, ვთამაშობთ, შენთვის არა მცალიაო“ (აკა მორჩილაძე).

აბირჟავებს – ბირჟაზე (იხ.) დგას. (შდრ. „ბირჟაობს“). „არა, ტო, ეგ ჩვენ უბანში აღარ ცხოვრობს, ნუცუბიძეზე მიიღო ბინა, მაგრამ ჩაბირჟავებით აქ აბირჟავებს“ (მიხო მოსულიშვილი).

აბოლებს – აცუცურაკებს, ატყუებს. „ახლა შენ წარმოიდგინე, როგორია, ვილაც სათვალღიანი და ლიპიანი ბიძა რო სახალხო ტყუილებით გაბოლებს“; „მაშინ უნდა მეაზრა, რო მაბოლებს“ (აკა მორჩილაძე).

აბრახუნებს – სისულელეს ამბობს. „ზემოთ შემეძლო მეთქო, აბრახუნებს მეთქი, მაგრამ ზრდილობა წერის სურვილით როგორ უნდა დავჰკარგოთ?“ (ბარბარე ჯორჯაძე).

**აბშიაკი ან ობშიაკი** – საერთო ფული (შდრ. რუს. *обший* – საერთო). „– ფულს კი გვაძლევს, მარა ვზოგამთ (...), აგე, გლიგორიჩს, – მწვრთნელზე მიათითა, – აქ ჩაბარებული აბშიაკი“ (აკა მორჩილაძე); „რა იციან, „ობშიაკის“ მაყუთი რომ გავასუხარე უკვე“ (მიხო მოსულიშვილი).

**აგარაკი** – (ირონ.) ციხე, კოლონია, საპატიმრო. სინონიმი „სანატორიუმი“ (იხ.). „ამბობენ, რომ თოთხმეტი წელიწადი „აგარაკზე“ აქვს გატარებული“ (რევაზ ინანიშვილი).

**აგლახავებს** – ამასხარავებს. „ალბათ, მეტყვეით, იუმორის გრძნობა მოგჩლუნგებია, კაცი ხუმრობს, თავის თავს საგანგებოდ აგლახავებს (რაც ერთგვარ მოდად და კარგ ტონადაც კი ითვლება ახლა) და ვერ უნდა მიუხვედო?“ (თამაზ კვაჭანტირაძე); „მერე მისამართი მკითხა და რომ ვუთხარი გამსახურდიას ქუჩაზე ვცხოვრობ-მეთქი, სულ გადაირია, იფიქრა, მაგლახავებსო...“ („ახალი ვერსია“).

**აგოიმებს** – ატყუებს; ამასხარავებს, აშაყირებს (იხ.). შდრ. „გოიმი“. „არა, კაცო, გიჟი არ იყო! ვაგოიმებდი...“ (ზურაბ სამადაშვილი)

**აეთესა** – გაეპარა (შდრ. „აითესა“). „სხვა ვინმე ყოფილიყო, იმწამსვე ავეთესებოდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**აეკიდა** – ცოლად შეერთვევინა თავი. „ნააბა თუ აეკიდა ადამსა“ (ვახტანგ ჯავახაძე).

**აეჭრა** – აერია, შეცდომა მოუვიდა. „მოვა და მოიტანს ბილეთს და, ბიჭო, ვაფშე ამეჭრა, ტოო, გაჩვენებს მაგ ბილეთს, ექვსი აქ ჩაბმული და ხუთი აცდენილი აქ. ვაბშე აგეჭრება, აბა რა იქნება, აცდენილი ხარ ვაბშე, რალაცა სხვა თამაშს უყურეფ შენ და მე რალაცა სხვა თამაშს“ (აკა მორჩილაძე).

**ავარდა** – ადვილად მოტყუვდა, პროვოკაციაზე წამოეგო; გრძნობებს აპყვა. იხმარება ორპირიანი ზმნის ფორმითაც – ავადო. სულიერი მოვლენა შედარებულია სწრაფ ფიზიკურ გადაადგილებასთან ქვემოდან ზემოთ. შედარების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მაღლა ატყორცნილი საგანი ან ადამიანი მოკლებულია საყრდენს და, ასე ვთქვათ, თავის თავს აღარ ეკუთვნის. „ასეთ სისულელეზე არ ავარდებთან“; „ახლა მარტო მუსიკა თუ გამისწორებდა ხასიათს, თვალწინ სულ ის არტისტკა მედვა, რძის ბარში რომ წაილიღინა. ეტყობა იმან ამაგდო და, ძმებო, მე ახლა გრძნობების ღრეობა მენატრებოდა“; „ბიჭებმა ამაგდეს და რალაც სულელურ სანაძლეოზე სხვის სახლში შევიპარე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ავრორას მაგისტვის უსვრია** – მისთვის მომხდარა რევოლუცია;

ყოველგვარი სიკეთით სარგებლობს. „ავრორა“ ერქვა ცემს, რომელმაც 1917 წელს პეტროგრაღში ზალპით ამცნო ხალხს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინება. „სახე ისეთი ჰქონდა ალბათ, რომ მაგისტვის უსროლია ავრორას“ (გიორგი კაკაბაძე).

**აზიარა** – (ირონ.) მიბეგვა. „...მაგრამ დათვრა და ბოლოს კარგადაც ვაზიარეო“ (ბაადურ ბალარჯიშვილი).

**აზრზეა** – იცის, ესმის. „აზრზე ხარ, ბიჭო, მაინც რამოდენა უნდა ყოფილიყო ის ნეხვი, ამხელა ვაჟკაცი რომ წააქცია, ჰა!“ (თემურ ჯღარკავა). ამ სიტყვის ჟარგონულობა განსაკუთრებით საგრძნობია მაშინ, როდესაც წინ ნათესაობითბრუნვიანი სიტყვა უძღვის: „ერთ ანსამბლს ვერ იპოვიდი, მუსიკის აზრზე ყოფილიყო“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „უთხარი, ბენია ყველაფრის აზრზე არის-თქო“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**აზ(რ)ზე მოსული** – საქმეში ჩახედული, გათვითცნობიერებული; შეგნებული. „ხოდა, ეგ იყო კაპიტან ლერნერ ივან იოსიფოვიჩი, იყო ეგრე ოცდაათი წლის ბიჭი და მაგარი აზზე მოსული“ (აკა მორჩილაძე).

**აზრობს** – ხედება, გაიაზრებს. „ხო აზრობ, რა თონეც იქნებოდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ათესა** – გააგდო, გააძევა. „დათესა“ ზმნის ჟარგონული ანტონიმი (თითქოს რალაც დათესილი იყო და ნიადაგიდან ამოაგდო, აღმოფხვრა). „მოუხაზა და ეგრევე ედემიდან ათესა“ (ვახტანგ ჯავახაძე).

**ათესვა** – გაგდება, გაძევება (იხ. „ათესა“). „პირველ სართულზე ხალხი იყო და ჯერ მათი ათესვა დაგვჭირდა“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელეზი. თარგმ.).

**ათვისებული** – ქალი, ვისთანაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ. ანტონიმი „აუთვისებელი“. „არჩილსა და მის წრეელებს რესპუბლიკის გარეთ თითქმის ყოველ გამოჩენილ ქალაქში თითო-ორიოლა ათვისებული ქალი მაინც ჰყავდათ“ (გურამ დოჩანაშვილი); „ერთმა „სამოთხის ის ჩიტი“ – ანცი, „ჩასაყლაპი“ გოგონა ახსენა, თუმცა ჯერ „აუთვისებელი“, მაგრამ საამისოდ შეთვალთვალებული ვილაციისაგან“ (ზაურ კალანდია).

**ათიანში მოარტყა** – ზუსტად თქვა სათქმელი, მიზანს მოარტყა; გამოიცნო. (ტირის სამიზნეს ცენტრში აქვს ათქულიანი წრე – ათი ქულა ნასროლის უმაღლესი შეფასებაა). „ესეც შენი ლექსის სათაურია (...), მაგარი ლექსის, შენებურის, რა გამახარე?! ღმერთმა გაგახაროს, რა ათიანებში ურტყამ?!“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**ათოხლა** – მოატყუა (შდრ. „თოხლი“). სინონიმი „აჭამა“ (იხ. პირველი მნიშვნელობა). „ბევრჯერ გვათოხლა მთავრობამ გაჭირვებების უამს!“ (ტარიელ ჭანტურია); „შენ იუდასაც ათოხლე“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**აიასნებს** – ცხადყოფს, ნათელს ჰფენს ვითარებას. ნამყო სრული „გააიასნა“ (იხ.). (რუს. ясный – ნათელი, ცხადი). „მაგრამ საქმის ვითარებას ეს ყოველივე სულაც არ აიასნებს“ (ნოდარ ლადარია).

**აიზმენებს** – ეჭვში, გაუგებრობაში აგდებს. (შდრ. „იზმენა“, „დაიზმენდა“, „იზმენებშია“) – მგონი მაგარი ავარდნილი ვარ, – კოტიკოს თავის შეყვარებულზე მოუნდა ლაპარაკი, – მარა მაიზმენებს... მე მიყვარხარ, ვეუბნები, რამე, ჯიხვურ პონტში, ის ვაფშე არა... მარა მაგარი ჯიგარი გოგოა, კაი ტიპია...“ (ლაშა ბულაძე).

**აითესა** – გაიპარა (შდრ. „აითესა“). „სწავლა მიატოვა და შინიდანაც აითესა“; „ის იყო დავაპირე ავთესილიყავი...“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**აიფახა** – შეშინებული გაიძურნა. „ყვავ-ყორანი მოლახლახდა, ჩიტვი-გვრიტი აიფახა“ (მუხრან მაჭავარიანი).

„ფახადი“ ქართლურ დიალექტში და „ფახანი“ ფშაურში შიშს ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). „ფახავს“ იგივეა, რაც „აშინებს“: „ვერ შემაშინებ მუქართ, გირჩევ სხვა ვინმე ფახეო“ (აკაკი).

**აკანჩანელნად** – საბოლოოდ (რუს. окончательно). „ხვალე აკანჩანელნად გაირკვევა ყველაფერიო“ (ზურაბ სამადაშვილი).

**აკიკიდა** – სენი გადასდო (ძირითადად ვენერიული). „ყველა ვირთხა ჭირიანია, – თქვა მალხაზამ და რადიო აახმაურა, – ჭირიანი როა, იმიტომ ამოვიდა, რო ვინმეს აკიდოს და ისე დაიბრიდოს (...). – აკიდოს რა სპიღია?“ (აკა მორჩილაძე).

**აკიმარებს** – ეძინება. რუსულ ქურდულ ენაზე кимарить დაძინებას ნიშნავს (იხ. ს. სნეგოვის ლექსიკონი). (შდრ. „ჩააკიმარა“). „თაზიკა ერთი-ორჯერ თუ გამოჩნდა: სუფრასთან იჯდა და აკიმარებდა“ (ლაშა ბულაძე).

**აკრეფილი აქვს** – გულიანად მუშაობს, საქმიანობის ეშხშია შესული; ძალიან დაინტერესებულია რაღაცით. „დეპუტატები დავასირე, ისე ავითესე... ამ დროს, როგორი აკრეფილი მქონდა, კონიკ... როგორ მულამში ვიყავი ჩავარდნილი!.. ეს რა ვქენი, ჩემი კაი...“ (ლაშა ბულაძე).

**ამარიაჟებს (რალაცას)** – თავს იწონებს, თავი მოქვს (რალაცით), (შდრ. „მარიაჟობა“, „მარიაჟობს“). „– რაია, ბიჭო, ამ მანქანას რო ამარიაჟებ, ხამები კი არა ვართ!“ (ლაშა ბულაძე).



ამბავი, ამბავში – ზოგჯერ ნიშნავს „საქმეს“: „მონდომების ამბავი იყო და ყველაფერსაც მშვენიერად დაინახავდი“; „ხომ იცი, ყველა ამბავში პატივს გცემ“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.) – იგულისხმება: მაშინაც კი გცემ პატივს, როცა ისეთ საქმეს სჩადიხარ, რაც, ჩვეულებრივ (სხვებისგან) პატივისცემას არ იმსახურებს. მაგრამ უმეტესად ამ სიტყვას ისეთი ნიუანსები ახლავს, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირად უნდა გადმოიცეს სალიტერატურო ქართულით, განსაკუთრებით მაშინ, როცა გვაქვს შესიტყვება „...ამბავში გადის“: „ზოგიც კიდე ლიმონის ნათალს უშვებოდა შიგ და ეს ვითომ უკვე კანადურ ამბავში გადიოდა“ (ლაპარაკია ჩერი-ბრენდიში გარეულ რომზე, რომელსაც ლიმონი ვითომ რომელიღაც კანადურ სასმელს ამსგავსებდა); „ახლა კატების მთელ ხროვას პატრონობდნენ გრძნობების კომპენსაციის ამბავში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.) – ნიშნავს: გრძნობების საკომპენსაციოდ.

ამბალი – ახმახი. „თუ ვინმე იარაღიანი ამბალი იშოვე და იმასთან ერთად სვამ ჩაის ნაშუალამევს?“ (აკა მორჩილაძე).

ამულამებს – იგემოვნებს. „ისიც სვამს და ამულამებს კვამლს“ („ახალი ეპოქა“).

ამწვევი (კლიენტი) – მომპარავი, ქურდი (შდრ. „ასნია!“). „ერთი რამე იცოდე, რო იქ ქართველს არასოდეს უვაჭრია ნამლით, რახან ქართველი არი პროფესიონალი ამწვევი კლიენტი მთელ ევროპაში“ (მიხომოსულიშვილი).

ამხეცებს – გულმოდგინედ სწავლობს. „მე სპეციალობას მაგასთან ვამხეცებდი...“ (მიხომოსულიშვილი).

აორთქლდა – ორთქლივით გაქრა. „აორთქლდი, ბაბუ!“ (ლაშა თაბუკაშვილი)

აპრიკოლებ? – ხედები? (ამბობენ მაშინ, როცა მიხვედრას მახვილგონიერება სჭირდება). (შდრ. „აპრიკოლობს“). „ისე, ქალები რა აფერი-სტები არიან, აპრიკოლებთ?“ (გიორგი კაკაბაძე).

აფრიალებს – აფრენს, სრულ ჭკუაზე ვერ არის. „– თქვენ ხომ არ გაფრიალებთ, ჰა? – მოხდა რამე?! – იკითხა კახამ, – ეს რა კომედია გამიმართეთ?!“ (მიხომოსულიშვილი).

აფლარუნებს – სრულ ჭკუაზე ვერ არის, აფრენს. „– მერე მე ქართველი ვარ? – აბა, ისევ ინგლისელი? – არა, გავჩეჩენდი. – აფლარუნებ?“ (აკა მორჩილაძე).

არ არსებობს (ვარიანტი) – შეუძლებელია, არ მოხდება; ეგრე არ

არის! „ამან რომ უკან დაიხიოს, არ არსებობს“ (ამირან ჭიჭინაძე); „არ არსებობს ვარიანტი! ამ საქმეში ჩემს მეტი არავინაა დამნაშავე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „სხვა რად გვინდა, ჩვენც ხომ კარგად ვიცით, მამაკაცებო, არ არსებობს ვარიანტი, ვიდრე ქალი არსებობს“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**არატუნებს** – უაზროდ ლაპარაკობს. „არ მიყვარს, შემთხვევით რალაცეებს რომ არატუნებენ ხოლმე“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელეები. თარგმ.).

**არეკილი** – ჭკუაშერყეული, სულელი, შერეკილი. იგივეა, რაც „დარეკილი“ (იხ.). „როცა წამოვიდნენ, კოტიკომ მანქანაში ჩაჯდომისთანავე უთხრა მანანიკოს: – მაგარი არეკილები არიან. მანანიკო უემოციოდ დაეთანხმა: – ხო“ (ლაშა ბულაძე).

**არიფების დოლი** – არიფების, ანუ გოიმების (იხ.), ქაჯების (იხ.) გალალეზა. „მართონიო ეს ქვეყანა! (...) უფრო: არიფების დოლი მგონია მე“ (ზაურ კალანდია).

**არიფული** – არიფის შესაფერისი (არიფის ერთ-ერთი მნიშვნელობა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის „გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი“). „ტუფლი და პლაშჩი ვიყიდე, ორივე არიფულები“ (ალექსი ჭინჭარაული).

**არტყამს რალაცეებს** – შიგადაშიგ სწორ რალაცებს ამბობს. „გლეხის ქალია, რა... დამბოლებელი. არტყამს რალაცეებს“ (აკა მორჩილაძე); „არაა ცუდი კაცი, წყნარად“ აწევა თავის ოპოზიტებს (ოპოზიტური აზრებს. – ლ. ბ.) და ხშირად არტყამს რალაცეებს!“ (ინტერნეტი).

**ასიაბანდებს** – ატყუებს. (შდრ. „სიაბანდი“). „ჯერ მასიაბანდებს და მერე ისეთ ლექსებს უბერავს, რო ვერაფერი გამიგია“ (მიხო მოსულიშვილი).

**ასიანი** – ასპროცენტისანი, ნალდი, ნამდვილი; ნალდად, ნამდვილად. „რომ არ დაეჭირათ, ასიანი დალპებოდა“; „...ყიყლიყო ტიპია (...), ასიანი ყიყლიყო; წამო გავაბოლოთ“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ასი წელი** – ძალიან დიდხანს; არასოდეს. „მე ხო იმ შენ ელიზაბეტს ასი წელი ველარ ვნახავო“ (მიხო მოსულიშვილი); „– სახელმწიფო მოხელენი თუ მოდიოდნენ? – როგორ არ მოდიოდნენ, მაგრამ ასი წელი მათ ვინაობას არ დავასახელებ“ („ახალი თაობა“).

**ასტრახოვკებდა** – აზღვევდა. (რუს. страховка – დაზღვევა). „მერე მივხვდი ჯარი რატო უნდოდა (გულისხმობს: რატომ უნდოდა მამაჩემს, რომ მე ჯარში წავსულიყავი. – ლ. ბ.). ჯარი და ვსიო, რალა

ქურდობას და ქურდულს ანგები, პაგონი გერტყა. ასტრასოვკებდა, რა. თან ორი წელიწადი მოშორებული ვიქნებოდი აქედან“ (აკა მორჩილად).

ასწია<sup>1</sup> – მოიპარა. „პარახოდმა ბათუმისკენ გასწია, სვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია“ (ნოდარ დუმბაძე); „სადღაა პილმენი, ქვაბიანად აუნწეიათ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

ასწია<sup>2</sup> – დააპატიმრა. „სად არის-მეთქი ჩემი ქალიშვილი?.. – ასწიეს, თქვენო აღმატებულეზავ. – დააპატიმრეს? რისთვის?“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

ასწორებს – სასიამოვნოა, კარგ განწყობილებას ქმნის: ისეთია, სიტუაციას რომ შეეფერება, ჩინებულად აკმაყოფილებს ამწუთიერ მოთხოვნილებას. ნამყო სრული – „გაასწორა“. ანტონიმი „ტყუავს“ (იხ.). „არა, სადღაც კი ასწორებს, მაგრამ სადღაც ტყუავს“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „თაფლისფერი თვალები კი მაგრად ასწორებს, ხალხნო!“; „ზარემა მართლა ასწორებდა. აი, იმას რომ ჰქონოდა ხოში და ჯინსი ჩაეცვა, გული არ აგერეოდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

ასხია – ძალიან სულელია, დახუნძლულია სისულელებით. „ამას სულ ასხია, პატარა გურამს“ (გურამ რჩეულიშვილი).

ატანდაზე დადგა – სადარაჯოდ დადგა. Атанде რუსულ ქურდულ ენაზე ნიშნავს: საფრთხე ახლოვდება! თავს უშველე! (მომდინარეობს ფრანგულიდან: attendre). „პიტი კიდე ატანდაზე დადგა გარეთ, თუმცა რა იყო აქ სამანდრაჟო“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ატანცავენს – ათამაშებს: გაურკვევლობაში ამყოფებს, დაპირებებით კვებავს. (რუს. танцевать – ცეკვა). „მეთქი, ბიჭო, ერთი მეც დამალაპარაკე მაგ ტიპსთქო, რას გვატანცავენს, თუ ვაკეთებთ, გავაკეთოთ, თორე ეგრე სად არი“ (აკა მორჩილად).

ატაშოლი დაადო/მისცა – ურთიერთობა განყვიტა (მეგობართან, ახლობელთან, შეყვარებულთან). (შდრ. რუს. отошёл – წავიდა, გაეცალა). „ერთ მშვენიერ დღეს პეპემ იგრძნო, რომ ჯაზის სტანდარტული და მოსაწყენი ფორმები საშინლად მობეზრებოდა. მისი თაობის კოლეგებს „ატაშოლი დაადო“, თანაც მწარე – მილიონიც რომ მიეცათ, სათოფეზე აღარ იკარებდა“ (ვახო ხვიჩია); „გეუბნები ადმინი ხარ მეთქი და ეხლა ჩემი სიტყვები არ გჯერა? ვსიო, ატაშოლი მიეცით ამას და ისევ ჩამოამემბერეთ!!!“ (ინტერნეტი); „ახლა მეც გამახსენდა, კი ვწერდი ჩემ დროს გოგონები ჟარგონს არ ვხმარობდით მეთქი, მაგრამ გამახსენდა, შეყვარებულები რომ დაშორდებოდნენ, ვამბობდით ატაშოლი მისცა ანუ მიატოვა. ნე ვიყუ“

გაუუქეთე ხომ ძალიან პოპულარული იყო. კიდევ ვამბობდით „ღაჭ სთორი“ აქვთ, უყვართ“ (ინტერნეტი).

**ატვეჩაი** – პასუხისმგებელი. (შდრ. რუს. отвечать – პასუხის გაცემა). „ამჯერად დამეთანხმა [ანა კალანდაძე], ოღონდ გამაფრთხილა, წიგნი რომ გამოვა „ატვეჩაი“ შენ იქნებოი (ამ უარგონმა ქუთაისის ქუჩები გამახსენა)“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**ატვეჩაიში უდგას** – პასუხისმგებლობას კისრულობს სხვის ნაცვლად. (შდრ. „ატვეჩაი“). „...ვისაც ტელეფონით უმა ზავ, იმასაც ბევრს ატვეჩაიში უდგას ვილაცა“ (აკა მორჩილაძე).

**ატ ზვანკა და ზვანკა** – თავიდან ბოლომდე, მთლიანად (რუს. от звонка до звонка – სიტყვასიტყვით: ზარიდან ზარამდე – რამეს დანყების მანიშნებელი ზარის დარეკვიდან დამთავრების მანიშნებელი ზარის დარეკვამდე). „მე ისე გავიზარდე, რო მამაჩემი ათწლიან სროკზე იყო. (...) შვიდის ვიყავი, რო ჩაჯდა და ატ ზვანკა და ზვანკა მოიხადა“ (აკა მორჩილაძე).

**ატკაზზე ნავიდა/გავიდა** – უარი განაცხადა (რუს. отказ – უარი). „გაჟონა, ტო?... ბოლომდე ატკაზზე ნავალ... ბოლომდე“ (ლაშა ბუღაძე); „ვინ არითქო და ატკაზზე გავიდა, ჩემი ბავშვობის ამხანაგიაო, სკოლაში აჩმორებდნენ და მე ვიცავდიო“ (აკა მორჩილაძე).

**ატკაზი არ ჰქონია** – (მისთვის) უარი (ჯერ) არავის უთქვამს. (რუს. отказ – უარი). „– ვერ უვლიან, ძმაო, ცოლებს, – ჩაი მოხვრიპა მან, – იცი რა არი სტრანნი, მე ჯერ ატკაზი არ მქონია“ (აკა მორჩილაძე).

**ატკაზს არტყამს** – უარზეა. (რუს. отказ – უარი). „კაროჩე, შტაბამდე მისულა ამბავი, რო ატკაზს არტყამს ერთი ქართველიო“ (აკა მორჩილაძე).

**ატმასკა/ატმაზკა მისცა** – მხარი დაუჭირა. „გია ბარამიძეს კი „ზა ძმაკაცა“ „ატმასკა“ მიუცია და ამტყდარა კიდევ ერთი ამბავი“ („ახალი ეპოქა“); „...ტრადიციული ქართული სუფრა შეურაცხყო, თავისაზე მტკიცედ იდგა და სადღაც სწორიც იყო, ტოჩიც „ატმაზკას“ აძლევდა და შერჩა“ (ზაურ კალანდია).

**ატრაკუნებს** – ცუდად იქცევა, საქმეს აჭირვებს. „...ნუგ ზარს მოუბრუნდა და მამაშვილურად დატუქსა: შე ნაბიჭვარო, რეებს მიედმოედები, რას ატრაკუნებ, თამაშის ყურებას რატომ მიშლიო“ (თამაზ ნატროშვილი).

**ატსტავკა მისცა** – ურთიერთობა განყვიტა შეყვარებულთან, შეყვარებულის სტატუსი გაუუქმა სატრფოს. (რუს. отставка – სამსახურიდან, პოსტიდან გადადგომა). „ირინას „ატსტავკა მივეცი“ (ვაჟა გიგაშვილი).





**აუგდია** – უშოვია, მოუპოვებია. „თაზიკა მეუბნება რა, ვითომ, *ჭკუასი* პონტში კი ვართ, მარა ექსტაზი რო აგიგდია, მე არ უნდა მომცეო?!“ (ლაშა ბულაძე).

**აუდო** – წავიდა. „ჩვენც საპირისპირო მხარეს აუუდეთ“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**აური**<sup>1</sup> – შვოთი, აყალმაყალი ატეხა. „კარგი რა, გივი, სულ ასე იცი, აუცილებლად უნდა აურიო“ (ნოდარ დუმბაძე).

**აური**<sup>2</sup> – გაეარშიყა. „იგი ჩემზე ლამაზია, მაგრამ შურიანი და შენც არ უყვარხარ – ერთხელ ქუჩაში ამირიაო: კი, აბა, მამა უცხოხნდება, ძალიანაც უნდა, რომ აურიო, მაგრამ არ გამოუვა“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**აუცვა** – წავიდა. „– ჩაიდე, ბიჭო, მაგი იარალი და დაგვტოვე, აუცვი აქედან. პეტერბურგში ჩადი, შენნაირ სწავლულ კაცთა ალაგია ის“ (დავით ქართველიშვილი).

**აუხტა** – შეედავა, აუხირდა, წაეჩხუბა. მშვიდი ურთიერთობიდან კინკლაობაზე გადასვლა ფიზიკურ წამოხტომასთან არის ასოცირებული. „აუხტი მოქადაგესა“ (ვახტანგ ჯავახიძე); „კაცმა რომ თქვას, რაზე ამიხტა ნიშადურამოსმულივით“ (რევაზ მიშველაძე).

**აფანატებს** – აღმერთებს (ვინმეს), (ვილაცის) ფანია (ფანატიკოსია). „როცა ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა, (...) იმდენი წერილი მივიღე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და დღევანდელ ჟარგონზე რომ ვთქვათ, ისე *„მაფანატებდა“* უამრავი ჩემი თანატოლი, რომ კიდევ კარგი, ვითარებას სერიოზულად არ აღვიქვამდი, თორემ უსათუოდ ფიზიკურად დავილუპებოდი“ (გიორგი ლობჯინძე).

**აფრენს** – მეტისმეტად მოსწონს; ისე უყვარს, რომ ჭკუას კარგავს, გიჟდება. საფუძვლად უდევს იდიომი „მწყერებს (ან ოფოფებს) აფრენს“ – სისულელეებს აკეთებს. „გიჟდება თავის ბედკრულ წარსულზე და ბრწყინვალე აწმყოზე და საერთოდ საკუთარ თავზე. აფრენს ჭკუის სწავლებაზე, რადგან ამით საკუთარი პიროვნების გამომჟღავნების უფრო დიდი საშუალება ეძლევა“ (ჯემალ თოფურიძე).

**აფსიხება** – გაბრაზება, ნერვების აშლა, სულიერი მღელვარება („ფსიქე“ ბერძნულად „სული“). „სულ პატარა აფსიხება და სპაზმები გამონერვილი მქონდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**აფუილებს** – სიგარეტს აბოლებს. ხმაბაძვითი სიტყვაა. ფონეტიკური მიბაძვა ხმისა, რომელიც თან ახლავს პირიდან ბოლის გამოშვებას. „მე კიდევ ბუხარს ვუჯექი და რალაც მშვენიერ უფილტრო სიგარეტს ვაფუილებდი“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**აქაჩა** – გადმოიღო, გადმოიწერა, მოიპარა, მიითვისა ადგილები, პასაჟები სხვისი ნაშრომიდან. „ეს ყველაფერი იმ წიგნიდან აქვაჩე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**ალადავებს** – დასცინის, ამასხარავენს. სინონიმი „აშაყირებს“ (იხ.). „ოჯახიშვილო, – თქვა მან, – დავიჯერო, მალადავებ?“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**აყვანა ან დუხზე/დუხით აყვანა** – (შდრ. რუსული „дуч“ – სული, ფსიქე) – ფსიქოლოგიურად ნახდენა, დაბნევა ვინმესი, ისეთ დღეში ჩაგდება (ფსიქოლოგიური შეტევის შედეგად), როცა წინააღმდეგობის განწევის თავი აღარ აქვს, ველარ ახერხებს შეპასუხებას (ძირითადად, დამცინავ რეპლიკებზე). ზმნის პირდაპირ მნიშვნელობასთან ასეთი კავშირია: როდესაც ვინმეს ხელში აიყვან, უსუსური ხდება, შენს ხელშია, რასაც გინდა უზამ. „ერიპა, ამას ჩემი აყვანა უნდა-მეთქი, გავიფიქრე“ (ნოდარ დუმბაძე); „ოლონდ მეტისმეტად კარგად კი ვიცნობდით ერთმანეთს და არავითარი ყვირილი და დუხზე აყვანა აზრად არ მოგვსვლია“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**აყვანილი** – დაპატიმრებული. „ფილიპი ჯერ არ ჰყავდათ აყვანილი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**აყირავა** – მოატყუა, გააცურა. „მე კი, მართლაც რომ მექონდეს ასეთი რანდევუ წყალმომმარაგებელთან ან გზების გამსწორებელთან, ერთი კარგად ვაყირავებდი. არ მივიდოდი და მორჩა“ (აკა მორჩილაძე).

**აყირავებული (ჯველი)** – შერეკილი. „ბიჭო, ეს აყირავებული ჯველი ვინლაა?“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

**აყლაპა** – შეატყუა, მიასალა; მოატყუა. (შდრ. „აჭამა!“). „...საკმაოდ პირდაპირ იცავს რუსულ ინტერესებს და იმავდროულად ახერხებს, ეს ყველაფერი ქართული ინტერესების დაცვად „აყლაპოს“ საზოგადოებას“ (ია ანთაძე).

**აშარაფა** – აქეიფა (იხ. „შარაფი“). „ზუგდიდში რომ ვყავდი სტუმრად, მაგრა მაშარაფა“ (გელა ჩქვანავა).

**აშაყირებს** – დასცინის, ამასხარავენს. სინონიმი „ალადავებს“ (იხ.). „გვაშაყირებს, – თქვა პატარამ და ახლა იმან გააწნა ხელუკულმა“ (ჯემალ თოფურიძე); „ყურებს არ ვუჯერებდი, ძმებო, მაშაყირებს-მეთქი, გავიფიქრე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.). მომდინარეობს სიტყვიდან „შაირი“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის (...) ლექსი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

**აჩაიანი** – თავზე ხელაღებული, თავხედი. (რუს. **отчаянный**): „**აქცერ** ნამოდგა და იატაკზე ჩამჯდარ პლებანოველ მოგელას იარაღი დაადო შუბლზე, – კოლიას შვილიშვილი ხარ, თავს ნუ მომაკვლეინევ. შენისთანები მინახავს, აჩაიანები?“ (აკა მორჩილაძე).

**აჩმახებს** – საქმეს აჭირებს; გულს აწყალებს. „**აჩმახებ** შენც... მოკვდა და მოკვდა, როგორც სხვები, იგრე ესეც“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**აცვენილი** – სალიტერატურო ქართულში იგივეა, რაც აყრილი (მაგ., პარკეტი), ჟარგონში კი თავზეხელაღებულს, ყველაფერზე ნამსვლელს ნიშნავს. „**ლიალიამაც** კი იცოდა, რომ ყველასთან არ შეიძლებოდა ამგვარად მოქცევა, და რომ აცვენილებიც იყვნენ, რომლებიც არაფრად დაგიდევდნენ სასწავლო ნაწილის გამგის მეზობლო ბუნებას“ (ირაკლი სამსონაძე).

**აცრა** – მოკლა. „– ესა აცრილია, – თქვა მალბაზ მ.-მ და ნამოდგა. – **ავცერი**, ჩემანალა. – რა არი? – ნინი გვარიანად გამწვანებულიყო. – აცრილია. ცოდო დავიდე... – მოკვდა? მოკალი? – აბა, რავი. ტოკი არ არი, რო გაუტაროთ და... მოკვდა, ხო. აცრილია“ (აკა მორჩილაძე).

**აცრილი** – მოკლული. (იხ. „აცრა“). „– ესა აცრილია, – თქვა მალბაზ მ.-მ და ნამოდგა. – **ავცერი**, ჩემანალა (აკა მორჩილაძე).


**აცურება** – მოპარვა. „**ეხლა**, ჯინსების აცურების ხერხი ის არი, რო ჯინსები ალაგია დახლზე. დაკეცილი არი ოთხკუთხედათ და ერთმანეთზეა შემონყობილი. ეს დაკეცილი ორი ცალი უნდა აიღო, გაშალო, შეატყუპო ერთმანეთზე და მკლავზე უდარდელათ გადაიკიდო“ (მიხო მოსულიშვილი).

**ანევა** – მოპარვა. „**ვთქვით** და თაზა მანქანის ანევას მოინდომებდი...“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ანეული**<sup>1</sup> – ამალღებული, საზეიმო, პათეტიკური, ემფატიკური (სიტუაცია). „**ისეთი ანეული** სიტუაციაა, სწორედ მინიდან ანეული, რომ ვერაფერს ვიტყვით“ (გურამ რჩეულიშვილი).

**ანეული**<sup>2</sup> – მოპარული. შდრ. „ასნია“ (იხ. პირველი მნიშვნელობა). „**გერმანელი** კიდე ანეულს არაფერს იყიდის, სხვა მყიდველი არ არი და ისევ აფრიკელთან ჩალიჩობ ვინუყდენი“; „**ის ანეული** ტანსაცმელი რო დადო ოთახში და პოლიციამ შმონი დაჰკრას, ნაიღებენ“ (მიხო მოსულიშვილი).

**ანევა** – განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რაღაც მომენტს; დიდი გულმოდგინებით ირჯება მიზნის მისაღწევად. ნამყო სრული „დაანვა“ (იხ. მე-2 მნიშვნელობა) ან „მიანვა“ (იხ. პირველი მნიშვნე-



ლობა). „- თქვენ ისევ დამოუკიდებლობას აწვებით, - გაიცინა „ქუჩის ნალამ“, - სამოღვაწეო ასპარეზს მაკარგვინებთ! არა, ძმავო, ამხელა რუსეთის ჩამოშორებას მე ვერ შევეგუები“ (მიხოს მოსულიშვილი).

აჭამა<sup>1</sup> - მოატყუა (შდრ. „ათოხლა“). „აბა, მაგის დედა ვატირე, როგორ გვაჭამა იმ ოჩოპინტრემ!“ (თემურ ჯღარკავა).

აჭამა<sup>2</sup> - დაარტყა. „- თავი, თავი აჭამე, ჯემალ! - ვიცოდი, რომ ახლოს მისვლა და თავის ქმევა იყო საჭირო“ (ნოდარ დუმბაძე); „დავარტყი და დავავდე, ისევ წამოდგა, მაშინ თაური ვაჭამე სიფათში, ძლივს წაიღეს“ („წინანგი“). „საჭმელთან“ ეს ქმედება იმიტომ არის ასოცირებული, რომ ამგვარი დარტყმა პირის არეში ხდება.

ახამხამებს (გამოთქმაში: დგას და ახამხამებს [თვალებს]) - გაოგნებულია, დაბნეულია, არ იცის რა ქნას. „- ...ატყდა ჩუმი ალიაქოთი. მე ვიდექი და ვახამხამებდი... - ეგ რაღაა? მოკლედ, ჟარგონების მეფე ხარ, ლევან ბრეგაძის ჟარგონების ლექსიკონი დაგიზეპირებია. - ვა, ეგეთიც არსებობს? უგამოსავლობას, უმწეობას გამოხატავს ჩემთვის. მართალი გითხრა, სხვისგან არც გამიგონია. - ჰო, ეგ სიტყვა წიგნში, მგონი, არ არის, უნდა ვუთხრა. - იცნობ? - კარგად. რა ძალა გადგია, მშვენიერი ქართული იცი. - მაგრა შევეჩვიე ჩემი ბიჭების ლექსიკას. თავიდან ვეჩხუბებოდი და ბოლოს იმათ მაჯობეს, ადვილია და მოკლე“ (მანანა ამირეჯიბი).

ახეხინეს (ციხე) - ხანგრძლივ პატიმრობაში ამყოფეს (შდრ. „ხეხა“). „ხმა არ გაუღია - ვაითუ დამაჭერინონ და ისევ იქით გამამგ ზავრონ, სადაც 16 წელი მახეხინესო“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

ახვარი - ი. გრიშაშვილი ასე განმარტავს: ანგალი, უპატიოსნო, გამოუსადეგარი, ავარა („ქალაქური ლექსიკონი“), მაგრამ საილუსტრაციო მაგალითები არ მოაქვს. „- ვიცი, ახვარი ხარ და მაგ გოგოს შეეშვი“ (ზურაბ სამადაშვილი).

ახვევს<sup>1</sup> - ქარაგმულად ლაპარაკობს. „ვიცი, რას ახვევს ქურდი ქურდულად“ (დავით წერედიანი. თარგმ.).

ახვევს<sup>2</sup> - ცდილობს მოხიბლოს, სასიყვარულო ურთიერთობაზე დაიყოლიოს. ნამყო სრული - „შეახვია“. სინონიმი - „აბამს“ (იხ.). „ბანკის პივას ურახუნებდნენ და იმ ყვავებს ახვევდნენ ყავით და შოკოლადით“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ახურებს - საქმეს აჭირებს, ცუდად იქცევა, ზედმეტს ლაპარაკობს. ნამყო სრული - „გაახურა“ (იხ.). „და ბოლოს მერაბაა ერთი და ის დაარტყამს - რას ახურებო და ამას ყელში ამოუვიდა, მივარდებო და იჩხუბებს...“ (ირინე ბაქანიძე).



ახურებს და უხარია – უშნოდ ანგლობს (სისულელეებს არახუნებს) და თვითონვე ტკბება ამით. „რა შენი საქმეა სხვისი ამბავი და აზმანი?.. ახურებ და გიხარია!..“ (ვაჟა ჩორდელი).

აჯახა – სათქმელი პირში მიახალა. „ეს იმნამსვე მოვიფიქრე და ვაჯახე“; „აი, მაშინ კი ეგრევე ვაჯახე, რა ჰონორარი, რის ჰონორარი, ეგ თქვენი ფულია-მეთქი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

აჯო მიატოვა – მოატყუა. „აჯო მიატოვეთ, ბადრიმ გვიბოზა, ვიდრე ხელახლა წამოვინწყებდეთ, გაიარ-გამოიარე, შავ ზღვაზე გაისეირნე“ (ოთარ ჩხეიძე).

**ბაზარ-ვაგზალი** – დავიდარაბა, აურზაური (ისეთი, ბაზარსა და ვაგზალში რომ იცის ხოლმე). „უცბათ ამ ბაზარ-ვაგზალში დააძრო ფინკა და ბახ!“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ბაზარი** – ყბედობა, ყაყანი (როგორც ბაზარში იციან). „მთელი ეს ბაზარი ყელში ამომივიდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.): „მორჩი ბაზარს, დაიძინე!“ (ქართლოს კასრაძე). ამ გამოთქმის ჟარგონულობა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა „ბაზარი“ მიცემითის ნაცვლად არასწორად დგას სახელობით ბრუნვაში: „მორჩით, კაცო, მანდ ბაზარი“ (გურამ რჩეულიშვილი).

**ბაზარი უჭირავს** – ლაპარაკობს. (შდრ. „ბაზარი“). „ისე გამომივიდა, რო, რაც მალლა რო ვიჯექი და ბაზარი მეჭირა, ის სულ გადამვარდა გულზე“ (აკა მორჩილაძე).

**ბაზარი ხალხი** – ძალიან ბევრი ხალხი (როგორც ბაზარში). „თუ გაბრაზდებოდა და, მტრისას – ორ ბაზარ ხალხს ისე გალახავდა, როგორც არაფერი“: „სამი ბაზარი ხალხის ძალა ჩაუდგებოდა ჯანში“ (გურამ დოჩანაშვილი).

**ბაზარში ჩაინვა** – სიტყვით პაექრობაში დამარცხდა. (შდრ. „ბაზარი“). „არ იცის, რა მიპასუხოსო. ჩვეულებრივი რო მიპასუხოს, ისევე იქით მივიყვან, რო ბაზარში ჩაინვაო. მაგას ხვდება, მარა სხვა რა მიპასუხოს, არ იცისო“ (აკა მორჩილაძე).

**ბაზრობს** – ლაყბობს, ყბედობს. „თავი და ბოლო ვერ გავუგე, რას ბაზრობდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ბათქი** – ძლიერი დარტყმა. სალიტერატურო ქართულში ეს არის „თოფის, ზარბაზნის და მისთ. გასროლის ხმა“ (ქეგელ, ერთტომეული), ჟარგონში კი დარტყმის მნიშვნელობა მიიღო (ალბათ იმიტომ, რომ დარტყმისას ძლიერი ხმა გამოიცემდა). „ჯორჯი კი ბაიბურში არ იყო და მიიღო კიდევაც ბათქი თავში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ბაიანი** – „კონსპირაციული“ სახელი ნარკოტიკის გასაკეთებელი შპრიცისათვის. (რუს. *наян* – დიდი გარმონი) – „სად არის ჩემი ბაიანი! – აკორდეონს ეძებს? (გია ბალიშის ძირიდან შპრიცს იღებს სწრაფად)“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**ბაიბურში არ არის** – არ იცის, არ ესმის: ვერ ხვდება. „იქნებ მეშლება, იქნებ გადავარდა და მე ბაიბურში არა ვარ“ (თამაზ კვაჭანტირაძე).

თარგმ.); „ჯორჯი კი ბაიბურში არ იყო და მიიღო კიდევსც“ *ბაიბურში* თავში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. I) შესულია სიტყვა „ბაი-ბურის“ შემცველი გამოთქმები განსხვავებული მნიშვნელობებით: „ბაი-ბური არ ისმის“ – ჩამი-ჩუმი არ ისმის, „ბაი-ბურში (ბაი-ბურად) არ აგდებს, ბაი-ბური არა აქვს“ – არაფრად მიიჩნევს.

ბაითი – მყუდრო, წყნარი ბინა, სადაც დაუპატიჟებელი მომსვლელი ვერ შეგანუხებს და შეგიძლია შენთვის სასურველ ადამიან(ებ)თან ერთად მოყურდე. ებრაულად „სახლს“ ნიშნავს. სინონიმი „ხავერა“ (იხ.). „– მაგასთან ვიყავი სახლში, სოლოლაკში მაგისი ბაითია, – კისკისებს ხათუნა“ (ზურაბ სამადაშვილი); „სალამოს იქნება ერთ პონტში, ვაკეში, ის ბაითი ვიცოი და გასწავლიო“ (აკა მორჩილაძე).

ბაითი გაიტანა – ბინა გაქურდა. (იხ. „ბაითი“ და „გაიტანეს“). „კაროჩე ვერე ქონდა წარმოდგენილი, რო ან ვილაცას დავჭრი, ან ბაითს გავიტან, ან მორფინისტი გავხდები“ (აკა მორჩილაძე).

ბაირამობა – დროსტარება, სიამოვნების მიღება (ბაირამი – მაჰმადიანთა დღესასწაული). „არა, გენაცვალე, შენთვის ახლა სიკვდილი ბაირამობაა, ამისთვის კი წამება“ (ნოდარ დუმბაძე); „მათ ბაირამობას ბოლო იქამდე არ მოჰღებია, ვინემ გერმანულ კოლონიებში ამბობება არ მოხდა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

ბალამუტა – მოლაყებ (შდრ. „ბალამუტობს“). „მოკლედ, კაი ბალამუტა ვინმე იყო“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ბალამუტობს – ლაყობს. ასეთი მნიშვნელობა მიიღო ჟარგონში რუსულმა ზმნამ баламутить – ამღვრევა (შდრ. баламут – შფოთისთავი). „ბნელი ზამთრის სალამოს ყველანი „ფაქიზოში“ ჩავეკეთით და ვბალამუტობდით“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ბანანი – შარვალი, რომელსაც ბანანის ნაყოფის მსგავსი ტოტები აქვს. „სცენაზე დაშლივინებდნენ ჯინსიანი ჰამლეტი და ბანანის-შარვლიანი ოფელია“ (რევაზ მიშველაძე).

ბანაობს – თავს ზედმეტის უფლებას აძლევს. „ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! – თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა. – ნუ ბანაობ! – ვუთხარი და თავი გაენიე“ (ნოდარ დუმბაძე).

ბანძი – უგემოვნო, უხარისხო. „გაუძლებ ნეტა ამ ტვირთს როდემდის, ბანძი სიცოცხლის ერთი მძევალი!“ (ტარიელ ჭანტურია).

ბარიგა – სპეკულანტი, გადამყიდველი (უმთავრესად – ნარკოტიკის). შემოსულია რუსული ქურდული ენიდან. „პირველად უბნის განთქმულ ბარიგასთან მივიდა“ (ნოდარ დუმბაძე); „ბარიგებზე ნამდვილი

ნადირობა გაჩაღდა, მუშტრები მათ დუქნებში დაეძებდნენ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ბარო** – მისალმება. „...იქვე მობირჟავე ბიჭებს, მათ შორის კოტიკო-საც, ბარო, ბიჭებოო, ხელი აუწია...“; „– ბარო, კონიკ, რავა ხარ? – თავი გადმოყო ერთ-ერთმა“ (ლაშა ბულაძე).

**ბაქსი** – აშშ დოლარი. „ამ მწვანე ბაქსებს არ გავარტყი, შე მართლა ჩოილარო?!“ (მიხო მოსულიშვილი).

**ბებია გიჭყავის!** – ეგრე არ იქნება, შენ რომ გინდა! (გამოთქმის მნიშვნელობა ძალიან შორს დგას მისი შემადგენელი სიტყვების სემანტიკისგან). „– რას ბოდავ? – გაბრაზდა, – ამაზე ლაპარაკი არ მინდა, თავი დამანებე! – ბებია გიჭყავის-მეთქი, – ვუთხარი ბოლომდე დანეულ ხმაზე...“ (კოსტა ელია).

**ბეზ ბაზარა** – ულაპარაკოდ, უსიტყვოდ, ხმის ამოუღებლად. (რუს. без – გარეშე + „ბაზარი“ [იხ.]). „ხოდა, თავი დაუქნიე, ბეზ ბაზარა, ამ ქალებისთვის ისედაც ზედმეტები მქონდა ნათქვამი და ეგ კი ვინანე“ (აკა მორჩილაძე).

**ბეთქა** – პრესაში გამოაქვეყნა (უფრო სკანდალურ სტატიაზე იტყვიან). „სასწრაფოდ გააშანშალა ვეებერთელა მამხილებელი წერილი და ბეთქა გაზეთ „კომუნისტში“ (ემზარ კვიციანიშვილი).

**ბესპრედელი** – განუკითხაობა (შდრ. რუს. беспредельность – უსაზღვროება, უსასრულობა). „და ეხლა შენ წარმოიდგინე (...), კიდევ რანაირი საქმეები ჰქონდა ბოზოს მოყომარებული. სუფთა ბესპრედელი იყო რა...“ (მიხო მოსულიშვილი).

**ბითურობა** – სისულელე, უაზრობა, სიბრიყვე. „ბითურობაა თავიდან ბოლომდე, რაც შენ მოყევი!“ (ნოდარ დუმბაძე); „ამ ბითურობას ყურადღებას ნუ მიაქცევ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ბირჟა** – უსაქმური ახალგაზრდების თავშესაყრელი ადგილი ღია ცის ქვეშ. ირონიული ანალოგია ამავე სახელწოდების დანესებულეხსთან, სადაც საქმიანი ხალხი (ფინანსისტები, კომერსანტები...) ხვდება ერთმანეთს საფინანსო და სავაჭრო გარიგებათა დასადებად. „ნიაზი მდგარა „ბირჟაზე“ სამუშაო საათებში“ (დათო ტურაშვილი); „მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი“ (ნოდარ დუმბაძე).

**ბირჟავიკი** – ვინც ბირჟაზე დგას ხოლმე. „ისევე „ბირჟავიკები“ უმაგრებდნენ ზურგს, ესენი ათამამებდნენ“ (ზაურ კალანდია); „ხშირად ნახავდით ბათუმის სანაპიროზე ბევრ ბირჟავიკებში შერეულ სამოცდაათ წელს გადაშორებულ... ქალს“ (ჯემალ თოფურაძე); „მაგიყებს კაცი პირშავი, რა ვქნა – ვენყობი „ბირჟავიკს“! მხოლოდ



**ბირჟაზე გაიგებ, ვინ თეთრია და ვინ შავი!** (ტარიელ ჭანტურია)<sup>1</sup>  
**ბირჟაობს** – ბირჟაზე (იხ.) დგას. (შდრ. „აბირჟავებს“). „ალბანელები ვერც მანამდე გვაკლებდნენ რამეს, მაგრამ ახლა ადგნენ და შემოსასვლელთან ბირჟაობდნენ, სადაც პოლიციის ვახტა იყო, სხვაგან ველარ ბედავდნენ“ (მიხო მოსულიშვილი).

**ბიტი** – გამოცდილი, ცხოვრებანანახი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (Бытий). „ჩვენისთანა ბიტი ხალხისთვის თითო-ოროლა ნაკანრი რა სახსენებელია“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ბიძა<sup>1</sup>** – კაცი, მამაკაცი. „ადვილად იმ ბიძას ვერ მოლუნავდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**ბიძა<sup>2</sup>** – პროტექტორი. „გამოდის, რომ საშუალო განათლების მქონეს ათასნაირი არჩევანის უფლება აქვს, უმაღლეს დამთავრებულს კი, თუ „ბიძა“ არა ჰყავს – ერთადერთი“ (რევაზ ჩხარტიშვილი).

**ბლატაობს** – ამპარტავნულად, ძველებიჭურად ლაპარაკობს. რუსულად блат ნიშნავს ქურდების ენას. „ბლატაობ სააქაოზე, გვიფარავ საიქიოსგან“ (ვახტანგ ჯავახაძე).

**ბლატი** – ნაცნობობა, პროტექცია (რუს. по блату). „ბიძაჩემი ინსტიტუტში საქმეს „ბლატით“ მიკეთებს“ („ნიანგი“).

**ბლატნოი** – ქურდული (ენა, ლაპარაკი, საქციელი...). (შდრ. „ბლატაობს“). „მაგარი რუსული იცოდა მამაჩემმა, ტელევიზორის რუსულს ვაფშე არ გავდა, სულ ვერ გაიგებდი, რას ლაპარაკობდა. ბლატნოი რა. ფენია ქვია“ (აკა მორჩილაძე).

**ბლიყვი** – რეგვენი, სულელი. შეიძლება ეს იყოს ფონეტიკური სახეცვლილება სიტყვისა „ბრიყვი“. „აბა, ავუდეთ! - დავიყეფე უცბად და ერთი გემოზე ვნეპე იმ ბლიყვს, ჩემ გვერდით გათიშული რო იჯდა“; „ამ ჩემს ბლიყვებსაც ავუხსენი, რასაც ვაპირებდი“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ბოზი** – დამსმენი. „მე ისეთი მაინც არა ვარ, ბოზი, კაცს მაინც არ ჩავაგდე, არ გავყიდი“ (გურამ რჩეულიშვილი).

**ბოზობა** – დასმენა. „შეინირა „ბოზობამ“ დასმენილი მიზანი“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**ბოლო გოიმი** – ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე გამოუსვლელი ადამიანი. (შდრ. „გოიმი“). „ძია მიშას გაუკეთეს და შენც ბოლო გოიმით ვერ მიხვდი“ (აკა მორჩილაძე).

**ბოტანიკა** – ბოტანიკის მასწავლებელი. „ძლივს დავარწმუნე, მარტო „ბოტანიკას“ დავცინი-მეთქი“ (რევაზ მიშველაძე). ამა თუ იმ

სასწავლო საგნის სახელწოდებას ეძახიან ხოლმე მოსწავლეები. იმ

საგნის მასწავლებელს: „გეოგრაფია“ – გეოგრაფიის მასწავლებელი, „ფიზიკა“ – ფიზიკის მასწავლებელი (მაგ., „ფიზიკა მოდის!“) და ა.შ.

**ბოლმა<sup>1</sup>** – ბოლმიანი ადამიანი, გულში ბოლმის ჩამდები. „ბნელო გარეგნობითაც ის იყო, რაც სახელი ერქვა, მაგრამ ბოლმაც იყო, დაგიმახსოვრებდა და მერე ჩხუბში ჩემ მტერს მოხვდა მაგისი ნიხლი“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „ღმერთო ჩემო, რა ბოლმა ხართ...“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.). არსებითმა სახელმა ჟარგონში ზედსართავის გაგება მიიღო.

**ბოლმა<sup>2</sup>** – უსიამოვნო ამბავი. „მაგრამ ყველაზე ბოლმა ის იყო, ზედა ქუთუთოები დამიმავრეს პანანკინტელა შპილკებით და თვალის დახამხამებაც კი აღარ შემეძლო“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ბოლმის ბუკეტი** – ბევრ რამეზე დაბოლმილი ადამიანი. (БукеТ – თაიგული, ყვავილების კონა, რუსულად). „გარეგნულად ისე უჭირავს თავი, თითქოს სათნოების განსახიერება იყოს, მაგრამ შინაგანად ეს კაცი არის ბოლმის „ბუკეტი“ (ელიზბარ ჯაველიძე).

**ბრიაჟკა** – ჯგუფი, გუნდი. „ყველანი ძმაკაცები ვართ, მაგრამ ვილაცა ხომ უნდა უფროსობდეს ბრიაჟკაში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ბრმების შკოლაა?!** – იტყვიან, როცა ვინმე იოლად შესამჩნევ თაღლითობას სჩადის, რითაც მარტო ბრმებს თუ მოატყუებ. „კმარა! მართლა კმარა ამდენი თაღლითური ფოკუსების ამონერა! ეს „ბრმების შკოლა“ კი არა, ბრმების აკადემიაა, ძვირფასო რექტორო!“ (შოთა ნიშნიანიძე).

**ბულკი** – თამაშში ადვილად დასამარცხებელი ვინმე, ის, ვისაც ადვილად უგებენ (რომელიმე) თამაშს (Булка – ფუნთუშა, რუსულად, სასიამოვნო და იოლად ასათვისებელი საჭმელი). „გეგონება მე ცუდი მინდოდეს შენთვის. ხომ იცი, რომ ჩემი ბულკი ხარ და ცუდს როგორ გეტყვი რამეს“ (ინტერნეტი).

**ბუს კვერცხები** – იგივეა, რაც „არაფერი“. ამ გამოთქმას გაგულისებული ტონით წარმოთქვამენ პასუხად შეკითხვისა „რა მოგვიტანე?“ ან „რა დაგვახვედრე?“, როდესაც ხელცარიელნი მივლენ ვინმესთან ან ხელცარიელნი დახვდებიან ვინმეს. „რა გაქვს, ქალო, დღეს სადილად? - დაბოხებული ხმით კითხულობს მამუკა. – ბუს კვერცხები! რა დამიტოვე და რას მთხოვ?... – იყო მზიას პასუხი“ (ნოდარ დუმბაძე).

**ბუტილკა** – შარვალი, რომლის ტოტები კოჭებთან ძალიან ვინროა, ისე, რომ შარვლის ტოტი თავდაყირა მდგარ ბოთლს (бутылка) წააგავს. მოდაში იყო მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი



წლების დასაწყისში. *„ეცვა ეგრეთ წოდებული „ბუტილკად“ გამოქ-  
რილი ვინრო და მოკლეთოტებიანი შავი შარვალი“* (ნიკა აგიაშვილი);  
*„როცა მოვკვდები, გამიკეთეთ „ბუტილკა“ კუბო“* (ნოდარ დუმბაძე),  
ანუ ბოლოში ძალიან დავინროებული კუბო გამიკეთეთ, იმ შარვლის  
ტოტის მსგავსი, რომლის ჩაცმა სიცოცხლეში მიყვარდაო.

**ბუქსაობს** – ერთ ადგილს ტკეპნის, წინ ვერ მიდის ჩანაფიქრის  
აღსრულების გზაზე. *„...მე რომ ვმუშაობ, ამ თეთრ კედლებს რომ  
ვუყურებ, დამბლა მემართება: რაღაცას თუ არ წავეპოტინე ან მზე-  
რით, ან აზრით, მიჭირს, „ვბუქსაობო“* (კოკა იგნატოვი).

**ბუხოი** – მთვრალი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (бухой).  
*„არ მინდოდა მთვრალს დაჯდომა (საჭესთან), მე ხო მოვსრიალდი  
დეკემბერში. მაგარი ბუხოი ვიყავი და გადავრჩი“* (აკა მორჩილაძე).

- 3 -

გაბანძა - გააბიაბრუა, აბუჩად აიგდო. იხ. „გაბანძება“. „*ეგ არიფები მშრალზე დავსვი, გავაბანძე...*“ (ოთარ პერტახია).

გააიასნა - გაარკვია, ნათელყო, ცხადყო; მიხვდა. ანმყო „აიასნებს“ (იხ.). (ზმნის ფუძედ გამოყენებულია რუსული ясный - ნათელი, ცხადი). „*თბილისში კაცის პოვნას რა უნდოდა! გადარეკავდი, გადმორეკავდი და უცბათ გააიასნებდი ვინ, სად, როგორ, ყველა ყველას იცნობდა*“ (ზურაბ სამადაშვილი); „*და ეგრევე გააიასნა მარიშკამ, რო ბანკში ჩემი ბინა მაქ ჩადებულნი და რო გაგვიყიდონ, მოკვდება დარეჯანი, მესამე სართულიდან გადმოხტება*“ (მიხო მოსულიშვილი).

გააიამასქნა - საქმე მოაკვარახჭინა, საქმე მოაგვარა უკანონო გზით. „*დროგამოშვებით კომბინაციებს „აიამასქნებდნენ*“; „*კვაჭმა ახალი დიდი საქმეები „გააიამასქნა*“; „*აპა, ბესო, ხვალვე უნდა „გააიამასქნათ*“ ყველაფერი“ (მიხეილ ჯავახიშვილი).

გააპრავა - გაამართლა, ლეგიტიმურობა მიანიჭა უმართებულო ან უცნაურ ქმედებას. (რუს. правый - სამართლიანი, მართალი). „*ოდნავ მოგვიანებით შევუერთდი ამ ჩემს უბნელებსა და ბავშვობის ძმაკაცებს. ამას იმიტომ ვაკონკრეტებ, რომ ვაკის პარკში გასეირნება გავაპრავო და ვინმეს ავტობუსით მოსული სულით პროვინციელი არ ვეგონო, რომელსაც ვაკის პარკში გავლა მაგარი პონტი ჰგონია, უბრალოდ, ახლოსაა ჩვენს სახლებთან*“ (გიორგი კაკაბაძე).

გააპუსტიაკა - გააუბრალოვა, მნიშვნელოვანი რამ უმნიშვნელოდ აქცია. (რუს. пустяк - უბრალო, უმნიშვნელო, წერილმანი). „*სამშობლო რავა უნდა გაყიდო, შე იუდა, და თუ ეშმაკმა არ მოგასვენა, ნუ გააპუსტიაკებ მაინც, ისეთი ფასი დაადე, ლირდეს!*“ (ჯემალ ქარჩხაძე).

გაარტყა - შემთხვევით გამოიცნო. „*უნდა ვაღიარო, რომ ბევრ რამეს გაარტყი, ლეო*“ [ნიშნავს: ...ბევრი რამე გამოიცანი, ლეო] (დიანა ვაჩნაძე).

გაასალა - მოკლა. „*რაკი ისროლე, უნდა გაგესაღებინა კიდევ*“ (გურამ ფანჯიკიძე); „*სტრენდზე კონსტებლი გავასალეთ*“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელი. თარგმ.).

გაასროკინა - დააჭერინა, ციხეში ჩაასმევინა. (შდრ. რუს. срок - ვადა [პატიმრობის]). „*ეგრე ალაღად გაასროკინა ჩვენი თავი*“ (ზურაბ სამადაშვილი).



**გაასუხარა** – გამორჩენის მიზნით გაყიდა ის, რაც მას არ ეკუთვნოდა (ებრაულად „საჰარ“ – ვაჭრობა). ანმყო – ასუხარებს. „სირცხვილი არ არი? ამხელა კაცმა ოთხი პაკრიშკა გაასუხაროს?“ (ჯემალ დავლიანიძე); „ეგება „სპორტლოტოს“ ვასუხარებ შენსავით და ხალხს ვატყუებ?“ (რევაზ მიშველაძე).

**გაატარა** – ყურადღება არ მიაქცია; ვითომ ვერ შეამჩნია. „თუ არ გსიამოვნებს ჩემი კომენტარი, გაატარე რა, იმიტომ, რომ შენ არ გეხება ჩემი დანერვილი და შენც ნუ შემეხები, კარგი ჯიგრულად გეუბნები“ (ინტერნეტი).

**გააფართხალა** – დაიჭირა, შეიპყრო. „...იმ მაყუთით კაი ოპიუმში იყიდეს და ბუქარესტი-ციურიხის თვითმფრინავებიდან ჩამოსულები აეროპორტში გააფართხალა ადგილობრივმა პოლიციამ“ (მიხო მოსულიშვილი).

**გააფორმა** – სქესობრივი ურთიერთობა იქონია (სუბიექტი – მამაკაცი). „ყველა გოგოზე იძახდა „გავაფორმეო“. თანაც ამ გაფორმების ამბავს რაღაც ბოროტად ყვებოდა, თითქოს კი არ ეცხოვრა, გაენამებინა და მოეკლა ქალი“ (ჯემალ თოფურიძე).

**გააძრო** – გააჩინა, მოიყვანა (ჟარგონული მნიშვნელობა ძალიან დაშორებულია ამავე სიტყვის სალიტერატურო მნიშვნელობისაგან). „ვუთხარი ამას: მეთქი დღეს გააძრობ მაგ კაცს, აი, აქ, აქედან, ტელეფონით ან ფეხით და გრევი იქნება სიცოცხლე და ვერ გააძრობ და ეს კენჭი უკვე შენს თავში ზის“ (აკა მორჩილაძე).

**გაანვა** – წავიდა, გაემგზავრა. იგივეა, რაც „დაანვა“<sup>3</sup> (იხ.). „...ერთი არიო, შენ არ იციო და ამერიკაში გაანვა ეხლაო, და იმან მაჩუქა...“ (აკა მორჩილაძე).

**გააჭრა** – მიაშურა, მივარდა; გაიქცა. (შდრ. „ააჭრა“ და ლიტერატურული „გაიჭრა“ – სირბილით გავარდა). „გადაგვხედ-გადმოგვხედეს და პირდაპირ ქალებიანი მაგიდისკენ გააჭრეს“ (ზურაბ სამადაშვილი); „გავაგდებინე ის კლუნი და ეგრევე გავაჭერით უკანა ეზოში“ (მიხო მოსულიშვილი).

**გააჭრელა** – ზედმეტი ილაპარაკა; გული გაანყალა (ბევრი ლაპარაკით ან ახირებული ქცევით). „შემიყვარდა კი არა, ჯერ ვილადავე, და მერე რო ძაან გააჭრელა, დავანებე თავი საერთოდ ცეკვას“ (ინტერნეტი); „რალა ბევრი გავაჭრელო: საფეხბურთო საქართველოს და თბილისს არ უნახავს იმაზე დიდი ფეხბურთი, რომელიც 1979 წლის შემოდგომაზე, ჯერ „ლივერპულთან“ და მერე „ჰამბურგერ შტორ-ფერანთან“ ნახა“ (კონსტანტინე გოგიშვილი).

**გააჭრიალა** – ბევრი ილაპარაკა. „*კაროჩე, რო არ გავაჭრიალო, ჩქმი ნათლიები სულ ნახალოვეკელი ქურდები არიან*“ (აკა მორჩილაძე).

**გააჭყლეტინა** – დააღვეინა (ალკოჰოლიანი სასმელი). შდრ. „*გააჭყლეტა*“. „*ძია გიორგისთან ჩავიდეთ, ოხრებო, გიჟმარგუას სახელზე თითო კათბა ლუდი გაააჭყლეტინოთ*“ (ნოდარ დუმბაძე).

**გაახურა** – ზედმეტი ილაპარაკა, თავმომაბეზრებლად იქაქანა; საქმე გააჭირა. „*ბევრი რომ არ გაავახურო, მოკლედ გეტყვით*“; „*ბოლოს, უფროსებმაც რომ ძალიან გაახურეს, ბიჭებიც მინი-კაბეებით გამოცვხადდით*“; „*მაგრამ კი არ უნდა გამოხვიდე და ხალხში კი არ უნდა გაახურო*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გააჯვა** – ნაეთრა, გაიძურნა, მოუსვა. „*ნინჩო გაშტერებული უყურებდა ფანჯარას და ყველამ იცოდა, რომ ახლა ნადრიკურჩაზე ფიქრობდა: „სად გაქრა ეს დებილი! არ უნდა დარეკოს? ხოდა, გააჯვას!*“ (იგულისხმება: თვალით აღარ დამენახოს!); „*– დავაი, გააჯვი ება აქედან! – შეუღრინა კოტიკომ მშიერ თინეიჯერს და გ ზა განაგრძო*“ (ლაშა ბულაძე).

**გაბაზრებული** – გახმაურებული, რაც ყველამ (ან ბევრმა) გაიგო. „*ლევანას მისამართი ისედაც გაბაზრებული იყო*“ (ზურაბ სამადაშვილი).

**გაბანძება** – გაბიაბრუება, აბუჩად აგდება (შდრ. „ბანძი“). სინონიმი „გაბითურება“. „*გაბანძება და კაიფი ყველაფერზე შეიძლება, მარა, ბაბუა ხო გიყვარდა?*“ (აკა მორჩილაძე).

**გაბანძებული** – გაბიაბრუებული, აბუჩად აგებული. „*გაბანძება*“ (იხ.) ზმნის მიმღეობა. „*იმ ქალს ჰყავდა ორივე გაბანძებული. თბილისელი გოგოების ამბავი ხო იცი, ნავა და იმასთან შენ გაბანძებს, მერე მოვა, შენთან იმას გამოაჭენებს, ამ დროს თვითონ კაიფობს*“ (ზურაბ სამადაშვილი).

**გაბერა** – დააორსულა. „*მერე ვესტში ჩარჩა, ბებია გაბერა. არ დაქორწინებულან. ერთ დღეს გაიქცა*“ (აკა მორჩილაძე).

**გაბითურება** – აბუჩად აგდება, შერცხვენა. „*ბონძის შუა ქალაქში ცემა და გაბითურება არ ნიშნავდა საბოლოო გამარჯვებას*“ (ზაურ კალანდია).

**გაბლატავდა** – გათამამდა, თავს გაუვიდა. (შდრ. „ბლატი“). „*მოულოდნელად დაგვესხნენ, გაბლატავდნენ, მოგვჩანთეს, ნაიღეს „მკვდარი ზონა“, კიდევ ორიოდ სოფელი და იქვე გამაგრდნენ*“ (ზაურ კალანდია).

**გაბლატავებული** – გაამპარტავებული, თავგასული (შდრ. „ბლა-

ტი). „თვითმარქვია **„გაბლატავებული“** ხულიგნებით **გავსებული** იყო ქალაქი და აქა-იქ – **„გადელეცებული“**, **გაჭორიკებული ქურდები**“ (გია ლომაძე).

**გაბრედა** – მოკვლა; გარდაცვალება. იგივეა, რაც **„დაბრედა“** (იხ.). **„ერთი-ორი კაი ტიპი მომიგ ზავნეს, რო დავაიო რა, დრო ზეო, თორე ჩემი ყვერებით დაკიდებებით, დარეჯანის გაბრედეებით და ეგეთებით იმუქრებიან“** (მიხო მოსულიშვილი).

**გაბრიდა** – მოკლა. იგივეა, რაც **„დაბრიდა“** (იხ.). **„მე აფხაზეთში ვერ გამბრიდეს, შეჩემანალაო და შენ შემჭამო?“** (მიხო მოსულიშვილი).

**გაგება** – რწმენა, მრწამსი, კრედო. **„თან ძეგველები არიან, ხო აზზე ხარ. ძეგვი, აზზე ხარ? თუ რამეა და, ეგრევე სროკზე წავლენ. პროსტო ჩხუბისთვის, თორე რამე გაგებას კი არ აწვებიან. პროსტო, ძეგველები არიან“** (აკა მორჩილაძე).

**გაგებას არ აწვება** – „იდეინი მასტი“ (იხ.) არ არის; იდეა კი არ ამოძრავებს, უბრალოდ, ასე იქცევა და ეგ არის; მის საქციელს იდეური სარჩული არ აქვს, „მაღალ“ იდეალზე პრეტენზიას არ აცხადებს.

**გაგებაში არაა** – არ იცის, არ ესმის, ვერ ხვდება. **„არა-პიროვნება კი ბოროტის გაგებაში არაა, სიბრიყვე შეიძლება ჩაიდინოს და ნერვები დაგათხლიშოს, თორემ ბოროტების თავი სადა აქვს“** (გია ჭუმბურიძე, თარგმ.).

**გადააგდო** – ოინი უყო, მოატყუა. **„გახსოვს, გელამ რომ კიბო (მილიციელის მეტსახელია. – ლ. ბ.) გადააგდო?“** (გია ლომაძე); **„...გაიგო, რო ეს ბინა მე ჩავდე „კავკასიის ბანკში“. ათათ ჩავდე. ერთი კაი საქმისთვის მიდნოდა, მაგრამ, აბა, მე რა ვიცოდი, თუ გადამაგდებდნენ. ის ფულიც დაიკარგა, ათასი დოლარი მქონდა მოგროვილი, ისიც“** (მიხო მოსულიშვილი).

**გადააგორა** – ძნელი საქმე მოამთავრა (თითქოს მძიმე საგანი გორვით გადაიტანა ერთი ადგილიდან მეორეზე); ირონიულად ძალიან ადვილ საქმეზეც იტყვიან. **„ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადააგორეთ, ეხლა ხვალინდელი დღისათვისაც ვიფიქროთ“** (ილია ჭავჭავაძე); **„დღეს როცა გადააგორებ და დასაძინებლად როცა წვები...“** (ტარიელ ჭანტურია).

**გადაგდება** – მოტყუება. **„...ვინმეს ცხვირ-პირის დალენვა თუ „გადაგდება“, სახლის გაქურდება თუ გვიანი მგ ზავრის „ოპ-სტოპზე“ შეყენება“** (ზაურ კალანდია).

**გადავარდა (რალაცაში)** – ძალიან გაიტაცა რალაცამ. **„იტოგში, მთლად უსარგებლოდ არ დამიკარგავს დრო და ხაროს უფროსის ყურ-**

საც კი მინვდა - N ესა და ეს რელიგიაში გადავარდო" (გია ჭუმბუ-რიძე. თარგმ.).

**გადამგდები** - მატყუარა, სიტყვის გამტეხი. (შდრ. „გადაგდება“, „გადააგდო“). „მერე კი, რატომღაც, პაკისტანელებიც გალანძ-ლეს: - საოცრად აფერისტი ხალხია, მე მყავდა ერთი კურსელი, - თქვა კოკამ. - **გადამგდები** საშინელი, - დაეთანხმა სანდრო“ (ლაშა ბულაძე).

**გადაუარა** - გაანადგურა, მოსპო, მინასთან გაასწორა. „ზედ გადა-ვუარო ამდენ ხისთავიანს!“ (მურმან ლებანიძე).

**გადაუხურა** - აჯობა. (შდრ. „დახურა“ და „ხურავს“). „სალოლ! პოეტი ხარ იმისთანა, თვალები რომ ამოგჩიჩქნოს კაცმა, ჰომეროსს გადა-უხურავ!“ (ჯემალ ქარჩხაძე).

**გადაუჯოკრა** - აჯობა. „ - ქა, გიპნოზი იმასთან რა სახსენებელია, ლადო რო მკვდრებს აცოცხლებდა თურმე, - „გადაუჯოკრავდა“ ბალ-ლინჯოვანთ სონა“ (ვახუშტი კოტეტიშვილი); „პირიქით, სიამოვნებით ჩაარტყამს თავში, „გადაუჯოკრავს“ მატერიალურად შეჭირვებულ მწერალს“ (ნარგიზა მგელაძე).

**გადალუნა** - სხვისი კუთვნილი თავისთვის დაიტოვა, უკანონოდ მიითვისა. „ინათხოვრეთ და გადალუნეთ, პატრონს უთხარით, დამე-კარგა-თქო“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გადაშუშა** - პლაგიატი ჩაიდინა, სხვისი ინტელექტუალური საკუთრება მიითვისა; სხვისი საქციელი გაიმეორა, სხვას მიბაძა (იხ. „გადაშუშვა“). „მეც მყავდა ეგრე ჩემი კუმირები თინეიჯერობისას და ვბაძავდი... მაგრამ ეს სხვანაირი მიბაძვაა... მე არ ვარ ცნობილი და წარმატებული, ჩვეულებრივი გოგო ვარ. და მბაძავს ადამიანი, რომელთან ერთადაც დიდხანს მინევს ყოფნა. გამაღიზიანებელია, რომ მუდმივად მეძიება, რას ვაკეთებ, სად ვყიდულობ, როგორ ვახ-ერხებ... და მერე ზედმინევენით იმეორებს... ვიყიდი, ვთქვათ, მწვანე-პეპლებიან ჭიქას, გაიქცევა და ზუსტად ისეთ მწვანეპეპლებიანს იყიდის თვითონაც... ლურჯპეპლებიანი მაინც შეარჩიოს... მაგალი-თად, ადრე ნახა, როგორ ვაკეთებდი რალაცას სამსახურში. მოენონა და ზუსტად ისევე გაიმეორა თვითონაც. არც არაფერი ჩაამატა, არც გამოაკლო, **გადაშუშა** პირდაპირ, ფრაზების გამეორების დონეზე. მერე ვილაცხასთან თავი მოიწონა“ (ინტერნეტი).

**გადაშუშვა** - სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება, პლაგიატი; მიბაძვა. „ვისაც „გეპეიში“ უსწავლია, მან კარგად უწყის, რას ნიშნავს სიტყვა „გადაშუშვა“. ეს არის პროცესი, როდესაც ლამის



სანათურზე დადებულ მინაზე ასლის ქალღმერთ შენს ვატმანის ქალღმერთზე სხვისი ნახაზის კონტურები გადაგაქვს და მერე მას საკუთარ ნამუშევრად ასაღებ. სწორედ ასეთი „გადამშუშველებითაა“ პირთამდე სავსე დღევანდელი ქართული მუსიკალური მასკულტურა. კონტურებს კი, მოგეხსენებათ, არა აქვს ფერი, ამიტომ მოპარული სიმღერები იმის საცოდავი ასლია, რაც დასავლეთში შექმნილა“ (ლაშა გაბუნია).

**გადამშუშული** – სხვისგან გადანერილ-გადაღებული; მოპარული ინტელექტუალური საკუთრება. „ჩვენით დახუნძლული რომ ადიოდა ტროლეიბუსი გეპეიში ერთ ნახვად ღირდა (...). 15 ნომერ იკარუსს, ექსპრესს (იგივე სექსპრესს, ისე გაჭედილი იყო) პედაგოგიურის სასტავი „ავრორას“ ეძახდა, რადგან მაგათთან რომ აჩერებდა, გამოღებული ფანჯრებიდან „გადამშუშული“ (ეგ ტერმინიც გემახსოვრებათ გეპეიშნიკებს) დახვეული ნახაზების ფორმატები იყო გადაყოფილი ზარბაზნის ლულებივით“ (ინტერნეტი).


**გადახარშა** – მიხვდა; გაიხარა; გაანალიზა. „იმ კაცის სიტყვებმა ისე დამაბნია, რომ ნორმალური პასუხიც ვერ გავეცი – ერთი, კაცურად მითხარი დღეს მილანზე რას ფიქრობ? აი ჯიგურულად, კაცურად მითხარი მილანი და ატლეთიკო რა გგონია? – სახტად დავრჩი, უცებ გადავხარშე, რომ იმედის ფსონიდან მიცნო და ერთადერთი, რისი თქმაც მოვახერე, არ ვიცი, ნაღდად არ ვიციითქო“; „უცებ გადავხარშე ვერსიები“ (გიორგი კაკაბაძე).

**გაედო** – ცუდად წაუვიდა საქმე. სინონიმი „დაენძრა“ (იხ.). „მაგრამ როგორც კი იხანებ სულ ერთი ბენოს მაინც, აი, იქ გაგედო. როცა იტყვი, რომ ქუჩებში კი არ უნდა გეზოდიალა, არამედ საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა მჯდარიყავი და სანანებლადაც არაფერი დაგრჩებოდა, აი, მანდ მთავრდება“ (აკა მორჩილაძე).

**გაემაზა** – რალაც არ გამოუვიდა ისე, როგორც უნდოდა. (შდრ. „გამაზა“). „ვიყურებდით ბუტკიდანო, ხო იასნი იყო, რო რალაცა გაგემაზათო“ (აკა მორჩილაძე).

**გაექაჩა** – საჩხუბრად გაინია (ვილაცისკენ). „მერე მთელი ეს ხროვა ერთად გამექაჩა, გაძვალტყავებული ხელები ჩამავლეს და ვინ თმებს მაგლეჯდა და ვინ ყურის ახევას ცდილობდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „ვინც გამექაჩა – სუყველამ ტვინი დაასხა ქვაზედა“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**გაეჩალიჩა** – გაეარშიყა. (შდრ. „ჩალიჩობს“). „სად გავეჩხირე, ბოზი ვიყო, მაგის ცოლს რანაირად გავეჩალიჩე?!“ (ლაშა ბულაძე).



**გაედრო** – გაჩნდა, გამოჩნდა, აღმოჩნდა. სინონიმი „გაიჩითა“. „გუშინ მაგარ გატეხილში ვიყავი, გავიხედე და ჩაქურჩა არ გაედრო?“ (მიხო მოსულიშვილი); „შმაისერიანი შემადგენლობებიც შემოირბენდნენ ხოლმე, სანამ მაყაშვილზე „ოაზისი“ (კაფეს სახელწოდებაა. ლბ.) გაედრობოდა“ (აკა მორჩილაძე); „ნუ, მოკლედ, ნუხელ მაგარ სასტავში გავედრე“ (ნინო თარხნიშვილი); „გერმანიაში რამდენიმე სადღეღამისო კლუბის წევრი ვიყავი... მაგარ ნაშებში ვედრობოდი ხოლმე“ (გიორგი ლობჯანიძე. თარგმ.).

**გაეჭვდა** – გაუჭირდა, გაუძნელდა. „– სამგორზე ვაკეთებ ციკლს და ერთ ადგილას... – გაეჭვდა? – არა, კი არ გამეჭვდა, რითმა არ გამოდის“ (ნოდარ დუმბაძე).

**გავარტყი** – გამოხატავს უდიერ, აგდებულ დამოკიდებულებას ვიღაცის ან რაღაცის მიმართ; სალიტერატურო ქართულში მისი შესატყვისია „შემირცხვენია“, „მიმიფურთხებია“ (იხმარება მხოლოდ ნყვეტილში და მხოლოდ მხოლობითი რიცხვის პირველ პირში). სინონიმი „გავკარი“ (იხ.). „გავარტყი იმ შენს მოგონილ პრინცს!“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**გავკარი** – გამოხატავს უდიერ, აგდებულ დამოკიდებულებას ვიღაცის ან რაღაცის მიმართ; სალიტერატურო ქართულში მისი შესატყვისია „შემირცხვენია“, „მიმიფურთხებია“ (იხმარება მხოლოდ ნყვეტილში და მხოლოდ მხოლობითი რიცხვის პირველ პირში). სინონიმი „გავარტყი“ (იხ.). „მაგრამ გავკარი ასეთ სიყვარულს!“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**გაზავს** – ძალიან სწრაფად მიდის (ნამყო სრული „დაგაზა“). ავტომობილის ანალოგიით (გაზი მოუმატა) ითქმის ფეხით მოსიარულეზეც. „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოპა, გამოჩნდა, აუ რას გაზავს! ხო, არ მომესალმო, არ მომესალმო...“ (ჯემალ თოფურაძე).

**გაზმანული** – იგივეა, რაც „დაზმანული“ (იხ.), „ჩაზმანული“ (იხ.). „წარმოიდგინეთ, რას იტყოდა ბეტინა ფონ არნიმი, სამოთხეში, თავისი უცნაურად „გაზმანული“ სატრფო ვიღაც გაბურძენილ პაპასთან ერთად მოსეირნე რომ ენახა“ (მალხაზ ხარბეღია).

**გაიასნებული** – გარკვეული. „გააიასნა“ (იხ.) ზმნის მიმღეობა. „ერთმანეთში ბოლომდე არ იყვნენ გაიასნებულები და ამას ის ეგონა სირი, იმას – ეს“ (ზურაბ სამადაშვილი).

**გაითიშა** – გრძნობა (გონება) დაკარგა. „ნიკუშას დაურეკა, ლენინ-გრადშიაო, უთხრეს. ფუჰ, შენი, სულ გაითიშა!“ (მიხო მოსულიშვილი).

**გაირტყა** – მოიპოვა, იშოვა, შეიძინა. იგივეა, რაც „დაირტყა“ (იხ.).



„ჩვენი „დინამო“, გიორგი ჩემო, წელს კარგ ფორმაშია. **შეიძლება პირველი ადგილიც გავირტყათ**“ (ნოდარ დუმბაძე).

**გაისროკა** – ციხე მიუსაჯეს. (შდრ. რუს. срок – ვადა [პატიმრობის]).  
 „**ეგრე გავისროკეთ პირველად მე და ლევანა**“ (ზურაბ სამადაშვილი).

**გაიტანეს** – გაქურდეს (მალაზია ან მისთ.). „– **თემურა როა, კოჭლოი, იმისი ბუტკა გაუტანიათ დილით, გიო...**“ (ბესო ხვედელიძე), ანუ სინამდვილეში გაუტანიათ არა თვით „ბუტკა“, არამედ ის, რაც „ბუტკაში“ იყო.

**გაიტრიტა** – ძალიან დათვრა. „**და მერე ერთი კაცურად გამოვიბრუეო! ერთი გემოზე გავიტრიტო ლიტერატურული ქლიავის არყით!**“ (დიანა ვაჩნაძე).

**გაიქაჩა** – თავი გამოიდო, პრეტენზია განაცხადა. „**შენი იდეაც ტუფტა იყო... და ჩემიც, ჰიდრავლიკაზე რომ გავიქაჩე**“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გაიყიდა** – თავი გაამჟღავნა, ვერ მოახერხა თავისი ნამდვილი სახის დაფარვა. ანმყო – „იყიდება“ (იხ.). „**ჰმ, გამპარვია, იატაკზე გუბე დგას, შიგ ვცურავ რა, და, არ ჩამიფლავდეს ყველაფერი, არ გავიყიდო-მეთქი, სკამს ვეცი, ფეხით დავითრიე, ვიბლავლე: ჭიჭე ვარ, დაგხოცავთ, თქვენი დედა**“ (ზაურ კალანდია).

**გაიშანსა** – გამოჩნდა, თავი იჩინა (თითქოს გაჩენის, ამ ქვეყნად მოვლინების შანსი არ გაუშვა ხელიდან). „**დრო უარესიც, ჩანს, სულ მალე გაიშანსება**“ (მუხრან მაჭავარიანი).

**გაიშტრინგა** – გაიჯგიმა. „**წერის დროს ფეხზე თუ დადგებით, აი ასე უნდა „გაიშტრინგოთ**“ – ჭანტურიასავით“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

**გაიჩითა** – მოულოდნელად გამოჩნდა (აღმოჩნდა), თავი ამოყო. „**მთელი ცხოვრება ქალაქი ჩითა! თვით გაიჩითა ბნელ აკლდამაში**“ (ტარიელ ჭანტურია); „**სად გაჩითულა დილომი, გლდანი**“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**გაიჩხირა** – შპრიცით გაიკეთა ნარკოტიკი. „– **გავიჩხიროთ?** – ჰკითხა ტოვოს. – **საიდან?** – **მაქვს ერთი ზახოდი...** – **ბაიანი?** – **დეჟურნი ბაიანი ივერიასთანაა**“ (გია ლომაძე).

**გაკვაჭა** – საქმე მოაკვარახჭინა უკანონო გზით (მომდინარეობს მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟის, ავანტიურისტ კვაჭი კვაჭანტირაძის სახელიდან). „**მერე ხმაც დაირხა, რა ზმადემ ამ ადგილში ბექასათვის ოთხოთახიანი ბინა გაკვაჭაო**“ (ნათელა ონაშვილი).

გალსტუკით დაბადებული – ინტელიგენტი; უხერხემლო, უხეირო ადამიანი. „ბიჭო, შე კაი დედამამიშვილო, თუ დაღევა არ შეგიძლია და, საერთოდ, თუ გალსტუკით ხარ დაბადებული, რას წამომიჯექი ამ მამაპაპურ სუფრაზე“ (ჯემალ ქარჩხაძე).

გამაზა – მიზანს ააცილა, ვერ მოახვედრა; ვერ შეძლო (რაღაცის) გაკეთება (რუს. *мазать* – მიზანს აცდენა). ანმყო „მაზავს“ (იხ.). „გუშინ ცხრა ბურთი გამაზა, დღეს ერთი“ (აკა მორჩილაძე).

გამაზვა<sup>1</sup> – მიზნისთვის აცილება; გამოტოვება (არ უნდა გამოტოვო, არ უნდა გამოგრჩეს). „ამის გამაზვა არ იქნება. უყურეთ ყველამ და შეაფასეთ“ [ლაპარაკია ვიდეოფილმებზე] (ინტერნეტი).

გამაზვა<sup>2</sup> – სანაძლეოს დადება. „თუ რამეს გამაზვა გინდოდა, იქ მიხვიდოდო და უმაზავდი. მაზები იყო ლენინის მოედანზე, პუშკინის ძეგლი როა, იქ“ (აკა მორჩილაძე).

გამიბლატავდა – გამითამამდა (შდრ. „გაბლატავებული“). „რაო? გააჩერეო, მბრძანებლობს, გამიბლატავდა ეს ნეხვი“ (ზაურ კალანდია).

გამოაპინტრიშა – გამოაპანლურა, გამოაგდო, გამოაძევა. „ახლა ქობულეთში ბრძანდებოდა, მაგრამ, ეტყობა, იქიდანაც გამოაპინტრიშეს“ (მიხო მოსულიშვილი).

გამოაქლიავა – გამოათაყვანა, გამოაშტერა (შდრ. „ქლიავი“). „ბავშვებს თუ აპყევი, ისე გამოგაქლიავენ, რომ...“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

გამოაწვა – უკან გამობრუნდა. „მერე უკან გამოაწვეთ, ეგ ბილეთი ხო უნდა დახარჯო“ (აკა მორჩილაძე).

გამოვიდა ან პახმელიაზე გამოვიდა – ნაბახუსევზე კვლავ დალია გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად. მიმღეობა გამოსული. „გასტრონომიდან აქვთ ლუდი მოტანილი და ნაბახუსევზე გამოდიან“ (ზაურ კალანდია); „შევალთ მე და შენ ჩვენს ბუფეტში და გამოვალთ „პახმელიაზე“ (მურმან ლებანიძე); „– ძია გიორგისთან ჩავიდეთ, ოხრებო, გიჟმარგუას სახელზე თითო კათხა ლუდი გაგაჭყლეტინოთ!.. – ნადი, მარგო, გენაცვალე, დაისვენე, ჩვენ უკვე გამოსულები ვართ“ (ნოდარ დუმბაძე).

გამოვწერო?! (წარმოითქმის გაოცების გამომხატველი ინტონაციით) – არაფრისგან გავაჩინო?! „მე ახალი ხაზეინი ფეხს მადგამს, საიდანაც გინდა მოიტანე ოთხი პაკრიშკაო... გამოვწერო?“ (ჯემალ დავლიანიძე).

გამოიჭირა – დაიმორჩილა, დაიქვემდებარა. „მაინც ამდენი არიფი საიდან გამოიჭირე?“ (ვახტანგ ჯავახაძე).



გამოსირებული – გამოლენჩებული, გამოშტერებული. (შდრ. „სირი“).  
 „ვზივარ ახლა სახლში გამოსირებული“ (ვაჟა გიგაშვილი).

გამოქლიავეებული – გამოთაყვანებული, გამოშტერებული (შდრ. „ქლიავი“). „*ეგ თუ მთლად გამოქლიავეებული არ იყო, ვერ უნდა ეყიდა, რომ ის ქალი... სულ იმას უცდიდა, აბა თუ რამეს მოახერხებ-სო*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

გამონერილი – განაღებული. „*ყოველდღე ცემა-ტყეპა გვექონდა გამონერილი*“ (გოდერძი ჭეიშვილი).

გამხვრეტი (კლიენტი) – მკვლელი (ვისაც შეუძლია ადამიანი „გახვრიტოს“). „*და ეს ნიგერიელები არიან ყველაზე დიდი ყალთაბანდები და მურტალი გამხვრეტი კლიენტები. ჯობია, სიმონ, რო მაგათთან ფრთხილად იყო ჩხუბის ამბავში*“ (მიხო მოსულიშვილი).

განაბი – ქურდი. მომდინარეობს ებრაულიდან. „*ძველი ნაციხარია; ახლაც განაბია. არ იცნობ?*“ (გურამ რჩეულიშვილი); „*შარის საძებრად გამოსულ განაბს*“ (დავით წერედიანი. თარგმ.).

განაბობა – ქურდობა. „*ბონძი დღეს გუჯას მეგობრებს ემართლებოდა თურმე იმ ფულს, ზოგ-ზოგებს კიდევ სახელსა და „განაბობაში“ ეცილებოდა*“ (ზაურ კალანდია).

განაჩხერი – შპრიცით ნარკოტიკგანაკეთები (შდრ. „გაიჩხირა“). „*ამჯერად ნადრიკურა მშვიდად იყო. მუჭი სათვალე ეკეთა, სახეზე ფერი არ ედო. ნინჩოს ტრადიციული ეჭვი გაუჩნდა, განაჩხერიც ხომ არ არისო*“ (ლაშა ბულაძე).

გაპაზორდა – თავი შეირცხვინა (რუს. позор – სირცხვილი). „*კაროჩე, ან შევდივართ ეხლა, ან კაროჩე, მე მაგის გულისთვის ვერ გავპაზორდები...*“ (აკა მორჩილაძე).

გაპობილი – ძალიან მთვრალი, გაღეშილი, გამტყვრალი. „*გოგიას ძმაკაცს ოთარას ესროდა გაპობილი მთვრალი ტაქსისტი მალხაზა*“ (ჯემალ თოფურიძე).

გაჟიმა – სქესობრივი ურთიერთობა იქონია (სუბიექტი – მამაკაცი). „*ჯერ გაჟიმა და ახლა პრეტენზიები აქვს...*“ (ზურა მესხი).

გარეკა<sup>1</sup> – ბევრი ილაპარაკა, იყბედა. „*მსახიობის ბარიტონმა რაფიკა შეაჩქევია და: გარეკავს ახლავ, გუნება გაუფუჭდა*“ (ზაურ კალანდია): „*...გურამს თამაძობის მუზა ეწვია... და სალაპარაკოდ მოემზადა (...).* – „*მიდი, გარეკე!* – დავრთე ნება. გურამმა გარეკა“ (ნოდარ დუმბაძე).

გარეკა<sup>2</sup> – გაგიჟდა, გააფრინა. „*ყველამ ერთდროულად გავრეკეთ?*“; „*გარეკე, ეტყობა, სიმთვრალეში*“ (ლაშა თაბუკაშვილი).

გარეკა<sup>3</sup> – დიდი სიჩქარით წაიყვანა ავტომობილი ან რამე სხვა სატრანსპორტო საშუალება. „ტიგრან ჯუსტინიანმა შავი „ვოლგა“ პირველად მოსწყვიტა ადგილს, – ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ტო, „ორთაჭალაში გარეკეო!“, ხაზეინმა უთხრა“ (მიხო მოსულიშვილი).

გარტყმაში არ არის – აზრზე არ არის, არაფერი გაეგება. „სწორედ მაგას ვამბობ, რომ ვინც გარტყმაში არ არის ფეხბურთის, იმან არც უნდა თქვას რამე-მეთქი“ (ინტერნეტი); „ტიპი გარტყმაში არ არის სამხედრო საქმის და ძალით იჩმორებს თავს“ (ინტერნეტი); „თავს ნუ იმასხარავებთ, უმეტესობა სასაცილო ჩუსტებიანი პროვინციელები ხართ. ნუ მედრებით ძალიან გთხოვთ. მითუმეტეს, პოეზიის გარტყმაში არ ხართ“ (ინტერნეტი).

გასატისკი – ცივი იარაღით დაჭრის ღირსი; დასასჯელი. (შდრ. „ტისაკი“). „– ეს სულიჩა, ყველა მომიკვდეს, მაგარი გასატისკი თუ არ იყოს!..“ (ლაშა ბულაძე).

გასატრუპი – მოსაკლავი. (შდრ. „გატრუპა“). „გასატრუპია, ბოზიშვილი ვიყო!“ (მიხო მოსულიშვილი).

გასანენი – წასართმევი. „ეტყობა, აღარაფერი ჰქონდა გასანენი, მართლა ჩვენ წამოგვიღია მთლიანად!“ (ლაშა თაბუკაშვილი).

გასკდა კარანტინი – კარანტინი მოიხსნა, დაიშალა (ციხეში). „კარანტინი გასკდა? – ვკითხე მე ძველმოსახლისა და საქმის მცოდნის ტონით“ (ნოდარ დუმბაძე).

გასკვანჩა – შეიპყრო. „...იქვე ახლო-მახლო ჩავუსაფრდებოდით, და მერე, თუკი იეტი გამოჩენას ინებებდა, ოპერატიულად... „გავსკვანჩავდით“ (ირაკლი ლომოური).

გასროკა – ციხე მიუსაჯა, დააპატიმრა. (შდრ. რუს. срок – ვადა [პატიმრობის]). „მერე მოგიყვები, მეორედ როგორ გამსროკეს“ (ზურაბ სამადაშვილი); „კინალამ გასროკეს პალასატის ჩაცმით“; „აზარტული თამაში პლუს სხეულის განზრახ დაზიანება, თუ მკვლელობის განზრახვას არ შეტენიან; აღარაფერი ეშველება, ასიანი გასროკავენ“ (მიხო მოსულიშვილი).

გატისკა – ცივი იარაღით დაჭრა; გალახა; დასაჯა (შდრ. „ტისაკი“). „გუშინ ვახელაძემაც გატისკა კაკასიაზე ყუბანეიშვილი, ტენდერების არასწორად ჩატარებაზე მოგვივიდაო ინფორმაცია“ (ინტერნეტი).

გატისკული – დაჭრილი, დაშავებული. (შდრ. „ტისაკი“). „რა უნდა ეთქვა ნიკუშას? არაფერიო, დაამშვიდა ნინჩო, მაგარ გატეხილშია, გატისკულია სულიერ პონტშიო“ (ლაშა ბულაძე).



**გატოვი** – მზა; მზად, გამზადებული; გადატანითი მნიშვნელობით – მთვრალი (რუს. ГОТОВЫЙ). „– რად უნდა, ბატონო, ამდენი ამბავი ერთი დედლის შევრილებას, შევაგდებ მაცივრის საყინულეში და ათ წუთში გატოვი იქნება!“ (რეზო ჭეიშვილი); „...იმ კაცის სიტყვებმა ისე დამაბნია, რომ ნორმალური პასუხიც ვერ გავეცი. (...) კაი, კაი, გაიხარეო, და ხელი ამინია ზემოთ, გატოვი იყო უკვე მაგარი, მაგრამ ჩუაკი იყო! მეც გამელიმა და ჩავედი გაჩერებასთან“ (გიორგი კაკაბაძე).

**გატრუპა** – მოკლა. (შდრ. რუს. труп – გვამი). „ხელიო, თორე ბოზიმ-ვილი ვიყო, ჯერ შენ გაგტრუპავო“ (მიხო მოსულიშვილი).

**გატყდა** – გაიყო (ფული). „– შენ მიდიხარ, – მონყენით ჩაღუნა თავი კონგომ, – არა... სხვაგანაც მოვძებნიდი [მოსაპარავს. – ლ. ბ.], მარა გაკითხვა უნდა... რო გაიკითხავ, უკვე საქმეში შემოდიან. იმდენი რა უნდა იყოს [ლაპარაკია ფულზე, რომელიც ვინმეს უნდა მოპაროს „საქმის მიმცემის“ ხელშეწყობით და მერე „საქმის მიმცემიც“ „წილში გაიყვანოს“. – ლ. ბ.], რო კიდე გატყდეს? მილიანერებთან კიდე მე არავინ მიმიშვებს“ (აკა მორჩილაძე).

**გაუიასნდა** – მიხვდა, ნათელი გახდა (მისთვის). (შდრ. „აიასნებს“ და „გააიასნა“). „ძმას ვფიცავარ, უცებ გამიიასნდა, რო ცოლის პონტში მინდა, რა, შენი მოყვანა“ (ლაშა ბულაძე).

**გაუსწორა** – ასიამოვნა. (შდრ. „ასწორებს“). „ლეო, გინდა გაგისწორო და „პოლიტექსტუალურ ველში“ ჩაფლულ-ჩანანავებულმა განვაგრძო ჩვენი მიმონერის განზომილებებში შებუთქუნება?“ (დიანა ვაჩნაძე).

**გაუსწორდა** – ეამა (შდრ. „ასწორებს“). ანტონიმი „გაუტყდა“. „ზარემა დავინახე თუ არა, ეგრევე გამისწორდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გაუტყდა ან გატეხილშია** – გუნება გაუფუჭდა, განწყობა ნაუხდა, იმედი გაუცრუვდა. „ედმა თქვა, უნიჭო და უფანტაზიო გამოვდექიო, ძალიან კი გაუტყდა“; „არა, ბიჭო, არ გამიტყდებოდა“; „სათაურზე არ გაგიტყდეთ, სათაური რომ გოიმურია, ეგ ნაღდია“; „საკუთარ თავს იმდენად მაინც ვიცნობდი, რომ მეგრძნო, გატეხილში ვიყავი“; „ასე გატეხილში არასოდეს ვყოფილვარ“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გაუჩალიჩა<sup>1</sup>** – (რალაც) უშოვა, მოაპოვებინა, გაუხერხა (არამართებული, უკანონო გზით). შდრ. „ჩალიჩობს“. „რა ობიექტური არჩევანი შეუძლია კაცს, რომლის ერთადერთი საზრუნავი კომიტეტის თავმჯდომარის სკამის შენარჩუნებაა, საამისოდ კი „საჭირო ხალხს“ უნდა მოემსახუროს, პრემიით მოიმადლიეროს, რათა მათ, თავის

მხრივ, ზემოდან მონყალების რაყამი „გაუჩალიჩონ“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

გაუჩალიჩა<sup>2</sup> – დამართა, მოსწია, შეამთხვია. „ნატოზეც ვნერვიულობ, ანასტასიკუნაზეც!.. რამე არ გაუჩალიჩოს მაგ ნაბოზარმა!..“ (ლაშა ბულაძე).

გაუჯაზა – საქმე გაუჭირა, გული გაუწყალა. სინონიმი „გაუჩმაზა“. „ჯერ თქვენებს დაადგა გაგლეჯილი, მერე ჩემთან ამოვიდა და ახლა მე გამიჯაზა!“ (მიხო მოსულიშვილი).

გაფარჩაკება – აბუჩად აგდება. (სინონიმი „გაბითურება“). „ეგ დათანხმება კაცის გაფარჩაკებაზე უარესია, ხო იცი“ (გურამ რჩეულიშვილი).

გაფსიხდა ან აფსიხდა – გაბრაზდა, მოთმინებიდან გამოვიდა. „აი მაშინ კი გავფსიხდი“; „ამის გულისთვის ასე არ უნდა აფსიხებულობიყავი და იმ დამპალი ფლემინგისათვის ის დამპალი რკინა დამპალ თითზე არ უნდა დამეკერებინა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

გაფუჭდა – ნირი წაუხდა, იხტიბარი გაუტყდა, დაიბნა. მოქმედებითი გვარი – გააფუჭა. „ბატონი შალვა მიხვდა, წიკლაური გაფუჭდაო, და გაამხნევა“; „მისმა მშვიდმა და გულახდილმა ლაპარაკმა სულ გამაფუჭა“ (ნოდარ დუმბაძე).

გაქანებული – თავგამოდებული, პირნავარდნილი. „ჩვენი დირექტორი გაქანებული კომუნისტი იყო“ (ნოდარ კაკაბაძე).

გაქაჩა<sup>1</sup> – დაიჭირა, დააპატიმრა. „ერთ მშვენიერ დღეს მაინც გაქაჩეს ის ტიპი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

გაქაჩა<sup>2</sup> – დაანინაურა; ხელი შეუწყო ვილაცის ან რალაცის პოპულარობას, სახელი გაუთქვა, საინტერესო გახადა ფართო აუდიტორიისთვის. „...რაბლეზიანური ეპიზოდი – როცა გარყვნილთა დასი ორი ანგელოზის დათრევას ცდილობს – „გაქაჩავდა“ წიგნს“ (მალხაზ ხარბედია. თარგმ.); „მოსკოვში გაიკეთა კარიერა (...), ებრაელობა დაიბრალა და ებრაელმა მხატვრებმა გაქაჩეს“ (ზურაბ სამადაშვილი).

გაქაჩა<sup>3</sup> – გასწვდა, აუვიდა, მოერია საქმეს. „– გრუპენსექსი რო ვერ გავქაჩე, პლიუსი ჩანერე თუ მინუსი?“ (აკა მორჩილაძე).

გაქაჩული – პრეტენზიის მქონე. „ვფიქრობ, განათლებაზე გაქაჩულმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ადამიანის ტვინი მილიონობით და, მგონი, მილიარდობით უჯრედისაგან შედგება“ (გურამ ფანჯიკიძე).

გაღადავება – გამასხარავება (ვინმესი). (შდრ. „ლადაობა“). „თავად ბარნოველ ლევიკოს კი ის თავის აჩკებიანი ერთხელაც არ უხსენებია,



მხოლოდ კი, როცა მის გაღადავებას ცდილობდნენ, სხვა ამბით გადაფარავდა და ის ამბავი უფრო მეტყველი იყო“ (აკა მორჩილაძე).  
**გაშანსა** – იშოვა. „ხშირად მიფიქრია... პარიკი ხომ არ გავშანსო-მეთქი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გაშმონა** – გაჩხრიკა. იგივეა, რაც „დაშმონა“ (იხ.). შდრ. „შმონი“. „ვილაც ნუნკალმა უნდა გამშმონოს და პრაკოლები მისინჯოს ხელებზე?“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**გაშტიკინდა** – გასწორდა, წელში გაიმართა. როგორც ჩანს, მომდინარეობს რუსული სიტყვიდან штык – ხიშტი. „დაფეთებული ჭიპი კუპეში შევარდა: „დევილუპეთ!.. დაგვიჭირეს!“. კვაჭი არ შეშინებულა, მხოლოდ შუბლი შეიჭმუხნა, ჩაფიქრდა და შემდეგ დინჯად უბრძანა: „ნუ გედირევეთ, გაშტიკინდით!“ (მიხეილ ჯავახიშვილი).

**გაჩითა<sup>1</sup>** – შეამონმა, გასინჯა, გამოსცადა („კარტი გაჩითა“ ნიშნავს – კარტი შეამონმა, ნახა, რა კარტი მოუვიდა). „ხომ გაჩითე საქმეში ერთხელ ბენია კრიკი? დაღეჭა სიტყვა?“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ისე, კარგად რომ გაჩითო...“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**გაჩითა<sup>2</sup>** – იშოვა, იპოვა. „აგური გავჩითოთ და დავბრიდავ“; „– აი, რკინა გავჩითე“ (აკა მორჩილაძე).

**განენა** – ფული წაართვა, გამოსტყუა. „კაცი: – იცი, მე რა ვნახე? მეგობარი: – ჩამოყარე! (...) კაცი: – მათხოვარი!.. მეგობარი: – (...) მაგრად გავგნენა? კაცი: – არაფერი უთხოვია!“ (მანანა დოიაშვილი); „– შენ, ესე იგი, როგორც წარმატებული ახალგაზრდა ბიზნესმენი და ომის ვეტერანი, ერთეები საქმეში? – ვეკითხები საბას, პასუხის გაცემას არ ვაცლი, მეორე შეკითხვას ვუსვამ, – ახალმა მთავრობამ გავგნენა? საბა ოხრავს. ესე იგი, განენეს“ (დავით ქართველიშვილი).

**განია** – მოიპარა (ქუთაისური ჟარგონი. შდრ. „ასნია<sup>1</sup>“). „– სად იყო, ნოდარია, ეს დაობებული მიღები, სად განიე, რა დაგიჯდა?“ (რეზო ჭეიშვილი).

**გაჭიმა (გაზეთში)** – უარყოფითი (კრიტიკული) მასალა გამოაქვეყნა ვილაცაზე. „ახლა ჩვენ, ბატონო, მწერალი გვყავს პალატაში, მალე გონს მოვა ალბათ, ყველაფერს თავისი თვალით ნახავს და გაგჭი-მავთ გაზეთში“ (ნოდარ დუმბაძე).

**გაჭყლიტა** – დალია. „– შენს მერე კიდე ორი ბოთლი გავჭყლიტეთ“ (ზაალ სამადაშვილი). შდრ. რუს. раздавить бутылку.

**გახეთქა** – დეფლორაცია უყო. „...ეხლა ეს კაცი მივატოვო და ნათიას იქამდე მივუსწრო, სანამ გახეთქავენ, ვერც გამოვა და არც მოესწრებაო“ (აკა მორჩილაძე).

**გახეული მთვრალი** – ძალიან მთვრალი, გაღებუილი, გამტყვრალი  
 „გუშინნინ ლაშა ჭკადუა ნასვამ მდგომრეობაში გამოცხადდა სამ-  
 სახურში, – უტიფრად ამბობს ლაშა ზე თვითონ გახეული მთვრალი“  
 (ჯემალ თოფურაძე).

**გახურება** – თავის მომაბეზრებელი ქმედება. (მდრ. „გაახურა“).  
 „ახლა ისევე თავის პოეტურ-ფილოსოფიურის „გახურება“ არ დაინ-  
 ყოს-მეთქი, შემეშინდა“ (ირაკლი ლომოური).

**გაჯეჯილება** – გაფურჩქვნა, აყვავება; გათამამება. „თუ... ამ ქალბა-  
 ტონს მართლაც ვიხილავთ რუსთაველის პრემიის ლაურეატობის კან-  
 დიდატთა სიაში, აბა ამას ერქმევა **გაჯეჯილება**, აი!“ (ია სულაბერიძე).

**გაჯეჯილებული** – გაღალღებული; თავგასული. „სამი ბიჭი შემოე-  
 ხეტა მარანში, ჩაზმანულები, ჩაკაიფებულები, **გაჯეჯილებულები**“  
 (ზურაბ სამადაშვილი).

**გენიოსი** – სალიტერატურო ენაში გენიოსი უდიდესი შემოქმედებითი  
 ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა, ჟარგონში კი არასულიერი საგნის  
 განსაზღვრებად იხმარება და საუცხოოს, მაღალხარისხოვანს ნიშნავს.  
 „...ოთარის ბიძას გამოუწერია ოთხი ისეთი აკვალანგი, გაგიჟდები (...),  
 გენიოსი ლასტები, მთელი მონყობილობა...“ (ნაირა გელაშვილი).

**გეჩე** – ხალხში გამოუსვლელი, სოფლელი, ტეტია. „– თუ ღმერთი  
 ვნამს, ბალანი არ ამიშალო!.. მეც ვითომ ერთი გეჩე ვინმე ვიყო...  
 ორი სროკი გამითავებია, ციხეში არ მოვხვედრილვარ. სხვის „პაბ-  
 მელიაზე“ ვმჯდარვარ, არ ჩამიგდია“ (ოთარ ჩხეიძე). ამ სიტყვის  
 ეტიმოლოგია ასეთია: ბატონი ოთარ ჩხეიძის განმარტებით, 40-50-  
 იან წლებში იმ ავტომანქანებს, რომლებიც რაიონებს (სოფლებს)  
 ეკუთვნოდა, ნომრის წინ უძლოდა რუსული ასოები ГЧ (გე-ჩე), რაც  
 შემდეგ ჟარგონში სოფლელი, ხალხში გამოუსვლელი ადამიანის  
 აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. ახლა აღარ იხმარება.

**გვარში გასათხოვარი არ დაუტოვა** – ძალიან აგინა. „ვენაცვალე  
 ჯანში, აგინა ყველას, მაგრამ რა აგინა – გვარში გასათხოვარი არ  
 დაუტოვა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „აუხირდა ერთხელ  
 შუალამისას მთვრალი მეზობელი და... სულ გვარში გასათხოვარი  
 აგინა“ (გურამ დოჩანაშვილი).

**გიმელი** – ქურდი. „– ძველი გიმელი ფრანსუა იანტბელიძე“ (რეზო  
 ჭეიშვილი).

**გიჟად ხდება** – გიჟდება („ავად ხდება“-ს გროტესკული ანალოგია).  
 „გიჟად ვხდები, ვინმე რომ მუსიკის დროს ჩაერთვება“ (გია ჭუმბუ-  
 რიძე. თარგმ.).



**გიჟივით** – ძალიან, მეტისმეტად. „*გიჟივით წვიმდა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გლავნი** – მთავარი (რუს. главный). „*ამ ქვეყანაში გლავნი არ არი სიკვდილი*“ (აკა მორჩილაძე).

**გლახაობს** – ლაზღანდარობს, მაიმუნობს. (შდრ. „აგლახავენს“). „*თავისთვის იყო, თავისებურად გლახაობდა, არ მონაწილეობდა ამ საერთო-სახალხო ჯირითში*“ (ზაურ კალანდია).

**გლეჯვა/გლეჯვის** – ძალიან კარგი, საუცხოო. „*აუ, რა გლეჯვა სურათი იყო?!*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „*გლეჯვის ტუფლებია!*“ (გურამ გომართელი); „*რა გლეჯვის მუსიკა დაწერა ბესიკამ*“ (ნაირა გელაშვილი).

**გლესური ბაზარი** – მდაბიური ლაპარაკი. „...*შენ არ გეთამაშები, დავაი აქედანო (...). გლესური ბაზარი, რა. ისიც არა დგება. და სპორი წავიდა*“ (აკა მორჩილაძე).

**გლიჯა** – გაარტყა, დაარტყა (ისე ძლიერ დაარტყა, რომ გაგლიჯა კიდეც). „*ჩანგალს დაავლო ხელი და ისე გლიჯა მაგიდას, ჩარჭობით ვერა, მაგრამ ორად კი გადალუნა*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**გლიჯავს** – ძალიან კარგია, საუცხოოა. „*გლიჯავს, ტო!*“ (ზაალ ტაბალუა); „*გლიჯავს, ღმერთმანი!*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**გნიდა** – ცუდი ტიპი (რუს. гнида – ტილის კვერცხი). „*ბავშვებს რესტორანში ავაკითხე და ის გნიდა ტორტის დანით ავჩეხე*“ (ლაშა ბულაძე).

**გოგოების მაჩალკა** (ბავშვების ფარგონი) – ბიჭი, რომელიც გოგოებთან ურთიერთობას არჩევს, გოგოების მარაქაში ერევა. „...*გოგოებს რო ერხუბები, სირცხვილია, ქალაჩუნას დაგიძახებენ. – მეძახიან, – ჩაკბიჩა მაჭკატი, – გოგოების მაჩალკას მეძახიან*“ (ნაირა გელაშვილი).

**გოგჩო** – გოგო. „*ამას წინად, ქუჩაში შევესწარი გოგჩოების საუბარს, ცხადია, გატყლარჭული ტონით*“ (გიორგი კაკაბაძე).

**გოიმი** – ჩამორჩენილი, გაუნათლებელი (ებრაულად სხვა სარწმუნოების აღმსარებელს, არაებრაელს ნიშნავს). „*შუა საუკუნეების პრინციპზე იდგა ის გოიმი ისა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.). „*იქ მატრაკვეცა პუბლიკა ზის, გოიმები. – მეც გოიმი გახლავართ. – თქვენ სხვა ხართ – შინაგანად კეთილშობილი*“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**გოიმური** – უგემოვნო, უხარისხო, გოიმის (იხ.) შესაფერისი. „...*სათაური რომ გოიმურია, ეგ ნაღია*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**გორლაზა** – გაჯავრებულია, აგრესიულია (შდრ. რუს. наступать на горло – ვინმესგან დაჟინებულად და თავხედურად მოთხოვნა რამესი; ვინმესთვის რამეს იძულება; გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება ვინმესი). „*მამაჩემი მოსულიყო, ბალკონიდან ვხედავ, ტაქსის აცდევინებს. არც ბიძაჩემი, არც ვინმე. შემოვიდა ჭიშკარში კაი გაბრაზებული, უკვე გორლაზაა, რა*“ (აკა მორჩილაძე).

**გორსალა** – უკულტურო, უვიცი და ამავე დროს პრეტენზიული ადამიანი. „*და ძალიანზე ძალიან აღსდექ და მოაკეტინე: დამპლებს, დარტყმულებს, გორსალებს, ფარჩაკებსა და კრეტინებს*“ (ვახტანგ ჯავახაძე); „*გორსალას ახასიათებს ერთი მხრივ, ამპარტავნება, ქედმაღლობა და მეგალომანია, ხოლო მეორე მხრივ, მონური ქედის მოხრა და ქვემეთრობა, სულერთია, რის ან ვის წინაშე*“ (თამაზ ჩხენკელი).

**გოლა** – ქურდი. ძალიან გავრცელებული იყო მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, უფრო დასავლეთ საქართველოში, ახლა იშვიათად გაიგონებთ. „*შემოდგომაზე მოკვდა მწვანეყვავილეელი უკანონო გოლა, საფიჩხიაზე დამარხეს, დედ-მამასთან*“ (რეზო ჭეიშვილი).

**გრადუსშია** – ნასვამია, ალკოჰოლიანი (სპირტიანი) სასმელი აქვს დალეული (გრადუსი – ალკოჰოლიანი სასმელის სიმაგრის საზომი ერთეული). „...*შენ უნდა დამეხმარო. ბილეთს მე გიკარნახებ. პროსტო, გრადუსში ვარ, არაფერი ავურიო...*“ (თამაზ ექვთიმიშვილი).

...**გრამაფონშია** – იტყვიან, როცა უნდათ მიანიშნონ, რომ თანამოსაუბრე ფანტაზიორობს, არარეალური ზრახვები ამოძრავებს. რა კავშირი აქვს ამას გრამოფონთან (ფირსაკრავთან) უცნობია. „– *სანამ [ფული] მქონდა... – ნერვიულად იკრავდა შარვლის ლილვებს. – მქონდა „გრამაფონშია“. ეს ქუდი დაიხურე*“ (რეზო კლდიაშვილი); „*ჩემი გურული ბიძია ასეთ რამეზე იტყოდა – „შენ რომ გინდოდა, ბიძია, იგი გრამაფონშია, რაი გააკეთე, ის მითხარი შენო*“ (ბაკურ სვანიძე).

**გრევი** – საჩუქარი (შდრ. „პადაგრევი“). „...*დღეს გააძრობ მაგ კაცს, აი, აქ... და გრევი იქნება სიცოცხლე...*“ (აკა მორჩილაძე), ანუ სიცოცხლეს გაჩუქებ, აღარ მოგკლავო.

**გრეხი** – ცოდვა, დანაშაული (რუს. грех). „*ადრე მხოლოდ ჯიბვირებს ჰქონდათ უფლება „შლიაპისა“ და „გალსტუკის“ ტარებისა, სხვა ქურდებისთვის „გრეხი“ იყო*“ (გია ლომაძე).

**გრიალებს** – ქეიფობს, დროს ატარებს. ნამყო სრული „იგრიალა“ (იხ.). „– *დღეს არაგვში ვგრიალებთ!*– ხელები დიდი მოქეიფესავით მოიფშენიტა ისარლიშვილმა“ (მიხო მოსულიშვილი).



გრიალი – ქეიფი, დროსტარება. „თვალნი აშკარად ნუხანდელი გრიალი“ ედგა. – აბა მაგრად იგრიალეთ? – „ჩერესჩურ“ (ჯემალ თოფურიძე).

გრიმასებს კერავს – სახეს მანჭავს სალაზლანდაროდ ან ამაზრზენი შეგრძნების გამოსახატავად. „რეზო ნაძალადევი გრიმასებს კერავს: შუბლშეკრული მრისხანე სახით მიდი-მოდის“ (ზურაბ სამადაშვილი).

გრიმიტობს – დროს ატარებს, გრიალებს; პოპულარულია. როგორც ჩანს, მომდინარეობს რუსული ზმნიდან греметь. „დამირეკა გველესიანმა. ზახოდის ფული მაქვს და პატივს გცემო. მე ვგრიმიტობდი მაშინ და იმიტომ დამირეკა, თორე ნუნურაქია, სკვა ზნოის ურტყამს სიბნელეში პროფესორ ხალხს“ (აკა მორჩილაძე).

გრუზავს – ბევრი ლაპარაკით ტვინს ულაყებს, „ტვირთავს“. (მდრ. რუს. грузить – ტვირთვა). „– სანდრიკო, იცი, ამ ბოლო დროს უხეში გახდი. – ნადი რა, ან გაჩუმდი, ნუ მგრუზავ“ (დავით ქართველიშვილი).

გრუზინი – ქართველი (რუს. грузин). იყენებენ ირონიული და უარყოფითი მნიშვნელობით. „დეილუპა მაგის ნოვაციები საცხა! იყიდის ეხლა სამტონიან ჯიპს და ივლის მონარქივით. ტიპიური გრუზინია, რა ნოვაციებს თხოვთ!“ (ინტერნეტი); „გავიგეთ, რომ ეს ქვეყანა და აქ მცხოვრები ხალხის უდიდესი ნაწილი „ბნელია“, „ხეპრეა“, „გრუზინია“, „მურთაზაა“ და ასე შემდეგ. მაგრამ რახან აღიარებთ, რომ უდიდესი ნაწილი ესეა, ან შეეგუეთ ამას, ანდა ოთხი მხარე არსებობს და თქვენივე სურვილისამებრ შევიძლიათ გაემგზავროთ“ (ინტერნეტი).

გრუზინული – ქართული (იხ. „გრუზინი“). იყენებენ ირონიული მნიშვნელობით, როცა ქართული ხასიათის ან ცხოვრების წესის უარყოფით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას. „ალბათ თქვენც იცით ასეთი „ბიზნესის“ კეთების მაგალითები. მე ვისაც ვიცნობ, თითქმის 90% ასეთი გზითაა გაუბედურებული. ამას ვეძახი მე და სხვებიც „გრუზინულ ბიზნესს“ (ინტერნეტი); „ჩავსხედით მანქანაში მეგობრები და წავედით ტრაპიზონში. (...) თავი თბილისში მეგონა. ჯერ ერთი, ყოველ ხუთ ნუთში ნაცნობი მხვდებოდა და თან ძალიან ბევრი ქართველი, თავისი „გრუზინული“ მოძრაობის წესებით და ა.შ.“ (ინტერნეტი); „გზაში გაიფიქრა: იქნებ, ეგეც ჩვეულებრივი, ბანძი თბილისელი ტიპშაა და უნდა, რო მაგარი ვეძერსკო, როჟები დაუკერო და იმენნა გრუზინული შეუყვანო?!“ (ლაშა ბულაძე).

გრუსტინი უჭირავს – დაღონებულია, სევდიანია. (მდრ. რუს.

грустный – დაღონებული). „რო ილიმებოდა, მაშინაც კი გრუსტნი  
 ეჭირა და მაგისი სიგრუსტნე მთელ ოთახში იყო მოდებული“ (მიხო  
 მოსულიშვილი).

გულაობს – ქეიფობს, დროს ატარებს. (რუს. гулять – ქეიფი, დროს  
 ტარება). „და ვართ, ვგულაობთ. დაცვისთვის ცალკეა პურ-მარილი,  
 ჩვენთვის – ცალკე“ (ზაურ კალანდია); „ისინიც კაი ქეშები იყვნენ,  
 ცალ ფეხზე ეკიდათ ეს ცხოვრება, ისხდნენ, ნარგილეს, ანუ ჩილიბს  
 ქაჩავდნენ და გულაობდნენ ჰარამხანებში, აარჩიე რომელი და  
 როგორი გინდა, რა ფერისა და რამხელა მკერდითა და თეძოებით...  
 მიდი – მოვდივარ!..“ (მიხო მოსულიშვილი).

**დააატკაზა** – უარი თქვა. (რუს. отказ – უარი). „...მომავალ არჩევნებზე შენც გაგიჩინთავ ადგილსო, შენნაირები უნდაო, დაატკაზებდა არ მოსულაო, პატრიოტული პონტიო... მეთქი, რა უნდა დავაატკაზო, მართლა ქუჩის ბიჭი კი არა ვარ, დედებიანა შევჭამ-მეთქი...“ (ლაშა ბულაძე).

**დააბა** – მოხიბლა, სასიყვარულო ურთიერთობაზე დაიყოლია. იგივეა, რაც „შეაბა“ (იხ.). ვნებიანი გვარი დაება. „სულ არ მიფიქრია, შარლი მაშინვე ასე, ორივე ფეხით თუ დამაბამდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „არა, არა, ყოჩაღ მე, რომ არ ვაკოცე. მაგრამ რა უცებ კი დავები!..“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**დააგოიმა** – მოატყუა, გააცუცურაკა, გაამასხარავა. ანმყო „აგოიმებს“ (იხ.). შდრ. „გოიმი“. „ჩვენი მეფეები კალმახებს ცოცხლად ყლაპავენო, – დააყოლეს და საბოლოოდ დამაგოიმეს-მეთქი, – გადავწყვიტე“ (დათო ტურაშვილი).

**დააკერა** – დაარტყა, გაარტყა. (შდრ. „მოაკერა“). „ამის გულისთვის ასე არ უნდა ავფსიხებულეყავი და იმ დამპალი ფლემინგისათვის ის დამპალი რკინა დამპალ თითზე არ უნდა დამეკერებინა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დაალივერა** – დაინახა, თვალი მოჰკრა. მომდინარეობს რუსული ქურდული ენიდან, სადაც давить ливер ქედმაღლურად ყურებას, ირონიული მზერით შეთვალეირებას ნიშნავს. ეს ნიუანსი ქართულ უარგონში ამ სიტყვას დაკარგული აქვს. „ეტყობა იმათაც დაგვალივერეს და შეეშვნენ იმ ძაან ძაან სერიოზულ საქმეს...“; „ერთი მშვენიერი პატარა ვეშჩი დავალივერე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „გამოვიდეს ერთი, დავალივეროთ, დავება ზროთ“ (ირაკლი ლომოური).

**დაამაყუთა** – მაყუთი (იხ.), ფული მისცა. „– თქვენ არ შეგეშინდეთ... კიდევ დაგამაყუთებთ... ხომ მოგცათ ფული ბუჭამ?“ (რეზო ჭეიშვილი).

**დაამულამა** – ძირფესვიანად შეისწავლა; გემო გაუგო; საგნისა თუ მოვლენის არსს (საიდუმლოს) ჩასწავდა. (შდრ. „დამულამება“ და „ჩამულამდა“). „მულამი“ ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში ასეა ახსნილი: „გამოცანა, საიდუმლოება“. „მე იმ გოლფის ვერაფერი დავამულამე“ (აკა მორჩილაძე). როცა უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“

დაერთვის, ასეთ მნიშვნელობას ლეზულობს: არ მესმის, ვერ ვხვდები. „კაროჩე სუ მეჯვარე ვიყავი ჩვენ უბანში, ნათლულები მიყვარს და უელი, ვერ ვამულამეფ, ნათლულს რო არ უვლიან“ (აკა მორჩილაძე).

**დაამლერა (ფული)** – დროსტარებაში დახარჯა ფული. „უცებ საშინლად გამალიზიანა იმან, რომ კვლავ დადგა საშიშროება [...], ვილაც უცნობებთან ერთად დამემლერებინა ის ბოლო გროშები, ურომლისობაც ჩემს თოთო ბავშვებს მშივრებს დატოვებდა“ (შოთა იათაშვილი).

**დაამხეცა** – კარგად შეისწავლა, კარგად დაამუშავა რალაც საკითხი, გაინაფა რალაც საქმიანობაში. „სროლას ჩაფრობაში შეეგუა, დაამხეცა, ახლა შვიდი ტყვიით შვიდ ცალ კაცს მიანვენს, დედებს უტირებს!“ (დავით ქართველიშვილი).

**დაანაკოლა** – საქურდალი საქმე მისცა (კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს). შდრ. „ნაკოლი მისცა“. „კოპლათაძემ კრიმინალები „დაანაკოლა“ (გაზ. „ახალი ეპოქა“).

**დააპადერშკა** – მხარი დაუჭირა; მხარდაჭერა მოუპოვა. (რუს. поддержка – მხარდაჭერა). „...გარედან დიდი პადერშკა იყო ქურდებიდან და დაიჭირა ზონა. (...) კანეშნა იქნებოდა, იცოდენ ვინ იყო და რომელი ქურდი არ დააპადერშკებს, რო ზონა არ განითლდეს?“ (აკა მორჩილაძე).

**დაარტყა<sup>1</sup>** – გაგიჟდა, ჭკუიდან შეიშალა. „– დაგარტყა? – ჰკითხა მან ერეკლეს და მონყალების დასავით გაულიმა. – ყველა პოეტი თავისებურად დარტყმულია“ (ნოდარ დუმბაძე).

**დაარტყა<sup>2</sup>** – უეცრად მიხვდა, ერთბაშად გაუნათდა გონება. „მაგის მერე იყო სწორედ, კიდე წავიკითხე ჯვარცმის და ეკლის გვირგვინის ჩამოცმის ამბავი და მაშინ დამარტყა, ამაში რალაცა ყრია-მეთქი“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**დაარტყა<sup>3</sup>** – დალია. იგივეა, რაც „დაურტყა“. „...დამისხი მეთქი, ერთს გავშინჯავ (...). და ერთი დავარტყი. კაროჩე ჩახია ყელი, ჩაფრხრინა და ეგრევე გათრობს. ოთხმოცდაორი გრადუსია“ (აკა მორჩილაძე).

**დაასვარკავა** – მოსპო, გაანადგურა. (რუს. [автогенная] сварка – [ავტოგენური] შედუღება). „მაგათთან რა მაცეს მოსალაპარაკებელი და შესახვენიო, – თქვა გულუბამ, – მაგათ მე „დაავასვარკავებო“ („ასავალ-დასავალი“).

**დაასველა** – რამე მოვლენა აღნიშნა ქეიფით; მალარიჩი იკისრა. თავიდან მხოლოდ ახალ ტანსაცმელს „ასველებდნენ“ (იხ. „დასველება“ თ.



სახოკიას ლექსიკონში). ახლა კი ყველაფრის დასველება შეიძლება. „თავიანთი გამარჯვება კრივიორუქკას დუქანში დაასველეს“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „დღეს სახლმმართველი იყო და ასე მითხრა, ჩაუნერელი კაცი რომ გყავს სახლში, მაგას დასველება უნდაო!“ (ნოდარ დუმბაძე).

**დაასტოპა** – გაჩერდა, შეჩერდა; გააჩერა, შეაჩერა. (შდრ. რუს. стоп! – სდექ!). „რუსულად აერია რამსი, საცეკვაოდ გაინია. ვტაცეთ ხელი, დავასტოპეთ“ (ზურაბ სამადაშვილი).

**დაასტრელოა** – შეხვედრა დაუთქვა. (შდრ. „სტრელი“). „აგერ, ლონდონი დიდია და ჭრელი. ხან სად დავასტრელოებთ, ხან სად“ (აკა მორჩილაძე).

**დაასტუკა** – დაასმინა, დააბეზლა. სინონიმი „ჩაუშვა“ (იხ.). მომდინარეობს რუსული ქურდული ენიდან (შდრ. стук – დასმენა, стучах – დამსმენი). „აი მაშინ მოვედი აზრზე, რომ ეტყობა იმ ვედმამ დამასტუკა ტელეფონით და იმიტომ იყო ასე დიდგულზე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**დაატკაზება** – უარის თქმა. (რუს. отказ – უარი). „...მომავალ არჩევნებზე შენც ვაგირითავ ადგილსო, შენნაირები უნდაო, დაატკაზება არ მოსულაო, პატრიოტული პონტიაო... მეთქი, რა უნდა დავატკაზო, მართლა ქურჩის ბიჭი კი არა ვარ, დედებიანა შევჭამ-მეთქი...“ (ლაშა ბულაძე).

**დააქოთაქა** – დაარტყა; სცემა (შდრ. „ქოთი“). „ისე დავაქოთაქე, ფეხზე ველარ დგებოდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დააყენა** – გასაძარცვად შეაჩერა გამვლელი. (შდრ. „შეაყენა“ და „დასაყენებელი“). „რაო, არ მესმის!.. რა თქვი? დავაყენეს? ვინ დავაყენა? მერე რა, რომ ქურდია? კარგი, გადაეცი ყურმილი, შენ კი ცალკე მოგელაპარაკები, შე ბოზის ტრიკო!“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**დააყუმბარა** – დალია (მაგარი სასმელი, რომელიც ყუმბარასთან არის შედარებული „ფეთქებადი“ ბუნების გამო). „სახლში ჭაჭა მქონდა, ისიც დავაყუმბარე და ეს ბოლო ჭიქა მაქვს შემონახული“ (მიხო მოსულიშვილი).

**დააჩმორა** – დაჩაგრა; დააბეჩავა, დააგლაზაკა. (შდრ. „ჩმორი“). „არ მახურთავებ? ნაზად მომექცევი? არ დამაჩმორებ?“ (ოთარ პერტახია); „ხოლო თუ დავაჩმორეს, ალბათ უსიტყვოდ იტანდი შენი გვარის შეურაცხმყოფელ ტრანსფორმაციებს და ბოლმა გულში გისივდებოდა“ (დიანა ვაჩნაძე).

**დააჩმორიკა** – დააბეჩავა, სულიერად დათრგუნა. (შდრ. „ჩმორი“ და „ჩმორიკი“). „მაგას თუ რამით არ დავუპირისპირდი, მთლად „დამაჩმორიკებს“ (მიხო მოსულიშვილი).

**დააჩოღოტ(თ)ა** – დააგლახავა, დააჩმორა (იხ.). ჩოღოტ(თ)ი ზოგიერთ ქართულ დიალექტში (ქართლურში, ქიზიყურში) მოშვებულს, მოდუნებულს ნიშნავს (იხ. ალ. ლლონტის „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა“). „ქიზიყელი კაცი ხო ხარ, / არ გაგტეხონ, მაგრა დეგ! / არ დეეჩოღოტებინო / მაგ ეჟოვ და მაგ რადეკ!“ (ალექსი ჭინჭარაული).

**დააცურეს** – თანამდებობიდან მოხსნეს ან დააქვეითეს (თითქოს ზემოდან ქვემოთ ჩამოაცურეს). სინონიმი „დაიქნიეს“ (იხ.). „ნებიერიძე მოუხსნიათ! – თქვა ბაჩანამ... – ეხლა მაგის ხალხს ისე დააცურებენ, როგორც ბაღეტ ნა ლდუ!“ (ნოდარ დუმბაძე).

**დაანერა** – იძულებული გახადა, „საკუთარი ნებით“ დაეთმო ფული, ძვირფასეულობა და მისთ.; წაართვა. იგივეა, რაც „შეანერა“ (იხ.). „თუ გამოვიჭირე, სულამითთან ხომ მოვუგებ და შეიძლება „ობშიაკის“ ფულიც კი დავანერო“ (მიხო მოსულიშვილი).

**დაანვა<sup>1</sup>** – ძალიან სწრაფად, დიდი სიჩქარით წაიყვანა ავტომობილი ან მისთანანი (როდესაც გაზის პედალს დაანვები, სიჩქარე მატულობს). „– გორისკენ დაანეჩი, პავლიკასთან. – პატარა „დაანვა“ (ჯემალ თოფურიძე).

**დაანვა<sup>2</sup>** – განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რალაც მომენტს (საუბრისას), ხაზგასმით აღნიშნა. „ის მცნება მერმე ჩიქორთულად და ნართულად განმარტა, უფრო კი იმ მცნებას დაანვა, რომელიც ცოლ-ქმრობასა და სქესობრივ ურთიერთობას შეეხებოდა“ (მიხეილ ჯავახიშვილი).

**დაანვა<sup>3</sup>** – წავიდა, გაემგზავრა. „ჩვენი ამხანაგები დაანვენ სამუშაოთ სირიაში ორი წლით და ჩვენ დაგვიტოვეს ბინაო“ (აკა მორჩილაძე).

**დააჭედა** – ტყვია მოარტყა. „მე კი თავიდანვე ვიადე... ეშინოდა დამაჭედებსო“ (აკა მორჩილაძე).

**დაახეთქა** – თქვა (უმეტესად ტყუილი). „მთელი ეს ცირკი იმისთვის დავატრიალე, რომ დამეხეთქებინა: ჩემს სულს სიხარულით ავსებს ისეთი ადამიანის სიახლოვე, თავის ნაჭირნახულეგ ბოსტნეულს რომ შინ მოიტანს“; „ის იყო ვიფიქრე, ახლა კი მომეხაზა-მეთქი, რომ უცებ მოვისაზრე და დავახეთქე, ხველება შემოდგომობით ვიცი...“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დაახვია** – წავიდა. იგივეა, რაც „აახვია“ (იხ.). „იმ ლამეს რაშკას მიმტოვებელი არ ვიყავი და მიტინგიდან ერთად დავახვით“ (დათო ტურაშვილი).

**დაახულია** – დაარტყა; გალახა. „ნაკანტუზიარი, ყოფილი მოკრივე



გრინიოვი დაახუილებდა „მეტოქეს“ სადაც იყო“ (რეზო ჭეიშვილი).  
დაახურა – გაათახა, გალანძღა. „ალა-მაჰმად ხანმა დოლის წყალო-  
ბით მაგრად დაახურა თავის ხალხს: „აი, თქვენ დაგაყარეთ თავზე  
უდაბნოს ცხელი მინა! ამხელა ზარბაზნების დაკარგვა როგორ მოახ-  
ერხეთ... ახლავე წადით და მომიძებნეთ...“ (ნიკო ნახუცრიშვილი.  
თარგმ.).

დააჯახა – ერთმანეთს გააცნო ქალ-ვაჟი, იმ ანგარიშით, რომ იქ-  
ნებ შემდეგ ერთმანეთი შეირთონ კიდევ. „– უცოლოა, – უთხრა  
ლიუბკამ, – ბასკა დააჯახე, პატარა ფული მიე, გზაზე დააყენე“ (თა-  
მაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

დაბერა – გაიქცა. „...ის ნაბოზარი, ეხლა რო დაბერა აქედან და რო  
მემალება ლენინგრადში“ (აკა მორჩილაძე).

დაბოლდა – ნარკოტიკი მოწია. „თუ სიგარეტი ვიშოვეთ, დავბოლ-  
დეთ კიდევ“ (მიხო მოსულიშვილი).

დაბოლილი – ნარკოტიკმონეული. „შევეურებთ ერთმანეთს დაბო-  
ლილები და დაარყებულები“ (ზურაბ სამადაშვილი).

დაბომბილი – მთვრალი. „...გააძრო მეორე [ბოთლი] და მაგარი  
დაბომბილები ვართ უკვე“ (აკა მორჩილაძე).

დაბრედა – სიკვდილი, გარდაცვალება; მოკვლა (ებრაულიდან უნდა  
მომდინარეობდეს. იხ. კ. დუმბაძე, გვ. 35). „მე იქ ვისვენებდი აპრი-  
ლის თვეში, მიშა ტომსკის დაბრედიდან 37 წლის შემდეგ“ (რეზო  
ჭეიშვილი).

დაბრედილო! – საალერსო-მოფერებითი ფუნქციის მქონე მისალ-  
მება. ეტყვის ღიმილით მეგობარი მეგობარს, რომელიც კარგა ხანია  
არ უნახავს, და გახარებულია მასთან შეხვედრით. პირდაპირი მნიშ-  
ვნელობით „დაბრედილო“ მკვდარს ნიშნავს (შდრ. „დაბრედა“ და  
„დაბრიდა“). იშვიათია სიტყვის სემანტიკის ასეთი რადიკალური  
ცვლილება იმ სიტუაციათა მიხედვით, რომლებშიც ის წარმოითქმის.  
„– მეუფევ, თქვენ რო თქვენობით მელაპარაკებით, მე არ ვიცი როგ-  
ორღა გელაპარაკოთ... მე ვარ პლენხანოველი მოგელა, რო მეტყვი-  
ან, მოგელ, დრასტი დაბრედილოო, ვიცი, როგორ ვუპასუხო... რო  
მეტყვიან, როგორ ბრძანდებითო, პროსტო, აღარ ვიცი, რა ვქნა.  
მაპატიეთ, რა... მაგრა გამეხარდა, რომ მოხვედით“; „...და მიუგო: ვა,  
ლევიკო, შე დაბრედილო, უკვე მოხვედიო“ (აკა მორჩილაძე).

დაბრიდა – მოკლა. „– ხელს ნუ გამასვრევენებ... – დინგი გასვრილი  
გაქვს, გაისვარე ხელიცა, ჰა!.. – დაგბრიდავ! – ნულარ გამათავებ  
ლოდინითა“ (ოთარ ჩხეიძე).

**დაბრო (არ) მისცა – ნება (არ) დართო.** (რუს. *дать добро* – ნებართვის მიცემა; ვინმეს ინიციატივის მოწონება და მისი განხორციელებისთვის ნების დართვა). „*კიდევ სხვა ექიმებმა უკვე ამასავით დაბრო არ მომცეს კომპიუტერზე, შეზღუდვები მაქსიმალურად და დაასვენე თვალიო*“ (გიორგი კაკაბაძე).

**დაგაზა** – ძალიან სწრაფად წავიდა, გაიქცა. ანმყო „გაზავს“ (იხ.). ავტომობილის ანალოგიით (გაზი მოუმატა) ითქმის ფეხით მოსიარულეზეც. „*არ მცემოთ, ძმებო-მეთქი, მოვრთე ყვირილი და დაგვაზე*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**დაგიხატავ** – ამბობენ მაშინ, როცა არ სურთ გასცენ (ან არა აქვთ) ის, რასაც მათგან თხოულობენ; დაცინვით გულისხმობენ: რასაც მთხოვ, იმას ვერ გაძლევ „*ნატურალური სახით*“, ამიტომ დახატულს მოგართმევო. „*სად გაქვთ ბეჭედი, მაესტრო? – დაგიხატავთ ბეჭედს!*“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**დაგლიჯა** – აღსაფრთოვანებელი რამ მოიმოქმედა. (შდრ. „გლიჯავს“). „– *ტანსაცმელსა და პისტოლეტს მოგიტანენ, – გამოსცრა შემოტრიალებულმა „კომანდორმა*“, – *ფული კი ნუხანდელი ტომსიკით შენი სანერი მაგიდის უჯრაში, უკან იდება!* – *„დაგლიჯა!“* – *სიხარულით გაიფიქრა ესიკომ*“ (მიხომ მოსულიშვილი).

**დაგნარი** – ჩხუბი. შესაძლოა მომდინარეობდეს „დაგადუგიდან“, რაც ასეა ახსნილი განმარტებით ლექსიკონში: „ძლიერი და რიტმული ცემის ხმა მაგარი სხეულისა მაგარსავე სხეულზე“. „*ერთხელ ექსკურსიაზე მაგარი დაგნარი აინია*“ (ირაკლი ლომოური), ნიშნავს: დიდი ჩხუბი ატყდა.

**დაგრუზული** – ცუდ გუნებაზე მყოფი, უარყოფითი ემოციებით დამუხტული, დატვირთული. (შდრ. რუს. *грузить* – ტვირთვა). „– *რას შეება?* – *ჰკითხა ნინჩოს. – ხმა არ ამოუღია, მაგარი დაგრუზულია და დედა მომიკვდეს, ჩვენც მაგრა დაგვგრუზა. – აღარც დაგვგრუზოს, ტო!* – *ძმაკაცს გამოესარჩლა ნიკუშა*“ (ლაშა ბულაძე).

**დადის** (ვილაცასთან ერთად) – უყვარს ვილაც, რის გამოც ხშირად არის (ხედავენ) მასთან. „*გაიგე მაცოზე? – გონებაში ასეთ დიალოგებსაც თხზავდა ხოლმე, – სანდრო თალაკვაძე როა, ჟურნალისტი, მაგასთან დადის*“; „...*ძალიან უნდოდა ყველას გაეგო, რომ ის და სანდრო თალაკვაძე „დადიან“!*“ (ლაშა ბულაძე).

**დაებაზრა** – დაელაპარაკა. (შდრ. „ბაზარი“ და „ბაზრობს“). „*წავალ, ახლა მაგ კახპებს დავებაზრებო*“ (ზურაბ სამადაშვილი); „*ვილაცა ქერა ტიპმა გაიჩითა გერმანიიდან, თავისი ამორჩეული მხატვრების*



სახელოსნოები მოიარა და მარიშკას ცალკე დაებაზრა, როგორმანიაში მოაწყობდა მისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას“ (მიხომოსულიშვილი).

დაევასა – მოენონა. იგივეა, რაც „ევასა“, „ევასება“ (იხ.). „დაგვეასება“ ხეები, ტყეები?“ (გვანცა აბღალაძე).

დაენძრა – ცუდად წაუვიდა საქმე. „... ზედ სანაპიროზე ბენზინს დაენძრა (ნიშნავს: მანქანას ბენზინი გაუთავდა. ლ.ბ.), ჩვენმა „დურანგომ“ ერთი ქლექიანივით ჩაახველა და გაჩერდა“; „გაეები, ალექს, მახეში? იმ ქალს თუ დაენძრა, წასულია შენი საქმე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „გარენრები გარენრებად დარჩებით და „დაგენძრევით“, ო, რა მაგრად „დაგენძრევით“, როცა თქვენთვის მოვიცლით!“ (მიხეილ ქვლივიძე).

დაერხა – ცუდად წაუვიდა საქმე. ანმყო – „ერხევა“ (იხ.). „– ვაიმე, – ჩურჩულით დაარღვია დუმილი მექისემ, – დაგვერხა!“ (ზურაბ ლეჟავა).

დაეჩითა – მოულოდნელად გამოეცხადა, თავს წაადგა. „ცოტა კი დამანდრაჟდა, ასე ოთხნი რომ დავეჩითეთ ზრდილად და ლიმილით, მაგრამ შიპიტი არ დაუნყია“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

დაეჯახა – გაიცნო და სასიყვარულო ურთიერთობა გააბა მასთან. (შდრ. „დააჯახა“). „მინდოდა რამე მწარე მეთქვა, თან ისეთი, რომ თავი მომეწონებინა იმისთვის [უცნობი გოგონასათვის], მაგრამ სისულელე წარმოვთქვი ენის ოდნავი ბორძიკითა და ბოხი ხმით: – რაც გინდა იყოს, შენ მაინც დაგვეჯახები (...). როგორ ვთქვი. ეს სიტყვა ჯერ ისე მეჯავრება, არამცთუ სათქმელად, თანაც ქალისადმი, რომელიც იმ წუთში თუნდაც, ძალიან მომწონდა“ (გურამ რჩეულიშვილი).

დავერბოება – გადაბირება. (შდრ. რუს. вербовка). „– ჩვენთვის ის იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ შენი დავერბოება მომეხდინა... – დავერბოება? – ჰო, უმცროსო ლეიტენანტო, დავერბოება. დავერბოება, მგონი, ქართული სიტყვაა და კარგა ხანს მამულიშვილურ საქმიანობად ითვლებოდა თქვენში“ (აკა მორჩილაძე);

დავერიაში შემოიყვანა – ნდობა მოიპოვა ვისიმე. (რუს. доверие – ნდობა). „მეთქი, ცოტიჩა ძია, ეს ფული ეხლავე გამომართვი, რავი მაინც რა, ან არ ამომივარდეს, ან რავი, რო პირდაპირ სახში დატოვე. მეტი რალა დავერიაში შემოვიყვანო. და არაო, გედოსო. რა იცი, გზა არიო, დაგვეჭირდესო“ (აკა მორჩილაძე).

დაზაგრული – მზემოკიდებული. (რუს. загар – ნამზეური). „...გაგრაში გაქანდით. და ზაგრულები ჩამოხვედით“ (აკა მორჩილაძე).

**დაზადნა** – უკან დაიხია (რუს. задний – უკანა). „ყველა ხიფათი უკან დარჩა და თან საკუთარ თავსაც ვერ მოედევები, არ „დაგიზადნია“ (ბექა ქურხული).

**დაზეთილი** – უჟმური სახის მქონე. „ამ დროს ორი ტიპი შემოვიდა. ორივე რალაცნაირი, – ერთნაირი. პინტილა და დაზეთილი. (...) ეგრევე შეაჭრეს კაბინეტში“ (თამრი ფხაკაძე).

**დაზმანული** – ძვირფასად ჩაცმული (შდრ. „ზმანი“). „მაშინ მე და ჩემ ბრატკებს სუყველას ნიღბები გვეკეთა და ლამის საკარნავალოდ ვიყავით დაზმანულები“; „ოთხივე მაგარი დაზმანულები დავდიოდით“; „ხალხი თვალს მაყოლებდა (...) ღამლამობით საგულაო შმოტკეებში დაზმანულს რო მხედავდნენ“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**დათირა** – მიათვალ-მოათვალა, თვალი შეავლო („თირე“ ებრაულად „შეხედე“). ანმყო თირავს. „ედიმ ჯერ იქაურობა დათირა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „ბიჭები... გამელელ „ნიჩკებს“ „თირავდნენ“ და ფილაქანზე იპურჭყებოდნენ“ („ნიანგი“).

**დაიადა** – იშოვა, მოიპოვა, დაეუფლა („იად“ ებრაულად „ხელი“). „ჭიპზე გავსკდი, სანამ მათი მთელი პროგრამის ჩანანერი არ დავიადე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დაიბრიდა** – მოკვდა, გარდაიცვალა, დაიღუპა (აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით). „რაც ცხონებული ლიოვკა დაიბრიდა, ჩემს საქმეში კენტად დავრჩი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ისიც ღიმილით უხდიდა მადლობას და მეც ვიბრიდებოდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დაიზმენდა** – დაექვდა; შეშინდა. შდრ. „იზმენა“. „– არა, უნდა ვკითხო იმ ნიას, რა ხდება ჩვენს თავს? – გინდა ვიჟად ჩავთვალოს? – აბა, რა ვქნა, უკვე დავიზმენდი!“ (ლაშა თაბუკაშვილი); „ხანდახან ნიკი თავის ჩანგალს დაასობდა რამეს ჩემს თეფშზე და პირში გააქანებდა. – მოსულა, არ დაიზმენდე, – მეუბნებოდა ის და ვსვამდით ყლუპს“ (აკა მორჩილაძე).

**დაიზმენებული** – დაექვებული; შეშინებული. შდრ. „იზმენა“. „ნუ, ეხლა, ეგეთი წინადადებით რო მოგმართავენ, ეგრევე დაიზმენებული ხარ, რო გადაგდებას ხო არ გიპირებს“ (მიხო მოსულიშვილი).

**დაითრია** – ხელში ჩაიგდო, მოიპოვა. „ოფიცრობას ყელი დასჭრა და ალალიც დაითრია“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „...ქალაღდი საიდანა გაქეთ-მეთქი. – ერთ სამინისტროში დავითრეო“ (გურამ პეტრიაშვილი).

**დაიკიდა** – არად ჩააგდო, ყურადღების ღირსად არ ცნო („ფეხებზე



დაიკიდა“-ს უარგონულად შემოკლებული ვარიანტი). „*მუჰამად მაგრა გაუსწორდა, კახამ დაიკიდა და მე კიდე იზმენებში ვარ, ტო - არა ვგავარ და რანაირად ვარ ევროპელი!*“ (მიხო მოსულიშვილი); „*თუმცა კანონი აღარ მეხება, / აღარ ვიჩხირავ, აღარ ვიკეთებ, - / რა ჩემ ფეხებად მინდა ფეხები, / თუ ზედ ვერავის ვერ დავიკიდებ?! / კმაყოფილია დედაც, დიდედაც, / მაგრამ მაძალებს სიზმრის ვიდუო: / დაიკიდე და დაიკიდე და, / რაზედაც გინდა, დაიკიდეო*“ (ვახტანგ ჯავახაძე).

**დაირტყა** - იშოვა, მოიპოვა, შეიძინა. იგივეა, რაც „გაირტყა“ (იხ.) „*ბერლინში ყველაზე უკეთ შეგეძლო თავიც გერჩინა და სახელიც დაგერტყა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დაიქნიეს** - თანამდებობიდან მოხსნეს. სინონიმი „დააცურეს“ (იხ.). „*დაიქნიეს, ბინძურ გულზე გამსკდარია ამის გამო, ველარ წარმოუდგენია ბრიყვი თავი მას უსკამო*“ (ემზარ კვიციანიშვილი).

**დაიშოკა** - შეშინდა, თავზარი დაეცა (სამედიცინო ტერმინიდან „შოკი“). „- *მაგარი დაიშოკე, ხო? - გაიცინა მაკომ*“ (ლაშა ბულაძე).

**დაიჩითა** - მოულოდნელად გამოჩნდა. იგივეა, რაც „გაიჩითა“ (იხ.). „- *ჩვენ იასნია, მაგრამ ეს ბიძა საიდან დაიჩითა? - იკითხა ოცი წლის ბიჭმა*“ (ჯანო ჯიქიძე).

**დაიცენტრა** - გიგიჟდა (აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით. თითქოს ცენტრალური ნერვული სისტემა დაუზიანდა). „*მხოლოდ ის ტეხავდა, რომ ვერ დავინახავდი, ვილი როგორ დაიცენტრებოდა, დაცენტრვით კი ნაღდად დაიცენტრებოდა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დაიციკლა** - რალაც აიკვიატა; ერთსა და იმავეს იმეორებს, ერთსა და იმავე წრეზე (ციკლზე) ბრუნავს. „*ის კიდე გაფუჭებული პატეფონივით იმეორებდა ერთსა და იმავეს: „ბნელო, ბნელო... ვინაა ეგ ბნელო? საიდან მახსოვს?“ დაიციკლა ეტყობა, სხვა ვერაფერზე სიტყვა ვერ დააცდენინეს*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**დაიშოკა** - შეშინდა, თავზარი დაეცა (სამედიცინო ტერმინიდან „შოკი“). „- *მაგარი დაიშოკე, ხო? - გაიცინა მაკომ*“ (ლაშა ბულაძე).

**დაიჯახა** - დალია (მაგარი სასმელი). „- *ბო-ლო-მდე! - ფერდში თითი მატაკა ნიკიმ. და დავიჯახეთ*“ (აკა მორჩილაძე).

**დაკერა** - გადმოიბირა, დაიყოლია. იგივეა, რაც „შეკერა“ (იხ.). „*გლავეპოჩტამტში ბაბუაჩემმა ფოსტალიონების უფროსი დაკერა, ელენეს მისამართზე მოსული წერილები რო ჩვენთან გადმოვგ ზავნა სახლში...*“ (აკა მორჩილაძე).

**დაკერვა** – გადმოზივება, დაყოლიება. იგივეა, რაც „შეკერვა“ (იხ. „შეკერა“). „აჰ, რა დაკერვა იცოდა პლენხანოველმა მოგელამ“ (აკა მორჩილაძე).

**დაკრა** – დალია ალკოჰოლიანი სასმელი. სინონიმები: „დაურტყა“ (იხ.), „ჩახრახნა“ (იხ.). „– ახლავე თუ არ დავკარით თითო, დავიცი-ნებით, ხო იცი?“ (ირაკლი ლომოური).

**დაკრუგა** – გატრიალდა და ნავიდა. (შდრ. რუს. круг – წრე). „ეხლა აქ აღარ გვინდა რიჟა ბაზარი, ეგრევე დავკრუგე და მივაკითხე ტურის-ტულ სააგენტოს“; „მარიშკა ვიპოვო, (...) დაველაპარაკები და მერე ჩემით დავკრუგავ აქედან და ასი წელი აღარ გამოვჩნდები“ (მიხო მოსულიშვილი).

**დამანდრაჟდა** – შეშინდა. (შდრ. „მანდრაჟი“). „ცოტა კი დამანდრაჟდა, ასე ოთხნი რომ დავეჩითეთ ზრდილად და ღიმილით, მაგრამ შიპიტე არ დაუნყია“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**დამაყუთება** – დაფინანსება. (იხ. „დაამაყუთა“ და „მაყუთი“) „ერთ ყმანვილს უცხო ენებისათვის ამზადებდნენ, ფული არ ჰქონდათ და ფულიანმა ბიძამ, ადრე იმნაირ ბიძებს საქმოსნებს ეძახდნენ, გადანყევიტა ძმისშვილის დაფინანსება ანუ მათებურად – დამაყუთება“ (რეზო ჭეიშვილი).

**დამბოლებელი** – მატყუარა, ცრუპენტელა (შდრ. „აბოლებს“). „აუჰ... ნამოჯდეს მაინც“, – გაიფიქრა პლენხანოველმა მოგელამ, – „გლეხის ქალია, რა... დამბოლებელი. არტყამს რალაცეებს“ (აკა მორჩილაძე).

**დამკაში გავიდა** – მიზანს მიაღწია. შაშის თამაშში, როცა ქვა სათამაშო დაფის ბოლო ჰორიზონტალს მიაღწევს, უძლიერეს ფიგურად „დამად“ („დამკად“) გადაიქცევა. „საშა კოდუა გვაჩუქეთო, მუხლ-მოყრილნი შეევედრნენ. საშა კოდუა რომ დავიადოთ, ეგრევე დამკაში გავალთო“ (თამაზ ნატროშვილი).

**დამპალი** – გაფუჭებული, უვარგისი, ავადსახსენებელი. „ამის გულისთვის ასე არ უნდა აფფისებულებიყავი და იმ დამპალი ფლემინგისათვის ის დამპალი რკინა დამპალ თითზე არ უნდა დამეკერებინა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**დამრტყმელი** – ძლიერი მოჩხუბარი. „მაშინ მართლა ბევრი კარგი ადამიანი იყო: ნიჭიერები და კოლორიტულები, დამრტყმელები და მოქეიფეები“ (დათო ტურაშვილი); „ქურდი, ხულიგანი, დამრტყმელი... საკმაო სიმპათიით სარგებლობდა გარკვეულ ფენაში“ (ზაურ კალანდია).

**დამუღამებული** – კარგად შესწავლილი, კარგად დამუშავებული.



სინონიმი „დამხეცებული“ (იხ.). „ჩემი გამოცდილებიდან ვაძმოვ, ცხადია, და კარგადაც მაქვს დამულამებული. რა თქმა უნდა, ესეც ცხოვრებამ მასწავლა“ (ზაურ კალანდია).

დამწვარი – გამოაშკარავებული. „ატანდა! მილიციელი. დამწვარი ხართ!“ (ნოდარ დუმბაძე).

დამხეცებული – კარგად შესწავლილი, კარგად დამუშავებული (შდრ. „მხეცი“, „მხეცივით“). „...რომ ეს მეთოდი აქვს მშვენივრად „დამხეცებული“ (თედო ბექიშვილი).

დანძრეული აქვს – ცუდად აქვს საქმე, უჭირს. „- ა, იმან დაგირეკა, როდონიაამ. შენი ტელეფონი გვთხოვა, მარა არ მივეცი. – კაი ქენით, რა უნდოდა? – რავი, არ ვიცი... ისე, მაგარი დანძრეული აქვთ“ (ლაშა ბულაძე).

დაპაადიეზდება – საკუთარ სადარბაზოსთან/ში დახვედრა და ცემა ვინმესი (რუს. подезд – სადარბაზო). „უკვე ძნელი გასარკვევია, გაზეთში გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ტექსტს ვკითხულობთ თუ „დაპაადიეზების“ სტენოგრამას“ (ნოდარ ლადარია).

დარეკილი – ჭკუაშერყეული („შერეკილის“ ჟარგონული ვარიანტი). „შენ ხო იციო, ეს მწერლები რა დარეკილები ვართ და არ გაგიტყდესო“ (მიხო მოსულიშვილი).

დარეხვილი – სულელი, ჭკუასთან მწყრალად მყოფი. სინონიმი „დარტყმული“ (იხ.). მომდინარეობს „რეხვა“ ზმნიდან, რაც დარტყმას ნიშნავს: დარეხვილი, ანუ დარტყმული – ვისაც დარტყმის შედეგად დაუზიანდა ცენტრალური ნერვული სისტემა. „მართლა კაი დარეხვილი ვინმე იყო“; „ღმერთო, შენ უშველე ყველა გიჟსა და დარეხვილს“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

დარტყმული – გიჟი, სულელი, შეშლილი (თითქოს დარტყმის შედეგად დაუზიანდა ცენტრალური ნერვული სისტემა). „ერთი იდიოტი, დარტყმული და მატრება ზი ვიყავი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „სამნილა დავრჩით: მამაჩემი, ოდესაში მცხოვრები მისი დარტყმული ძმა სიმონი და მე“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

დარხეული – ცუდ დღეში მყოფი, ანუ ის, ვისაც დაერხა (იხ.). „დავდივარ დარხეული, ჩემო ნათელა“ (გიგი სულაკაური).

დასაყენებელი – გამვლელი, რომელიც ღირს, რომ შეაჩერო და გაძარცვო. (შდრ. „შეაყენა“). „აზრზე მოდი, ჩვენ რა ძვირფასი დასაყენებლები ვართ! იარაღი, დოლარები, კილო ოპიუმი... ოქროს ლარებიც გვქონია!“ (ლაშა თაბუკაშვილი).

დასაშტრაფი – დასასჯელი. (შდრ. რუს. штраф – სასჯელი). „და მე

უთხარი ეგრევე, ჩემი სახელია ჯამბულა და დასაშტრაფი ხარ-მეთაქი“ (აკა მორჩილაძე).

დასაჭყანი – მაგარი სასმელი (არაყი და მისთანანი), რომლის დაღვესას სახე ემანჭებათ. „– ხო არ ჩაგვეფინა? – რა გაძლება აქვს. – თითო, დასაჭყანი“ (აკა მორჩილაძე).

დასმოტრა – დათვალიერა. (რუს. смотреть – ყურება, დათვალიერება). „ჯერ თქვენ შედით, დასმოტრეთ, ეგრე არ გამოვიდეს, რო...“ (აკა მორჩილაძე).

დასპაკონინდა – დამშვიდდა. (რუს. спокойный – მშვიდი). „ასე რო, გადავხედე ჩემი მოტეხილი მარცხენა ხელის მდგომარეობას და დავსპაკონინდი, რახან უკვე ოცდაათი ქართველი ვიყავით“ (მიხო მოსულიშვილი).

დასტონინი – ღირსეული. (რუს. достойный). „ეს ძველბიჭური, ვითომ დასტონინი რალაცეები, აი, მაგრა მეგოიმება... არ გენყინოს... მოეშვი, რა...“ (ლაშა ბულაძე).

დასტოპება – შეჩერება. (რუს. стоп! – შეჩერდი!). „...საკმაოდ კარგ ხალხთან ერთად ვსვამდი ძირითადად და, საერთოდ, კაი იყო. თუმცა ცოტა დასტოპებაც საჭიროა...“ (გიორგი კაკაბაძე).

დატყდა – გაიპარა, გაიძურნა, წავიდა. იგივეა, რაც „მოტყდა“ (იხ.). „მაგრა არ უნდა ბიძაჩემს, რო მივიდე და მეთქი არ წამოვალ, დედაჩემს უთხარი და მამაჩემმაც არა თქვა რამე, რო ან წამოდი, ან არა და მეთქი, ვსიო, მე დავტყდი“; „– დავტყდეთ, ძმაო, დავტყდეთ, მოხვდათ, ეყოფათ... სანამ ძაღლობა მოვა!“ (აკა მორჩილაძე).

დაუაბგონა – გაუსწრო (ავტომობილით ავტომობილს). (რუს. обгон – გასწრება). „დავიძარი. ამ დროს დამიაბგონე შენ“ (აკა მორჩილაძე).

დაუადა – მისცა. შდრ. დაიადა. „სამხედროებს დაუადა [ფული] და მანქანით ჩაგიყვანენ ოჩამჩირეში“ (მიხო მოსულიშვილი).

დაუბერა<sup>1</sup> – დალია (ალკოჰოლიანი სასმელი). „ეგრევე დაუბერეთ!“ (ზურღან გემაზაშვილი).

დაუბერა<sup>2</sup> – გაეშურა, გაიქცა. შეცვალა ადრინდელი „მოუსვა“ (იხ.). „აი, რატო უნდა ადგე და რატო უნდა დაუბერო კაცმა გერმანიისაკენ, ჰა?“ (მიხო მოსულიშვილი).

დაუზასა – ტუჩებში აკოცა. (რუსული ზმნიდან засосать – გამოწოვა, გამოწუნა. შდრ. „ზასაობს“). „ქალი კი არა, თავად მთვარის სონატა გიდვას წინ, სასიყვარულო! დაეკონე, ეამბორე, დაუზასე!“ (მიხო მოსულიშვილი).



დაუთოხმახა – დაარტყა. „სიმშვიდით დაუთოხმახე, არ გამოსულხარ ქვეშიდან“ (ვახტანგ ჯავახაძე).

დაუკატავა – დაარტყა (მუშტი). „ვინც ჩემზე გამოინევს, პირველი დავეუკატავებ ყბაში!“ („ახალი თაობა“).

დაუპადაგრევა – აჩუქა (შდრ. „გრევი“ და „პადაგრევი“). „– ეს რა ჩემოდანი დაგიადებია, სიმონ? – თურქეთიდან „დაგვიპადაგრევეს“ (მიხომ მოსულიშვილი).

დაურტყა<sup>1</sup> – უთხრა (რეპლიკის მაგვარი სათქმელი). „ველარ მოითმინა და დამირტყა: მე შენს ადგილას მთელ ფანჯარას შევლუბავდიო“; „ედიმ დამირტყა: თაბაშირით თუ გიმუშავია?“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

დაურტყა<sup>2</sup> – გააკეთა. „ერთი კარგი ურემი ეყოფა შენს გაჭირვებას, თუ არ ეყო, ერთი გზობაც დაფურტყათ და ეგ იქნება“ (რევაზ მიშველაძე).

დაურტყა<sup>3</sup> – დალია ან შეჭამა. „მიდი, კაცო, მიდი, დაურტყი, სანამდე უნდა გედგას საესე!“ (გურამ დოჩანაშვილი); „ჯერ სახაშეში შევლენ... დაურტყამენ პატარ-პატარას...“ (მერაბ აბაშიძე).

დაურხია – დატუქსა, გაუჯავრდა, შავი დღე აყარა. სინონიმები: „დაუტოკა“ (იხ.), „დაუჭოჭა“ (იხ.). „მორჩი რა, ალეკს, რას გვესპორები, შენ თვითონ განყენს ფული?“ „მანყენს, ბრატკა, მანყენს (...), ბოლოს იქნებ დამირხიოს კიდეც“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

დაუსატკავა – ჩაუსაფრდა. „...ნინკას ნაბოზარმა ძმამ დამისატკავა სახლთან და დილაზე პრავებს მეკაჩავებოდა“ (ბასა ჯანიკაშვილი).

დაუტოკა – დატუქსა, გაუჯავრდა, შავი დღე აყარა. „ნუ სვამ, ბულიკ, ნაპიტოკებს, სიბერეში დაგიტოკებს“ (ნოდარ დუმბაძე).

დაუქაჩა – სპორტული ჟარგონი. ნიშნავს: ქულებით წამოეწია, სხვაობა შეამცირა ანგარიშში. „– დაუქაჩავენ, – არ დაუთმო ზაზამ, – შეიძლება წააგონ, მაგრამ დაუქაჩავენ (...). „დინამომ“ დაუქაჩა, მაგრამ ბოლომდე ვერა“ (აკა მორჩილაძე).

დაუჭოჭა – დატუქსა, გაუჯავრდა, შავი დღე აყარა. „აქაოდა, პოეტი ვარო, განა ასე გაფრენაც შეიძლება! – დაგიჭოჭეს?“ (ოთარ ჩხეიძე); „ჯერ მეგონა მაგრა დამიჭოჭებდა და მეც საჩხუბრად მოვემზადე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

დაქერა – სექსუალური ურთიერთობა იქონია (სუბიექტი – მამაკაცი). ახლა ნაკლებად იხმარება. „შეხე, ბიჭო, ამ ჩემანალამ თვალეებით არ დამქერა?“ (გურამ რჩეულიშვილი).

დაქლიავდა – გამოშტერდა, გაოგნდა (შდრ. „ქლიავი“). „ადგილზევე დაქლიავდა, ამპულები რომ ველარ ნახა!“ (გია ლომაძე).

დაქნეული<sup>1</sup> – სამსახურიდან გათავისუფლებული, მოხსნილი. შდრ. „დაიქნიეს“. „ხელისუფლების მიერ დაქნეული მამაჩემიც ველარ გვეზმარებოდა მატერიალურად“ (მელორ სტურუა).

დაქნეული<sup>2</sup> – შერეკილი. „ქალი გაგიჟდა. ალბათ, იფიქრა ეს მთლად დაქნეული ყოფილაო“ (გიორგი კაკაბაძე).

დაქოთა – გალახა, სცემა. შდრ. „ქოთი“. „ისე გამოიყვანა, თითქოს მთელი რესტორანი მარტოს დაექოთოს“ (ზურაბ სამადაშვილი).

დაქოთვა – გალახვა, ცემა. (შდრ. „ქოთი“). „რა პრობლემაა მაგათი დაქოთვა!“ (ზურაბ სამადაშვილი).

დაქოქილი – გაქნილი, გაიძვერა. სინონიმი „შებერტყვილი“ (იხ.). სალიტერატურო ქართულში იგივეა, რაც „მომართული“ (საათი, ავტომანქანა...), სამოქმედოდ გამზადებული. დაქოქილი ადამიანი, როგორც ჩანს, გულისხმობს საეჭვო საქმიანობისთვის, სხვათა გასაცურებლად მუდმივად შემართულ, მზადმყოფ ადამიანს. „დიდი დაქოქილი ვინმე გახლდათ“ (ზურაბ სამადაშვილი).

დაყუდებული – დამარცხებული. „კოჟანი მიაჩზე კიევის ოთხი გუნდი გვეყავდა დაყუდებული ადლერში“ (აკა მორჩილაძე).

დაყუმბარებული – დამარცხებული. „– დომინოში მყავს დაყუმბარებული სუყველა და ვერ მიტანენ“ (რეზო ჭეიშვილი).

დაშმონა – გაჩხრიკა. (შდრ. „შმონი“). „– დაშმონეთ? – ფრთხილად, ხვლიკი არ ამოყვეს ჯიბიდან“ (ზაურ კალანდია).

დაცემაა – იტყვიან, როცა ძალიან მოსწონთ რამე (ანუ: ისე მომწონს, რომ შეიძლება ამის გამო წავიქცეო; მეტისმეტი მოწონებისგან [ჩემი] დაცემაა მოსალოდნელი. შდრ. „ვეცემი“). „– მაგარია, არა? – თქვა კანკამ. – დაცემაა, ბო[ზ]ის [გა]ზრდილი რომ ვიყვე, – უპასუხა ამირანამ. ასე შეაფასა ამ ორმა ჯამბულას სიმღერა“ (ლაშა ბულაძე).

დანერა<sup>1</sup> – დაჭრა ცივი იარაღით (ყარგონში აღდგა „ნერა“ სიტყვის თავდაპირველი, უძველესი მნიშვნელობა – ჭრა, კვეთა). „ერთი მოხუცებული ცოტათი დავნერეთ, მაგრამ, ვგონებ, არაფერი მოუვა“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

დანერა<sup>2</sup> – სექსუალური ურთიერთობა იქონია (სუბიექტი – მამაკაცი). „...ნელინადში ორ წიგნს მაინც წერს და თავის სტუდენტებს ავალდებულებს, ის წიგნები თუმნად იყიდონ (...). – ჯერ ცოლი დანე-



როს, როგორც საჭიროა. ვარიანტი არ არის, იმ ქალს საყვარელი არ ჰყავდეს!" (გელა ჩქვანავა).

**დანვა (სიტუაცია)** – გაერკვა (სიტუაციაში). (შდრ. „მონვა<sup>2</sup>“). „მე უკვე დავწვი სიტუაცია და საკბილო ვიგდე ხელთ“ (გიორგი კაკაბაძე).

**დახატა** – კარგად გააკეთა; სხვა პირისთვის სასურველი რამ მოიმოქმედა. „ლეილას გაელიმა და დიდედას გადმობირებას დამპირდა. იმ სალამოსვე შეასრულა კიდევ. დიდედამაც „გაასწორა“, მაშინდელი ჟარგონით: „დახატა“: – რა უშავს, წავიდეს. სწავლას წინ რა დაუდგება. თანაც ახლა“ (ვახუშტი კოტეტიშვილი).

**დახურა** – ყველას აჯობა, ყველაზე უკეთ გააკეთა რაღაც (ჰიპერბოლურად: ისე კარგად გააკეთა საქმე, რომ იმ დარგში გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა, ის დარგი უნდა გაუქმდეს, დაიხუროს). „ფუტბოლი დახურა ხართიშვილმა“ (რომან მიმინოშვილი).

**დედა აეხა** – ევფემიზებული გინება; მოიშალა, გაფუჭდა. „სახლში მისულს აბსოლუტურად ყველა ონკანი გაფუჭებული დამხვდა ერთის გარდა და მხოლოდ ერთი ჭალი დარჩა, რომელიც მუშაობს. ყველაფერს დედა აეხა“ (გიორგი კაკაბაძე).

**დედააფეთქებული** – ევფემიზებული გინება. „მარა ეგ დედააფეთქებული ხო თვითონ მბავედაო“; „რა შარში გამხვია ამ დედააფეთქებულმა!“ (ლაშა ბულაძე).

**დედამინერილი** – დედაგაუპატიურებული (შდრ. „დანერა<sup>2</sup>“). „ქალაქი პლენანოვი მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე დედამინერილი უდაბნოს კიდეზეო“ (აკა მორჩილაძე).


**დედანაქაჩი** – ევფემიზებული გინება. „რატო არიან ეს დედანაქაჩები ასეთი ნაგლები, ამიხსენით რა?“ (გიორგი კაკაბაძე).

**დედიკოს ბიჭი** – დედის იმედად, დედის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ჭაბუკი. „მინდა ისიც ვამიგო, რომ რომანტიკოსი და დედიკოს ბიჭი არა ვარ და ვერც ეგეთებს ვიტან“ (მიხო მოსულიშვილი).

**დეჟურნი** – მორიგი ტყუილი (შემოკლებული „დეჟურნი ტყუილი“. რუს. дежурный – მორიგი). „– იცის, ტო, გიგი ჩამომსვლელია? იცის... დეჟურნი მითხრა“; „– ეხლა არ თქვა დეჟურნი, ფულს დაგიტოვებო, – ორივეს გაგვეცინა“ (აკა მორჩილაძე).

**დერსკობა/ძერსკობა** – თავხედობა. (რუს. дерский – თავხედი). „– ოო, დერსკობას აქვს ადგილი“ (აკა მორჩილაძე); „– ბოლო-ბოლო მეც ვინწავლი ძერსკობას“ (ლაშა ბულაძე).

**დეფექტური** – ჭკუნაკლული. „– ვაი თქვე დეფექტურებო! – წამოიძ-



ახა აქამდე გაყურებულმა გიამ" (თემურ ჯღარკავა); „**დეფექტური** და დეფორმირებული. - ვინაა, ბიჭო, დეფორმირებული, ჰა?" (გურამ რჩეულიშვილი).

**დეფორმირებული** - გადაგვარებული (ადამიანი). „- **დეფექტურია** და **დეფორმირებული**. - ვინაა, ბიჭო, დეფორმირებული, ჰა?" (გურამ რჩეულიშვილი).

**დვიჟენია** - ამბავი. (რუს. движение - მოძრაობა, მიმოსვლა). „...დავლანდე ერთ-ერთი მანქანა, რომელშიდაც მისივე ასაკის ტიპი იჯდა, ძაან შენუხებული, ლოდინი რო ეზარება **დვიჟენიაში**"; „ფეხბურთის დაწყებამდე ჯერ გვარიანი დრო იყო დარჩენილი, ლუფი რომ გათავდა. ჰოდა ყვითელი და ჰელჰამერა გავიდნენ დაბავკის **დვიჟენიაში**" [დამატების, შემომატების ამბავში (რუს. доставка - დამატება)] (გიორგი კაკაბაძე).

**დვიჟენია აინია** - [რაღაც] ამბავი მოხდა. (იხ. „დვიჟენია“). „როგორც საერთო მეგობრებმა მითხრეს, ჩინგიზი სოლოლაკში ცხოვრობდა, იქვე ბაბუაჩემიც ცხოვრობდა და დაახლოებით ვიცი, რა **„დვიჟენიებიც“** ინოდა, ასე ეთქვათ“ (გიორგი კაკაბაძე).

**დიდი მომავალი ეჭყანება** - დიდი მომავალი ელის. უმეტესად ირონიული გაგებით ამბობენ. „დაჭყანვა“ ანუ „დაჯღანვა“ სახის დამანჭვას ნიშნავს. ეს გროტესკული გამოთქმა ასე უნდა გავიგოთ: თითქოს [ვილაცას] ბედი დიდ მომავალს უქადის, ბედი უღიმის, მაგრამ ზედმეტი გულმოდგინების გამო [ბედს] სახე ემანჭება, ღიმილი სახის მანჭვაში გადადის. „**მერმუნეთ, ქართულ დემოკრატias პლანეტაზე დიდი მომავალი ეჭყანება**“ (ოტია ჩართოლანი).

**დილიხორი** - სურვილი. „შენ იმ წინკვს რატომ აეკიდე? - **დილიხორი** მქონდა“ (ნოდარ დუმბაძე).

**დიშოვი** - იაფფასიანი; გოიმური (იხ.). (რუს. дешёвый). „**რასაც ვერ ვიტან, დიშოვი** პონტები ნავიდა, სხვისი ნომრიდან დარეკვა და ბებიჩემის პანიკა ალბათ იქ, და იმ ოჯახის ნევრებს არეკინებდნენ“ (გიორგი კაკაბაძე).

**დოყელა** - ძალიან ბევრი, ყელამდე. რუსულ-ქართული „ჰიბრიდი“ (რუს. ნინდებული დო - „-მდე“ + „ყელი“. შდრ. „ყელამდე სავსე - რისამე ჭარბად მქონე“. - ქეგლ, ტ.8: 521). „**საქმე მაქ დოყელა**“ (ინტერნეტი); „**მაგ კინოს ფანი ვარ და მაგათი საუნდტრეკები დოყელა მაქვს**“ (ინტერნეტი).

**დროში ინვება** ან **დროში იჭყლიტება** - დრო არ ჰყოფნის, ვერ ასწრებს. „**დროში** ეგრევე **ვინვებოდი**, მაგრამ სამუშაოს გაცდენაც



არ მინდოდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „მე ლოდინისთვის, არა მცალია... მე დროში ვიჭყლიტები“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

(ს)დრუზა – გაარტყა. „ცალი ხელი ქეროში წავავლე და მეორეთი გემოზე ვდრუზე ყურისძირში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

დურა – პისტოლეტი, რევოლვერი. ქართულ ჟარგონში შემოსულია რუსული ქურდული ენიდან. „დურის ტარებისთვის სროკს ნუ ამკიდებ, არ მეკადრება მე, მურტალოს, იარაღზე ჯდომა“ (ნოდარ დუმბაძე); „ევეგენი ალექსანდროვიჩმა დურა დაუძრო. დაძრობა ესე არ უნდაო და იშვლიპა იმანაც... ატყდა ბაზარი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

დუხი – სულისკვეთება. (რუს. дух – სული; სულისკვეთება). „რა ვქნა, მიყვარს ეს ბოშები. რალაც სხვანაირი დუხით მღერიან“ (გიორგი კაკაბაძე).

**ეაპასნება** – სახიფათო ეჩვენება (რუს. опасный – სახიფათო). ნამყო სრული – „ეაპასნა“. „*ეგ ევასება შიგნით, გულში, მარა პახოდუ ეაპასნება*“; „*მაგის ცოლიც ხან დაჯდება, ხან ადგება და ეგ ცოლი მეაპასნა*“ (აკა მორჩილაძე).

**ეზაზრა** – ელაპარაკა, ეყბუდა (შდრ. „ბაზარი“ და „ბაზრობს“). „*გუშინაც ბევრი გებაზრე*“ (ჯანსუღ ჩარკვიანი); „*ეზაზრებოდი პინგეინებს*“ (ვახტანგ ჯავახაძე).

**ეზანძემა** – ბანძი ჰგონია (იხ. „ბანძი“). „*22 წლის ანუკი ნერდა „ფეის-ბუქში*“, რა საშინელება იყო ის ქალი ანაკლიაში. კომუნისტურად, როგორ გაექანა და ჩავარდა ზღვაში. ატყდა „*ფეისბუქზე*“ ერთი ამბავი – დასცინიან, ხა-ხა-ხა, სხედან კაფეებში და ბოდიში, *ეზანძე-ბათ* ეს ქალი. სინამდვილეში, თავის თავში მონახონ პრობლემა“, – *განაცხადა სააკაშვილმა*“ (ინტერნეტი).

**ეგოიმება** (რალაც) – გოიმობა ჰგონია (რალაც). (შდრ. „გოიმი“). „*– მაგრა მეგოიმება სიტყვა მიყვარხარ და ვაფშე ამაზე ლაპარაკიც ძაან მიტყდება*“; „*ეს ძველბიჭური, ვითომ დასტოინი რალაცეები, აი, მაგრა მეგოიმება... არ გენყინოს... მოეშვი, რა...*“ (ლაშა ბულაძე).

**ეგრევე** – სალიტერატურო ქართულში ეს არის ვითარების ზმნი-ზედა და ნიშნავს – „მაგვარადვე“, „მაგნაირადვე“ (მაგ., „*ეგრევე დატოვე, როგორც არის*“, – იგივეა, რაც „*მაგნაირადვე დატოვე, როგორც არის*“), ჟარგონში კი დროის ზმნიზედის მნიშვნელობას იღებს და ნიშნავს: „მაშინვე“; „ახლავე“. „*ეს რომ დავინახე, ეგრევე ვიყიდე, მერე რაც მოხდებოდა*“; „*ყველა ეგრევე შეატყობს, ამ ფილ-მით რალაცას რომ ასწავლიან*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.). ორივე ამ მაგალითში „ეგრევე“ ნიშნავს „მაშინვე“-ს. „*რათ მინდა, ომში ვარ ნამყოფი, მრეკეთ ეგრევეო*“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.). აქ „ეგრევე“ ნიშნავს „ახლავე“-ს.

**ეგრეხება** – ცოდვად, დანაშაულად მიაჩნია. (იხ. „გრეხი“, შდრ. „ეპა-ზორება“). „*გაიკეთე რა, შე დალოცვილო [გრიპისგან თავდასაცავი პირბადე], თუ გინდა, რას ტიპობ და გეგრეხება. ეჰჰ!*“ (გიორგი კაკა-ბაძე).

**ედერსკა/ეძერსკა** – თავხედურად მოექცა (რუს. дерзкий – თავხედი). (შდრ. „*ედერსკობა/ძერსკობა*“). „*გ ზაში გაიფიქრა: იქნებ, ეგეც ჩვეუ-*



ლებრივი, ბანძი თბილისელი ტიპშაა და უნდა, რო მაგარი ვეძერსკო, როყები დაუკერო და იმენნა გრუზინული შეუყვანო?! რავი, ჩხუბი უნდა მაგ ჩემისას?! ეს სირი კოკა უნდა რო ფეხში დავჭრა თუ რა ვქნა, ჩემი კაი?!.. როყების დაკერვას ეხა ნახავს, რა!"; „– უცხოს პონტში ნუ მელაპარაკები, გოგო... ნუ მეძერსკები! – გაბრაზდა კოტიკო"; „მაგარი ნაგლი ტიპი სნავლობს-მეთქი ჩემთან, რო გიყვებოდი, მაგარი მეძერსკა-მეთქი... ე, ეგაა!.."; „– ჩემ დიანასთან გიძერსკია, ძმაო, ჩემ ხელში გაზდილ ბოვშთან!..“ (ლაშა ბულაძე).

ევასება – მოსწონს; სიამოვნებს. „სქელი ხარ და თხელები გევასება“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ის მოწინავე სტუდენტი გოგოც ევასებოდა“; „ამ წუთში ყველაზე უფრო წიგნის კითხვა მევასებოდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „ევას ადამ ევასა და ადამს ევა ევასა, – სხვა არც ჰქონდათ ვარიანტი ადამსა და ევასა“ (ვახტანგ ჯავახიძე).

ევას პავაროტი – უკანალი (რუს. поворот – მოსახვევი). წარმომავლობა უცნობია. „აბა, მაშ, სად დაჩერჩეტ-დაპრონიალობს? ჯვანდაბაში და დოზანაში და ევას პავაროტში, (...) ეშმაკმა იცის მაგის თავი და ტანი“ (ზაზა ბურჭულაძე).

ვიაზგება – გესლიანად ელაპარაკება (შდრ. „იაზვობა“). „ერთი ქაჯია, რა... მეიაზგება რალაცეებს“ (ლაშა ბულაძე).

ვიმაშვება – ვინმეს უშვრება რალაცას, რისი დასახელებაც არ სურთ. „– აუ, რა გინდა, დედა მომიკვდეს?! – ნერვები აეშალა კოტიკოს, – ხო ხედავ, რო მაგრა ცუდად ვარ... რას ვეიმაშვები?!.. ჩემთვის ვარ, რა...“; „– ე ბიჭო, მითხარი, რა... რას ვეიმაშვები! – კოტიკო ცხვირწინ ჩამოუჯდა შოთას“ (ლაშა ბულაძე).

ენაგლა – თავხედურად მოექცა. (რუს. наглый – თავხედი). „– ვის ენაგლე, ბიჯო? ვის გოუბედე?..“; „მაგარი ნაგლი გოგოა და უთხარი, მეთქი, ნუ მენაგლები-თქო, ცოტა ისე, რა... რო დამეიზმენებია... ხოდა, ამისთვის უთქვამს...“ (ლაშა ბულაძე).

ეპადხოდება – ეარშიყება, ცდილობს დაიყოლიოს სასიყვარულო ურთიერთობაზე. სინონიმები: „აბამს“ (იხ.), „ახვევს“<sup>2</sup> (იხ.). მომდინარეობს რუსული სიტყვიდან подходить – მიდგომა. „აბა, ამას ეპადხოდები? – გაიკრიჭა ზურა“ (აკა მორჩილაძე).

ეპაზორება – ერცხვინება (რუს. позор – სირცხვილი). „სულ ცალ ფეხზე კიდია საქართველოს მოსახლეობას ლიბერალიზმი და არც სოციალურ მოთხოვნებს არ აყენებს, რატომღაც „ეპაზორება“ ეს“ (ინტერნეტი).

ერთუჯრედიანი – პრიმიტიული, გონებრივად განუვითარებელი

ადამიანი. „ო! რა ამაღლებული მოვალეობის გრნობით და რა ცხოვრების საზრისის დაგემოვნებით ვუნერგავდი ჩემს „ერთუჯრედიანებს“ ჭეშმარიტებებს!“ (მაკა მიქელაძე).

ერხვევა – ცუდადა აქვს საქმე, უჭირს. ნამყო სრული „დაერხა“ (იხ.). „ხელმძღვანელობას ფერებში ერხვევა, რუხს რომ ნაცრისფერს დაუძახებს. რუხი საცაა ჩაშავდება და იფეთქებს, ნაცრისფერს აფეთქება სად შეუძლია“ (მაკა ჯოხაძე).

ესპორება – ეკამათება. (შდრ. „სპორობს“). (რუს. спор – კამათი). „მორჩი რა, ალექს, რას გვესპორები, შენ თვითონ განყენს ფული?“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ეტენება – ახლო ურთიერთობას ცდილობს მასთან, ვისაც მისგან შორს უნდა თავის დაჭერა. „იმთავითვე ასეთი ბედი მაქვს, ვისაც ვერ ვიტან, აქეთ მეტენება“ (ზურაბ სამადაშვილი).

ეტრიპაჩება – ედიდგულება; ეტრაბახება. (შდრ. რუს. трепач – ლაქ-ლაქა, ცრუპენტელა). „ნეტა ვიცოდე, რას მეტრიპაჩები, რას მიმტკიცებ მაგ შენი ყვეყრული პრინციპულობით“ (დიანა ვაჩნაძე).


ელადავება (ერთპირიანი გაგებით: ელადავება მას, და არა – ელადავება ის, მას) – ლადაობის (იხ.) გუნებაზეა. „ზარის ხმა კარზე. – იგინივე და ქმარი! – ამბობს გიო. – გელადავება, არა? – მწარედ კითხულობს ნანა“ (ლაშა თაბუკაშვილი).

ემუტკავება – ეხუმრება. (რუს. шутка – ხუმრობა). „რაღაცეებს ვემუტკავები. იცინის“ (მაკა მიქელაძე).

ემუხურა – ეჩხუბა (იხ. „მუხური“). „ვანომ ელიზბარს ჰკითხა, ის გაღმელები თუ ნახე, გუშინწინ რომ „ემუხურეო“ (ზაალ სამადაშვილი); „ახლა აქეთ გვემუხურები?!“ (ნოდარ დუმბაძე).

ემხები – სალიტერატურო ქართულში სიტყვა „ემხი“ (სილამაზე, სიტურფე, მომხიბლაობა) მრავლობითში არ იხმარება. მრავლობითი რიცხვის ფორმით ის ჟარგონის კუთვნილებაა. ადამიანის გარეგნულ სილამაზეს, ცხადია, მრავალ კომპონენტთა ერთობლიობა განაპირობებს. „ემხი“ ამ კომპონენტთა ერთობლიობის ზემოქმედებით გამონვეული მთლიანი შთაბეჭდილებაა. ჟარგონში კი ამ მთლიანი შთაბეჭდილების დანაწევრება ხდება პატარ-პატარა „ემხებად“, რომლებიც თითქოს ცალ-ცალკე ახდენენ ესთეტიკურ ზემოქმედებას სილამაზის აღმქმელზე. „მთელი ჩემი ემხები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სრულად გაფურჩქნილი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

ემხების ტრიალი – ფიზიკური სილამაზის შემადგენელ კომპონენტთა ხელსაყრელი კუთხით წარმოჩენა მათ მიერ მოგვრილი შთაბე-



ჭდილების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით. „განავადრდეთ ჩემი ეშხების ტრიალი და ეგეთები“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

ეშხით (ვილაცის, რალაცის) – გამო; ხათრით; პატივისცემით. „– ფრანგული ხომ არ გვესწავლა ამის ეშხით? – მკითხა მეუღლემ ამას წინათ, როცა დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის მიერ მონყობილი გამოფენიდან დავბრუნდი და ამ ცენტრის საინფორმაციო ფურცელი ვაჩვენე“ (ირაკლი ლომოური).

ეშხის რამეა – ძალიან კარგი რამეა. „– აბა, ბიჭებო, ხინკალი... სანამ ცხელია! – ეშხის რამეა, აი!“ (რუსლან ღონლაძე).

ეჩალიჩება – ეარშიყება. (შდრ. „ჩალიჩობს“). „– ნაღდად მეჩალიჩება და მეც თითქოს ვაბამ, რა... – განავადრდო ლაშიკომ, – მარა ძალით, კონიკ, დედას გეფიცები... რა ქვია იმას... რეფლექსის პონტში... მე... აი იმენნა, მე ვაფშე არ მინდა მაგასთან სერიოზნი რამე, მარა ვილაც მეორე, ნაგლი ლაშიკო მაინც აწვება, რა!.. მაგარი გაორება გამეჩითა... თან სუ ანასტასიკაზე ვფიქრობ, კონიკ... რამე არ გაუჩალიჩონ, ბოზიშვილი ვიყო!..“ (ლაშა ბუღაძე).

ეჭოჭება – ცუდადა აქვს საქმე (შდრ. „დაუჭოჭა“). „ესაა, რომ თითებში გეჭოჭება, არა გაქვს და თითქოს მაინც გტეხავს და გექავება“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

ვაბზე - საერთოდ. (რუს. воонше). ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმა-  
რებული სიტყვათაგანი ქართულ ჟარგონში. „- მიუნხენშია გადაღე-  
ბული. მიუნხენში ვაბზე სხვა პონტია“ (აკა მორჩილაძე).

ვალაკუშა უჭირავს - სეირნობს (რუს. волочиться - ყიალი). „ტოვოს  
და ჩიორას რუსთაველის პროსპექტზე „ვალაკუშა ეჭირათ“ -  
სეირნობდნენ“ (გია ლომაძე).

ვაჟნობს - მედიდურად უჭირავს თავი (შდრ. რუსული важный -  
სერიოზული). „თვითონაც შესანიშნავად ხვდებიან, რომ მათი  
ადგილი სულაც არ არის საბავშვო ატრაქციონების გვერდით და  
ეს რომ გამოხატონ, ანუ თავი რომ დაიცვან, „ვაჟნობენ“ („ცხელი  
შოკოლადი“).

ვარიანტი<sup>1</sup> - სუფრა, ქეიფი. „გუშინ ქეთისთან ვიყავი, ვარიანტი იყო  
პატარა“ (ჯემალ თოფურაძე).

ვარიანტი<sup>2</sup> - შანსი, შესაძლებლობა. „ხო აზრზე ხარ, კაცი მთელი  
თავისი სიცოცხლე არ ყოფილა ნამდვილად მარტო და უცებ ვარი-  
ანტი გამოუჩნდა, იმას ეპატიება პირფერობა“ (დალი ფანჯიკიძე.  
თარგმ.).

ვარიანტის შედგენა - მოფიქრება იმისა, სად ვიქეიფოთ. „ახლა დაი-  
წყეთ „ვარიანტის“ შედგენა. შეადგინეთ? კეთილი. შედით ნებისმიერ  
რესტორანში“ (ნოდარ დუმბაძე).

ვარიანტში (ნათესაობითში დასმულ სიტყვასთან) - მსგავსად, ყაიდ-  
აზე. „ჯერ იყო და რალაც „საზრიანთა კლუბის“ ვარიანტში სუვე-  
ნირად დაგვირიგა ჟურნალისტის განუყრელი იარაღი - ფანქარი“  
(გიზო ნიშნიანიძე).

ვაფშემც - სულაც, საერთოდაც. (რუს. воонше). „ვაფშემც ეგეთი  
ტიპი მინდა ვიყო...“ (შალვა ბაკურაძე).

ვერ არის - კარგად ვერ არის; აფრენს. „კვლავ ეცინება... - შენ დღეს,  
მგონია... - რა გგონია? - ვერა ხარ რაცხა! - ვითომ? - ჩემმა მზემ! -  
ვიმკურნალო? - აუცილებლად!“ (იორამ ქემერტელიძე).

ვერხი - უკიდურესი, უმაღლესი. (რუს. верх - თავი, მწვერვალი).  
„მამაჩემი რო უკვე დაღუულია აქ, ვაფშე ჩემთვის ეგ არი ვერხი, რო  
ნევროზები და ამბავი [დამენყოს]“ (აკა მორჩილაძე).



ვერხი აილო – აჯობა, მოერია. მომდინარეობს რუსულად გამოთქმიდან *взять верх*. „ჯერ ერთმანეთს დასცხეს ჩემი გულისთვის და ვინც ვერხი აილო ახლა მე მომდგა ხელების ფათურით“ (გია ჭუმბურიძე, თარგმ.).

ვესი – წონა, ავტორიტეტი. (რუს. вес – წონა). „...ბიძაჩემი დგას ჩვენ ბალკონში (...), ფიქრობს, რა ვქნაო, არ უნდა უმამაჩემოთ (...). რატო, ვესი არა გაქ?“ (აკა მორჩილაძე).

ვეცემი – ძირს ვვარდები. ამბობენ, როცა ძალიან მოსწონთ რაღაცა. „და როგორც თინეიჯერები თანამედროვე მუსიკაზე, ისე მე ალექოს მანიფესტებზე – ვეცემი“ (დავით ქართველიშვილი).

ვიდერშკა – თავშეკავება. (რუს. выдержка). „აბა, ჩემი და გაპარულიყო. მარა ვიდერშკა იმაზეც ექნებოდა. მამაჩემს ქონდა ეგეთი რამეები“ (აკა მორჩილაძე).

ვიდზე (არ/ვერ) არის (დგას) – კარგად (ვერ) გამოიყურება (რუს. вид – შესახედობა, გარეგნობა). „ვიდზე ვერ ვიყავი, – ალბათ ასე გაიმართლებდა თავს, გამწარებულ ქმარს მისი ადგილსამყოფელი რომ არ გამოეთვალა და იქ არ დადარაჯებოდა იმ ყინვიან ღამეს იანვრის მიწურულისა“; „– ეგრეა, ამ ქვეყანაში ისეთ ვიდზე უნდა იდგე, ვითომ ცოცხალმკვდარი ხარ“ (აკა მორჩილაძე).

ვილკების ყრა – ბაქი-ბუქი (შდრ. „ყელში ჩანგლებს იყრის“. რუს. вилка – ჩანგალი). „მძლოლს მოადგა ვილაც ნასვამი ნაწყლი, ფული მჭირდება და მომეო. ამან არ მაქვსო, იმან დაიწყო ვილკების ყრა“ (გიორგი კაკაბაძე).

ვიშკა – სასჯელის უმაღლესი ზომა (რუს. высшая мера наказания). „ამაზე სულ გამეცინა. იმან ვინლა უნდა მოკლას მეთქი, ნათიას გულისთვის კაცს მოკლავს და ვიშკაზე წავა?“ (აკა მორჩილაძე).

...ვნახე დამწვარი – ამბობენ ისეთ რაღაცაზე, რისი დარდიც აღარა აქვთ, აღარ ანალვლებთ, რა მოუვა, რა დაემართება. „დოლი ვნახე დამწვარი, ქორწილზე დოლის დამკვრელი ვარ ანაი მე?“ (რევაზ მიშველაძე).

ვსმისლე – ანუ; რაც ნიშნავს. (რუს. всмысле). „შორტებში იყო და მუხლებზე ზვიოზდოჩკები ქონდა. ნაკოლკები რა. მეთქი, ეს ქურდათ დასვეს იქა, თუ როგორ არი. პროსტო, ისეთი ნაკოლკები იყო, ქურდული. მინახია ადრე. მუხლებზე, ქურდული, ვსმისლე, არ დავიჩოქეფ“ (აკა მორჩილაძე).

- ზ -

**ზაადნო** – ბარემ. (რუს. заодно)...*ამერიკაში მივდივარო და ზაადნო, ეს ბიზნესი მიგრევიო*“ (აკა მორჩილაძე).

**ზადერჟკას აძლევს** – ფერხდება; ყოყმანობს (რუს. задержка – შეფერხება, ყოყმანი). *...და მეთქი, ვა, ვახო, სადა ხარ დაკარგული და ყოველთვის კაი სალამი გვქონდა, ეხლა კიდე რალაცა ზადერჟკას აძლევს, მიყურებს და ეს ხელი ესე მაქ გამოშვერილი და ისეთ პონტში ჩამორთმევას აგვიანებს*“ (აკა მორჩილაძე).

**ზადნი არ იცის** – არაფრის წინაშე არ იხევს უკან (რუს. задний ход – უკან სვლა). *„მაგან ზადნი არ იცის!“* (მიხო მოსულიშვილი).

**ზადნი (ალ)არ იქნება** – უკან დახევა (ალ)არ გამოვა. შდრ. რუსულად задний ход – უკან სვლა. *„მაიცა, მაიცაო, ვინა ხარ შენაო, ერთი მეუნება. ვის ეძეფო. მეთქი, ზადნი აღარ იქნება. მეთქი, მე ვეძეფ ჩემ მამიდაშვილს, რო მივიდე მიულოცო და ჩავეხუტო, გამოპარულები არიანთქო*“ (აკა მორჩილაძე).

**ზადნით** – უკან სვლით (რუს. задний ход). *„ნელა გამოვიყვანე ზადნით (მანქანა) და მერე მოვწყვიტე ადგილიდან“* (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ზადნისტი** – ვინც უკან დახევას არის ჩვეული (ბრძოლაში, ჩხუბში...). შდრ. რუსული задний ход – უკან სვლა. *„თან ძეგველები არიან, ხო აზზე ხარ. ძეგვი, აზზე ხარ? თუ რამეა და ეგრევე სროკზე წავლენ. პროსტო, ჩხუბისთვის, თორე რამე გაგებას კი არ აწვებიან. პროსტო, ძეგველები არიან. არი ხო იცი ეგეთი ადგილები, რო ზადნისტები არ არიან და ჩვენი ახლობლის დეიდაშვილები იყვნენ რა...“* (აკა მორჩილაძე).

**ზამასკაშია** – ნაგებული აქვს და გადახდას ვერ ახერხებს. ქართულ ფარგონში შემოსულია რუსული ქურდული ენიდან. სერგეი სნეგოვის ლექსიკონში „замазка“ განმარტებულია როგორც „ნაგება“. (შდრ. „ფუფლო“). *„შენი ხელობაც ეგ არი, რო ის გაგებაში არ არი, მარა კაიბიჭურს რო აწვება, ზამასკაში როა, სულ ვაფშე გიყდება“; „ის ზამასკაშია-მეთქი, ვალი აქ და უნდა ითამაშოს“* (აკა მორჩილაძე); *„აქ უკვე „ზმენები“ ავიკიდე და „ზამასკაში“ დავრჩი (გავახაროთ ამ ტერმინებით მოსაუბრენი)“* (გიორგი კაკაბაძე).

**ზამაშკები** – მანერები. (რუს. замашка – ჩვევა) *„რა ბოზური ზამაშკები გაქ? – ეწყინა ია ზონას“* (აკა მორჩილაძე).



ზაპოებში მიდის – ლოთობს. (რუს. запой – ლოთობა). **ზაპოებში მიდის ხოლმე და აწვალეებს ჩემ დას**“ (აკა მორჩილაძე).

ზასაობს – კოცნაობს (რუს. ზმნიდან засосать – გამონოვა, გამონუნ-  
ნა). „– რა გაციინებს, რა, – შეუყვირა ზურას, – დაახვიე აქედან, ვერ  
ხედავ, რომ ვზასაობთ?“ (აკა მორჩილაძე).

ზახოდი – ნარკოტიკის ერთი დოზა (შდრ. რუს. заход – შესვლა).  
„– გავიჩხიროთ? – ჰკითხა ტოგოს. – საიდან? – მაქვს ერთი ზახო-  
დი...“ (გია ლომაძე).

ზედა აქვს – გარანტირებული აქვს (თითქოს „ზედ“, ანუ საკუთარ  
სხეულთან ახლოს, ვთქვათ, ჯიბეში აქვს). „ნარმატება ვერევე ზედა  
აქვს“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

ზექსზე დგას – სადარაჯოზე დგას. „გაიხსენე, ვის ედექი იმ საღამოს  
ზექსზე“ (ტარიელ ქანტურია).

ზმანი – ტანსაცმელი. შდრ. „დაზმანული“. „მიყვარს ცხენზე ბლა-  
ტაობა, კოვბოური ზმანებით, ტაშ-ყიჟინა არ მაკლია იპოდრომის  
ფანების“ (ჟურნალი „სარკე“).

ზნაჩიტ – მამასადამე. (რუს. значит). ზოგჯერ უარგონი ბარბარიზმე-  
ბებს მიმართავს მამინ, როცა მშობლიური შესატყვისისი ძალიან  
მნიგნობრულია, როგორც ეს „მამასადამე“ (შდრ. „იმენ(ნ)ო“ და მისი  
ქართული შესატყვისი, ერთობ მნიგნობრული „სახელდობრ“). „რაბ-  
ანც მოგუდა, ზნაჩიტ ბოლომდე გაბრიდა?!“ (მიხო მოსულიშვილი).

ზლაპრებს ახეთქებს – იტყუება; ფანტაზიორობს. (შდრ. „დაახეთქა“).  
„...ერთი-ორმა ია ზვამ არ დაუჯერა – სიაბანდი ვინმეა, ზლაპრებს  
ახეთქებსო“ (თამაზ ნატროშვილი).

თავზე აზის – ამჟამად სჯობნის, დიდი უპირატესობა აქვს მონი-  
ნალმდეგესთან შედარებით. „იღბალი არა გვაქვს, თავზე ვასხე-  
დით, იმათ მოიგეს: ოთხით ერთი“ (ნოდარ დუმბაძე).

სასაუბრო მეტყველებაში „თავზე დაჯდომა“ ვინმეზე გაბატონებას,  
ვინმეს დამორჩილებას, თავგასულობას ნიშნავს (იხ. თ. სახოკიას  
„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“), ჟარგონში კი, როგორც  
ვნახეთ, ცოტა განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება.

...თავზეც გავიარე – იტყვიან, როცა უნდათ ვინმე დაამცირონ,  
შეურაცხყონ. „ყველა რესპექტაბელურის და წიგნების ჭიის თავზეც  
გავიარე, ვისთვისაც რალაც არაორდინარული და მგრძნობიარე,  
სიგიჟე და პათოლოგია წარმოუდგენელია“ (გიორგი კაკაბაძე).

(თავის) ადგილზე მოსვეს – უსაფუძვლო პრეტენზიის მქონეს ის ადგ-  
ილი მიუჩინეს, რომელსაც სინამდვილეში იმსახურებდა. „თუ პრე-  
ზიდენტმა კიდევ ერთხელ არ მოსვა თავის ადგილას მისი პარტია,  
შესაძლოა საქართველოს სახელისუფლო კრიზისი დაემუქროს“;  
„პრეზიდენტმა სოფლის მეურნეობის მინისტრი ადგილზე მოსვა“  
(გიორგი უძილაური).

თავისას ერეკება – დაჟინებით, სხვისთვის ანგარიშგაუნევლად  
ქადაგებს თავის აზრს. „ავტორიტეტა თავისას ერეკება, მე – ჩემ-  
სას“; „შენ მაინც შენსას ერეკები, ძმაო“ (ზაურ კალანდია).

თავის მოტორზე ვერ/არ არის – გუნებაზე ვერ არის, კალაპოტიდა-  
ნა ამოვარდნილი, ფორმაში არ არის. „ვერ იყო თავის მოტორზე,  
კინალამ მარიცას შეუხსნა კარი“ (მიხო მოსულიშვილი); „ვხედავ, ვერ  
არის თავის მოტორზე და ხუმრობას ვცდილობ...“ (ზიძინა მაყაშვილი).

თავში ფეხი აქვს – გიჟია, აფრენს (თავში ყველაფერი თავდაყირა  
აქვს). „თავში ფეხი არ უნდა გქონდეს, მაგის ფილტვების და ვაქუ-  
ცული პალტოს პატრონი აქეთ-იქით დაფრატუნობდე ამ თოშ ბნელ  
ღამეში?“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

თაზა – ახალთახალი („თაზ“ სპარსულად და სომხურად ახალს ნიშ-  
ნავს). „თითო ბრიაჟკაში ოთხ-ხუთ კაცზე მეტი არ გადიოდა და სწო-  
რეც იყო; ვთქვათ და თაზა მანქანის აწევას მოინდომებდი – ოთხი  
ზუსტად ჯდება, ექვსზე კი უკვე მთელი ბაზარი იწყებოდა“ (გია  
ჭუმბურიძე. თარგმ.).



თამაშიდან გავიდა – თავი გაანება საქმეს (სეპარატულად), რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა. „მაშინ მე გავდივარ თამაშიდან“; „იქნებ ემინია, მომავალში საქმე არ გაიხსნასო და თამაშიდან გასვლას ცდილობს?“ (გურამ ფანჯიკიძე).

თანხა გაიკრა – ფული იშოვა. „ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ ეძლევა ასეთი შემთხვევა, როდესაც მართლა შეიძლება ცოტაოდენი თანხა გაიკრა“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

თეთრი – არაყი. „ლოგიკურად ასეთი დღეები თუ არ იწყება, თეთრით მთავრდება მაინც ხოლმე და ამჯერადაც ასე მოხდა, არაყი დაიდო!“ (გიორგი კაკაბაძე).

თესლი – უღირსი; განუვითარებელი ადამიანი (განვითარების ადრეულ სტადიაზე შეჩერებული). „სიძვე კეისარი გეყოლება, ეიბენბაუმ, ვინმე თესლი კი არა, კეისარი...“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

თიშად ეძინა – ღრმად ეძინა (გათიშული იყო). „თიშად მეძინა, ძმებო, იმ ღამეს“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

თიში – გამაოგნებელი, გრძნობა-გონების გამთიშავი. „ქალი ხარ გიჟი, ტანი გაქვს თიში“ („ახალი ეპოქა“).

თომარი – ლაპარაკი, საუბარი (მომდინარეობს ებრაულიდან). „ჩემზე რომ ყიამყრალი თომარი დაიწყოს, სკოტლანდ-იარდში ჩემზე რამე მართლა ხომ არ მოიძებნება?“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.); „უნდა უსტვენდე, რომ დაყაბულდე მსაჯულ-ვექილთა თაღლითურ თომარს“ (დავით წერედიანი. თარგმ.); „მთელი დღე ისმოდა ქურდული თომარი“ (ტარიელ ჭანტურია).

ამ ბოლო დროს „თომარმა“ მნიშვნელობა იცვალა. იხ. „ნაეთომარა“.

თომარი გაუშვა – ლაპარაკი დაიწყო. „– ნახე, ანდრო, რა თომარი გაუშვა ბარიგამ“ (ნოდარ დუმბაძე).

თომარობს – ლაპარაკობს. „რა ზე თომარობდით?“ (ნოდარ დუმბაძე); „რას თომარობ? – ვერ გაერკვა შვილი“ (გურამ გომართელი).

თოხლი – საჭმელი; პურმარილი, ქეიფი (ებრაულიდან). „გუშინ თოხლი იყო!“ (ზურღან გემაზაშვილი).

თრინჯული – გაუგებარი. „ისეთი თრინჯული ენით ლაპარაკობენ, რომ მე ნახევარი ვერ გავიგე“ (აკაკი ბელიაშვილი).

იადა - მიხვდა (შდრ. „დაიიდა“). სინონიმები: „მოიიდა“ (იხ.), „იყიდა“ (იხ.), „*მე კი თავიდანვე ვიადე... ეშინოდა დამაჭედებსო*“ (აკა მორჩილაძე).

იავნათ - აშკარად, ცხადად. (რუს. явно). „*ეს დასალევი იავნათ არ მყოფნის*“ (აკა მორჩილაძე).

იაზვობა - გესლიანი ლაპარაკი (რუს. язва - გესლიანი, ავი ენის პატრონი). „*დაიცა, ბრატკა, - ვეუბნები, - ეგ რა მესმის? მნივნობართა ენაზე მაგას სარკაზმი ქვია, ჩვენში იაზვობას ეძახიან*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

იაზვურად - გესლიანად, სარკასტულად (იხ. „იაზვობა“). „*აბა, კიდე კარგი, - ვეუბნები ცოტა იაზვურად, - თვითონ აქამდე ვერ ისწავლე კითხვა, ბნელო?*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

იაზრა - მიხვდა, აზრზე მოვიდა. სინონიმი „ისქესა“ (იხ.). „*გიორგი-მაც დააპირა გაქცევა, მაგრამ ვიაზრეთ და ვტაცეთ ხელი*“ (ზურაბ სამადაშვილი).

იასნდება - ცხადი ხდება (რუს. ясный - ცხადი). „*ამდენი ხანი მეგონა, რო კაცის ცოდვა მაქკისერზე და ვდრუგ იასნდება, რო არა მაქ*“ (აკა მორჩილაძე).

იბაირამა - დრო ატარა. (შდრ. „ბაირამობა“). „*ნახევარი წელი კიდეც იბაირამა, მაინც გამოიჭირეს*“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

იგრილა - დრო ატარა. სინონიმი „იგუგუნა“ (იხ.). „*მაგარი ნაშები იყვენენ, მაგრა ვიგრიალეთ*“ (ჯემალ თოფურიძე).

იგრუზება - ცუდ გუნებაზე დგება, გუნება უმძიმდება. (შდრ. „გრუზავს“). „*...ალარ შემიძლია ეგეთი რამეები, ახლოს ვერ მივდივარ, ვიგრუზები უბედურებისგან. (...) მე პანაშვიდებზე ვიგრუზები და ეხლა კიდე ცოცხალი, მაგიდებზე დაწვენილი, სუფთა ტრუპი იყო. ტრუპი რა, მიცვალებული*“ (აკა მორჩილაძე).

იგუგუნა - იქეიფა, დრო ატარა. სინონიმი „იგრილა“ (იხ.). „*- აუ, გუშინ რა ვიგუგუნეთ, - თქვა მაკუცუნამ*“ (აკა მორჩილაძე).

იდეამ დაარტყა - იდეა მოუვიდა. „*თავში ერთმა იდიოტურმა იდეამ დამარტყა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

იდეინი მასტი - იდეური, იდეოლოგიის მქონე ადამიანი. (შდრ. რუს.



იდენный და „მასტი“). „ესეც მოჴდება კეთილდღეობის საზომში, თბილისურ სტანდარტში – ღიპი, მანქანა, ცოლი და საყვარელი. ეს მერე იქნება, ან არ იქნება, თუ მართლა იდენი მასტია“ (მარინა ელბაქიძე).

იზმენა – ეჭვი; გაურკვეველობა. (რუს. измена – ღალატი). (შდრ. „დაიზმენდა“). „...კაცი ვერ გაიგებს, რა ეტაკა. დარბაზი იზმენაშია. ნახევარი მოთქვამს, ნახევარი ჩურჩულებს: „რა მოუვიდა?! რა დამართა?!“ (მაკა მიქელაძე).

იზმენებშია – ორჭოფობს; ეჭვიანობს. (შდრ. „დაიზმენდა“ და „დაიზმენებული“). „პუპას მაგრა გაუსწორდა, კახამ დაიკიდა და მე კიდე იზმენებში ვარ, ტო – არა ვგავარ და რანაირად ვარ ევროპელი!“ (მიხო მოსულიშვილი).

ითრია – ხელში ჩაიგდო, მოიპოვა. იგივეა, რაც „დაითრია“ (იხ.). „ეგეთი სახლია. მიტოვებული... კაი ბიჭებმა ითრიეს“ (აკა მორჩილაძე).

იკაჩავა – ვერბალურად (სიტყვიერად) იაქტიურა (ძველბიჭურად იკამათა). (შდრ. „პრავაკაჩატი“). „გოგოები ისევ შთაბეჭდილებების ქვეშ იყვნენ: „აუ ბავშვმა რა იკაჩავა“, – ამბობდა ერთ-ერთი“ (გიორგი კაკაბაძე).

იკისრა – სალიტერატურო ქართულში ვალდებულების აღებას ნიშნავს (მაგ., „ზარალის ანაზღაურება თვითონ იკისრა“), ჟარგონში კი – რაიმეს გაკეთებას, ჩადენას. „ის ყველაფერს იკისრება“, „– გინდა, რამე ნაღდი ადამიანური ვიკისრო?“ (ჯემალ დავლიანიძე). იხმარება სამპირიანი ზმნის ფორმითაც: „ნახე, რა მიკისრა იმ დამპალმა?“ (ზურაბ ჩილაჩავა).

იმაშვება – აკეთებს (შვრება) რალაცას, რისი დასახელება რატომღაც არ უნდათ. (შდრ. „ეიმაშვება“). „ნადი რა, მერე ვფიქროფ, ბავშვებს მიუნეჭი და უსმინე, როგორ ძინავთ. რას სპოროფ და იმაშვები“ (აკა მორჩილაძე).

იმენ(ნ)ა – სახელდობრ (რუს. именно). ძალზე ხშირად იხმარება ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში, უმეტესად სრულიად უადგილოდ, ანუ პარაზიტ სიტყვად გვევლინება. ქართული „სახელდობრ“, განსხვავებით მისი რუსული და გერმანული (nämlich) შესატყვისებისგან, მეტისმეტად მნივნობრულად ჟღერს და ქართულ სასაუბრო მეტყველებაში არ გამოიყენება. „კახა: რახანც მოგუდა, ზნაჩიტ ბოლომდე გაბრიდა?! პუპა: მოგუდვა, სიმონ, როგორც იმენა მოგუდვა, არი იმენა გაბრედვა – ბოლომდე და ძალიან!.. მაგრამ რატო ევასებათ ამ ვენეციელ ნაშებს იმენა აფრიკელი კლიენტები,

ვერ გავიგე, რა!"; „ისიც დაჯდა, სიმონ, ბოზოს დაარქვა იმენა ოტელო და ვითომ ბოლოში სუ მთლად იბრიდება...“; „მაიცა რა! ლადავი, როგორც იმენა ლადავი და ეგეთ სიტუაციაში?“ (მიხო მოსულიშვილი); „თან ლეინო მაგარი, ტანინი სულ ეგრე რალაცეებსა შვრებოდა პირში. თან ვერ ვიფიქრე, მეთქი, იმენა დავლიო თუ პროსტო დავლიო“ (აკა მორჩილაძე).

იმის დედა ვატირე! – მეორე პირისადმი ნათქვამი სალანძღავი „შენი დედა ვატირე!“-საგან განსხვავებით, მესამე პირისადმი მიმართული „იმის დედა ვატირე!“ დიდ მონონებას გამოხატავს. „ხინკალს აკეთებს, იმის დედა ვატირე!.. მიმიქარავს ჯოკონდას ღიმილი!“ (ჯემალ ქარჩხაძე).

ინსტრუმენტი – ცივი იარაღი. „კაცს რომ დაარტყამდა, ინსტრუმენტი“ შიგნით რჩებოდა“ (ჯემალ თოფურაძე).

ინფარქტზე მუშაობს – ისეთ რამეს ეუბნება ან უწყობს ვინმეს, რომ გული გაუხეთქოს (გულის ინფარქტი დამართოს). „მეოთხე შეკითხვით აშკარად ინფარქტზე მუშაობთ. ოღონდ ვაითვალისწინეთ, ქალებს იშვიათად უსკდებათ გული“ (მაკა ჯოხაძე).

იპლეტა – გაიქცა, მოკურცხლა (მდრ. „იპლეტი იყიდა“). ეტიმოლოგია იხ. „დანართი“, გვ. 175. „ფოსტიდან ვიპლეტე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

იჟმოტა – იძუნნა. (რუს. жмот – ძუნნი). „ჩემს ღმერთს ვთხოვე, ღმერთო, სიყვარული მომეცი, თუნდაც ერთი-ორი კვირით, და მერე ყველაფერს ავიტან-მეთქი. პოდა, მომცა და თან ერთი-ორი კვირით, და მერე, რომ მორჩა, ვეკითხებოდი, იმ კაცს კი არა, ჩემს ღმერთს, რატომ იჟმოტე, რა იყო ეს ერთი-ორი კვირით-მეთქი. რაც მთხოვე, ის მოგეციო. აზრზე ხარ?“ (სოფიო კირვალიძე).

ირტყამს – იტყვიან ქალზე, რომელიც თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებას ეწევა. „- აბა, ირტყამს?“ (აკა მორჩილაძე).

ისქესა – მიხვდა, იგრძნო. „ეგრევე ვისქესე, რომ ცუგო მომსვლელი არაა“ (გია ლომაძე); „გინდაც ესქესათ, აგერ არ იყო ძმაკაც-პროკურორი?“ (გურამ დოჩანაშვილი).

იტალიური (გამოთქმაში: „არ დამინყო იტალიური!“) – ჭკუისდამრიგებლური ლაპარაკი; საერთოდ – ნერვების მომშლელი ლაპარაკი. „როცა მოვკვდები, არ დამინყოთ იტალიური, ინტურისტიდან დიდი ურნით გამომასვენეთ“ (ნოდარ დუმბაძე); „არ დამინყო ახლა იტალიური... ჯოპია ვარიანტი ჩავაგდოთ“ („ნიანგი“).

იტასავა – ისეირნა, იხეტიალა. „დღეს ნავიდეო, ქალაქში ვიტასავოთ“ (თინა ყორჟოლიანი).



იტოგში – ჯამში, საბოლოო ანგარით (რუსული სიტყვა იტო – ქართული თანდებულით გაფორმებული). „გითხარი, ძმაო, ეგრეა იტოგში“ (რეზო ჭეიშვილი).

იუზგარ – მეგობარი, ძმაკაცი. „დავიღალე, იუზგარ.., – ამოიოხრა ამბოკაძემ“ (ნოდარ დუმბაძე); „...ჩემი იუზგარა იყო ვახო, ანუ – მეგობარი (ოცდაათიან წლებში ეს „იუზგარ“, „შეჩემასი“ არ იყოს, სახადივით მოედვა თბილისს)“ (რევაზ თვარაძე).

იქოქება – [ნელ-ნელა, თანდათან] საჭირო კონდიციამდე მიდის. „დასაწყისში ვთქვი, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მიხილ მარმარინოსის სპექტაკლის მხოლოდ პირველი ნაწილი ვნახე. შესანიშნავი საბაბია – კიდევ ერთხელ ვიხილო ეს დადგმა... მით უმეტეს, რომ ფიზიკური მოქმედების თეატრში წარმოდგენა, როგორც წესი, ნელ-ნელა, ასე ვთქვათ, „იქოქება“ ხოლმე – ჩვენი მსახიობებისთვის ისედაც უცხოა ეს სტილი და მათ როლზე თანდათან მორგება სჭირდებათ... ეს ის შემთხვევაა, როცა, წესით, ყველა მომდევნო სპექტაკლი წინაზე უკეთესი უნდა იყოს“ (გიორგი გვახარია).

იყიდა<sup>1</sup> – მიხვდა. „ეს რომ დავინახე, ეგრევე ვიყიდე, მერე რაც მოხდებოდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „სანამ რამეს დაუმატებდა, ძმებო, უკვე ვიყიდე კიდეც, რას მეტყოდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

იყიდა<sup>2</sup> – მოქრთამა. „რას ერიდებით, ვის ერიდებით, ხარაბაძეს? გიყიდეს? აგავსეს ოქროებით?“ (ნოდარ დუმბაძე).

იყიდება – თავს ამჟღავნებს, ვერ ახერხებს თავისი ნამდვილი სახის დაფარვას. ნამყო სრული „გაიყიდა“ (იხ.). „რაც შეეხება ცრუ მოლაპარაკეს, როგორც ძველ დროში იყვნენ ცრუ წინასწარმეტყველებიც, ისინი ადვილად იყიდებიან“ (ზურაბ კიკნაძე).

იყნოსა – იგრძნო, მიხვდა (შდრ. „მოყნოსა“). „ვინმემ რამე ხომ არ იყნოსაო, თვალს აქეთ-იქით გააცეცებდა“ (ზაურ კალანდია).

იშკილებიდან დავარდა – სულიერად დაეცა, მხნეობა დაკარგა. „ლენტომ შეაღვიძა დახლზე ჩაყვინთული ხიმშია, ფული მიუთვალა, მხარზე ხელი მოუთათუნა, გაამხნევა. – აბა, აბა, იშკილებიდან არ დავარდე“ (ოთარ ჩხეიძე).

„იშკილი“ სპარსულად „მოტყუებას“, „გაიძვერობას“ ნიშნავს და ქართულში ყალთაბანდობის, ოინის, ხრიკის სინონიმია. „იშკილები“, „ხოში მაქვს“, „ბითურია“, „არა რო!“... აი შენი სიტყვების საუნჯე და სალარო!“ (იოსებ გრიშაშვილი).

„იშკილი!“ – მიაძახებდნენ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში კინო-

მექანიკოსს, როცა რამე ტექნიკური მიზეზით ფილმის ჩვენება დროებით შეწყდებოდა (მოგვიანებით ასეთ დროს „მეხაშესა“ და „საპოჟნიკს“ გაიძახოდნენ): „*ეკრანი ციმციმებს... ზედ არაფერს აჩვენებენ... - იშვილ! - მოისმა ეხლა ბონი ხმით... „უფრო მონიტორ-გენტოებმა“ ამ სიტყვას გვერდი აუარეს, მაგრამ სამაგიეროდ ფეხებით და „ტროსტებით“ ასტეხეს იატაკზე ბრაზუნი*“ („ტარტაროზი“, 1927, № 124, გვ.11).

**იჭერს** – სასიამოვნოა. სინონიმი „ასწორებს“ (იხ.). „*მაგრათ იჭერს გარმონი ბნელში და ეგრე გარმონ-გარმონ შემაცვილეს მატარებელში*“ (აკა მორჩილაძე).

**იჩითება** – აქტიურად, ინტენსიურად მონაწილეობს რამე საქმეში (უფრო სასიყვარულო თავგადასავლებში). „- *რა ვიცი, ქალებში მაგრად იჩითებაო, ამბობენ*“ (ზურაბ სამადაშვილი).

**იჭრება** – ეშლება, შეცდომა მოსდის. „*მანდ იჭრები, სწორედ ფროიდს მასე არ ესმოდა*“ (ნაირა გელაშვილი).

**იხვის ტოლმა** (გამოთქმაში: ... არა, იხვის ტოლმა) – წარმოთქვამენ აგდებულნი ტონით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ, სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო. მისი სინონიმებია „ტოროლა“ (იხ.), „ფლავი“ (იხ.), „ნიახური“ (იხ.). „- *გასვარა ხომ პატიოსანი კაცი! - აღშფოთდა მღვდელი. - გასვარა არა, იხვის ტოლმა...*“ (ნოდარ დუმბაძე).

კაიბიჭურს აწვება – კაიბიჭად მოაქვს თავი. „შენი ხელობაც ეგ არი, რო ის გაგებაში არ არი, მარა კაიბიჭურს რო აწვება, ზამასკაში როა, სულ ვაფშე გიუდება“ (აკა მორჩილაძე).

კაი ტიპობაში – კაი ბიჭობის, კაი კაცობის ამბავში (კაი ბიჭობის, კაი კაცობის გამო). „ესე იგი, კაროჩე, დაბრეცილისთვის უჩუქებია კაი ტიპობაში“ (აკა მორჩილაძე).

კაიფარიკობა – ნარკომანობა (შდრ. „კაიფი“). „ათასიდან ორმოცდაათი თუ იყო ისეთი, ვისი „კაიფარიკობაც“ საიდუმლოს არ წარმოადგენდა“ (მიხეილ ანთაძე).

კაიფი – ნარკოტიკული ნივთიერების მიღებით გამოწვეული თრობა; გადატანით: ნეტარება, სიამოვნება (ფონეტიკურად მცირეოდენ სახეცვლილი იგივე სიტყვაა, რაც არაბულიდან შემოსული „ქეიფი“). „დაეინყე თვალების ტრიალი, მანჭვა-გრება, ცმუკვა და სიცილი, ვითომ კაიფში ვარ-მეთქი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „შენ რა, – მეუბნება მცირე პაუზის შემდეგ, – კაიფში ხარ? – კაიფში არა! – ვბრაზობ, – საიდან მოიგონე“ (ზურაბ სამადაშვილი); „მაგას ერთი საქსაფონი ან კლარნეტი ყურის ძირში და წავიდა კაიფი...“ (მაკა ჯოხაძე).

კაიფობ? – შეკითხვის ფორმით წარმოთქმულმა ამ სიტყვამ, რომელიც პირდაპირი გაგებით ნიშნავს: ნარკოტიკებს მოიხმარ? (შდრ. „კაიფი“ და „კაიფობს“) ამ ბოლო დროს სემანტიკა იცვალა და ნიშნავს: ხვდები? აზრზე ხარ? „– ვაბშე, რა ხდება, მთელი ქურჩა იბრიდება... რა ხდება, ტო, კაიფობ?“; „რა კლიენტი იყო, ტო... ჩემი ძმა ხო, მაგასთან... კეროჩე, იცი ეგ ამბავი, ძმები იყვნენ, მაგარი სხვანაირი ძმები. ფაქიზოს ეძახდა. ვკაიფობდით მაგრა... ყველანი დაიხოცნენ, თუ კაიფობ, მოგელ, ტო... – ყველა, – თქვა პლებანოველმა მოგელამ“ (აკა მორჩილაძე).

კაიფობს – ნარკომანია. (შდრ. „კაიფი“). სინონიმი „წამალზე ზის“ (იხ.). „გაბოსგან გამკვირვებია, არასდროს მჯდარა წამალზე. ის კი არა, იმათაც ვერ იტანს, ვინც კაიფობს“ (ზაურ კალანდია).

კაიფში გაიპარა – ნარკოტიკული ნივთიერების ზედმეტი დოზის მიღების შედეგად გარდაიცვალა. „...როცა მისი უმცროსი ძმა, ირაკლა, კაიფში გაიპარა (ცხონებული კუს ტბაზე, ბულბულეების ქალაში

იპოვეს. შარვალჩახდილს ბარძაყში ჰქონდა შპრიცი გარჭობილი, როგორც თვითონ ამბობდა, რალაც გადაეკეტა“; „ძმაკაცი და თანამებრძოლი, ენრი ჭკუასელი გაეპარა კაიფში. საცოდავი საბარგო ლიფტში აღესრულა – გაჭედებულ ლიფტში იჩხირავდა ხოლმე“ (ლაშა ბულაძე).

კამპოტი – სიტუაცია; საშარო საქმე, ხათაბალა. „(ეს) კამპოტი გვინდოდა?“ (ზურღან გემაზაშვილი).

კამფეტი – სასიამოვნო რამ. „ისინი გვარნმუნებდნენ, რომ „ლუბიანკა“, „ლეფორტოვო“ და „ბუტირკა“ კამფეტებია, აქ (სოლოვკიში. – ლ.ბ.) მოგველისო უდიდესი წამებანი. თან გვიამბობდნენ სოლოვკის უსასტიკესი კარცერების ამბავს“ (კონსტანტინე გამსახურდია).

კარგი ნაჭერია – სექსუალურად მიმზიდველი ქალია. „ეგ გოგო კარგი ნაჭერია, გიგ“ (თამაზ ნატროშვილი. თარგმ.).

კარგმინგრეული – ეფემიზებული გინება. „რა გჭირს, შე კარგმინგრეულო, რა ხმით ლაპარაკობ?“ (რეზო ჭეიშვილი).

კარენოი – ძირძველი; ძირეული, მკვიდრი (რუს. коренной). „...აქ „სულით სოფლელებსა“ და „სულით პროვინციელებზეა“ საუბარი, როგორებიც „კარენოი“ თბილისლებს შორისაც მრავლად არიან“ (გიორგი კაკაბაძე).

კარმანშიკი – ჯიბის ქურდი (რუს. карман – ჯიბე). „ჩვენაო კინო ტარზანს უყურებდითო და კიდე ერთი კინო იყო, კარმანშიკზეო, ავარა“ (აკა მორჩილაძე).

კაროჩე – მოკლედ, ერთი სიტყვით (რუს. коротче – უფრო მოკლედ). „– კაროჩე, ზამთარში წამოვიყვანე თბილისიდან პერეველამდე“ (ბაადურ ბალარჯიშვილი).

კარუსელი – რამდენიმე ერთდროული გადაადგილება თანამდებობრივ პოსტებზე. „– იმაზე ნუ სწუხარ. უნარიანი მუშაკია და არც იმას დავაზარალებთ (...). პატარა კარუსელს დავატრიალებთ და ორთავენი კარგად იქნებით. – რას დაატრიალებთ?.. – მოკრძალებით იკითხა მალხაზმა (...). – რამდენიმე ერთდროულ გადაადგილებას, სიმოკლისთვის, „კარუსელს“ ვუნოდებთ. ეს, მაპატიეთ, ჩვენი უარგონია (...). აი, ახლა, მეორე მდივანი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადაგყავს, მის ადგილზე მდივანს ავირჩევთ, მდივნის გამოთავისუფლებულ ადგილზე ბეჟიკოს დავანიწაურებთ; ბეჟიკოს ადგილზე კი შენ დაგნიშნავთ. გაიგე, რა ყოფილა კარუსელი?“ (გიორგი ციციშვილი). ამჟამად – საარჩევნო მაქინაციების ერთ-ერთი სახეობა (როცა ერთი ადამიანი რამდენიმე საარჩევნო უბანზე აძლევს ხმას).



**კაჩაობა** – ძველბიჭური ლაპარაკი; ძველბიჭობა. (შდრ. „პრავეკაჩაობა“). „დაინყეს კაჩაობა, რა უბნელები ხართო და რალაცეები. ჰეჰ, მეთქი, თქვენ სად იყავით, მე რომ ვკაჩაობდი. – აი ამ ბოლო სიტყვებზე ვერაფრით ვერ შევიკავე ღიმილი, მაგრამ ვერ დაინახა. რას კაჩაობდი, სად კაჩაობდი! 5 თეთრს იღებ ქსეროქსში, შეჩემა, იცხოვრე ნორმალური ადამიანივით და დაეტიე შენს კანში, რა!“ (გიორგი კაკაბაძე).

**კეთილებს უტრიალებს** – სასტიკად აგინებს. „...თუ ახლავე არ ავდექი, ჩაიდანნი დედას შემაგინებს! ის არ მეყოფა, რომ საკუთარი კუჭნანლავი უკვე ერთი საათია კეთილებს მიტრიალებს?!“ (დიანა ვაჩნაძე).

**...კეთილებში გაისეირნა** – აგინა. „ალარა ვართ ბნელებიო“, მეუბნება, თანაც ჩემს კეთილებში გაისეირნა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**კენჭი** – ტყვია (გარეგნული მსგავსების გამო). „უკვე არც იყო დასამალი, იარაღი სჭირდებოდა, რევოლვერი – ერთი მჭიდი „კენჭებით“ (ზაურ კალანდია); „ხუთ წუთში თავში გექენება მაკარას (მაკაროვის სისტემის პისტოლეტის. – ლ.ბ.) კენჭი“ (აკა მორჩილაძე).

**კვერცხი** – უღირსი (ადამიანი). „იმ მომენტში, როცა კვერცხი კოსტენრს ის ვილაც კვერცხი აბსოლუტურად ტყუილად ესვრის ვინტოვკიდან, კინალამ გავვიყუდი“ (გიორგი კაკაბაძე).

**კვერცხული პონტი** – სულელური, აბსურდული, კურიოზული ვითარება. „– სუ ერთი წამი, რა... ნახვალ რა, ეხავე... პროსტა, მთელი დღეა იმენნა გიჟივით ვარ... და ვაფშე ეს დღეებიც... დამელაპარაკე მაინც, ტო... რალაც მითხარი... მაგარ კვერცხულ პონტში ვარ...“ (ლაშა ბულაძე).

**კიკიმორობა** – პრანჭვა; სიყალბე. „ვეგულისხმობ საბავშვო ტელევიზიას, სადაც კორესპონდენტებიც, გადაცემის წამყვანებიც და სტუმრებიც ბავშვები იქნებიან, იქნება ყველაფერი მხოლოდ ბავშვებისათვის და ბავშვების შესახებ, არანაირი კიკიმორობა, პრანჭვა და დიდობანას თამაში, როგორც „რუსთავი 2“-ზე არის, მაგრამ არა მგონია, ვინმემ თავი მოაბას ამ ტელევიზიას“ (ინტერნეტი).

**კიკიმორობს** – იპრანჭება. „ნუ კიკიმორობ, ვახო [გარდაცვლილის ვაჟი] გირეკავს, უპასუხეო“ (გიორგი კაკაბაძე).

**კირუხი/კირუხიანი** – უიღბლო (აზარტულ თამაშებში); მარცხიანი. „– რაც მოვიდა! – წამოიწია წაკუზულმა და სანგარზევით გაყარა კირუხი ზარები [კამათლები]. – დუშაშია“ (რეზო ჭეიშვილი); „ხო მთე-



ლი ცხოვრება მაზავს და ხო არი კირუხიანი (...). პუტანკის ჭკუაზე  
რო ცხვარს მიიყვან ეკლესიაში, კირუხიანი ხარ, აბა ვინა ხარ. იმთა-  
ვითვე კირუხი ხარ“ (აკა მორჩილაძე).

კიტაროზი - ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ:  
„კიტერუს - ცუდი სიტყვაა, გინებაა“. „დიდი კიტაროზი ვინმე ჩანს,  
როგორც ორთაჭალაში იტყვიან ხოლმე“; „შე კიტაროზო! განა არ  
ვიცი, შენ რომ გამოზარდე ის გველის წინილი!“; „ასეა, ძმაო, ვინც  
რისკავს, შამპანურსაც ის შეექცევა, მე ვიყო კიტაროზი!“ (მიხო  
მოსულიშვილი).

კლიზმა - აუტანელი, ნერვების მომშლელი ადამიანი. „ის კლიზმა  
გოგო წავიდა და მალე ისევ მობრუნდა“ (გიორგი კაკაბაძე).

კლიენტი - ადამიანი, კაცი (აგდებულად). „რეზო ვაუჟაცურად ებრ-  
ძოდა სიცილს, ერთი-ორჯერ ჩაიფხუკუნა, - ნახე რა კლიენტიაო...“  
(ზურაბ სამადაშვილი); „- ვაა, შენ რა მაზალო კლიენტი ხარ“ (რუს-  
ლან ღონლაძე); „ნაღდი კლიენტი იყავი, ამიტომ გვეჭაშნიკები“ (ვახ-  
ტანგ ჯავახაძე).

კოდლა - ჯგუფი, გუნდი, გაერთიანებული არცთუ მთლად მისაღე-  
ბი ინტერესებით (რუს. кодыла). „მაგარი შიზოიდები არიან მთელი ეს  
დობტურები და მათი კოდლა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

კოზირი - უკანალი, საჯდომი. (შდრ. „კოზლა“). „ნუნუ ექიმზე ქათ-  
ქათა კოზირიც (...) მქონდა“ (მაკა მიქელაძე).

კოზლა - საჯდომი, უკანალი. როგორც ჩანს, მომდინარეობს რუს.  
козлы-დან, რაც მეეტლის დასაჯდომს, კოფოს ნიშნავს. „ჩატენიან  
თავიანთ ქონიან კოზლას ჯინსში“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.);  
„...მეჟდუნაროდნით ნადი, ყოსტკში კოზლა არ გეტკინოს“ (ნოდარ  
დუმბაძე).

კოკმაზურად - გადაპრანჭულად. „გული უცნაურად ამიძგერდა,  
ამდენი ლამაზი ქალები და კოკმაზურად მორთული ახალგაზრდები  
რომ დავინახე“ (კონსტანტინე გამსახურდია).

კონო - კონიაკი. „მიყვარს შამპო-კონო-შოკო“ (ქართლოს კასრაძე);  
„ჩვენ კონოსა და შამპოს ვსვამთ“ (გურამ გომართელი).

კონცერტ(ებ)ი დადგა - (ირონ.) იყვირა, აყალმაყალი ატეხა. „თურმე  
ვარკეთილში, მის ეზოში ცხოვრობდა მავანი ბარიგა, რომელსაც  
ერთ დღეს ნიღბიანი „თანამშრომლები“ დაადგნენ და აიყვანეს. აქ,  
ცხადია, ატყდა ისტერიკა, დედამ ალბათ კონცერტები დადგა, მამამ  
ღრიალი მორთო...“ (გიორგი კაკაბაძე).

კონია - სოფლელი, გლეხი („კონია“ - საკუთარი სახელის „კონსტან-



ტინეს“ მოფერებითი ფორმა დასავლეთ საქართველოში), *„მალაქი კონიებით გაივსო, წადი, შვილოსა, სახლში, კოჭი გააგორეო!“* (კოტე მახარაძე).

**კრამიტებდაჩოჩებული** – შერეკილი, ჭკუასთან მწყრალად მყოფი (თავქარიანი ადამიანი შედარებულია ცუდად დახურულ სახლთან). *„კიდევ დაულევია. გაუდვია ურო ბეჭზე და ისედაც კრამიტებდაჩოჩებული, ღვინისგან ალგ ზნებული მიდგომია ბეტონის ღვინის“* (რეზო ჭეიშვილი).

**კრახი** – უგვანი, უჯიშო, საძაგელი. *„შენ რას უშვებ მაგ კრახს აქ?“*; *„აბა, მარტო მაგ კრახს ვაჭამო? – იმ გოგოზე მეკითხება“* (ირინე ბაქანიძე).

**კრიშა** – მფარველი, პროტექტორი (რუს. крыша – სახურავი). *„მაფიური კლანების ერთი „კრიშა“ მეორეს გადასძახებდა – თქვენს სახსენებელს ამოვადებო“* (ნანა აროშიძე).

**კრიშა აქვს წასული** – გიჟსა ჰგავს (თითქოს სახურავი – რუს. крыша – აქვს ახდილი. შდრ. „კრამიტებდაჩოჩებული“ და „შიფერდაცურებული“). *„სადაო, შვილო, დალაგებით თქვი, სადა ხდება ეგ ჰამბავიო! – სამველას უკვე კრიშა აქვს წასული“* (მიხო მოსულიშვილი).

**კრიშავს** – მფარველობს (შდრ. „კრიშა“). *„...ახლობლებს და ნათესავებს არანაკლებ და ზოგჯერ უკეთესადაც „კრიშავს“ ლარცულიანი“* („ლიტერატურული საქართველო“).

**კრუგში გაშვება** – ერთი ღერი სიგარეტის, ერთი ჭიქა სასმელის ან მისთანათა ჩამოტარება ისე, რომ ყველამ გაუსინჯოს გემო. (რუს. круг – წრე). *„არ დამბრიდონ ამათ აქ მე და ეს მაკუცუნა არ გაუშვან კრუგში“* (აკა მორჩილაძე).

**კუდზე შეაჯდა** – დაედევნა (ფარულად). *„იარალის ტარებას ვუფრთხი, შეიძლება კუდზე შეგაჯდნენ და სულელურად გაფუჭდე“* (ზაურ კალანდია).

**კუდი** – მოთვალთვალე, პოლიციის ან უშიშროების სამსახურის აგენტი. *„ახალი ლიტერატურა ჩამოვიტანე, აქაურიც და უცხოურიცო, – ქსეროქსზე გადაღებული ფურცლების შეკვრა ამოიღო საშამ, გაუნოდა. მერედა არ გეშინია, კუდეები რომ აიდევენო? [ციხიდან] გამოსვლის შემდეგ იმდენი კუდი გამიჩნდა, მე კი არა, იმათაც ველარაფერი გაუგიათ თავბედისა, – გაიცინა საშამ“* (მიხო მოსულიშვილი).

**კუტოკი** – ამხანაგთა, თანამზრახველთა ჯგუფი. *„შენ ხო გესმის, რომ მარიშკასნაირ ქალს სუ არ ესიამოვნებოდა ეს ამბავი თავის ყოფილ შეყვარებულთან და იმის კუტოკთან“* (მიხო მოსულიშვილი).



კუჭის წვენი ამოუღო – ძალიან მაგრად აკოცა ტურჩებში. „გოგოს  
ბესოს ტურჩებში ეძგერა... – არ ამოუღო კუჭის წვენი! – აღტაცება  
ვერ დაფარა ალექსანდრემ“ (რეზო ჭეიშვილი).

- ლ -

**ლაპატნიკი** – საფულე (რუსულ ქურდულ ენაზე – лопатник). „რა ლაპაზად გამოჩნდა ის ტყავის ლაპატნიკი... მსუქანი, ელეგანტური ლაპატნიკი... ლაპატნიკი რვა ათასი დოლარით გატიკნილი“ (ლაპა თაბუკაშვილი).

**ლატკავს** – ფარავს (ერთი სესხით მეორეს). (რუს. латка – საკერებელი). „ბანკებში პატარა სესხები როაო, ისინი გამოაქ და მერე ლატკავს იმეებით ერთმანეთსო და ვერ ლატკავსო“ (აკა მორჩილაძე).

**ლაყაფები** – სპარსულიდან შემოსული „ლაყაფი“ და მისგან მიღებული „ლაყბობა“ უძველესი დროიდან იხმარება ქართულში უაზრო, ხანგრძლივი, თავმომაბეზრებელი ლაპარაკის მნიშვნელობით. სალიტერატურო ქართულში მრავლობითში არ იხმარება, მრავლობითი რიცხვის ფორმით ჟარგონის კუთვნილებაა. „ლაყაფები არ იყოს!“ (ქართლოს კასრაძე).

**ლაყაფი გაუშვა** – იყბედა. (მდრ. „ლაყაფები“). „დამიხედე ამ ძუკნას, რა მაჭამა, რა ლაყაფი გაუშვა?“ (ზაურ კალანდია).

**ლანო** – შემოკლ. ლანირაკი. „-კარგი, დაანებე თავი... ნერვიულობენ ლანოები!“; „როგორ მინდა გაგტყუბოთ, თქვენი შიშით სკამზე რომ ველარ ვჯდები! უჰ, თქვე ლანოებო!“ (ლაპა თაბუკაშვილი).

**ლეტნად არი** – ჭკუასთან მწყრალად არის, აფრენს. „დაუსტვინა, გეუბნები! გუშინ ხო ვუთხარი, შენ რაღაც ლეტნადა ხარ-მეთქი“ (ნაირა გელაშვილი).

**ლენა** – დაღია (ალკოჰოლიანი სასმელი). „ერთიცა ვლენოთ, ერთიცა, - / ლხინს ნუ ვაკადრებთ ნერტილსა“ (მუხრან მაჭავარიანი).

**ლიმონი** – მილიონი. ერთი სიტყვის მეორე, მსგავსი უღერადობის სიტყვით ჩანაცვლება კონსპირაციის მიზნით. „ოპერაციის ხუთივე მონანილეს... უნდა დაგვრჩეს ერთი ლიმონი. – რამდენი? – ვერ გაერკვა რამაზ კორინთელი. – ერთი ლიმონი. „ერთი ლიმონი“, – გაიმეორა გონებაში კორინთელმა, – „ეტყობა ძალიან ბევრია“ (გურამ ფანჯიკიძე); „ერთი „ლიმონი“!.. – მუქარასავით კბილებში გამოსცრა ჯიქურ სანებლიძემ“ (იუზა ყაჭეიშვილი).

**ლიოჩიკის გული აქვს** – მამაცია. (რუს. лётчик – მფრინავი, პილოტი). „შენა, ძმაო, სუსტი გული კი არა, „ლიოჩიკისა“ გქონიაო“ (პავლე ჩარკვიანი).



ლიჩნად – პირადად. (რუს. лично). „მე, „ლიჩნად“, არ დავნებდები!“  
 (მიხო მოსულიშვილი).

ლომების პარადი – ძლიერთა, დიდად სახელგანთქმულ ადამიანთა  
 თავყრილობა. „ანდრონიკაშვილმა მოზრდილი ალბომი კახა იმნაძეს  
 მიანოდა. – თენსინგ ნორგეი... ჯომოლუნგმა... რვაათასიანები...  
 ლომების პარადი“; „ლომების პარადი უნდა გავმართოთ! – გამოაც-  
 ხადა კახამ“ (მიხო მოსულიშვილი).

ლომკები – კრუნჩხვები, რომლებიც ნარკომანს ეწყება, თუ დიდი  
 ხნის განმავლობაში ვერ მიიღო ნარკოტიკი (რუს. ломка – ტეხა,  
 მტვრევა, მსხვრევა). იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც:  
 „ზღვისა და ქალების ხსენებაზე აზიზოვს „ლომკები“ ეწყება“ (მაკა  
 ჯოხაძე).

**მაგარი** – სალიტერატურო ქართულში ნიშნავს ძნელად გასატყვის, მყარს, მტკიცეს, გამძლეს, ძლიერს; სასმელთან დაკავშირებით – ბევრი სპირტის შემცველს; ჟარგონში კი კარგის, ჩინებულის, საუცხოოს მნიშვნელობა შეიძინა: „*იქ შენ ისმენდი მაგარ ლექციებს ქართულ და მსოფლიო მწერლობაზე*“ (გიორგი ჩარკვიანი); „*ნასკები მაგიდაზე დავყარე. ეს იყო ყველაზე მაგარი!*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „*მაგრად ცეკვავდა, სხვათა შორის*“ (რეზო ჭეიშვილი). ი ხმოვნის შენარჩუნებით ზმნიზედად გადაიქცევა (მაგრად, ძალიან, მეტისმეტად). „*ეგ ხო ჩემთან გადმოვიყვანე ეზოში... იმ პლატოზე მაგარი მეცოდებოდა!*“ (ლაშა ბულაძე).

**მაგარი უჭირავს** – მტკიცედ, ყოჩაღად დგას, არ ებუება. „*ხვდება, რომ რალაცას წარმოვადგენ და მაგარი უჭირავს*“ (მერაბ ელიოზიშვილი).

**მაგრა** – ძალიან. „– *ამას [„ფორტოჩკას“] მაგრა იოლად შევტყვავ...*“ (აკა მორჩილაძე).

**მაზავიკი ან მაზავშიკი** – ტოტალიზატორის მოთამაშე (შდრ. „მაზი“, „მაზიანი“). „*სემი დოლის დიდი და თავგადაკლული გემბლერი, ჩვენებურად – მაზავშიკი თუ მაზავიკი გახლდათ. უფრო ინტელიგენტურები მაზავშიკს ამბობდნენ, ქუჩის ბიჭები – მაზავიკს*“; „*მაზები უცხო იყო, ახალი შემოტანილი, (...) ვაბშე ახალი და ნელ-ნელა შევხედე და ეგრე გავხდი მაზავიკი. თანდათან გავხდი, იქ ბევრი მაზავდა და ყველა კი არ გახდა მაზავიკი*“ (აკა მორჩილაძე).

**მაზავს<sup>1</sup>** – მიზანს აცილებს; ვერ იყენებს შანსს. ნამყო სრული „გამაზა“ (იხ.). „*მეორედ ვმაზავ „მაგნას*“ (აკა მორჩილაძე), ნიშნავს: მეორედ ვერ ვახერხებ სიგარეტ „მაგნას“ ყიდვას.

**მაზავს<sup>2</sup>** – ტოტალიზატორში თამაშობს, მაზებს (იხ. „მაზი“) დებს. „*იქიდან ვისაც ვიცნობ, იმ დროიდან რო მაზავს, არი ერთი შვიდობა კაცი*“ (აკა მორჩილაძე).

**მაზი** – სანაძლეო (იხ. „მაზიანი“). „*მე და ვახო დაბრეცილი ვიცნობთ ერთმანეთს, მაზები რო დაიწყო, იმ დროიდან. მაშინ სად იყო სათამაშოები და ეგეთი რამეები. მაზები იყო ლენინის მოედანზე, პუშკინის ძეგლი როა, იქ*“ (აკა მორჩილაძე).

**მაზიანი** – სანაძლეო. „*გაქანებულ მატარებელს ქვეშ გაუძვრა მაგარ*

მაზიანზეო, კიდევ ორმოცდაათ მეტრში ტისაკს გაურჭობსო“ (ლადო კოკია).

მაიაკი მისცა – ანიშნა (რუს. маяк – შუქურა, ღამით გემებისთვის მიმართულების მანიშნებელი). „შეხედა მგელაძეს და იცნო. აბრამას მაშინვე „მაიაკი“ მისცა, მგელაძეა, სად მისდევო“ (ტარიელ ჭანტურია).

მაღალიტრაჟა – ვისაც ცოტა ღვინოც ათრობს (შდრ. რუსული ма-политражка – მცირელიტრაჟიანი ავტომობილი). „ქეიფსა და „ხელჩართულ სმაში“ კი მთვრალ შარიანებსა და ახირებულ „მაღალიტრაჟებს“ რა გამოლევს“ („ლიტერატურული საქართველო“).

მამალი გიჟი – მეტისმეტად გიჟი. „ის კიდევ ველარაფერს ამჩნევდა, ოთახში დაბლყუნობდა და მამალი გიჟივით თავისთვის ბურტყუნებდა რალაცას“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

მამენტ – ზოგჯერ; საჭიროებისდა მიხედვით, ხან... ხან (რუს. момент – დროის მცირე მონაკვეთი). „სად რა ეთქვა, იცოდა რა... მამენტ ფოლკნერი, მამენტ კიდევ ჯო კოკერი...“ (მიხო მოსულიშვილი).

მანდრაჟი – მღელვარება (სპორტსმენისა); შიში. „არადა, ჩვენებიც რომ მანდრაჟით ეთამაშებიან!“ (ნოდარ დუმბაძე); „მე მგონი, მანდრაჟი მექნებოდა, ჩემს საკუთარ ფილმს არ მოულონ-მეთქი ბოლო“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

მარიაჟი კაცი – თავმომნონე, ყოყონა (შდრ. „მარიაჟობა“). „...თუ მარიაჟი კაცი არა ხარ, თუ შენთვის მთავარი დაგომისობა არ არი, თუ გაგრის ბარ-რესტორნები და ეგ „გაგრიფშები“ და „კარაველები“ არ გევასება, თუ ღამით გოგოს გულისთვის ჩხუბი, დანის ტრიალი და რამეები არ გხიბლავს, ანდა მერე მილიციებში ფულით სირბილი, მაშინ სოვეტ კვაჟა პირდაპირ მისწრებაა, პონტია, ქალის გულისთვის ჩხუბი მოგივიდეს, აკი მოგახსენებდით, ერთ კაცზე თხუთმეტი ქალი მოდის და თუ, კაროჩე გიჟი არა ხარ, საჩხუბარი არაფერი არ არი“ (აკა მორჩილაძე).

მარიაჟობა – თავმომნონეობა, პრანჭვა, ყოყონობა. ფრანგულად mariage ქორწინებაა, რუსულ ქურდულ ენაზე маpьяж დაახლოებაზე ყალბი თანხმობის მიცემას ნიშნავს (სერგეი სნეგოვი). ეს სიტყვა ქართულ ჟარგონში რუსულიდან შემოსული ჩანს, მაგრამ მნიშვნელობა სრულიად განსხვავებული მიუღია. „არი რალაც სილამაზე სექტემბერში და იმაში, რო, მარიაჟობაშიც არის სილამაზე (...). ჩვენთან კიდევ, თუ რამე ხდება, მარიაჟობაც იქვეა და ლიშნი ბაზარ-ვაგზალი და დუხოვნი სემინარია მაგას არ უნდა“ (აკა მორჩილაძე).



მარიაჟობს – იპრანჭება, თავმომწონეობს. „მე კი ამ „ბარდაგში“ ჩემთვის მაგარ ტიპს ვთამაშობ. გარემოსგან მინიატურული ყურსაცვაშებით იზოლირებული, სალათისფერი „ერიქსონის“ მობილური მუსიკას ვუსმენ და ისეთი მიჭირავს, თითქოს არაფერს არ ვაქცევ ყურადღებას და ვწერ. მაგრამ თან ისეთიც ვარ, რომ მაინცდამაინც არც კონკურსი მალეღვებს, მოკლედ ვმარიაჟობ“ (ბიძინა მაყაშვილი).

მარკა აენია – მისმა პრესტიჟმა იმატა (მარკა – ნანარმის, საქონლის ხარისხი). „თუ ძმა ხარ, ნახევარ საათს დაგვიჯექი სუფრასთან. შინაურებში „მარკა“ ამენევაო“ (რევაზ მიშველაძე).

მარტივ მამრავლებად დაშალა – ძალიან მაგრად ცემა, ისე მაგრად, რომ თითქოს ნაწილებად დაშალა. მათემატიკაში ნიშნავს რიცხვის დაშლას მარტივი რიცხვების ნამრავლად. „აი, მაშინ მომადგება და პასუხსაც მაშინ მიიღებს. დავშლი მარტივ მამრავლებად“ (ნელი ბატიაშვილი).

მასალა – ნარკოტიკული ნივთიერება. „მხოლოდ ერთმა პრობლემამ შემანუხა: თან არავითარი მასალა არ წამომიღია. არ გეგონოთ, ანაშას ან ოპიუმს ვგულისხმობდე... წელან მასალა რო ვახსენე, წასაკითხ მასალას ვგულისხმობდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

მასტი – მსგავსი. Мать რუსულში ცხენის ფერს ნიშნავს, აგრეთვე სათამაშო კარტზე გამოსახულ ფიგურას (ჯვარი, ყვავი, გული, აგური); კარტები ერთი მასტისაა, თუ მათზე ერთნაირი ფიგურებია გამოსახული (მაგალითად, გულის ტუზი და გულის ათიანი ერთი მასტის კარტებია). „ის კი – ძმა ჩემი, ჩემი მასტის და ჩემი ჭკუის“ (ტარიელ ჭანტურია. თარგმ.) „მასტმა“ ქართულ ჟარგონში მიიღო აგრეთვე ადამიანის, კაცის მნიშვნელობა (სინონიმი „ტიპი“): „ეგ მასტი ცნობილი დამრტყმელია“ (ლადო კოკაია).

მას(წ) – შემოკლ. „მასწავლებლო!“ . „...წამოვხტებოდი და ხმამაღლა განვაცხადებდი: მას... (ესე იგი, მასწავლებლო!) მუცელი მტკივა, შეიძლება წავიდე?“ (აკაკი ჯორჯაძე); „– რა ვქნა, მასწ, შვიდი ვერსია ჩემი სახლიდან კლასამდე...“ (ნოდარ დუმბაძე).

მაყუთბაზი – ფულის უკანონო გზით მშოვნელი (ნანარმოებია ყომარბაზის, მატრბაზის, თითლიბაზის და მისთანათა მსგავსად). „თქვენ ხომ მაყუთბაზების მხარეზე ხართ, თქვენი ობიექტურობით, ნუთუ არ იცით თქვენ ეს“ (რევაზ ინანიშვილი).

მაყუთი – ფული (ებრაულიდან). „– მაყუთი მოგიტანე... – თქვა ლენ-

ტომ. – რაო?! – ჭერს შესძახა ფარნაოზმა. – მაყუთი-მეთქი... ფული მოგიტანე-მეთქი“ (ოთარ ჩხეიძე).

**მაყუთი გაჭრა** – ფული იშოვა. ანმყო ვნებითი „მაყუთი იჭრება“ (იხ.). „არა, ტო, პროცენტი როგორღა უნდა გადამეხადა, რაც ოსეთში გასუბარებული სამი-ოთხი მაშინით მაყუთი გაეჭერი, სუ იმ საქმეში ჩავყარე, რო კახასთვის დაეკლოთ სროკი“ (მიხო მოსულიშვილი).

**მაყუთი იჭრება** – ფული იშოვება. ნამყო სრული მოქმედებითი „მაყუთი გაჭრა“ (იხ.). „თბილისში პრაკოლი ასი დოლარი, აქ ალბათ ხუთასი-ექვსასი მარკა და იქაც გამოშვება მოჩოთქე და კაი მაყუთი იჭრება“ (მიხო მოსულიშვილი).

**მაყუთს ღუნავს** – ფულს შოულობს არაკანონიერი გზით. ნამყო სრული – მაყუთი მოღუნა. (შდრ. „გადაღუნა“). „რაიკომის მდივნებს რომ შვილებს უნათლავ ეკლესიაში და მაყუთს ღუნავ, ეგ როგორ არის?“ (ნოდარ დუმბაძე); „დიდი მაყუთი მოღუნე“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**მანაკი ენა** – მწარე ენა. „აი, ეგეთი მანაკი ენა და ფიქრები მაქვს“ (აკა მორჩილაძე).

**მახატია** – არაფრად მიმაჩნია, ფეხებზე მკიდია – უპატივცემლობის ნიშნად „ერთ ადგილზე“ (საჯდომზე) მაქვს (რალაც) დახატული. (ეგფემიზაცია უცენზურო სიტყვის გამოტოვებით). „ტყვიას დაგაჭედებ... რამე არ შეგეშალოს, ბიჭო!.. შენი ლექსებიც აგერ მახატია, გაიგე შენა?!..“; „– რავი, ტელევიზორს ესენი უყურებენ, მე მაგარი მახატია, ამათ კითხე“; „– ყოფილიყავი ჩემ ადგილას და გნახავდი მერე, – თვალბეში ჩახედა დიანამ მარის, – თესლები, გოგო... ვითომ თბილისელები ვართო, რა... აგერ გვახატინართ ყველანიო“ (ლაშა ბულაძე).

**მესნი** – ადგილობრივი (მცხოვრები). (რუს. местный – ადგილობრივი). „მანანწალა ძაღლების კოდლები იჩითებიან, მიკნავებულ კლიენტებს დასათოხლავებლად დასდევენ ჩაბნელებულ ქუჩებში და სუ არ აინტერესებთ, ლტოლვილია თუ მესნი“ (მიხო მოსულიშვილი).

**მეყოლე ვარდივით** – ეუბნებიან თანამოსაუბრეს, როდესაც მესამე პირს ავ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ან უქადიან. გულისხმობენ: შენ კარგად იყავი (ვარდივით მეყოლე), იმას კი ყოფა ეტირებაო (ეს არ არის ნათქვამი, მაგრამ იგულისხმება). „გამოსვლისას ერთსაც გაგკრავ და მეყოლე ვარდივით“ (ზურაბ სამადაშვილი).

**მიადო** – დაარტყა, სცემა. „მაგრამ, იცოცხლე, ერთხელ მეც მივადე მაგარ-მაგარი“ (მერაბ აბაშიძე).

**მიაპრადალა** – მიჰყიდა, შეასალა (უფრო ხშირად – უვარგისი



საქონელი). ქართული აფიქსებით გაფორმებული რუსული სიტყვა (продать – გაყიდვა). „ადამს მიაპრადალა და აჭამა და ა-ჭა-მა“ (ვახტანგ ჯავახიძე).

მიარტყა ორიანი – ორიანი (არადამაკმაყოფილებელი) დაუნერა. „შენ გოეთე ისწავლე, თორემ მოგარტყამენ ორიანს“ (ნაირა გელაშვილი).

მიასუნინეს (გამოთქმებში: „ვინ მიასუნინებს“, „არ მიასუნინეს“) – მიუშვეს, გააკარეს (არ მიასუნინეს – ანუ იმ მანძილზეც კი არ მიუშვეს, რომ იქაურობის სუნი ეკრა). „როცა მოვრჩები აქ ბინძურ თამაშს, რა ვუთხრა დავითს, რა ვუთხრა თამარს?! (...) თუმცა მათთან ვინ მიმასუნინებს, ვყვები რა ზღაპარს!“ (ზვიად მუსერიძე).

მიატექსტა – უთხრა (მკაცრად). „ჯერ შეუღერენს და მერე მაგარს მიატექსტებს“ (გიორგი კაკაბაძე).

მიაც-მოაცვამს – მიედ-მოედება, უაზროდ ლაპარაკობს. „ბებია მოგიკვდა, ძმაო, შენ კიდე ლექსაობ და მიაც-მოაცვამ რალაცევებს“ (დავით ქართველიშვილი).

მიაჩერა (მანქანა) – გააჩერა (მანქანა). „იმ თეთრ მანქანას (...) ზედ ჭავჭავაძეზე მიაჩერებდა და მის მანქანასთანვე მოგროვებულ (...) ბიჭებს ვადაკოცნიდა“; „კოტიკომ ისე ახლოს მიუჩერა ზურაბ კაჭკაჭიშვილს მანქანა, ეს უკანასკნელი შეხტა კიდევ“ (ლაშა ბულაძე).

მიაჭრა – მივიდა. „ჰოდა, აქ სცენაზე შემოვიდა „მგელი“. მაშინ როცა 509 აინთო, ნავლად მიაჭრა ოპერატორთან, ვითომ თვითონ ჰქონოდა ეგ ნომერი, არადა საუკეთესო შემთხვევაში 521 ან 522 ეჭირებოდა. ტიპშამ იმენნა ნავლად მიაჭრა“ (გიორგი კაკაბაძე).

მიანვა<sup>1</sup> – გულმოდგინედ, თავგამოდებით იმუშავა, იღვანა. „აბა, ჰე, მიანეჭი, – შეაგულიანა უფროსმა, – შენ, ბაბაჩი, საათივით აგინყვია საქმე... მიანეჭი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

მიანვა<sup>2</sup> – შეუტია, დატუქსა. „ყოჩაღ შენ! კარგად მიანეჭი მაგ ნავა-ვს!“ (ჯემალ ქარჩხაძე).

მიანოდა – უთხრა, უპასუხა. „– არა, ნაღდად შევეყვარდი, – მომანოდა მან და ლუდი მოსვა“ (აკა მორჩილაძე).

მიახურდავა – მოკლა. „გააცილებდა ალბათ იგივეი. გზაზე სადმე მიახურდავებდა ანთუ ორივესა ანთუ უშანგისა“ (ოთარ ჩხეიძე).

მიდიიიი... (მახვილით ბოლო მარცვალზე და ბოლო ი-ს წაგრძელებით) – ნუ მაიმუნობ, ნუ მაშაყირებ, დაუჯერებელს ნუ მეუბნები. ამბობენ მაშინ, როცა მთლად დარწმუნებულნი არ არიან სიმართლეს



ეუბნებიან თუ ამასხარავენ. „- ეს არი ლევიკო? - ხო, ბრმა ნან  
ლავის ოპერაციას უკუთებენ. - მიდიიიი... - ჩაფიქრდა კონგო, - ეს  
დახატულია, ტო... ძველი კაცები არიან“ (აკა მორჩილაძე).

მიდის/კარგად მიდის - ამბობენ ღვინოზე ან მისთანებზე და გულისხ-  
მობენ: სასიამოვნო დასალევია ან ამა თუ იმ კერძს უხდებაო. ნამყო  
სრული - „ნავიდა“. „მართალი ხარ, შოკოლადსა და გალეტებზე არაყი  
ვერ მიდის მთლად ვაუკაცურად“ (ირაკლი ლომოური); „სიბირსკაია“  
მაქვს, ძეხვზე და ხიზილალაზე კარგად წავა“ (გურამ ფანჯიკიძე).

მილიონ ტრისტა - ძალიან ბევრი, უთვალავი (რუს. миллион триста -  
მილიონ სამასი). „მილიონ ტრისტა მაგალითის მოყვანაც შეიძლება  
ჩემი არგუმენტის ნათელსაყოფად“ (მიხო მოსულიშვილი).

მიმიშვი ღუმელთან (მარტენთან) - მიმიშვი საქმესთან, საქმის კეთე-  
ბის საშუალება მომეცი. გამოთქმა ნ. სანიშვილის ფილმიდან „ისინი  
ჩამოვიდნენ მთიდან“ (1955 წ.), რომელშიც მომავალი მეტალურგი  
(ჯერ კი შეგირდი) ვეფხია ოსტატს ეხვეწება: „ვასილ ივანიჩ, მიმიშ-  
ვით ღუმელთან!“ „თითოც და თითოც, რა გავციხურე, მიმიშვი მარ-  
ტენთან, - გაუცინა ზურამ და ბოთლს დასწვდა“ (აკა მორჩილაძე).

მიმყნობა - გაუპატიურება. „დიასახლისის მიმყნობაზეც არ ვიტყო-  
დით უარს“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

მიმწოლი - მიზანსწრაფული; თავხედი. შდრ. „მიანვა!“ „ლევანი იყო  
სასიამოვნო და მიმწოლი. ის სასიამოვნოდ უხსნიდა გათავისუფლე-  
ბულს 50 მანეთის მიცემის უპირატესობას და ხდებოდა მიმწოლი,  
თუკი გათავისუფლებული გამოავლენდა რაიმე ეჭვს ან უარს იტყო-  
და 50 მანეთის მიცემაზე“ (ზურაბ ლეუავა).

მიჩუხანებული - დაუძლურებული; გაღაბული. „ზოგი შეგხვდება,  
ედერსკო კი არა, მიჩუხანებული თუ არ გეყოლა, ვაფშე ისე ვერ  
ხედავს, რო ნორმალურათ ექცევი“ (აკა მორჩილაძე).

მკვდარია - დამთავრებულია, აღარ განმეორდება. „ტოჩი ჭკვიანია,  
თვითირონიაც აქვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ანი სახურავზე  
ავა! მკვდარია ეს ამბავი!“ (ზაურ კალანდია).

მოაკერა - გაარტყა. „ბაბელების ბერიკაცს ისეთი მოაკერეს, ჭირი  
მოგჭამა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ბოროტია კაცი? მერე  
შენც ეგ მუშტი მზადა გქონდეს; ერთი ყბაში მოაკერე, ნახავ, როგორ  
გამოსწორდეს“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელეზი. თარგმ.).

მოაკეტიდა - გააჩუმა. „და ძალიანზე ძალიან აღსდექ და მოაკეტინე:  
დამპლებს, დარტყმულებს, გორსალებს, ფარჩაკებსა და კრეტინებს“  
(ვახტანგ ჯავახიძე).



მოასრიალეს – მოხსნეს (თანამდებობიდან). სინონიმი „დაცურეს“ (იხ.), „მობოლტეს“ (იხ. „მობოლტვა“). „იმ წელს სრულიად საბჭოეთშიც ჩაკედა რაგბი. ყველაფრის თავი და თავი ტოკიოს ოლიმპიადისათვის მზადება და მასში მონაწილეობა იყო, რის გამოც არაოლიმპიური სახეობისთვის თანხები მას მერელა გამოიყო, რაც ყველაფერი წარმატებით დასრულდა და ნიკიტა ხრუშჩოვიც მოასრიალეს ბრეჟნეველებმა“ (ინტერნეტი); „როგორც კი პოლიტიკური გაკოტრება დაიწყება ამ ლიდერისა, ეგრევე მოასრიალებენ და მის ადგილას დასვავენ პრავმატისტ-ელიტისტ ლიდერს“ (ინტერნეტი).

მოაყურეს – დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს. „მე ჯანდაბამდის გზა მეონია, თუნდაც მომაყურონ“ (ოთარ ჩხეიძე); „რა ოინი იქნება, ამნაირ დღეს რომ მთელი მექორნილენი მოგვაყურონ!“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.); „ათი წლით არაფრის გულისთვის მოაყურეს“ (ჯემალ დავლიანიძე).

მობირჟავე – ვინც ბირჟაზე (იხ.) დგას ხოლმე. იგივეა, რაც „ბირჟაიკი“ (იხ.). „იმ პატარა ბიჭებს შორის კი, რომელთაც დოლიძის ქუჩაზე ჩამომდგარი, მობირჟავე, მათზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი ლაშქოკ როდონაია სიგარეტის ან ლუდის მოსატანად აგ ზავნიდა, კოტიკო მაჩიტაძეც იყო“ (ლაშა ბულაძე).

მობოლტვა – თანამდებობიდან მოხსნა ვინმესი (რუს. снят – ჭანჭიკი: ჭანჭიკივით მოხსნეს). გავრცელებული იყო 1960-იან წლებში, ახლა იშვიათად გაიგონებთ. „ზოგს კლექტებით აშინებ, ზოგსაც კიდევ მობოლტვით“ (გურამ კლდიაშვილი).

მოგლეჯილი – ტანად დიდი (ადამიანი), ვეებერთელა. სინონიმები: „მოდლლეზილი“ (იხ.), „მოტრეტილი“ (იხ.), „მოხეული“ (იხ.). „კაი მოგლეჯილი ბიჭია, შობელძალი“ (აკა მორჩილაძე).

მოგუდა – დაასრულა, დაამთავრა. „ამ ბოლო დროს თქვენი წიგნი ჩამივარდა ხელში, (...) ერთ ღამეში მოგუდა“ (ზაურ კალანდია).

მოდის – ნებადართულია, შესაძლებელია. „– მე ზობლებო, მონმე იყავით, დავი-დაუბასე არ მოდის!“ (ნოდარ დუმბაძე). ნიშნავს: დავი-დაუბასეს დაძახება არ შეიძლება, არ არის ნებადართული, აკრძალულია.

მოდლლეზილი – ტანად დიდი (ადამიანი), ვეებერთელა. სინონიმი „მოგლეჯილი“ (იხ.). „პარასკევსაც შეამჩნია ერთი მოდლლეზილი ტიპი და მოურიდებლად ფეხის ნომერი ჰკითხა“ (ჯანსუღ ჩარკვიანი); „შეხედავ, მოდლლეზილი ვაჟკაცია, მაგრამ რად გინდა – შეგნით ფშუტა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**მოეხაზა** – ცუდად წაუვიდა საქმე. სინონიმი „დაერხა“ (იხ.). „*მანდ კი მომეხაზა, მაგრამ რას იზამ*“; „*თუ ასე გაახურებ, მოგეხაზება და ეგ არი*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**მოიიდა** – მიხვდა. შდრ. „დაიიდა“. სინონიმები: „იიდა“ (იხ.), „იყიდა“ (იხ.). „*ეგრევე მოვიიდე, რომ არ წამოყვა*“ (აკა მორჩილაძე).

**მოიხა** – ნავიდა. „*ასე იყო თუ ისე, მე მაინც უნდა მოვხეულიყავი, მაგრამ წასვლას არ ვჩქარობდი*“; „*ახლა მისი წასვლის დროც იყო, მაგრამ ჩარლის ნუ ეხუმრებით, ასე ადვილად არ მოიხეოდა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**მოკაიფე** – ნარკომანი. „*ვერიკო გამოცდილი გოგო იყო. მოკაიფეთა ამბები კარგად მოეხსენებოდა*“ (დავით ქართველიშვილი).

**მოზომა** – ნაიქცა, გაიშხლართა. „*ბოლოს თურმე კაკაბმა ერთი ისეთი მოსდო ყბაში, რომ შაშვმა საკარმიდამო ნაკვეთი მოზომა მიწაზე*“ (ნუნუ ქადაგიძე).

**მოკეტა** – გაჩუმდა, ენა მუცელში ჩაიგდო. „*ნელ-ნელა მიეხვდი, ახლა თუ არ მოვკეტავდი... ნამდვილად ბომბი აფეთქდებოდა*“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „*– მოკეტე მანდ, – გამოსძახა ბიჭმა*“ (ირინე ბაქანიძე).

**მოკვდა ბაზარი!** – ეს ასეა და ამას აღარ უნდა ბევრი ლაპარაკი! „*მთვარეზე რო დაგესვა, მაინც მარიშკა იქნებოდა და მოკვდა ბაზარი!*“ (მიხო მოსულიშვილი).

**მომავალი** – ქურდობის კანდიდატი. „*შეგირდებიც ბლომად ჰყავდათ, ხელზე მოსამსახურეებიც, მათი სიტყვით „მომავლებად“ მონათლული ყოჩალი ბიჭები...*“ (ზაურ კალანდია).

**მონკავშირი** – მონადირეების ჯიბის დანა (რომელიც მონკავშირის – მონადირეთა კავშირის – მაღაზიაში იყიდება). „*კაროჩე ერთი სუმკა უნდა ჩავაბაროთო, მონკავშირი მომაქო. მეთქი მოგაქ, ჰა მოგაქ, მე არაფერი არ მომაქ და ნავედით*“ („სუმკის“ ჩაბარებაზე იმიტომ ლაპარაკობს, რომ თვითმფრინავით მიემგზავრებიან და „მონკავშირს“ ბარგად ჩაბარებულ ჩანთაში ჩადებენ, თორემ დანით თვითმფრინავის სალონში არ შეუშვებენ); „*გააძრო ბანკით ნიგვზიანი ბადრიჯანები და კიდე ერთი ბანკით პამიდორის წნილი (...). ის თავისი მონკავშირიც ამოაძრო ჩანთიდან და დავაი ნავიდა ბანკებში თევზობა იმ მონკავშირით*“ (აკა მორჩილაძე).

**მორჩენილია მაგისი პესნა** – მისი ამბავი დამთავრებულია, მას აღარაფერი ეშველება, წირვა გამოუვიდა. (შდრ. რუსული გამოთქმა – его песня спета). „*მოკლედ ტელეტოვიჩიდან და დედოვიჩიდან*

ამოირჩიონ ერთი კაცი და დაკეტონ რა. და მორჩენილია მაგათი პესნა“ (ინტერნეტი).

მოსაქაჩი – მოსანევი (სიგარეტი, პაპიროსი). „– რამე მოსაქაჩს ხომ ვერ მასესხებ?“ (ასმათ ლეკიაშვილი. თარგმ.).

მოსაყომარებელი – მოსაგვარებელი. (შდრ. „მოყომარება“). „არადა საქმე გვაქვს მოსაყომარებელი, დიდი საქმე“ (დავით ქართველიშვილი).

მოსაჩანგლად – (ვინმეს) ხელში ჩასაგდებად, მახეში გასაბმელად, დასათრევად (თითქოს ვილაცხა ჩანგალზე წამოაგო და დაითრია. შდრ. „დაითრია“). „თუმცა, ძველებურად, პუდრიც ესვა და პომადაც. ოღონდ, ძველებურად ვინმეს „მოსაჩანგლად“ კი არა, პროფესიული სიგამხდრის და სიფითრის შესანიღბად“ (ოთარ ჭილაძე).

მოსდო – გაარტყა (ხელი). „ბოლოს თურმე კაკაბმა ერთი ისეთი მოსდო ყბაში, რომ შაშვმა საკარმიდამო ნაკვეთი მოზომა მიწაზე“ (ნუნუ ქადაგიძე).

მოსვეს – მშრალზე დასვეს, არაფერი არგუნეს, პირშიჩალაგამოვლებული დატოვეს. „ბეზ პიტი მიწუტ“ ქურდი იყო, მაგრამ რაღაც არაქურდული საქციელი გაუსკდა თურმე და მოსვეს“ (ზაურ კალანდია).

მოსკოვს შეეკითხება (ფრაზაში: „არა, ბიჭო [ან: მე შენ გეტყვი], მოსკოვს შეეკითხება!“) – დამოუკიდებლად, თავის ნებისადა, თავისი შეხედულების მიხედვით იმოქმედებს, არავის არ დაეკითხება ჭკუას. გამოთქმა იმდროინდელია, როცა მოსკოვში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქში, არსებული საკავშირო მთავრობის დაუკითხავად (საკავშირო მთავრობის ნებართვის გარეშე) ვითომდა სუვერენულ ეროვნულ რესპუბლიკებში ვერავინ ვერავითარ ინიციატივას ვერ გამოიჩენდა. „ქვეყნის სამსახურისთვის, კარგა ხანია, თავი გადადებული მაქვს და, ეს ხელისუფლებაც, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის, მაშინ წამაცლის (მე შენ გეტყვი და, მოსკოვს შეეკითხება!)“ (თამაზ წიწწივაძე).

მოსულა – მომხდარა; დასაშვებია, შესაძლებელია. „რას იზამ, ომია, ეგეც მოსულა“ (მიხო მოსულიშვილი), ნიშნავს: რას იზამ, ომია და ასეთი რამეებიც შესაძლოა მოხდეს. ხოლო თუ შეკითხვის ინტონაციით წარმოითქვა, მაშინ ნიშნავს: თანახმა ხარ? „ეს აქ დავაყუმბაროთ (ლაპარაკია კონიაკზე. – ლ.ბ.), დანარჩენი „პანტერაში“ ნავილოთ. მოსულა?“ (მიხო მოსულიშვილი).

მოსული პონტია – ჩვეულებრივი ამბავია, ასეა მიღებული. „...სანამ

ქორნილია, თამაში მიდის, რა (...). პროსტო ტიპებიც თამაშობენ ქორნილში, მოსული პონტია“ (აკა მორჩილაძე).

მოტება<sup>1</sup> – გადამალა. „ხმა გავრცელდა: რამდენიმე საგზური „მოუტეხიათ“ თუ „მოტეხვას“ აპირებენო“ (გაზ. „სახალხო განათლება“).

მოტება<sup>2</sup> – საქმეს ჩამოაშორა (საქმეში არ გაიყვანა). „– აქ ისეთი ამბავია, რომ მე შეიძლება მომტეხონ კიდევ (...). – შენ კაი ხნის მოტეხილი ხარ, ჯორჯია, და ახლა ამოყვინთვას ჩალიჩობ“ (აკა მორჩილაძე); „სწორედ ასეთი მტერი იშოვა იმხანად ბატონი კრეონტის თანაშემწის (...) სახით, რომელმაც თავისი ძლევამოსილი ლაშქრობა (...) იმით დაიწყო, რომ ბიძაჩემს ელიტარულ კასტაში ფეხი ამოუკვეთა, ანუ, თავად ბიძაჩემის თქმით, პირშიჩალაგამოვლებული დატოვა, ბიცოლაჩემის თქმით, მშრალზე დატოვა, კაციას, ჩემი უფროსი ბიძაშვილის თქმით, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა, ხოლო დანარჩენი ბიძაშვილების თქმით, რომლებიც ასაკისა და სხვა ბუნებრივი უპირატესობის წყალობით სხვაზე უკეთ ადევნებენ თვალს ჟარგონის განვითარებას, „მოტება“ (ჯემალ ქარჩხაძე).

მოტვინა – მოისაზრა, მოიფიქრა, მიხვდა (ტვინი აამუშავა). „მან ეს პასუხი ელვისებურად მოტვინა“ (ზურაბ ლეჟავა); „იმ ბებერმა გაჩმახება დამიწყო. ოღონდ ის კი ვერ მოტვინა, ასე იოლად მე რომ ვერავინ გამიჩმახებდა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

მოტორი – იხ. თავის მოტორზე ვერ/არ არის.

მოტრეტილი – ტანად დიდი (ადამიანი), ვეებერთელა. „რისთვისღა ვხედავ ამდენ ვაჟკაცს?! – ვაჟკაცს მოტრეტილს“ (მუხრან მაჭავარიანი); „ჩემკენ ზურგით კიდევ ვილაც მოტრეტილი ჯეელი იჯდა, სათვალეებიანი, და ერბოკვერცხს ათოხლავებდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

მოტყდა – გაიპარა, გაიძურნა, ნავიდა. „ალბათ ამიტომაც აღარ გავახურე და უსიტყვოდ მოტყდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

მოუთხარა – განსაცვიფრებელი, არაჩვეულებრივი, დაუჯერებელი რამ უთხრა. „ამ დროს ერთი ტელეჟურნალისტი მომადგა (...). ხომ შემეძლო, მეუარა, მაგრამ ვიფიქრე, კოლეგაა–მეთქი და ისეთი რაღაც მოუუთხარე, რომ მთელი საღამო ნაცნობები მიჩეკავდნენ“ (ბიძინა მაყაშვილი).

...მოუკვდა პატრონი – არ გამაგონო! „ნასვლას მოუკვდა პატრონი, თავიდან როგორა ვთქვით, არ გახსოვს?“ (გურამ რჩეულიშვილი).

მოუსვა – გაიქცა. „ნადი, მოუსვი აქედან!“ (თამაზ ბიბილური); „...პერანგის ამარა მეორე ნაპირზე ახობდა და მოუსვა“ (თემურ



ჯღარკავა). როგორც ჩანს, ეს არის შემოკლებული „მოუსვავ ბაყაყური“, რომელიც განმარტებულია თ. სახოკიას ლექსიკონში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“.

**მოუხაზა** – დატუქსა, დასაჯა. სინონიმი „დაურხია“ (იხ.). „ყველას აინტერესებდა, ზარებმა მომიხაზავდა თუ არა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „თქვენს გარდა ყველა რძის ვაჭარს მოუუხაზავ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**მოქოქილი** – გაქნილი, გაიძვერა. იგივეა, რაც „დაქოქილი“ (იხ.). სინონიმი „შებერტყილი“ (იხ.). „ჩემი სიმამრი (...) სირისტიანი ტიპი კია, მარა მაგარი მოქოქილია“ (ლაშა ბულაძე).

**მოყნოსა** – იგრძნო, მიხვდა. (შდრ. „იყნოსა“). „არ უნდა ჭამო. უნდა მოყნოსო, ვინ არის და რა მოხელე ჩიქვანია“; „ვერ მოყყნოსე არიფმა, ქაჯი აღმოვჩნდი“ (ზაურ კალანდია).

**მოყომარება** – მოგვარება, ჩადენა. შდრ. „ყომარი“ (ყარგონული მნიშვნელობა). „დღისით, მზისით გაგვიხდა გასაკეთებელი, რისი მოყომარებაც მაგის ოთახში ხელის ერთი გაქნევით შეიძლებოდა“ (ზურაბ სამადაშვილი).

**მოყომარებული** – მოგვარებული; ჩადენილი. „და ეხლა შენ წარმოიდგინე (...), კიდე რანაირი საქმეები ჰქონდა ბოზოს მოყომარებული. სუფთა ბესპრედელი იყო რა...“ (მიხო მოსულიშვილი).

**მოყურდა** – მყუდროდ მოენყო. „ჩემს ბუდრუგანაში მოყყურდი“; „მოსასხამის ქვეშ მოყყურდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „მოადგილე ავად ყოფილა და მის კაბინეტში მოყურებულა“ (გოდერძი ჭეიშვილი).

**მოყურებული** – დაჭერილი, დაპატიმრებული; დამალული. „ქვევით ორი ექიმი გყავს მოყურებული“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**მოყურებულში** – მყუდრო ადგილას. „...მედუქნე მეძახის, საით, გენაცვალეო, და მეთქი, კაცს ვეძებ, რა. და სწორეთ იცი, სადაც ეძებო? კაროჩე, მოყურებულში ყავს ესენი“ (აკა მორჩილაძე).

**მოშნად** – ძალიან, მაგრად (რუს. мощно). „ბიჭებმა რომ გაგიგონ, მოშნად გაგაბანძებენ“ (ნინო თარხნიშვილი).

**მოჩანგლა** – გოგო შეაბა, დაითრია. „ვაჰ, ჯემალ ბიჭო, დარწმუნებული ვიყავი, რომ გოგოებთან გნახავდი, სად მოჩანგლე?“ (გურამ რჩეულიშვილი).

**მოჩანთა** – პანლური უთავაზა. „მნახა თუ არა ცხოვრებამ, ერთი გემოზე მომჩანთა“ (ტარიელ ჭანტურია).

**მოჩოთქა** – იანგარიშა; გათვალა; მიათვალა. (შდრ. რუს. чётки – კრი-

ალოსანი, საანგარიშო). „მეც აბა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, რო დიდი მაყუთი მინდა, სიმონ, ძაან დიდი. ათი ათას დოლარს ხო არ ეხუმრებ, ზედაც პროცენტი მოჩოთქე და სად მიდის“; „დღეში საშუალოთ შვიდი-ათი კლიენტი მოჩოთქე და ორასიდან ხუთას მარკამდე აბარებს“ (მიხო მოსულიშვილი).

მონვა<sup>1</sup> – დაინახა; ნაასწრო. „აუ, როდიდან ვიცნობ, ფინთზე ახლა კი არ მომიწვავს ნუპაკი“ (ზაურ კალანდია); ნიშნავს: ცუდ საქმეზე მისთვის ახლა კი არ წამისწრია პირველად.

მონვა<sup>2</sup> – მიხვდა, გაიგო. სინონიმი „იყიდა“<sup>1</sup>. „რომ ვერ უხსენებ აფხაზეთის ომს – ეს რა უბედურებაა, ვერ მოვწვი“ (ზაურ კალანდია), „ვერ მოვწვი“ – ვერ გავიგე; „და მასტი, როგორი იცი? უფრო კახურათ უქცევდა და ეგრევე მოვწვი, რო ეს ვილაცა კახელია, ტო, ვილაცა სოფლელი გეჩე და რომელი უბანში ბლატაობა უნდა შეძლოს მაგან!“ (მიხო მოსულიშვილი).

მოხარშული ნაბლი არ გინდა? – იტყვიან დამცინავი ტონით, როდესაც ვინმე არარეალურ სურვილს გამოთქვამს. „– ოცად მინდა. – მოხარშული ნაბლი არ გინდა?!“ („ნიაზი“). ოდნავ შეცვლილი სახით ეს გამოთქმა გვხვდება ნოდარ დუმბაძესთანაც: „– რა მიყვარს მე? მე მიყვარს დისციპლინა, სინყნარე, ბუზის გაფრენას რომ გავიგებ. კიდევ რა მიყვარს? – მოხარშული ნაბლი არ გიყვართ, მასწავლებლო? – ჰკითხა ხატიაშ“.

მოხეული – ტანად დიდი (ადამიანი), ვეებერთელა. „ყველაფერს დანვრილებით ვერ მოგიყვები, მაგრამ ერთი, ვინც ვცემე, ერთი მოხეული ტიპია, გულის ამრევი“ (ნაირა გელაშვილი).

მოხია<sup>1</sup> – გაიქცა; ნავიდა. (შდრ. „მოხია“). „გავიდეთ ლევანა მხრებზე და ჩვენც მოვხიეთ, ზოგი ტროლეიბუსს შეახტა, ზოგი მანქანებში (ორი მანქანით ვიყავით) ჩაეკვება და მოვხიეთ“ (ზურაბ სამადაშვილი); „სალონს გამინადგურებენ ეს ლანირაკები-თქო, ახლა გამკრა თავში, შევწუხდი. ხომ არ მოვხიო?“; „ეხ, ბედნიერია ტოჩი, რომ ამ დღემდე, სრულ გაბითურებამდე, გაგვასწრო. კაცურად, გმირივით მოხია და გაქრა“ (ზაურ კალანდია).

მოხია<sup>2</sup> – „მაგარი“ რამე თქვა. (შდრ. „დაახეთქა“). „...მან აქაც გაშალა დაულალავი ფრთები და მთელი რიგი ტყუილები მოხია“ („ალტერნატივა“).

მრავლობითში სხედან – ბევრნი არიან. „ჯერ, რა იცი, რომ მრავლობითში ვსხედვართ, მეორეც – მიეჩვიე? მეტი არაფერი გინდა?“ (ჯემალ დავლიანიძე).



**მურთაზა** – ჩამორჩენილი; არაევროპელი, ცხოვრების აზიურ-ყაიდის მიმდევარი (კინობითი ფორმა აღმოსავლური [არაბულ-სპარსული] წარმომავლობის და საქართველოშიც გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელისა – მურთაზი). „გავიგეთ, რომ ეს ქვეყანა და აქ მცხოვრები ხალხის უდიდესი ნაწილი „ბნელია“, „ხეპრეა“, „გრუზინია“, „მურთაზა“ და ასე შემდეგ. მაგრამ რახან აღიარებთ, რომ უდიდესი ნაწილი ესეა, ან შეეგუეთ ამას, ანდა ოთხი მხარე არსებობს და თქვენივე სურვილისამებრ შეგიძლიათ გაემგზავროთ“ (ინტერნეტი); „ახლა გასაგებია, როგორ მოასწრო და ვინჩიმ ამდენი, ხოლო მძინარა მურთაზა დღეში ბირჟაზე სამჯერ გასვლასა და 4-ჯერ ჭამას ასწრებს (პლუს საღამოს „კურიერის“ ყურება)“ (ინტერნეტი).

**მულამი დაუჭირა** – მიხვდა, ალლო აულო. „კაროჩე პაპაჩემი ყარაჩოლელი იყო (...). კინოში რო ყარაჩოლელია – ვაი, ვაი, გული არ გამიხეტეო [გიჟუა ყარაჩოლელის ფრაზა მიხეილ ჭიაურელის ფილმიდან „რაც გინახავს ველარ ნახავ“. – ლ. ბ.] – იმას გავდა რალაცვებში. მერე დაუჭირე მულამი“ [მერე, მოგვიანებით, როცა გავიზარდე, მამინ მიეხვდი, ყარაჩოლელს რომ ჰგავდაო, ამას გულისხმობს] (აკა მორჩილაძე).

**მყუდრო** – ჩამორჩენილი, ცხოვრებაში გამოუსვლელი. „საგრძნობლად იკლო არიფების, გოიმების, კეკელების და მყუდროების რიცხვმაც“ (მამუკა ცეცხლაძე).

**მწარე** – ძლიერი, ინტენსიური. „გახურდა მწარე პაჩი-პუჩი და მიპატიჟებ-მოპატიჟება“ (ზურაბ სამადაშვილი).

**მწიფეა** – ძალიან სულელია. „ო, რა მწიფეა ეს სულხანი!“ (გურამ რჩეულიშვილი).

**მწიფედ არის** – ძალიან სულელია; სისულელებს სჩადის. იგივეა, რაც „მწიფეა“ (იხ.). „– კატების მოზიდვას აპირებდი, ჯერ სახურავზე უნდა მოგესხა [კატაბალახას ნაყენი] და მერე ტირიფზე (...). – ჰოო, მწიფედ ვყოფილვარ გუშინ“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**მჭამელი** – ვინც მოტყუვდა (ჭამა). „მჭამელმა ჭამოს – წესია! ხალხიც, რას იზამს – ჭამს!“ (ტარიელ ჭანტურია).

**მჭმეველი** – ვინც ვიღაც მოატყუა (აჭამა). „თაღლითს თუ არიფს, მჭმეველს თუ მჭამელს, უკანასკნელად მივეყირი ყველას“ (დავით წერედიანი. თარგმ.).

**მხეცათ არის** – ძალიან კარგად გრძნობს თავს, ძალიან კარგად ცხოვრობს. „თურმე რეკავს, სიმონ, და ქსივს იძლევა, რო ვმუშაობ, მხეცათ ვარ, მანქანაც ვიყიდეო“ (მიხო მოსულიშვილი).

**მხეცი** – ძალიან ძლიერი (ფიზიკურად ან გონებრივად). „ყველა  
საგანში **მხეცი** იყო“; „იმ წამსვე ვიყიდე, ის ბიძა **მხეცი** რომ იყო“  
(დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**მხეცივით** – ძალიან კარგი, ძალიან კარგად „– მწიფეს ესროდნენ,  
კუხე ცვიოდაო. – ვა, რა **მხეცივით** სიტყვაა, არა? მაინც ვისია? –  
ხალხური, ანდაზა“ (ოთარ ჩხეიძე).

**ნაბოზარი** – გათახსირებული. „ეს ნაბოზარი ანტუნანი ვილა ჩემი ფეხებია“ (ასმათ ლეკიაშვილი. თარგმ.).

**ნაგლად** – თავხედურად. (იხ. „ნაგლი“). „ჰოდა, აქ სცენაზე შემოვიდა „მგელი“. მაშინ როცა 509 აინთო, ნაგლად მიაჭრა ოპერატორთან, ვითომ თვითონ ჰქონოდა ეგ ნომერი, არადა საუკეთესო შემთხვევაში 521 ან 522 ეჭირებოდა. ტიპში იმენნა ნაგლად მიაჭრა“ (გიორგი კაკაბაძე).

**ნაგლი** – თავხედი. (რუს. наглый). „პოსტის ავტორმა ყველაზე კარგად იცის, თუ როგორი პოსტია, ვის მოეწონება, ვის არ მოეწონება, რაზეა გათვლილი და ასე შემდეგ (ნუ თუ ნაგლი არაა და ყველა ჩვეულებრივი პოსტი შედეგრი არ ჰგონია...)“ (გიორგი კაკაბაძე).

**ნაზიკო** – ქალის საკუთარი სახელი; უარგონზე – ნაზი, ქალური ქცევების მქონე ბიჭი. შდრ. „ქეთინო“. „მოკლედ, დაიწყო გადაცემა და, რომ გამოვიდნენ ეს ფრონცქი-ფრონცქი ნაზიკო ბიჭები, ტიტუ, შემოვიკარი თავში ხელი“ (ინტერნეტი).

**ნაზლო** – ჯიბრზე. (რუს. на зли). „მე ხო ვიცი, გადარია ბიძაჩემმა და ეხლა იმის ნაზლო იქცევა“ (აკა მორჩილაძე).


**ნათაქი** – მოპარული, ანაპნილი ტექსტი, იდეა და მისთანანი. „ჩინგიზ აიტმატოვის მანქურთი ჰომეროსის „ოდისეადანა“ ნათაქი – პირველად სწორედ „ოდისეაში“ დაკარგეს ადამიანებმა მეხსიერება“ (ტარიელ ჭანტურია).

**ნაისპუგ აიყვანა** – შეაშინა. (რუს. брать на испуг). „კაცმა იფიქრა, არიფი ვნახეო, ქალიო. და ნაისპუგ აიყვანო“ (აკა მორჩილაძე).

**ნაკოლი მისცა** – საქურდალი საქმე მისცა (კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს). შდრ. „დაანაკოლა“. „კიოსკი გაეტეხა, მალაზია თუ რომელიმე ბინა გაეტურდა, ნიკუშა მისცემდა „ნაკოლს“ (მიხო მოსულიშვილი); „ზაურა რომ ნაკოლებს იძლევა, აგერ ბებიაჩემმა ნინამ იცის, გავარვარებულმა ბარიგამ არა?“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**ნაკოლშჩიკი** – საქურდალი საქმის მიმცემი. „...არც თქვენს დასჯას ვაპირებ და არც იმ ქარაქუცა ნაკოლშჩიკის“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**ნარკუშა** – ნარკომანი (მოფერებით). „...თანაც ნამალზე შევჯდა ამ ბოლო ხანს, სულ გადაგვრია უბნის ნარკუშები, იმდენს იკეთებს“ (მიხო მოსულიშვილი).



**ნასიარულევი** – ყოფილი შეყვარებული (ის, ვისაც ხშირად ხედავდნენ შეყვარებულთან ერთად). შდრ. „დადის (ვილაცასთან ერთად)“. „შელამებამდე იწყებდნენ ბალისკიდეზე სიარულს, (...) უპადრუჩკოდ. მხარი მხარზე არ ჰქონდათ მიდებული და ერთი გამხდარი მოქალაქე გაეტეოდა მათ შუა, მაგრამ ქალს მაინც **ნასიარულევის** სახელი შერჩა“ (რეზო ჭეიშვილი).

**ნასროკალი** – სასჯელმოსხილი, ნაციხარი. (შდრ. „სროკი“). „მობდილი აქო. ძველად ხო ეგრე ამბობდენ, ბებიაჩემი სუ ეგრე ამბობდა, მოხდილი აქ. **ნასროკალზე**“ (აკა მორჩილაძე).

**ნასტირნი** – აბეზარი. (რუს. настырный). „ეტყობა, დიდი **ნასტირნი** ქალბატონი ბრძანდებოდა ეს ბებიაჩემი“ (სოფიო კირვალიძე).

**ნატური/ნატურში** – ნამდვილი, მართალი; ნამდვილად, მართლა. მომდინარეობს „ნატურალურიდან“, რაც ბუნებრივს, შეურყენელს ნიშნავს. თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ ღვინის განსაზღვრებად – ნატური (ნატურალური) ღვინო უპირისპირდებოდა „გაკეთებულ“, ხელოვნურად დამზადებულ და ამიტომ უფრო დაბალი ხარისხის ღვინოს. შემდეგ მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. „**ნატური ეგრე თქვა?!**“ (გურამ რჩეულიშვილი) – ნიშნავს: „მართლა ეგრე თქვა?!“ ამ სიტყვის უარგონულობა კიდევ უფრო ძლიერდება -ში თანდებულის დართვით: „– ბიჭო, რას მიშვრები, ნადი საქმეა!.. – **ნატურში?! – ნატურში...**“ (ოთარ ჩხეიძე). ძალიან გავრცელებული იყო 1950-60-იან წლებში. ახლა აღარ იხმარება.

**ნაშა** – გოგო; შეყვარებული (მომდინარეობს ებრაულიდან). „ერთი **ნაშის** დილიხორი ვარ, – თქვა გიგილომ“ (ნოდარ დუმბაძე); „ნადი რაღა, გაინავარდე რაღა, ნახე რა **ნაშები**, აირჩიე, რომელიც გინდა“ (ოთარ ჩხეიძე); „ვისაც ეს ამბავი ანუხებს, **ნაშა** გაიჩინოს, სხვა ვარიანტი არ არსებობს“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**ნაშამორი** – ქალთა გულების დაპყრობის ოსტატი. „– ბრილიანტის ბეჭედი რომ მოგცენ, არ აიღებ, ვენერა? – გამოცდილი **ნაშამორის**“ სახით ჰქვითხა ამირანმა და გადააპურჭყა“ (ჯემალ თოფურიძე).

**ნაჩალიჩარი** – წვალებით, ვაინაჩრობით ნაკეთები; საეჭვო, არაკანონიერი ქმედების შედეგი. (შდრ. „ჩალიჩობს“). „ძალიან ძვირად უჯდება ქვეყანას ეროკაცთა **ნაჩალიჩარი**“ (ნანა აროშიძე).

**ნაცელენათ** – მიზანმიმართულად. (რუს. нацеленно – მიზანმიმართულად). „...ეგრე დგას ჭიქით ხელში და ზემოდან უყურებს ამ ტიპს და, კაროჩე, ეგრე **ნაცელენათ** ელოდება“ (აკა მორჩილაძე).

**ნაცვეთი** – გამოცდილი; გაქნილი. „ეგენი შენ არაფერს მოგცემენ



და კაი ნაცვეთი კი ჩანხარ, მარა თავი არ ნააგო“ (აკა მორჩილაძე).  
**ნაჭედი** – გატანილი (გოლი). *ჭედა* (გოლი გაიტანა) ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობა. „*გამარჯვება ჭედისა ნაჭედი გოლით*“ (სათაური გაზ. „კომუნისტიდან“).

**ნახალკას ტენის** – ცილს სწამებს. „*არ ვყოფილვარ [კარტის სათამაშოდ], ნახალკას მტენის*“ (მიხო მოსულიშვილი).

**ნახალკა შეტენა** – ცილი დასწამა, ჭორი მოუგონა. „*ქალაქში ერთი ავანტიყოფობა ვაჩნდა, რო თუ გინდა კაცი ტალახში ამოსვარო, ნახალკა უნდა შეტენო გაზეთში დანერით და ტელევიზორში გამოცხადებით, რო ეგ არი ცისფერიო...*“ (მიხო მოსულიშვილი).

**ნახიშტარი** – თავზეხელაღებული (ყაჩაღური) ცხოვრებით ნაცხოვრები (შესაძლოა მომდინარეობდეს საბრძოლო ცივი იარაღის აღმნიშვნელი სიტყვიდან „ხიშტი“). „*აი, ის ბემურაზი როა, მათი ძველი ნახიშტარი თავკაცი, ისიც ვერ მოხვეტავს ამდენს, ალბათ...*“ (ზაურ კალანდია).

**ნე ვიჟუს აკეთებს** – ვითომ ვერ ამჩნევს (ვილაცას ან რალაცას). (რუს. не вижу – ვერ ვხედავ). „*სოფლები რომ იცლება და ლამის ნახევარი საქართველოს საღიაცეთი (მამაკაცებზე არაფერს ვამბობ) თურქეთში, საბერძნეთსა თუ სხვა ქვეყნებშია გადახვენილი და იქ მონური შრომისთვის განწირული (...), არ იციტ? იციტ, ძალიან კარგადაც იციტ, მაგრამ, რაკი თქვენს პოლიტიკას ასე სჭირდება, ნე ვიჟუს აკეთებთ*“ (რუსლან რუსია).

**ნერვები დაათხლიშა** – ანერვიულა, ნერვები დააწყვიტა. „...*სიბრიყვე შეიძლება ჩაიღინოს და ნერვები დაგათხლიშოს, თორემ ბოროტების თავი სადა აქვს*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ნიახური** – (გამოთქმაში: ...არა, ნიახური). – წარმოთქვამენ აგდებული ინტონაციით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ, სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო. მისი სინონიმებია „*ტოროლა*“ (იხ.), „*ფლავი*“ (იხ.), „*იხვის ტოლმა*“ (იხ.). „– *არა თქვა, ძმაო, ჯიში არ არსებობსო, ნახეთ, ჯეირანს არა ჰგავს, ახლა მაგისი შვილი რა იქნება?! (...)* – *ჯიში არა, ნიახური, როგორც მაგას მამამისი აჭმევს და აცმევს, ისე ჩამაცვი, მაჭამე, მერე მოდი და მნახე...*“ (ნოდარ დუმბაძე).

**ნიტოთ არი** – თავს ვერ გრძნობს კარგად. (რუს. ни то – შეუსაბამო). „*ვაფშე, მივხვდი, რატო ვარ ნიტოთ. სუნი არ მევასება*“ (აკა მორჩილაძე).

**ნიტოს აკეთებს** – რაც გასაკეთებელი არ არის, რაც არ ხამს, იმას

აკეთებს. (რუს. ни то – შეუსაბამო). „კაროჩე, ეგრე მოითმინე არ არი მარტო, რო, აი, ახლობლისთვის ნიტოს აკეთებ, ან საქმისთვის ეგრეა საჭირო და მოითმინე, არ გამოდის. რაც გინდა მოითმინე, მაინც გულში არი და ცუდ პონტში რაღაცას გამოისვრის. თუ იმაზე არა, რაზეც მართლა ნიტო ხარ, სხვა რამეზე, რაც ვაფშე მაგასთან კავშირში არ არი (...). მე არ ვიცი, ამ ნიტო რამეებს ისე როგორ მოვეერიო, რო სხვაგან არ გამოახტუნო“ (აკა მორჩილაძე).

ნიხვატკაშია – დააკლდა; ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილა თავი. (რუს. не хватать – ნაკლებობა, დანაკლისი). „სავარაუდოდ უკეთესიც გახლდათ, ასე რომ მოხდა, მაგრამ იმ მომენტში მაინც „ნიხვატკაში“ ვიყავი“ (გიორგი კაკაბაძე).

ნოყიერი – ძალიან ბრიყვი, სიბრიყვით მეტისმეტად გაჯერებული ადამიანი. „ესეც რა ნოყიერია?!“ (გურამ რჩეულიშვილი).

ნუცას სკოლა – სასწავლებელი, სადაც ანაბანას ასწავლიან. მომდინარეობს იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ არსებული ტექსტიდან, რომელშიც პატარა ნუცა თავის თოჯინებს ანბანს ასწავლის. „პოლიტიკა „ნუცას სკოლა“ ხომ არ არის – ვისაც „შეეშალა“ ... პასუხიც უნდა აგოს“ (გაზ. „ახალი ეპოქა“).

– ო –

**ოპ-სტოპზე შეყენება** – ქუჩაში ვინმეს გაჩერება გადაარცვის მიზნით („სტოპ“ – სდექ!, ხოლო „ოპ“ უნდა იყოს შორისდებული, ალიტერირებული „სტოპთან“. მთელი გამოთქმა – „ოპ-სტოპ“ – გვიანი და მარტოხელა მგ ზავრის შესაშინებელი შედახილია). „...სამი დღის მიცვალებულს ძარცვავედა თუ „ოპ-სტოპზე“ შეყენებულ ლაჩარს“; „...ვინმეს ცხვირ-პირის დალენვა და „გადაგდება“, სახლის გაქურდვა თუ გვიანი მგ ზავრის „ოპ-სტოპზე“ შეყენება...“ (ზაურ კალანდია).

**ორშაურად** – უბრალოდ, მარტივად; ტყუილ-უბრალოდ (ორშაურად, ანუ ძალიან იაფად, თითქმის მუქთად). „– ღმერთი თუ უმღერის, ალბათ, სამყაროს უმღერის! – თქვა ძია გევორქამ. – როგორ? – როგორ და ორშაურად. თუ სამყარო ღმერთის შექმნილია და შვილია მისი, კიდევ უნდა უმღეროს...“ (ნოდარ დუმბაძე); „ბოლშევიკებმა მიახვრიტეს მომდევნო ათასცხრაას თვრამეტში ორშაურად“ (რეზო ჭეიშვილი).

**ოტიდო** – თავიდან ბოლომდე. (რუს. от и до). „ოტიდო იცოდა მოძრაობის წესები“ (რეზო გაბრიაძე).

**ოხრად** – სალიტერატურო ქართულში ნიშნავს – „უპატრონოდ“ („მთელი ქონება ოხრად დარჩა“, ანუ „მთელი ქონება უპატრონოდ დარჩა“), ჟარგონში კი „ბევრის“ მნიშვნელობა მიიღო და შეესატყვისება სიტყვას „ბლომად“: „ოხრად ჰქონდა უკვე მაყუთი“ (მიხომოსულიშვილი).

**პადაგრევი** - საჩუქარი (შდრ. „გრევი“). „ესეც ბოლო „პადაგრევი“ გელასათვის“ (გია ლომაძე).

**პაე** - შემოკლ. პაემანი. „სამ საათზე პაე მაქვს და, ორი მანეთი თუ არ მომეცი, ვიბრიდები, ტო“ (ზაალ ტაბაღლა).

**პავადკა** - მანერა, ჩვეულება. (რუს. - повадка). „ყარაჩოლელის პავადკები ქონდა პაპაჩემს, მარა მე არ ვიცოდი, რო ყარაჩოლელის პავადკებია ეგა“ (აკა მორჩილაძე).

**პაზაკაზუ** - შეკვეთილივით (რუს. по заказу - თხოვნით, დავალებით). „- ეგრე პაზაკაზუ როგორ დაიბრიდა?“ (აკა მორჩილაძე).

**პალასატი ჩაიცვა** - ციხეში ჩაჯდა (რუს. полосатый - ზოლებიანი. ზოლებიანი ტანსაცმელი ეცვათ პატიმრებს). „პალასატის ჩავიცვამ და მაგას არ შევარჩენ“ (აკა მორჩილაძე), ნიშნავს: ციხეში ჩავჯდები, მაგრამ მაგას არ შევარჩენ.

**პალუნდრა** - შეძახილი თანამზრახველთა გასაფრთხილებლად, როცა ისეთი ვინმე ახლოვდება, ვისაც უნდა ერიდო. მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, „მეზღვურთა და მეხანძრეთა შეძახილი, როდესაც რამე ვარდება ზევიდან; ნიშნავს: „ფრთხილად!“, „მოერიდე!“. „თუმც გახსენება არვის არ უნდა - რა დრო გასულა ტირილის, ცოდვის, ანზორ, „პალუნდრა“! რეზო, „პალუნდრა“! „პალუნდრა“, ზურაბ! - სიბერე მოდის“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**პანიკდება** - ძალიან ეშინია, ძრნის. იგივეა, რაც „პანიკობს“ (იხ.). „პატონი ალექსანდრე მხარზე ხელს მიჭერს და მე ვპანიკდები: „გადახრები ხომ არ აქვს კაცს?“ (დავით ქართველიშვილი).

**პანიკობს** - ძალიან ეშინია, ძრნის. „...უზარმაზარი ნაგაზები... პატრონებს ლალად მიუშვიათ ნებაზე - და შორიდან თვითონვე უყვირიან ვინმე გულგამსკდარ ბავშვს, ქალსა თუ მოხუცს: „რას პანიკობ! არ იკბინებო!“ (ნაირა გელაშვილი); „ნუ პანიკობ რა, და საერთოდ შემოდი და კარი მოხურე, უბერავს“ (დავით ქართველიშვილი).

**პარაშუტი** - საგანგებოდ გადადებული თანხა, რომელიც ავანტიურის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში ავანტიურისტს გადარჩენის შანს მისცემს (მისი მეშვეობით ისე დააღწევს თავს საფრთხეს, თითქოს პარაშუტით გადახტა დაზიანებული თვითმფრინავიდან). „პარაშუტი“ რას ნიშნავსო, ნინო ეკითხება. როგორც



განგვიმარტა, „პარაშუტი“ ნიშნავს, რომ ერთი მილიონი უნდა იყოს სადღაც, რომ წაგების შემთხვევაში ოჯახს უნდა დარჩეს ერთი მილიონი („ასავალ-დასავალი“).

პასტაიანი – მუდმივი. (რუს. постоянный). „ტაქსზე ხო პასტაიანი რიგი იყო, ტაქსის გაჩერებაზე“ (აკა მორჩილაძე).

პატმასნ – შემოკლ. პატივცემულო მასწავლებლო. (შდრ. „მასნ“). „- აბა, თქვენ იცით, როგორ წესიერად მოიქცევით. არც თავი მოიჭრათ და არც სკოლა შეარცხვინოთ. - დიახ, „პატმასნ“! - იყო კლასის პასუხი“ (ვახუშტი კოტეტიშვილი).

პაშიბი – ყაიდა. (რუს. пошин – ყაიდა). „ეხლა ნათლიაჩემი გვერტისა რო იასნია მაგ პაშიბის კაცი არ იყო, რო თავის ოქროებიან ქალს რო აგინებდეს, ეგ ხო ეგრეა“ (აკა მორჩილაძე).

პახანი – ქურდული სამყაროს ავტორიტეტი. (რუს. пахан). „ეს რუსები ერთი პახანია ნაღდათ, თითებზე ნაკოლკები აქ“ (აკა მორჩილაძე).

პახოდუ – თანაც, ამავე დროს. (რუს. походу – პროცესში; როცა რალაცა ხდება სხვა რალაცის პროცესში ან თანადროულად). „ხოდა, დავჯექი მე და ეს მერაბა და დავინყეთ დალევა. მე კი მაგრათ მშიერი ვარ პახოდუ...“; „კაი, პატიოსანი ბიჭი იყო, თან როგორ პონტში იცი, პროსტო პატიოსანი ბიჭი კი არა, პახოდუ, მოქეიფე...“; „საბურთალოელები რო არიან, ხო იცი, ყველაფერი რო იციან, პახოდუ, ქურჩა, პახოდუ, კამსამოლშიც ახლობლები, პახოდუ, მამის მაყუთები, პახოდუ, რა და რა“ (აკა მორჩილაძე).

პესნა/პესნაში – ამბავი/ამბავში. „აზრზე ხარ, ტო, ჩემი კარგები... ხელოვნების გამოცდაში, ტო, იმ ქაჯმა ჩემზე მეტი სად ისწავლა?.. თეატრალურ პესნაში, აზრზე მოდი, ტო“ (რეზო ჭეიშვილი).

პიკი – მწვერვალი (გადატანითი მნიშვნელობით), კულმინაციური მომენტი. „ცუდად ვბეძობდი, მათი საუბრის მოსმენისას. პიკი იყო, როცა გაარკვიეს, რომ მარშრუტკა პავლოვზე ვერ მოხვდებოდა ბულაჩაურიდან და ვაჟადან 200 მეტრის გავლა ფეხით მოუხდებოდათ, ერთმა დაიწყო ნუნუნნი – აუუუ, ფეხით უნდა გავიაროთ შენი გულისთვისო“ (გიორგი კაკაბაძე).

პიკში ავიდა – უმაღლეს დონეს (ზენიტს) მიაღწია. „ვერც ერთ სასტავში ვერ მოჯდები. სასტავები იჩითებიან, საიდანღაც ეძრობიან, დატასაობენ, ავულავდებიან, აბლატავდებიან, იგრიმიტებენ, პიკში ავლენ და ისევ სადღაც ქრებიან“ (მიხო მოსულიშვილი).

პინგვინი<sup>1</sup> – გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელი, ადვილად დასაჩაგრავი ადამიანი. „- მამაჩემს ვინ ჰკითხავს! დედაჩემს პინგ-

ვინივით ჰყავს გამოჭერილი“ (ნოდარ დუმბაძე); „უნდა გამოვტყდე, მეც წამძლია სულმა და გუშინ მეც გადავიქეცი ლატარიის მიერ მოტყუებულ პინგვინად“ (რევაზ მიშველაძე).

პინგვინი<sup>2</sup> – აბიტურიენტი, რომელიც რეპეტიტორთან ემზადება. „აქა-იქ კიდევ წრიალებდნენ დასიცხული მშობლები და ცოდნამობერტყილი პინგვინები“ (რეზო ჭეიშვილი).

პიპეცი – უბედურება, კატასტროფა. (შემოსულია რუსული ჟარგონიდან – пипец). „თან, რაღაც თუ ავიკვიატე, პიპეცია“ (გიორგი კაკაბაძე); „დღეს პოლნი პიპეცი იყო სამსახურში“ (ინტერნეტი).

პირველ ჩვენებას მიაწვა – ნათქვამი აღარ გადათქვა (სასამართლო პრაქტიკის ანალოგია). „ხომ მაინც გაიმეორეთ თქვენი ნათქვამი, მაინც პირველ ჩვენებას მიაწვეით და იძულებული შევიქმენი, თავი დამენებებინა პოეზიისთვის“ (მიხო მოსულიშვილი).

პირი მოუკუპრა – შავი დღე აყარა (თითქოს პირი ამოუქოლა კუპრით. კუპრით იგმანებოდა ტიკის გახვრეტილი ადგილები, რასაც ტიკის მოკუპრვა ერქვა). „დღეს რომ სხვათა კარნახით ცეკვავენ და უკრავენ – დრო მოვა და (ა, ნახავთ!) პირსაც მოუკუპრავენ“ (გივი ძნელაძე).

პიტიმესტკა – ხუმანეთიანი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (შესაბამისად, ათმანეთიანი – „დესტიმესტკა“, სამმანეთიანი – „ტრიოხმესტკა“). იხმარებოდა ჩერვონეცობის დროს და რუბლის შემოღების შემდეგაც დარჩა. „ორი პიტიმესტკა მიეცი, ცხრაჯერ თავს დაგიკრავს“ (ოთარ ჩხეიძე).

პლეტი იყიდა – გაიქცა, მოკურცხლა (შდრ. „იპლეტა“). ეტიმოლოგია იხ. „დანართი“, გვ. 175. „დაიცენტრა და იპლეტა ანუ პლეტი იყიდა“ (ვახტანგ ჯავახიძე).

პოზა უჭირავს – ცდილობს თავი მოგვაჩვენოს იმად, რასაც სინამდვილეში არ წარმოადგენს. „დისიდენტური უჭირავს პოზა“ (რუსლან მიქაბერიძე).

პონტი – რუსულ ქურდულ ენაზე пункт ნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, თავყრილობას. ზოგჯერ იხმარება ტყუილის, ბლეფის, თვალეპში ნაცრის შეყრის მნიშვნელობითაც (სერგეი სნეგოვის აზრით, ეს მნიშვნელობა „ფრაერულია“, არაქურდული). ამ მეორე მნიშვნელობით (ტყუილი, ბლეფი) დამკვიდრდა ეს სიტყვა ქართულ ჟარგონში: „რომ გითხრათ, სული მიმდიოდა, მერე რა მოხდება-მეთქი, პონტი იქნება“; „მაგრამ, რომ ამბობენ, ედი ფლემინგის თითის გამო გაიქცაო, ეგ კი ნაღდად პონტია“; „ეგ ალბათ მხატვრების მოგონილი პონტი იქნება“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).



ამ ბოლო დროს „პონტიკა“ ქართულ ჟარგონში ახალი მნიშვნელობა და შეიძინა (კიდევ უფრო „ფრაერული“) და იხმარება „ამბავი/ამბავში“-ს (იხ.) გაგებით: „მართლაც წარმოუდგენელია რუსთაველის მემუარეები – „მითხრა-ვუთხარისა“ და „მოვიდა-წავიდას“ პონტიკი“; „წერს არქაულ პონტიკში „იყოს“ ნაცვლად „ხიყოს“! (ტარიელ ჭანტურია).

ზოგჯერ პონტია ნიშნავს – არ არსებობს, შეუძლებელია: „პონტია, ქალის გულისთვის ჩხუბი მოგივიდეს, აკი მოგახსენებდით, ერთ კაცზე თხუთმეტი ქალი მოდის და თუ, კარორჩე გიყი არა ხარ, საჩხუბარი არაფერი არ არი“ (აკა მორჩილაძე).

**პონტი ჩავარდა** – (ისეთი) ვითარება შეიქმნა, ვითარებამ მოიტანა. „...სტალინინი და მეორე როა, მწვანე ზოლით, ის კი დამიღვევია სგარლა, ჯვარი ვიყავი, პონტი ჩავარდნილა, თორე ბაზაზე ხრუსტალის ჭიქებიც მქონდა...“ (აკა მორჩილაძე).

**პოსლეზე მომუშავე** – მომუშავე, რომელსაც იმ შემთხვევაში უხდიან გასამრჯელოს, თუ მის მიერ შესრულებულმა სამუშაომ შემოსავალი მოიტანა. (რუს. после – შემდეგ). „პოსლეზე მომუშავე ინფორმატორი სად გინახავთ, ვალერიანოვიჩ?“ (ლაშა იმედაშვილი).

**პრადვინუტი** – განვითარებული, ცივილიზებული (ადამიანი). (რუს. продвинутый – წინ წაწეული, დანინაურებული). „ტიპი, რომელსაც ველოსიპედით ასე მოძრაობა არ უტყდება, ცოტა პრადვინუტი უნდა იყოს“ (გიორგი კაკაბაძე).

**პრავაკაჩატი** – საქმის გარჩევა. მომდინარეობს რუსული ქურდული გამოთქმიდან качать права, რაც ნიშნავს ქურდებს შორის საქმის გარჩევას, ერთი ქურდის მიერ მეორე ქურდის მხილებას, დაკითხვას და ა.შ., ხშირად იარაღით ხელში. პრავას აკაჩავენ მხოლოდ კანონიერი ქურდი კანონიერ ქურდთან; კანონიერი ქურდი ფრაერს არასოდეს დაუკაჩავენს პრავას. „შენც ნახე რა „პრავაკაჩატის“ ადგილი“ (ნოდარ დუმბაძე).

**პრაკოლი** – ნაჩხვლეტი, რომელსაც ტოვებს ნემსი ვენაში ნარკოტიკის შეყვანის შემდეგ. (რუს. прокол – ნაჩხვლეტი, ნახვრეტი). „ვიღაც წუნკალმა უნდა გამშმონოს და პრაკოლები მისინჯოს ხელებზე?“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**პრიამოი ძმა/ძმაკაცი** – ნამდვილი მეგობარი. შდრ. „ჩერეზ ძმა“. (რუს. прямой – პირდაპირი). „ეგ უკვე ჩერეზ საფა ძმაკაცი კი აღარ იყო, ეგ იყო პრიამოი ძმა და მაგარი ახლობელი კაცი“ (მიხო მოსულიშვილი).

**პრივეტები** – მისალმება. რუსულ მისასალმებელ სიტყვას привет

(სალამი) ქართულ ჟარგონში რატომღაც ქართული მრავლობითობის სუფიქსი ემატება. გავრცელებული იყო მე-20 საუკუნის 60-იან წლებში. „- გამარჯობათ, პრივეტები, ისეთ საქმეზე მივდივარ, გამხელა არ მინდა“ (რეზო ჭეიშვილი).

**პრიკოლობს ან პრიკოლი უჭირავს** – ერთობა სასეირო მოვლენის ცქერით, კაიფობს სასეირო მოვლენაზე. „მაგრა ვპრიკოლობ შენნაირ მასტებზე“ (აკა მორჩილაძე); „პროსპექტზე გავიდე, გავისეირნოთ, ერთმანეთს ხელები გადავხვიოთ, ვიცინოთ... ვიპრიკოლოთ... გავები ციმციმ გავაქნიოთ... ვიბლატაოთ, რა! ვიმარიაჟოთ“ (ოთარ პერტახია); „ლამის მთელ მარანს ჩვენზე დააჭერინოს პრიკოლი, სალადაოდა გეხდის“ (ზურაბ სამადაშვილი).

**პრიჩო** – ვარცხნილობა. (შემოკლებული რუს. причёска). „არც პრიჩოებს აწვებოდნენ ეგრე, არა, როგორც დღეს“ (აკა მორჩილაძე).

**პროსტა/პროსტო** – უბრალოდ (რუს. просто). ძალზე ხშირად იხმარება ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში, ხშირად სრულიად უადგილოდ, ანუ პარაზიტ სიტყვად გვევლინება. „...სძულდა ისეთი ბიჭებიც, რომელნიც სამარშრუტო ტაქსით მგ ზავრობდნენ. აი, პროსტაო, ამბობდა, ძაან ლამაზი რო იყოსო, ძაან კაი ტიპიო, მაგრა რომ მომენონოსო, მაგრამ, რო დავინახო, რო სახლში მარშრუტკით მიდის, დედა მომიკვდეს, თუ არ შემზიზღდესო“; „ნადრიკურას გაუყვანია, შენო, ვაბშე, ვინა ხარო და... ამირანას უთქვამს, მეო, პროსტაო, ვინა ვარო, ამას განახებთო“; „- რა გააკეთე, პროსტა... – მხოლოდ ამ სიტყვებს ამბობდა ხმადაბლა“ (ლაშა ბულაძე).

**პროსტომც** – იგივეა, რაც „პროსტა/პროსტო“ (იხ.), ნაწილაკი „მც“ აქ აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას. „ამირანამ კანკას ხელი წელზე შემოხვია და ყურში უჩურჩულა: – ამ სიმღერაზე, პროსტომც, ვეცემი“ (ლაშა ბულაძე).

**პროსტო ტიპი** – უბრალო, „რიგითი“ ადამიანი; არაქურდი. (რუს. просто – უბრალოდ) „...სანამ ქორწილია, თამაში მიდის, რა (...). პროსტო ტიპებიც თამაშობენ ქორწილში, მოსული პონტია“ (აკა მორჩილაძე).

**პროტივზე დადგომა** – საწინააღმდეგო პოზიციის დაკავება, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა (ხშირად ჯიბრით). (რუს. против – წინააღმდეგ, საწინააღმდეგოდ). „საინტერესო ხალხი ვართ, ერთის მხრივ, შეიძლება რამე და ვინმე დავიცვათ და, მეორეს მხრივ, სწორედ იმ რამეს ან ვინმეს შევეუტიოთ. ეს „პროტივზე დადგომის“ თეორიის შემადგენელი ნაწილია და ამ თეორიაზე ვრცლად ახლა ნუ ვისაუბრებთ“ (გიორგი კაკაბაძე).



პუსტაპუსტა – პოლიციის რიგითი თანამშრომელი, რომელსაც ცხვერ  
წოდება (ჩინი) არ მიუღია და სამხრეებზე არავითარი განმასხვავებე-  
ლი ნიშანი არა აქვს – სამხრეები ცარიელი აქვს (რუს. пусто – ცარიე-  
ლია). ანალოგია დომინოს ცარიელ ქვასთან. „პუსტაპუსტას ეუბნება,  
გაჩხრიკეთო“ (აკა მორჩილადე).

— უ —

**ფელეზნი ბაზარი** – კატეგორიული მსჯელობა. (რუს. железный – რკინისა; გადატ. მტკიცე, ურყევი). „*შეილება ვერე ვერც იყოს, როგორც ვამბობ. მე ეგეთი ფელეზნი ბაზარი არ მიყვარს*“ (აკა მორჩილაძე).

**ფვლიპა** – დაარტყა, დასცხო (ხმაბაძვითი სიტყვა). „*ექთანი გოგო შემობაკუნდა (...), მკლავში თითისსიმსხო ნემსი მფვლიპა და ქუსლების პაკაპუკით გატანცავდა*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ფილკა** – ჟინი, ინტერესი. ასეთი მნიშვნელობით იხმარება ქართულ ჟარგონში რუსული жилка (ძარღვი; გადატანითი მნიშვნელობით – ნიჭი, უნარი, ფხა). „*რალაც ფილკა გამიჩნდაო, ეუბნებოდა ძმაკაცებს, გოგო ესე დამეფასოს და ვერ გავარკვიო, ვინაა, ეგეთ პონტში პირველად გავიჩითეო*“ (ლაშა ბულაძე).

**ფმოტი ბაზარი** – წუნურაქული ლაპარაკი. (რუს. жмот – წუნურაქი, ძუნნი, ხელმოჭერილი). „*ის სასტუმრო ორასი მარკის ამბავი იქნებოდა და – ამ ბოზს ამეების თბილისში გაგ ზავნა უფრო ძვირი დაუჯდებოდაო. მეთქი, პუპა, ძმაო, ეგ არი ფმოტი ბაზარი და არ გინდა*“ (მიხო მოსულიშვილი).

**ფოშკობს** – ძუნწობს, ხელს უჭერს, ადვილად არ თმობს. „*– რა უნდა? – თვითონაც არ იცის. – ფოშკობს? – არაა მაგის კაცი*“ (ამირან ჭიჭინაძე).

- რ -

**რაზეა ბურტყუნი!** – ჟარგონული ვარიანტი გამოთქმისა „რაზეა ლაპარაკი!“, რაც ნიშნავს: რა სალაპარაკოა, რა თქმა უნდა, ეგრე იქნება! „და როცა ვუთხარი, მეთქი-ესე, ესეა საქმე, მაყუთში ვინ-ვეები და უნდა მიშველო!– კი, ტო, რაზეა ბურტყუნიო!– ეგრევე რა“ (მიხო მოსულიშვილი).

**რამე** – ჟარგონში შეესაბამება ლიტერატურულ გამოთქმებს: „და ასე შემდეგ“, „და სხვა“, „და მისთანანი“. „მაქვს ყველაფერი, რისი ლირ-სიც ვარ – ფული, ავეჯი, პლანტაციები, მანქანა, ყველი, აგარაკი, დარეჯანის ჯინაზე სამი ცოლი, ცხრამეტი საყვარელი, კეფალი, რამე...“ (გურამ დოჩანაშვილი); „ვალეკომ შეგვათრია თავის გარაჟში მე და მარინა. ვიჭუკჭუკეთ, ვიგრიალეთ, რამე“ (ირინე ბაქანიძე).

**რამკების მტვრევა** – ქურდული კანონების დარღვევა. „მერე შენ აქ ქურდად იმიტომ ზიხარ, რომ ჰარიფებისთვის რამკები ამტვრიო?“ (ნოდარ დუმბაძე). ასე საყვედურობს რომანის ერთი ქურდი პერსონაჟი მეორე ქურდს პერსონაჟს, რომელიც ციხეში მოხვედრილ სახელმწიფო ქონების მიმთვისებელს (ანუ „ფრაერს“, არაქურდს), „საქმეს ურჩევს“, რაც რამკიან ქურდს ქურდული კანონებით სასტიკად ეკრძალებდა.

**რამკიანი (ქურდი)** – იგივეა, რაც კანონიერი ქურდი, ქურდი, რომელიც მკაცრ ქურდულ კანონებს ემორჩილება, ანუ მკაცრი ქურდული კანონების ჩარჩოში („რამკაში“) ზის (არ უნდა ჰქონოდა პასპორტი, სამსახური, ოჯახი...). „არავინლა იყო ძველი ნაცნობები-საგან, არავინ, არც ერთი „რამკიანი“, ისეთი, მის ნდობას რომ იმსახურებდეს“ (გია ლომაძე).

**რამსები არ აგერიოს** – არაფერი შეგეშალოს. „პირი დავიბანე და მეთქი, მამუკ, არ აგერიოს რამსები, ახლა უნდა გაიგო ყველაფერი“ (აკა მორჩილაძე).

**რასკლადი წავიდა** – დალაგდა, დანაწილდა რაღაც. (შდრ. რუს. раскладка). „ხო ხედავ, როგორი რასკლადი წავიდა! ჯორჯია – ოთხი სული, ნიგერია – სამი, ჯერმენი – ორი (...). და იქაც ერთი ზაბელიკუ-სი მოჩოთქე და გამოვიდა ათი სული“ (მიხო მოსულიშვილი).

**რეკა<sup>1</sup>** – დაარტყა; ესროლა. „გახდი ილია ჭავჭავაძე და კი, ბატონო, იმ წუთში გრეკავენ შუბლში“ (ჯანსუღ ჩარკვიანი); „რათ მინდა, ომში

ვარ ნამყოფი, მრეკეთ ეგრევეო“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).  
რეკა<sup>2</sup> (ცუდი ნიშანი) – ცუდი ნიშანი დაუნერა. „გაასწრებს ყველას  
ერთად აღებული სამი ხუთით და რეკავენ ისტორიაში სამს, ნამოენ-  
ვეიან, რეკავენ ქართულში სამს, გაასწრებენ...“ (რეზო ჭეიშვილი).

რეჩი – ხანგრძლივი, მაღალფარდოვანი ყბედობა (რუს. реч-იდან).  
„ედის რეჩი გამოსწორებულმა იონასმა დაამთავრა“ (დალი ფან-  
ჯიკიძე. თარგმ.).

რეჩი დაიჭირა – მაღალფარდოვნად იყბედა. „მერე უკან მიდგა, რომ  
ედის თავისი რეჩი დაეჭირა“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.). შდრ. გერ-  
მანული გამოთქმა Rede halten.

რვიანებს ხაზავს – მთვრალია და ბარბაცით მიდის. „რაც ამ სო-  
ფელში ლოთაობს, მეცხრე-მეათე დღე არის. ამ ლაფანყურის ქუჩე-  
ბშიც ბევრჯერ მოხაზა რვიანი“ („ნიანგი“).

რიჟა – ტყუილი ლაპარაკი, ყბედობა. რედუცირებული „რიჟა  
ბაზარი“ (იხ.). „არ დატოვა იმ პონტში, რო, რო მოდიოდა ჯარიდან,  
უთხრა, რო ჩამოვალ და ცოლად შევირთავო. ეგრე ქართველები  
წარამარა ეუნებებიან, მარა ეგ რიჟაა“; „...მოვედი გასარკვევათ,  
იმიტო, რო გული შემტკივა და გავარკვიე, რაც გასარკვევი იყო და  
ვაფშე სულ რიჟაა, რასაც ეხლა შენ ლაპარაკოვ, დაგვიანებულია...“  
(აკა მორჩილაძე).

რიჟა ბაზარი – ტყუილი ლაპარაკი, ყბედობა დროის გასაყვანად ან  
დროის მოსაგებად (შდრ. „ბაზარი“). როგორც ჩანს, „რიჟა“ აქ ტაკის-  
მასხარულს გულისხმობს (რუს. рыхжий – კლოუნი, ტაკიმასხარა). „არ  
გვინდა რა, ბიძა, „რიჟა“ ბაზარი!“ (მიხო მოსულიშვილი).

რო არ – როგორც კი. ძველთბილისური ჟარგონი, დღესაც  
გაიგონებთ. „არბიტორი აცხადებს, ახლა იჭიდავეებენ პარტნოვი  
შაქრო და სანდრო – ყასპის ძმაო. ზურნამ რო არ დაუკრა! სულ  
„პრიპადკა“ მამივიდა, ჩემმა მზემ“ (აკაკი ბელიაშვილი).

ვინც თბილისურ კილოს არ იცნობს, ამის წაკითხვისას იფიქრებს,  
ზურნას არ დაუკრავს და „პრიპადკა“ ამიტომ მოსვლიაო. არა!  
„ზურნამ რო არ დაუკრა!“ ნიშნავს: „როგორც კი ზურნამ დაუკრა“.  
აქ ინტონაციასაც მნიშვნელობა აქვს: ბოლო ხმოვანი (სიტყვაში  
„დაუკრა“) გრძლად უნდა წარმოითქვას.

როგორც ყველი ხაჭაპურში – მოხერხებულად, მორგებულად. „ვასო  
ისაიას როლში ისე იყო, როგორც ყველი ხაჭაპურში“, რომ იტყვიან  
ხოლმე“ (ილია ზურაბიშვილი).

რომელია – ჟარგონში ნიშნავს: „რას ჰქვია“, „რას მიქვია“. „– მაგარი



ყოფილა! – მაგარი რომელია, უბედური ჰყავს გამჩენს“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

როჟა<sup>1</sup> – სიფათი (რუს. рожа). „ისეთი ნასიამოვნები როჟები ქონდათ, რა მოხდა-მეთქი, ვიკითხე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

როჟა<sup>2</sup> – ტიპი, ადამიანი (აგდებულად). სინონიმები: „კლიენტი“ (იხ.), „მასტი“ (იხ.). „მაგათ ხომ კომპლექსები აქვთ, რომ მაგარი როჟები არიან...“; „იქ ვილაც როჟებს ვკითხე, მეთქი, ქეთა რომელია“ (აკა მორჩილაძე).

როჟის შეკერვა – ამა თუ იმ სახის, გამომეტყველების მიღება (შდრ. „როჟა!“). „ჩემი მიზანი მხოლოდ ლიტერატორთა „დაკმაყოფილება“ და არა ისეთი „როჟის შეკერვა“ (...), რომ „რიგითმა“ ან „საშუალო“ მკითხველმა მხოლოდ ჩემ მოსაზრებას დაუჯეროს...“ (ალეკო ციციტიშვილი).

რქებით აწვება – ჯიქურ უტევს, თავგამოდებით ებრძვის; მედგარ წინააღმდეგობას უწევს. შდრ. რუსული ქურდული გამოთქმა – упираться рогами (იხ. „რქიანი“). „მოგკლავდნენ, სხვანაირი ხალხიაო, – მითხრა რეზომ, – რქებით მიაწვებოდი და არ მოვითმენდნენო“ (ზურაბ სამადაშვილი); „რწყილს ატყავებენ და აწვებიან რქებით ცხოვრებას, როგორც ჯიხვები“ („საქართველოს სამრეკლო“).

რქები მოსტეხა – დაჯაბნა, დაიმორჩილა, საკუთარი უპირატესობა აგრძნობინა. შდრ. რუსული ქურდული გამოთქმა – сшибать рога (იხ. „რქიანი“). „რამაზ კორინთელს... უნდოდა სოსო შადურისთვის მოეტეხა რქები“ (გურამ ფანჯიკიძე).

რქიანი – ჩამორჩენილი, ხალხში გამოუსვლელი; უგუნურად აგრესიული. სინონიმები: „ჯიხვი“, „ქაჯი“, „გოიმი“. „ელიმებოდა ლადო ბიძისაც, მაგრამ მშვიდი არ იყო ეს ღიმილი, ყოველ ახლო გამოვლილ მანქანას ადევნებდა: – ქაჯი ხარ, შენი, რქიანი!“ (რევაზ ინანიშვილი); „მე ვიცი, ბევრმა არ იცის, რამდენი დადის რქიანი“ (შაბურა არაბული); „იმ შენ რქიან უფროსს ვერ მოერიე და ბავშვს ეცი ახლა“ (ირაკლი ბერიაშვილი). „რქებს“ ასე განმარტავს სერგეი სნეგოვი თავის რუსული ქურდული ენის ლექსიკონში: „ფიზიკურად არარსებული, მაგრამ ფილოსოფიურად რეალური ნაწილი სხეულისა, რომელიც ამკობს ყველას, ვინც არ მიეკუთვნება ქურდულ სამყაროს. ამათ იცინა ხოლმე „რქებით მიწოლა“ (პროტესტის გამოხატვა, წინააღმდეგობის განხილვა)... თუ საჭიროა, მათ ამ სიტყვებით ემუქრებიან: „დაიცა, მოგამტვრევ რქებს!“.

სად ბაბუაჩემის ბებიასთან არის? – სად ჯანდაბაშია, სად დაიკარგა, ამდენ ხანს რატომ არ ჩანს? „შენ ხომ არ იცი, სად ბაბუაჩემის ბებია-სთან ბრძანდებიან ის ინტელიგენტები, ცოლებთან ერთად კისერზე ძარღვებდაბერილები რომ გვკვირდებოდნენ სამოთხეს?!“ (რეზო ამაშუკელი).

სათოხლავე – საჭმელი (იხ. „თოხლი“). „ამ ცინგლიანს ჰგონია, რომ საკმარისია თითო გაიშვიროს და სათოხლავე უკვე ექნება“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

საიმშიც არ არის – აზრზე არ არის, ვერაფერს ხვდება. „ბებიას გაეხედე. ვიფიქრე, მოკვდება სანყალი – წნევა რამე, ინფარქტი, შაქარი... ჩემი ფეხები. არაა, საიმშიც არ არის“ (მაკა მიქელაძე).

საკაიფო – რაც კარგ გუნებაზე გვაყენებს, ხალისიან განწყობილებას გვიქმნის (იხ. „კაიფი“). „ცა ულურჯესი და საკაიფო“ (ტარიელ ჭანტურია).

სამანდრაჟო – საშიში (იხ. „მანდრაჟი“). „პიტი კიდე ატანდაზე დადგა გარეთ, თუმცა რა იყო აქ სამანდრაჟო“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

სამიანი და ჯანმრთელობა – მათი დევიზი, ვისი აზრითაც, ხუთიანებზე სწავლა და ამავე დროს ჯანმრთელობის შენარჩუნება შეუძლებელია. „ჩემი დევიზი ხომ იცი... სამიანი და ჯანმრთელობა“ (ნოდარ დუმბაძე).

სამიდან/სამში ერთი – ფალოსი. „ახლა ამას უნდა დაემატოს „სიყვარული“, რომელიც, როგორც განხორციელების პირობა, სამების მესამე დამფუძნებელი წევრია. – ვუთხრა, სამიდან ერთი ყოფილა-თქვა? – არა, კაცო, სირცხვილია!“ (ჯემალ ქარჩხაძე).

სამსართულიანი – მეტისმეტად უხამსი გინება. „ამ უხმო შეკითხვას სიტყვიერი პასუხი გავეცი (თანაც ერთი სამსართულიანი)“ (მერაბ აბაშიძე).

სანატორიუმი – (ირონ.) ციხე, კოლონია, საპატიმრო. სინონიმი „აგარაკი“ (იხ.). „ბევრი იმათგანი სხვადასხვა მიზეზით „გამოსასწორებლად“ გაგ ზავნა „სანატორიუმებში“, მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგოდ“ (თეიმურაზ ქორიძე).

სასროკო საქმე – დასაჭერი საქმე. (შდრ. „სროკი“). „თუნდაც წარმა-



ტებით დასრულებულიყო ეს „სასროკო“ საქმე, როდის უნდა შეესწავრო, სიმონ, ნაქურდალი „ტავარის“ გაყიდვა“ (მიხო მოსულიშვილი).  
 სასროლი – პისტოლეტი. „...ბოლო-ბოლო, – ხმადაბლა განაგრძო ლაშიკომ, – სასროლს დაადებ შუბლზე და ისე მოაცემიებ“ (ლაშა ბულაძე).

სასტაველი – სასტავის (იხ.) წვერი. „და ბოლოს, არის, ასრულდა ოცნება, ის მათი სასტაველი ხდება“ (ნინო თარხნიშვილი).

სასტავი – თანამედროვე ახალგაზრდული ჟარგონის ერთ-ერთი მთავარი ცნებათაგანი. ნიშნავს საერთო ინტერესებით მცხოვრები, ერთმანეთთან კარგად შეგუებული ახალგაზრდების ჯგუფს, გაერთიანებას, წრეს. მომდინარეობს რუსული სიტყვიდან СОСТАВ – შემადგენლობა. „ყველა ახალგაზრდის ცხოვრებაში, ალბათ, „სასტავს“ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ეს ხომ ერთი დიდი კლანია. ეს მეგობრების წრეა (...). „სასტავი“, უბრალოდ, ერთი ჯგუფია, ჯგუფი, რომელიც ერთ გარემოში ტრიალებს, ტრიალებს იმიტომ, რომ ასე სიამოვნებს ან ასე სჩვევია“ (ქეთი ბაქრაძე); „სასტავი“ – ეს სიტყვა ჩვენთან რალაც ბირთვის, გაერთიანების გამომხატველია“; „– ძმებო, ახალ სკოლაში გადავედი, ხომ იცით, და ერთი-ორჯერ ამომაკითხეთ, ვინმეს ჩმორი არ ვეგონო. იქაურმა „სასტავმა“ ნახოს, რომ კაი ტიპი ვარ, რა...“ (ბექა მოლაშვილი); „ნუ, მოკლედ, ნუხელ მაგარ სასტავში გავეძრე“ (ნინო თარხნიშვილი); „კაი სასტავშია მომჯდარი“ (აკა მორჩილაძე).

სასტავში ჩავარდა – (რომელიღაც) წრის, ჯგუფის, გუნდის (მაგალითად, სპორტულის) წვერი გახდა. „ქუთაისელი მიხო, ძველი / ფეხბურთელი / პაიჭაძემ წაიყვანა, როგორც / კარგი დამცველი... / მიხო მიიღეს გუნდში, / აღარა აქვს სხვა რამ დარდი. / ქუთაისში შემოთვალა: / ჩემო დედიკოო... / სასტავში ჩავვარდი“ (რეზო ჭეიშვილი).

სატოპკე აუნია – ისეთი რამ უთხრა ან ჰკითხა, რაზედაც იცოდა (ან უნდა სცოდნოდა), რომ მოსაუბრე მახვილგონივრულ პასუხს გასცემდა. „ნებისმიერი პასუხით ეგრეთ ნოდებულ „სატოპკეს“ მიიღებს, ფრენბურთის ენით რომ ვილაპარაკოთ“ (მურმან ლებანიძე); „პოეტმა მკითხველს სატოპკე აუნია, მკითხველმა კიდეც – ტოპკა ჩაარტყა“ (ტარიელ ჭანტურია); „პირდაპირ სატოპკე წერილი იყო და შენც არ დაახანე, ჩამირტყი და ჩამირტყი ტოპკები!“ (დიანა ვაჩნაძე).

საქმე ააგორა – დასაბამი მისცა რალაცას, რალაც წამოიწყო. „ხო რედკი საქმეა, საქმე ააგორო, გარჩევაზე განაბი გაუშვა და შენ არ მიხვიდე!“ (ზურაბ სამადაშვილი).

საქმე გასკდა – დაფარული გამჟღავნდა. „საქმე მაინც „გასკდა“ მასწავლებელს უნდა ენდო? მასწავლებელი დაგინდობს?“ (რევაზ მიშველაძე).

საქმე ნახე! – მე თავი გამანებე, შენს საქმეს მიხედე! „ჭოროკნებო, ართვალეზო, საქმე ნახეთ, მოუარეთ თქვე-თქვენ ტ...ს!“ („ნობათი“).

საქმეში გავიდა/საქმეში გაიყვანა – მონანილეობა მიიღო/მიადლებინა რალაც წამონყებაში (ჩვეულებრივ, საჩოთიროში, მაგრამ სარფიანში). „მანამდე ქუჩაში ცხვირი არავის გამოუყვია, ვითომ ყველას ტკბილად ეძინა; როგორც ჩვენ გავედით საქმეში და მიმიქარავს დეზერტირების ბაზარი, საიდან აღარ მოგვესივნენ“ (ზურაბ სამადაშვილი); „...გრაჩი გეძებს, შენი გაყვანა უნდა საქმეში“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

საყველაფრო აქვს დამთავრებული – ყველაფერს ედება, რაც იცის და რაც არ იცის, ყოვლისმცოდნე ჰგონია თავი (ქუთაისური ჟარგონი). „საყველაფრო აქვს დამთავრებულიო, იტყვიან ქუთაისში“ (კოტე მახარაძე), ნიშნავს: ისეთი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, სადაც „ყველაფერს“ ასწავლიან.

სესერე და ორი (სამი, ოთხი...) ხაზი – ძალიან კარგი, ხარისხიანი რამ. „რალაცებს კი ამოვიღებდი, მაგრამ, საერთო ჯამში, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, „სესერე და ორი ხაზიო“ (ინტერნეტი); „ომისშემდგომ ქუთაისში „კარგიას“ აღსანიშნავად ამბობდნენ: სესერე (CCP) და სამი ხაზი, სესერე და ხუთი ხაზი და ა. შ.“ (ინტერნეტი).

სველი იარაღი – იარაღი, რომლითაც კაცია მოკლული (შდრ. „სველი საქმე“). „...რა დასამალი იარაღიაო, სველიაო კაროჩე და პატრონმა მთხოვა შენთან იდოსო“; „და ეხლა რო შენ სველი იარაღი იყიდო და ზედ კაცი ეკიდოს და ნი დაი ბოგ შენგან ამოიღონ, ხო უნდა აილო შენ თავზეო“ (აკა მორჩილაძე).

სველი საქმე – კრიმინალური დანაშაული, რომლის ჩადენის დროს სისხლი იღვრება. „ხომ გითხარით, სველ საქმეს ერიდეთ-მეთქი“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელეები. თარგმ.).

სვეტობს – საზოგადოების ელიტარული ნაწილის (მაღალი წრის) წარმომადგენელივით იქცევა. მომდინარეობს რუსული светский-დან, რაც თავდაპირველად საეროს (არასასულიეროს) ნიშნავდა, შემდეგ კი – მაღალი (ელიტარული) საზოგადოებისთვის დამახასიათებელს. „თუ ზოგიერთი ქალაქელი ქალბატონივით „დზალიან“ რუსულად არ ვუქცევ ჩემს მშობლიურ ენას და ვერ „ვსვეტობ“...“ („საქართველოს სამრეკლო“).



სვიდო – პაემანი (შემოკლებული რუსული свидание). „საში სვიდო მაქვს“ (გურამ დოჩანაშვილი).

სვოი ბიჭი – თავისიანი, ის, ვინც ძველბიჭურ-ქურდულ წრეს განეკუთვნება (რუსულად свой „თავისიანსაც“ ნიშნავს). „პარაბოღმა ბათუმისკენ გასწია, სვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია“ (ნოდარ დუმბაძე).

სვოტკა – შეტყობინება; ახალი ამბავი. (რუს. сводка – შეჯამება, მაგ., ახალი ამბების [сводка новостей], შეტყობინება მოსალოდნელი ამინდის თაობაზე [сводка погоды]). „– გინდა ახალი სვოტკა გითხრა? – დავი. – პარლამენტიდან შეუთვლიათ – სოჩა, სოჭი ხომ, ჩემი კარგები, სოჩა დაგვიბრუნეთ და ქუთაისი წაიღეთო. აზრზე ხარ, ტო?!“ (რეზო ჭეიშვილი).

სიაბანდი/სიაფანდი – ი. გრიშაშვილის განმარტებით, „იშკილბაზის დამხმარე კაცი“. თანამედროვე ჟარგონში იხმარება „ტყუილის“ და „მატყუარას“ მნიშვნელობით. „ერთ დღეს, სახალხოდ, დღისით, მზისით გამომიჭირონ, როგორც თვალთმაქცი, მატყუარა და სიაფანდი?!“ (ელდარ კერძევაძე); „სიაფანდია... ფაიზალი სიაფანდია“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „– ვითომ, მართლა ოჩოპინტრეს ბრალია?! – არა კაცო, სიაბანდია!“ (თემურ ჯღარკავა).

სიაბანდი დაიჭირა – ითვალთმაქცა. „მე სიაბანდი დავიჭირე: მხატვარი და მისი მოდელი და ეგეთები, ვითომ ამ მომენტს ეროტიკასთან არაფერი აქვს საერთო“; „მართლა ავად კი არ ვიყავი, ისე, სიაბანდი დავიჭირე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

სიგრუსტნე – სევდა, დაღონებულობა. რუსული სიტყვა ქართული აფიქსებით გაფორმებული (შდრ. რუს. грустный – დაღონებული). „...ისიც კი მომეჩვენა, რო მთელი ნიურნბერგი იმ ჩინელი ქალის სიგრუსტნეში იყო ჩაფლული“ (მიხო მოსულიშვილი).

სიმონ – ადამიანის საკუთარი სახელი, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში რატომღაც ურთიერთმიმართვისას გამოიყენება. „სადა ხარ, სიმონ!“; „ომარ ხაიამ, რას მოესწარ: ვილაც ტუტუცი ბენზინის რიგში – პირველ აშულს – „სიმონს“ გეძახის!“ (ნოდარ დუმბაძე). „სიმონ“ ებრაული სახელია და „გამგონს“ ნიშნავს (იხ. ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“). იქნებ ამ შინაარსის გამო იქცა მიმართვად?

სირი – ფალოსი (ძველ ქართულში ჩიტს, ფრინველს ნიშნავს). „უცებ, ახალმოსულებიდან ყველაზე გალეულმა ბიჭმა ლევანას ხელი აუწია, როგორა ხარო. ამან თავი სხვათა შორის დაუქნია, შემომხედა და „ეს სირილა მაკლდაო“, მეუბნება“ (ზურაბ სამადაშვილი); „ადრე მთლად

უფროსი იყო, ქალაქის კომენდანტი, თუ არ ვცდები, თავდაპირველი გარეკვისას იმ სირისტრიანი სირების“; „ერთი სირია, რა! არ მითხრა ახლა, სირიც ჩიტიაო. – ჩიტია, ტო, ჩიტია, „სიბრძნე სიცრუისას“ გეფიცები“ (ზაურ კალანდია).

სირისტრიანი – ნამხდარი, დამპალი (ადამიანი); ქალაჩუნა. მომდინარეობს რუს. სიტყვიდან сырость – სინესტი. „აუ, რა „დარმაოი“ მაყუთი წაიღეს ამ სირისტრიანებმა“ (ზაურ კალანდია); „მე ქუჩაში სათამაშოდ, რასაკვირველია, არ მიშვებდნენ. (...) საოცარი ის იყო, რომ უბნელ ბიჭებში „სირისტრიანის“ სახელი მაინც არ მქონდა“ (ვახუშტი კოტეტიშვილი).

სირმანჯო – უგვანი, უხეირო. „ჯერ ვილაც სირმანჯო უურნალისტის მონაჩმახს აყევით და იმაზე გადაუარეთ რონალდოს, არადა ყველამ უარყო, პორტუგალიელებმა. თქვენ ცვეტში ჩასაფრებულები ხართ, ოღონდ ვინმე უურნალისტმა რამე მოიგონოს და სულ გკიდიათ სიმართლეა თუ არა და ეგრევე ლანძღავთ“ (ინტერნეტი); „რამდენი სირმანჯო დადის ამ ქვეყანაზე... ზოგს თვლებშივე ეტყობა, ზოგს სიარულზე, ზოგს საუბარზე... ზოგი ისე დააყენებს მანქანას, რომ ვერ გაიგებ, კვერცხია თუ ქინძი და როგორც ადამიანები იყოფიან ორ ნაწილად (ერთი ნაწილი ადამისა და ევასგან წარმოიშვა, მეორე – მაიმუნებისგან), სირმანჯოებიც ასე არიან – ზოგი კვერცხია, ზოგი ქინძი“ (დიტო გელოვანი).

სიცხე აქვს – გიჟია, გონებაარეულია, აფრენს. „კაცს მართლა სიცხე უნდა ჰქონდეს, ჩვენს აფთიაქებში თერმომეტრი რომ მოიკითხოხო“ (ნოდარ დუმბაძე).

სიყვარულის ბუშტი გაუსკდა – დიდი სიყვარული გამოამჟღავნა ვილაცის მიმართ. „როცა ნასვამი ვარ, ძალიან მოსიყვარულე და თბილი ვხდები, სიყვარულის ბუშტი მისკდება“ („ასავალ-დასავალი“).

სკვაზი – ტაქსის ან დაქირავებული კერძო მანქანის მძღოლის გაცურება ასეთი ხერხით: ცოტა ადრე გააჩერებინებდნენ მანქანას და ეტყოდნენ, ამ სადარბაზოში ვცხოვრობ, მგზავრობის ფული ჯიბეში არა მაქვს, სახლიდან გამოგიტანო. შედიოდნენ სადარბაზოში და იქითა გასასვლელიდან იპარებოდნენ. (მდრ. რუსული сквозной – გამჭოლი). გავრცელებული იყო 1960-იანი წლების თბილისში. ახლა აღარ იხმარება. „ქუჩაში რომ გამოვედით, კაპიკი ფული აღარა გვქონდა. – აბა, ბიჭო, მანქანა და კარგი „სკვაზი“. „მოსკვიჩი“ და „ვილისი“ არ ვიკადრეთ და „ზიმი“ გავაჩერეთ“ (გურამ რჩეულიშვილი).

სკვაზნოი<sup>1</sup> (მანქანა) – მანქანა, რომელსაც გააჩერებენ იმ განზრახ-



ვით, რომ მუქთად იმგზავრონ მეთოდით, რომელიც აღწერილია „სკვაზის“ (იხ.) განმარტებაში. „ნოდარამ *„სკვაზნოი“ მანქანა გააჩერა*“ (გურამ რჩეულიშვილი).

**სკვაზნოი<sup>2</sup>** – *„მე ვგრიმიტობდი მაშინ და იმიტომ დამირეკა, თორე ნუნურაქია, სკვაზნოის ურტყამს სიბნელეში პროფესორ ხალხს“* (აკა მორჩილაძე). აკა მორჩილაძის განმარტებით, „სკვაზნოი“ ეწოდება ოინს, რომელსაც ნარკომანი მიმართავს სხვა ნარკომანისთვის შპრიცით ნარკოტიკის გაკეთებისას. ოინი საკმაოდ რთულია და დიდ დახელოვნებას მოითხოვს, კეთდება სიბნელეში: „ოპერატორი“ ამპულიდან ნარკოტიკული ნივთიერების შპრიცით ამონოვის შემდეგ ამპულას არ აგდებს – მარცხენა ხელის სალოკი და შუა თითით უჭირავს იგი. ნემსი შეჰყავს ვენაში, მაგრამ ისე, რომ მისმა წვერმა სისხლძარღვის მეორე მხარეს გარეთ გააღწიოს და იმ თავნამტვრეულ ამპულაში აღმოჩნდეს, რომელიც „ოპერატორს“ მეორე ხელის თითებით უჭირავს. დგუშზე დანოლის შემდეგ მთელი ნარკოტიკული ნივთიერება კვლავ ამპულაში აღმოჩნდება და მას „ოპერატორი“ თავისთვის გამოიყენებს. მოტყუებულს კი კაიფის ილუზია უჩნდება.

**სკუჩნად/თ** – მყუდროდ, უშფოთველად, წყნარად (რუს. *скупным* – მოსაწყენი. უარყოფითი კონოტაციის მქონე ამ რუსულმა სიტყვამ ქართულ ჟარგონში მნიშვნელობა იცვალა და დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვად იქცა). *„საერთოთ არ არი პრობლემაო, ეგეთი ადგილი, ვააბშე არ არიო, სკუჩნათ, საკაიფოთ იქნებითო (...). სერიოგა საკაიფოთ მოგანყობოთ ორ-ორკოიკიან ოთახებშიო (...). იქნებით თქვენთვის სკუჩნათ და საკაიფოთო“* (აკა მორჩილაძე).

**სოროკი** – სიგარეტის ნარჩენი (ნახევარზე ცოტა ნაკლები, დაახლ. 40 პროცენტი. *Сорок* რუსულად – ორმოცი). *„ენვოდათ თითები დაღეულ „სოროკით“* (ტარიელ ჭანტურია).

**სპეციალობა** – ქურდობა. *„არტისტი იყო რომელიღაც თიატრისა, მაგრამ სპეციალობაში ხელი ჰქონდა გაჩვეულიი – მურტლათ! არ არსებობდა მალაზია, რო იქიდან რამე არ წამოეღო. სუ ორი-სამი ნუთი უნდოდა და მორჩენილი იყო საქმე. მე სპეციალობას მაგასთან ვამხეცებდი...“* (მიხო მოსულიშვილი).

**სპლაშნოი** – ერთიანად; მთლიანად. (რუს. *сплошной* – ერთიანი, მთლიანი, უწყვეტი). *„ქორნილში კიდე სპლაშნოი გავწვალდი, ვერც დავლიე, ფოტოგრაფებს ცალკე დავდევი...“* (აკა მორჩილაძე).

**სპონტამ** – მოუმზადებლად, დაუფიქრებლად თქმა ან გაკეთება რამესი, შემოკლებული ფორმა სიტყვისა „სპონტანურად“ (უშუალო რეაქციის შედეგად). *„გადავაგდოთო (ყვავილების თაიგული. –*

ლ. ბ.), მეთქი ბიჭო, დაიჭი, რა გადავაგდო. სპონტამ ვეუნები და ეგრე ვითომ არა შენ და არა შენ და ვითომ ვაგდეფ და ეგრე მივედით კარამდე და მეთქი ხარაშო, შენ ხვალ დაიჭერ (ყვავილების თაიგულს. - ლ. ბ.), თუ არ დაგაჭერინო კიდე, ნახავ. კაროჩე სუ სპონტამ, ერთი სული მაქ მე მეჭიროს და დავრეკეთ ზარი" (აკა მორჩილაძე).

სპორი წავიდა - კამათი ატყდა. (რუს. спор - კამათი). „...შენ არ გეთამაშები, დავაი აქედანო (...). გლეხური ბაზარი, რა. ისიც არა დგება. და სპორი წავიდა“ (აკა მორჩილაძე).

სპორობს - კამათობს (რუს. спор - კამათი). „- რაზე ვსპორობთ, ტო... რაზე ვსპორობთ!!! რაზე მესპორებით...“ (აკა მორჩილაძე).

სროკზე წავიდა - სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას არ მოერიდა. (იხ. „სროკი“). „თუ რამეა და ეგრევე სროკზე წავლენ. პროსტო, ჩხუბისთვის, თორე რამე ვაგებას კი არ აწვებიან“ (აკა მორჩილაძე).

სროკი - პატიმრობის ვადა. (რუს. срок - ვადა). „მე ისე გავიზარდე, რო მამაჩემი ათწლიან სროკზე იყო. ეგრე ვაზადა აბა რა არი, შვიდის ვიყავი, რო ჩაჯდა და ატ ზვანკა და ზვანკა მოიხადა. ეგ იყო მაგის ბოლო სროკი. მერე აღარ დამჯდარა“ (აკა მორჩილაძე); „- გოგო რო მოვიტაცო, სროკი რამდენია? - სროკი არა ისა! მთავარია გოგომ არ მისცეს ჩვენება“ (ინტერნეტი).

სროკი აჰკიდა - ციხეში ჩასვა. „დურის ტარებისთვის სროკს ნუ ამკიდებ“ (ნოდარ დუმბაძე).

სტვოლი - ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი. (რუს. ствол - ლულა. მეტონიმი). „...ნაგანიც ხელში გვეჭირა და ვათამაშებდით. ეგრე იყო ის დრო, მარა მე რას ვამბობ, დაბრეცილის (პერსონაჟის მეტსახელია. - ლ. ბ.) სტვოლს კი არ ვამბოფ, ბათუმში რო წამოილო, თამაზამ რო ჭაჭა წამოილო, იმას ვამბოფ“ (აკა მორჩილაძე).

სტილნი - მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში ასე ეძახოდნენ მაშინდელი „სტილის“ შესაფერ, მოდურ ტანსაცმელს და იმასაც, ვინც „სტილის“ მოთხოვნის მიხედვით იცვამდა (რუს. стильный). „მეუბნებიან: „რა გაცვია ტანზე, რა არის?!“ მე კი სამოსი, „სტილნის“ გარდა, არ მწამს სხვაგვარი“ (ნოდარ დუმბაძე).

სტოიკა დაიყენა - გაიჭიმა, თავმოწმონე პოზა მიიღო (რუს. стойка სპორტული ტერმინიც არის, „დგომს“ ნიშნავს). „დამინახეს და სტოიკაც მაგარი დაიყენეს - ცალი ფეხი მეორის უკან მიდგმული და მხოლოდ თავები მოატრიალეს მართლა ბელურა ჩიტებივით - ტანის შერხევა მაგათში იავნად გოიშობად ითვლებოდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).



**სტილიკებს იჭერს** – თავმომწონე პოზას იჭერს, დისტანციას იცავს (შდრ. „სტილიკა დაიყენა“). „*ქართველებთან „სტილიკებს“ იჭერს, იმგენზე [არაქართველ ქალებზე] რჩება თვალია!*“ (გიზო ნიშნიანიძე).

**სტიპრო** – ასპროცენტინი, ნალდი (შემოკლებული რუსული стопроцентный). „*ბევრი ვარწმუნე, რო კახა ვენეციაში არა ყოფილა-მეთქი და არ მაინტერესებსო, ტო, მე ეგ კარგათ დავალივერე და სტიპრო იაგოაო*“ (მიხო მოსულიშვილი).

**სტოსი მი(პ)ყავს** – ლიდერობს, ავანგარდშია. „...*ლიტერატურით დაინტერესებულ უნივერსიტეტელთა შორის მათ მიყავთ „სტოსი“*“ (შოთა იათაშვილი).

**სტრანნი** – უცნაური (რუს. странный). „*იცი რა არი სტრანნი, მე ჯერ ატკაზი არ მეონია*“ (აკა მორჩილაძე).

**სტრელი** – პაემანი. (შდრ. „სტრელკა“). „*სპარტაკას დუქანში მივდიოდი, – დანიელასთან „სტრელი“ მეონდა*“ (გიგი სულაკაური); „*გაუშვით და მეორე დღისთვის დაიდო სტრელი*“ (ზურაბ სამადაშვილი).

**სტრელკა** – შეხვედრა დათქმულ ადგილზე, პაემანი. (შდრ. „სტრელი“). „*მივედით სტრელკაზე, იასნია დაგვემატა ხალხი*“ (ზურაბ სამადაშვილი).

**სტროგშია** (ვილაცასთან) – მკაცრი ურთიერთდამოკიდებულება აქვს ვილაცასთან. (რუს. строгий – მკაცრი) „*მამაჩემთან ხო სტროგში ვარ ისედაც და ეხლა ვაფშე*“ (აკა მორჩილაძე).

**სტუკაჩი** – დამსმენი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან. შდრ. „დაასტუკა“. „*მაგაზე ამბობენ, სტუკაჩია და კაცი ფრთხილად უნდა იყო*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**სუფთად მუშაობს** – კრიმინალური დანაშაულის ჩადენისას კვალს არ ტოვებს. „*ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, მაგრამ... სამი კაცი მაინც ჩავარდა (...).* – *არიფები ხართ, სუფთად ვერ მუშაობთ*“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

**სუხარი** – მშრალი, მოსანყენი ადამიანი. (რუს. сухарь – ორცხობილა, ცეცხლზე გამომშრალი პურის ნაჭერი). „*ამაოდ ვცდილობ ერთ-ერთი მაინც ჩავითრიო საუბარში, არაფერი გამომდის, არც ერთი არ მომყვება, ორივე „სუხარი“ გამოდგა, როგორც მოველოდი კიდეც*“ (დავით ჯავახიშვილი).

**სხოტკა** – თავყრილობა. (რუს. сходка). „*ერთ სალამოს (...)* „*სხოტკაზე*“ *მოვხვდი შემთხვევით*“; „*ტორჩი უიარალოდ ჩეჩმაში არ გავიდოდა და „სხოტკაზე“ მოვიდოდა?*“ (ზაურ კალანდია).

— ტ —

ტარიანი — პაპიროსი (რუსული სიგარეტი), რომლის თუთუნით სავსე მოკლე წინა ნაწილს გრძელი ქალაღდის მილი („ტარი“) მოსდევს („ყაზბეგი“, „კურორტნი“ და მისთ.). „**ტარიანი** აღარ დაგვრჩა? — მიუბრუნდა ტოგოს. იმან „ყაზბეგის“ გაუხსნელი კოლოფი გადმოუგდო“ (გია ლომიძე); „**ტარიანს** ენევა და ფუსფუსის დროს ენერგიულად იქნევს უზარმაზარ უკანალს“ (ზურაბ სამადაშვილი).

ტასაობა — სეირნობა, ხეტიალი. (იხ. „იტასავა“). „მაგას ფეხით **ტასაობა**“ უყვარს“ (გვანცა აბდალაძე).

ტემპში — სასწრაფოდ. „**ტემპში** კარისკენ მოვხიე“; „**ტემპში** მისკენ შევეტრიალდი“; „თუ რამ უკეთური გრძნობა გიდევეს ჩვენს მიმართ გულში, ძმურად გთხოვ — **ტემპში** ამოიგდე და მოიშორე!“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ტერსი მისცა — მუშტი უთავაზა. „— ეს ერთხელაც მითხრეს და ისეთი **ტერსი** მივეცი, ხუთმა კაცმა ძლივს ახვეტა მინიდანა“ (ოთარ ჩხეიძე).

ტეხავს — უსიამოვნო გრძნობას ბადებს, განწყობილებას აფუჭებს. ანტონიმი „ასწორებს“ (იხ.). „არა, სადღაც კი ასწორებს, მაგრამ სადღაც **ტეხავს**“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „არ ჩავიცვამ მაგ შენს შარვალს! — რატომ შვილო? — მორჩი, **ტეხავს!**“ (ტარიელ ჭანტურია); „რა კარგია სიცოცხლე, შენ ამბობ, რომ **ტეხავს**, დღეს, როდესაც თბილისი ჰგავს ტეხასს, ჩემი სახლი არვის გაუტეხავს“ (ჯანსუღ ჩარკვიანი). „ტეხავს“ გრამატიკულად არასწორი ფორმაა — თემის ნიშანი „ავ“ აქ არ უნდა (სწორია „ტეხს“), მაგრამ უარგონში ასე დამკვიდრდა. თუმცა „ტეხს“ ფორმითაც შემხვედრია, მაგრამ ეს შემთხვევითი ჩანს: „— **ტეხს!**.. — რა **ტეხს?** — ნახევარი. აი, თავს თუ გამატან, გაასწორებს!..“ („ნიანგი“). იხმარება ვნებითის ფორმითაც („ტყდება“): „ქალაქშიც ჩერესჩურ **ტყდება**, ტო... მთელი სოფელი იქ არი“ (პაატა ქურდოვანიძე).

ტვინი ეკეტება — ძალიან მოსწონს, მონონებისგან გონება უბნელდება (იხ. „ჭკუა ეკეტება“). „...მთელი ზაფხული კისლოვოდსკის ტირებში გავატარე და სროლაზე **ტვინი** მეკეტებოდა“ (აკა მორჩილაძე).

ტვინიკოსი — ჭკვიანი, ტვინიანი (უფრო ირონიული მნიშვნელობით; ირონიულ ელფერს ამ სიტყვას ანიჭებს ქართულ ფუძეს დართული



უცხოური სუფიქსი). „*ეზრა პაუნდი სოფელელი ტვინიკოსია, რომელიც კარგია, თუ სოფელში ცხოვრობ და უვარგისია, თუ სოფელში არ ცხოვრობ*“ (დათო აბულაძე. თარგმ.).

**ტვინს ნიხლი დააჭირე** – გონებას ძალა დაატანე, აზრზე მოდი, გონს მოეგე. „...*ნიმათგან, ვინც თქვენ მაგ სკამებზე წამოგასკუპათ, არავინ გეტყვით... ცოტა საკუთარ ტვინს ნიხლი დააჭირეთ*“ (რევაზ მიშველაძე).

**ტილაობს** – წერილმანდება, წერილმან საქმიანობას ეწევა, მცირე შემოსავალს სჯერდება (როგორც ჩანს, ნაწარმოებია სიტყვიდან „ტილი“). „- *მაყუთი არი? – თბილისისთვის კი. აქაურობისთვის არაფერი. ვტილაობ, რა... მარა ნარმაღან*“ (აკა მორჩილაძე).

**ტიპობს** – უნდა მაგარ ტიპად მოაჩვენოს თავი ხალხს (შდრ. ლიტერატურული „კაცობს“ – კაცად მიაქვს თავი [ბავშვს]). „*ნუ ის ბიჭი ტიპობდა, თორემ, ვინ იცის, თავადაც უნდოდა პირბადე*“; „*გაიკეთე რა, შე დალოცვილო [გრიპისგან თავდასაცავი პირბადე], თუ გინდა, რას ტიპობ და გეგრეხება. ეჰჰ!*“ (გიორგი კაკაბაძე).

**ტიპშა** – მდებრობითი სქესის „ტიპი“ („ტიპს“ დართული აქვს რუსულში მდებრობითი სქესის მანარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსი -შა. შდრ. „*დირექტორშა*“ – დირექტორის ცოლი). „*ერთი ტიპშა მიპადხოდებდა, არ მევასებოდა, ისე გამიხურა, ბოლოს ვხეტქე, მერე აზრზე მოვიდა*“ (ირაკლი ლომოური).

**ტისაკი** – დანა (შდრ. რუს. *тесак* – ერთგვარი ხანჯალი). „*ორმოცდაათ მეტრში ტისაკს გაურჭობსო*“ (ლალო კოკაია).

**ტიხარის გაკეთება** – რაიმეს დალევა ან ჭამა შიგადაშიგ სხვა სასმელის ან საჭმელის დაყოლებით. ვთქვათ, არყის სმა ლუდის დაყოლებით (ლუდის „ტიხარით“). „*ძალიან მიყვარს, ხინკალს რომ ტიხარს გაუკეთებ სიგარეტით*“ (აკა მორჩილაძე).

**ტო** – მიმართვის ფორმა. „- *რა მინდა, ტო, სიონში*“ (თინა ჟორჯოლიანი); „*რატო არ მითხარი, თუ ჩალიჩობდი, ტო, ბრილიანტის წილსაც გავარტყი, ერთად ვიქნებოდით, ტო*“ (აკა მორჩილაძე).

**ტობე** – კარგი (ებრაულიდან). „*ამბობენ შენს მანანას „ტობე“ მამა ჰყოლია*“ („ნიანგი“). ძალიან გავრცელებული იყო 1950-იან წლებში, ახლა აღარ იხმარება.

**ტობედ/თ არი** – კარგად არის იმ გაგებით, რომ ბევრ ფულს შოულობს უკანონო გზით (შდრ. „ტობე“). „*მაგ კაცთან სუფრაზე შევერიგდებით, კარდანივალიც გაჩნდებაო, – რაინდია ამბობს, ტობეთ იყო მაშინ*“ (რეზო ჭეიშვილი).

**ტონკი** – დახვეწილი, რაფინირებული. (რუს. тонкий). „თავისუფლად შემოძლია დავწერო სულ სხვა ენით, ზრდილობიანად და ტონკი ან ძალით ტონკი პასაჟებით“ (გიორგი კაკაბაძე).

**ტოროლა** (გამოთქმაში: „...არა, ტოროლა!“) – წარმოთქვამენ აგდებული ტონით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ, სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო. მისი სინონიმებია „ფლავი“ (იხ.), „ნიახური“ (იხ.), „იხვის ტოლმა“ (იხ.). „რისი გასვლის უფლება, გასვლა არა ტოროლა!“ (ჯანსუღ ჩარკვიანი); „ჰო გაგვიშვეს?!“ – გაგვიშვეს არა, ტოროლა!..“ ტოროლა!.. განთიადის მახარობელი. ნუგეში ღამის მეხრისა. მშვენიერი სიმღერებიც მიუძღვნიათ სოფლადა... უარგონში ჩაუგდიათ ქალაქელებსა“ (ოთარ ჩხეიძე).

**ტორიტორი** – ზუსტად; ზედმინევით; დანვრილებით; სიტყვასიტყვით. (რუს. точно-в точно). „ნუგ ზარი დედას იფიცებდა, ეს შეხვედრა ნუხელის გამართულა კრემლში და ტორიტორი მიაშვებო“ (თამაზ ნატროშვილი).

**ტორკა** – ადგილი. (რუს. точка – წერტილი; [სავაჭრო] წერტი). „ჯერ ბაზარში წასვლა დიდად სასიამოვნო მოვლენა არ არის, მაგრამ ზოგჯერ საჭირო, ნუ მე ნივთების საყიდლად დავდივარ ძირითადად ან დისკების, კაი ტორკა ვიცი“ (გიორგი კაკაბაძე).

**ტრაპეცია** – შარვალი, რომელსაც ტრაპეციის ფორმის ტოტები აქვს (ქვემოთ განიერი, ზემოთ ვიწრო), 1960-იანი წლების დასაწყისში შეცვალა „ბუტილკა“ (იხ.). „ამ ვარიანტით ტრაპეციის შესაკერად ქალიშვილებმა მამებს უნდა გახადონ შარვლები და თვითონ ჩაიცვან“ („ნიანგი“).

**ტრუბაში გააძვრინა** – ძალიან გაანვალა, დიდი სიძნელეები შეუქმნა. (რუს. труд – მილი). „ერთი სიტყვით, ჩვენი მთავრობის ჩანაფიქრი ნათელია – შემდგომში კაი ცხოვრების ფასს რომ მივხვდეთ, ჯერ ყველანი „ტრუბაში“ უნდა გაგვაძვრინონ!“ (თამაზ წიწნავაძე).

**ტრუპი** – გვამი, მიცვალებული. (რუს. труп – გვამი). შდრ. „გატრუპა“. „სუფთა ტრუპი იყო. ტრუპი რა, მიცვალებული“ (აკა მორჩილაძე); „ტრუპი ვარ, ტრუპი, – ჯიუტად იმეორებდა სკამზე მიბმული“ (ლამა ბულაძე).

**ტრუსიკის ძმები** – უახლოესი მეგობრები. „მაცუთი არ ჰქონდა მაშინ და მეთქი ტრუსიკის ძმები ვართ და ის ხო არ არი... მე და ზაზა ერთი ვართ“ (აკა მორჩილაძე).

**ტრუხა** – უხარისხო. (რუს. труха – უვარგისი). „სალამოს მეორედება კაკაო. (...) ერთი ბოთლი კაკაო, ისეთივე ტრუხა, როგორც დილით“



(მიხო მოსულიშვილი); „*ნუხელ ნამალზე გადასულა და ჩარჩენილა*  
*რალაც „ტრუხა“ იყო, ცუდად გამთიშაო, თავს იმართლებს*“ (ზაურ  
 კალანდია).

**ტრუხა ბაზარი** – ყალბი ლაპარაკი. (შდრ. „ტრუხა“ და „ბაზარი“). „...  
 ფსევდო მეგობრების დამშვიდებები, აქ არ ვართ, დაგეხმარებით, და  
 ტრუხა ბაზარი...“ (გიორგი კაკაბაძე).

**ტუზი დაეცა** – ბედმა გაუღიმა, გაუმართლა. თითქოს კარტს  
 თამაშობდა და იმ დროს მოუვიდა ტუზი (უძლიერისი კარტი), როცა  
 ძალიან სჭირდებოდა. „*გაკვეთილზე რატომ არა ხართ? – ქიმია  
 გვიცდება. – ტუზი დაგცემიათ*“ (ზურაბ სამადაშვილი); „*შობას  
 ტუზი დაგვეცა: გამომცემლობა „ალციონის“ მფლობელმა ვეჩილმა  
 ბენდერსკიმ განიზრახა ხელახლა გამოეცა მოპასანის თხზულებანი*“  
 (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ტუზი უტარა ბედმა** – ბედს ენია, ბედმა გაუღიმა (შდრ. „ტუზი დაე-  
 ცა“). „*რა ლამაზია ქარვის გიტარა, მე ბედმა უკვე ტუზი მიტარა*“  
 (დათა გულუა). კარტის ჩამორიგებას კარტის ტარებას ეძახიან,  
 ხოლო ტუზი უძლიერესი კარტია.

**ტუსაობენ** – უსაქმურად დგანან და ლაზღანდარობენ. „*და ვტუს-  
 აობთ მე და ჩემი ორი ძმაკაცი სადარბაზოსთან*“ (ბასა ჯანიკაშვილი).

**ტუფტა** – ყალბი, არანამდვილი; მცდარი. მომდინარეობს რუსული  
 ქურდული ენიდან (туфта). „*შენი იდეაც ტუფტა იყო*“ (დალი ფან-  
 ჯიკიძე. თარგმ.); „*საბოლოოდ კი ტუფტა ლაპარაკი გამოგვივიდა*“  
 (დიანა ვაჩნაძე).

- უ -

**უბედურის ერთი** – თავზეხელაღებული; გაიძვერა. „...ოდუდუვას დახასიათება ის იქნება, რო იყო ძაან მურტალი ჟოსტკი და უბედურის ერთი ვინმე“ (მიხო მოსულიშვილი).

**უბედური ჰყავს გამჩენს** – თავზე ხელაღებულია, ჩხუბისთავია (ასეთი გაუჩენია ღმერთს). „უბედური“ უიღბლოს გარდა გადატანითი აზრით „საშინელს“ და „აუტანელსაც“ ნიშნავს. ამ მნიშვნელობებს ეფუძნება განსამარტავი გამოთქმა. „**უბედური ჰყავს გამჩენს**, – უპასუხა ბოროვოიმ, – მთელი ოდესა ხელში უჭირავს“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**უბედურნახევარი** – თავზეხელაღებული და კიდევ მეტი. „თანაც მამამისი... უბედურნახევარი, რუსები „გალავარეზს“ რომ ეძახიან, ისეთი კაცი, კარებთან გველოდება“ (რევაზ მიშველაძე).

**უბერავს<sup>1</sup>** – სვამს ალკოჰოლიან სასმელს (ნამყო სრული „შეუბერა“). „დავრდომილები გვიანობამდე უბერავდნენ ხოლმე... სარდაფში და ნამუსრევს მე ზობლებს ურიგებდნენ“; „...იგინებოდა და ზეზეულა უბერავდა არაყს“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „შე დალოცვილო, ამ ცარიელი ჭიჭით რომ დამსდევ, აავსე ღვინით და კაცურად შემაბერინე“ (ნოდარ დუმბაძე); „აბა, ახლა შევუბეროთ. სმის ხასიათზე დავდექი“ (გურამ ფანჯიკიძე).

**უბერავს<sup>2</sup>** – უკრავს, მღერის. „ვილაც თხისფეხებიანი კაცი უბერავდა მგონი ფლეიტაზე“; „საერთოდ, რიგიანი მომღერლებიც გვყავდა, დამწერისად უბერავდნენ ხოლმე“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**უბოზა** – დაასმინა. სინონიმი „ჩაუშვა“ (იხ.). „აჯო მივატოვეთ, ბადრიმ გვიბოზა, ვიდრე ხელახლა წამოვიწყებდეთ, გაიარ-გამოიარე, შავ ზღვაზე გაისეირნე“ (ოთარ ჩხეიძე).

**უბრაზუნებს** – სვამს მაგარ სასმელს. სინონიმი „ურტყამს“ (იხ.). „ჰემინგუეი ამტკიცებს, ვარაუდს გამოთქვამს, ასახავს, ნადირობს, ისვრის, გრაპას სვამს, ვისკის უბრაზუნებს“ (გიორგი ჩარკვიანი).

**უგრევია** – უჩუქებია. (მდრ. „გრევი“). „...ამერიკაში მივდივარო და ზაადნო, ეს ბიზნესი მიგრევიაო“ (აკა მორჩილაძე).

**უვერენი** – დარწმუნებული. (რუს. уверенный). „– ჩანთა დააბრუნეთ, სტუდენტო... – რა, უვერენი ხარ, რომ მე ავიღე?“ (მაკა მიქელაძე).



**უკანალის თამაში** – ეშმაკობა, რომელიც ადვილად გამოიყენება, ვირეშმაკობა. „ერთ სადავო საკითხზე ჩემი აზრი ხმამაღლა გამოვთქვი ახლობლებში, – ასე და ასეა საქმე და თავი დაანებეთ უკანალის თამაშს-მეთქი; ყველა პირდაღებული მომაჩერდა“ (ზაურ კალანდია).

**უბოდლა** – უმუხთლა (რუს. подыхать – მუხთალი, ფლიდი). „მივიღეთ, სისხლი გავუყავით და ტანკი აგვნაპნა, „გვიპოდლაო“, განანყენებული იყვნენ გაღმელები“ (ზაურ კალანდია).

**უპრაგონოდ** – დაუდევრად, ანგარიშმიუცემლად (შესაძლოა, ეს იყოს დამახინჯებული უპარდონოდ, ანუ უბოდიშოდ). „ასე თუ ვხარჯე უპრაგონოდ, გათავდება ეს ბიოდენი და მეყოლე კარგად“ (რევაზ მიშველაძე).

**უპრიკატი გაუკეთა ან უპრიკატში ჩააგდო** – უსაყვედურა, ბრალი დასდო (რუს. упрекать). „თუ უპრიკატს მიკეთებ, შენი ამყოლი არცა ვყოფილვარ, არც ვიქნები“; „– მივდივარ... მანამდის გავსწორდეთ. – დაბრუნდები, აქ დაგხვდები. – დაბრუნებისას სხვა იქნება (...). – უპრიკატში ნუ ჩამაგდებ. – დაბრუნებისას სხვა იქნება-მეთქი“ (ოთარ ჩხეიძე).

**უროვენი უჭირავს** – სათანადო დონეს ინარჩუნებს, სათანადო დონეზე დაბლა არ ეშვება (რუს. уровень – დონე). „გრანდ ოტელი“ ჩემი ტილიანი სასტუმრო როდია. აქ მივლინებით ჩამოსული ხალხი ვახშობს. უროვენი უჭირავთ...“ (აკა მორჩილაძე).

**ურტყამს** – სვამს ალკოჰოლიან სასმელს. სინონიმი „უბრაახუნებს“ (იხ.). „ჰა, იმას ხომ არ ურტყამდით? – ჰკითხა ბულიკამ და ყელზე ნკიპურტი გაირტყა ორჯერ“ (ნოდარ დუმბაძე); „ურტყამთ? – ვითომ მათ კილოზე მოუქცია თეონამ“ (რევაზ ჩხარტიშვილი).

**უსტვენს** – აფრენს, სულელია, გიჟია. ნამყო სრული „დაუსტვინა“. სინონიმი „ლეტნად არი“ (იხ.). „ბუჭამ გვერდით გაიხბო ჯონდო: – უსტვენს? – ჯონდომ უარის ნიშნად თავი გაიქნია. – არ უსტვენს? – მგონია, შენ უფრო აფრენ, ვიდრე ეგ ბიჭი“ (ჯემალ დავლიანიძე); „დაუსტვინა, გეუბნები! გუშინ ხო ვუთხარი, შენ რაღაც ლეტნადა ხარ-მეთქი“ (ნაირა გელაშვილი).

**უსუდა** – სასამართლოში უჩივლა. (ქუთაისური ჟარგონი). (რუს. суд – სასამართლო). „კოტე ფიორიას მესამედ „უსუდეს“. პროცესი სასამართლოზევე უნდა შემწყდარიყო, მაგრამ პროკურორმა, ცოტა შეხვდა თუ მშრალზე დატოვეს, გააფხარკალა ფეხები“ (რეზო ჭეიშვილი).

**უტარო კოვზივით ეჩრება სხვის საქმეში** – დაუკითხავად (არამ-

კითხესავით) ერევა სხვის საქმეში. სიურრეალისტური შედარება, რომელიც, როგორც ჩანს, ასეთ შინაარსს გულისხმობს: უტარო კოვზი იოლად ჩავარდება კერძში და იქიდან ძნელი ამოსაღები ხდება, – ასევე არამკითხვე ხალისით ერევა სხვის საქმეში და მერე ძნელად რომ თავისი ნებით შეეშვას მას. „– რას ერჩები სხვის საქმეში უტარო კოვზით? – მოთქვამდა ზლოუქუნით. – ვინ დაგნიშნა უფასო ვექილად?“ (ჯემალ ქარჩხაძე).

**უტრაკებს** – საქმეს უჭირებს. სინონიმი „უჩმახებს“ (იხ.). „– შეილი მიტრაკებს და კურინაია სლეპატა. სხვა ყველაფერი კარგადაა, ცხონდი, დედაჩემო“ (დავით ქართველიშვილი). ი. გრიშაშვილს „ქალაქურ ლექსიკონში“ აქვს ეს სიტყვა „ატრაკუნებს“ ფორმით და წერს: „არ არის ლიტერატურული სიტყვა. თუმცა სოფ. მგალობლიშვილი ხმარობს ერთს მოთხრობაში: „ლას ატლაკუნებს, მამაჩემი ველ მომწელდა?“ (ეს მოქმედი პირი „რაეს“ „ლასად“ გამოსთქვამს. „მოამბე“, 1899 წ., N VIII, გვ. 78)“.

**უტყდება** – არ სიამოვნებს. (შდრ. „ტყხავს“). „აბა ეხლა ის ჩემისა ატარონ ექიმებში. არ ივლის? რატო? უტყდება? ის არ უტყდება, მაგის ცოლი რო დაყავთ?“ (აკა მორჩილაძე).

**უქიქინებს** – თავში უქრის, აფრენს, ჭკუათხელია, ქერქეტაა („ქიქინი“ ნიავის ქროლას ნიშნავს). „კანტუზიანი ჯველია და პატარას უქიქინებს“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**უქიშინებს** – ნარკოტიკს ეწევა. „ვაჰ, თქვენც უქიშინებთ, დევი ბატონო?!“ (ლაშა თაბუკაშვილი).

**უყარე კაკალი** – რაც გინდა ქენი, აღარაფერი გამოვა, საქმეს აღარაფერი ეშველება; გვიანლა იქნება თითზე კბენანი. სიურრეალისტური ხატოვანი თქმა (კაკლის ყრა – ალბათ უაზრო, ფუჭი, უსარგებლო საქმიანობა). „სულაც კალედონიელად დავენერები და მერე მიყარონ კაკალი“ (აკა მორჩილაძე).

**უჩმახებს** – საქმეს უჭირებს, გულს უწყალებს. „მე რალაზე უნდა მიჩმახებდნენ საქმეს?“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „აზრზე არა ვარ, რა უნდა დაარქვა, თმის გულისთვის ხალხს ასე რომ უჩმახებენ საქმეს“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**უწი-პუწი** – გადაპრანჭული. „ვილაც ნაცნობი შეხვდა, კარგი მაკიაჟით, კარგად ჩაცმული ქალბატონი. მათ შორის შედგა „უწი-პუწი“ საუბარი და გადაწყდა, რომ ერთმანეთი დიდ ხანს არ უნახავთ და ერთად ჩაის დალევდნენ ამ დღეებში, რომელიმეს სახლში“; „არის პერიოდები, როცა სულ კინოზეა ნანერი, არის პერიოდები, როცა



„დღიურივით“ იქცევა ბლოგი (რაც ძალიან არ მინდა, მაგრამ ზოგჯერ გამოდის), ზოგს კი აინტერესებს და ეს კარგია, მაგრამ უმეტესობას არა, სხვა უნი-პუნი პოსტების კითხვა ურჩევნიათ ან აი აბსოლუტურად ჩვეულებრივის“ (გიორგი კაკაბაძე).

უჭირავს<sup>1</sup> – განაღდებული აქვს. სინონიმი „ზედა აქვს“ (იხ.). „ნაღდი სახრჩობელა გვიჭირავს და ეს არის“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელეები).

უჭირავს<sup>2</sup> – შემოკლ. „თავი უჭირავს“. „ბიძა კიდევ ღარიბია, მაგრამ ამაცი. ქალაქური უჭირავს“ (აკა მორჩილაძე). ნიშნავს: ქალაქელივით იქცევა, ქალაქურად უჭირავს თავი.

უჯიგრია – კაცურად (ჯიგრულად) მოქცეულა (შდრ. „ჯიგარი მასტი“). „ეს უნდა მეთქვა!.. არ მინდა, რო შენ თვალში არაკაცი ვიყო, ძმაო!.. დაჟე მამა ზვიადსაც ველაპარაკე... ისე, – თვალეები აუციმციმდა მოულოდნელად, – მაგარი უჯიგრია მაგასაც...“ (ლაშა ბულაძე).

უჯოკრავს – ჯობნის. ნამყო სრული – „მოუჯოკრა“ ან „გადაუჯოკრა“ (იხ.). (ბანქოს ზოგიერთ თამაშში ჯოკერი უძლიერესი კარტია). „...გაზაფხულის წვიმა ულაპარაკოდ უჯოკრავს“ (დიანა ვაჩნაძე).

- ფ -

**ფაიზალი** – ნალდი (ნალდად), ნამდვილი (ნამდვილად). „სიაფანდია... ფაიზალი სიაფანდია“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ფარტი** – ილბალი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან. (იხ. ს. სნეგოვის ქურდული ენის ლექსიკონი). „...პირში ხო არ ვეტყვი, ტო, ღმერთს რო ჩუენი ამ ცხვრებს, რო ფარტი მოგცეს, არასწორეს ეუბნები. შენ უნდა უთხრა, რო ჭკუა მოგცეს, ფარტი კი არა, თორე ღმერთმა, რო დაიბადე, უკვე გადაწყვიტა, რო კირუხიანი ხარ“ (აკა მორჩილაძე).

**ფარჩაკი** – შემოსულია რუსული ქურდული ენიდან, სადაც порчак ნამხდარ, ზნედაცემულ „ფრაერს“ (იხ.) ნიშნავს, რომელიც პარვას იწყებს, ქურდების მიბაძვას ცდილობს. ქართულ ჟარგონში უხეიროს, ბედოვლათის მნიშვნელობა მიიღო. „და ძალიანზე ძალიან აღსდექ და მოაკეტინე: დამპლებს, დარტყმულებს, გორსალებს, ფარჩაკებსა და კრეტინებს“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**ფარჩაკული** – ფარჩაკის (იხ.) შესაფერისი – უხეირო, უვარგისი, უხარისხო. „შინაარსობრივად ხომ ერთობ ფარჩაკული სტიხია, მაგრამ მხატვრულადაც მეტად უგემურია“ (გიორგი ბაქანიძე).

**ფაფა აჭამა** – მოატყუა, მშრალზე დასვა, პირში ჩალა გამოავლო. „ჩემი ქალიშვილობის დროინდელ თაყვანისმცემლებს [...] ყველას ფაფა ვაჭამე, ედი! არჩევანი შენზე შევაჩერე“ (ოთარ პერტახია).

**ფაქტზე დანვა** – დანაშაულზე ნაასწრო. „და პოლიციამ ეგრევე დაგვწვა ფაქტზე“ (მიხო მოსულიშვილი).

**ფაქტი** – ნარკოტიკი. „ვეუბნები კიკალას, ჯიბეში ფაქტი უდევს, მოტეხე ეგ ჩემისა-მეთქი. გადააგდე სადმე კიბესთან“ (ბასა ჯანიკაშვილი).

**ფაჩიკოს გარმონივით დაიშალა** – ადვილად დაიშალა, ადვილად დაინგრა. უცნობი წარმომავლობის შედარება. „...რა ჩვენი ბრაღია, თავის დროზე ცემენტი თუ მიაკლეს [ძეგლს] და ფაჩიკოს გარმონივით დაიშალა?“ („ახალგაზრდა ივერიელი“).

**ფეხებზე ჰკიდია ორი და ათი შაური** – გამოთქმა „ფეხებზე მკიდია“ თ. სახოკიას ლექსიკონში („ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“) ასეა განმარტებული: „დარდი არა მაქვს, არა ვზრუნავ, რაც უნდა მოხდეს, ჩემთვის სულერთია“. შემდეგ ამ ხატოვან თქმას ექსპრესიის



გაძლიერების მიზნით დაემატა „ორი და ათი შაური“. *„უჩინებელი მთვრალეები არიან. ფეხებზე ჰკიდიათ ორი და ათი შაური. დაგარტყამს და წავა, სდიე მერე“* (თამაზ ნატროშვილი).

**ფეხი არ ჩაუვა** – ვერ შეძლებს, არ გამოუვა (ითქმის ნიშნისმოგებით). *„ერთხელ გოგო მყავდა წაყვანილი, ამასაც მოსწონდა თურმე, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდა“* (ვანო ჩხიკვაძე); *„არ ჩაუვა ფეხი ამ ახვარს, ტყუილად იჭაჭება“* (ზაურ კალანდია).

**ფინაჩი** – სპარსული სიტყვაა და მეჯღანეს ნიშნავს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მისი მეორე (გადატანილი) მნიშვნელობაც არის მოცემული: „უხეირო, უვარგისი ხელოსანი საერთოდ“. თანამედროვე ქართულ ჟარგონში ამ სიტყვის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და საერთოდ უხეირო, უვარგის, ბედოვლათ ადამიანს ნიშნავს. *„ფინაჩი ყოფილა, ეხლა მაგისი პლანი ვიღან ასრულებდა?“* (ნოდარ დუმბაძე).

**ფირმა** – იტალიური წარმოშობის სიტყვაა და სალიტერატურო ენაში სანარმოს ნიშნავს, ჟარგონში კი უცხოური (დასავლეთევროპული, ამერიკული) ნაწარმის მნიშვნელობით იხმარება. *„რისი თბილისური, რა თბილისური, ფირმა!“* (ზურღან გემაზაშვილი); *„ფირმა“ სიგარეტებით, მზის სათვალეებით და ძვირფასი სუნამოთი უხვად მომარაგებულნი* („საქართველოს სამრეკლო“).

**ფირმა როჭა** – უცხოელი მოქალაქე. შდრ. „ფირმა“ და „როჭა“. *„...ერთი ჩვენი უბნელი ვნახე, კახა ბურნაძე. ეგ მაშინ ფირმა როჭების შეყენებაზე ჩალიჩობდა“* [ნიშნავს: ეგ მაშინ უცხოელებს აჩრებდა და ძარცვავდა]. (მიხო მოსულიშვილი).

**ფირმენი** – უცხოური (დასავლეთევროპული, ამერიკული. რუს. фирменный – საფირმო). შდრ. „ფირმა“. *„თავისი ფირმენი ვარცხნილობით მოგულავდებოდა ხოლმე. „პალმას“ იკეთებდა – ქვემოდან რამდენჯერმე შემოხვეული, ფერად-ფერადი რგოლებით და ზემოდან მართლა პალმასავით გადმოშვებული თმებით...“* (მიხო მოსულიშვილი).

**ფლავი** (გამოთქმაში: ...არა, ფლავი) – წარმოთქვამენ აგდებული ინტონაციით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ, სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო. მისი სინონიმებია: „ტოროლა“ (იხ.), „ნიახური“ (იხ.), „იხვის ტოლმა“ (იხ.). – *მერე ხომ მივიღე. – მიმიღე არა, ფლავი. შესვენებამდე გელოდე. მერე მდივანმა შემოიხედა და იქვე გიპოვა“* (გრიგოლ რუხაია).

**ფოსტა** – ფსონი აზარტულ თამაშში. *„ცოტაა, ფოსტა გაზარდო“*,

მიზნიკინებდა და მეც გავბრიყვდი, ზედმეტი მომივიდა და საბოლოოდ ის ორი-სამი მანეთიც დაეკარგეთ“ (ზაურ კალანდია).

**ფრაერი** – შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (Фраер), რუსულში კი გერმანულიდან (Freier – თავისუფალი; ის, ვინც დამნაშავეთა სამყაროს არ ეკუთვნის, ანუ პროფესიონალ კრიმინალურ დამნაშავეთა სამყაროში მოქმედი დაუნერელი კანონებისაგან თავისუფალი ადამიანი). რუსულ ქურდულ ენაზე ასე ეძახიან გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელ ტიპს (უპირატესად ინტელიგენციის წრიდან); იგი თითქოს „თვით ბუნებას შეუქმნია ისეთ არსებად, რომელიც უნამუსოდ უნდა ძარცვონ“ (სერგეი სნეგოვი). ქართულ ჟარგონში საქმეში ჩაუხედავს, გაუთვითცნობიერებელს ნიშნავს. „საეროს“ ნუ სვამ, ფრაერო!“ (ალექსი ჭინჭარაული).

**ფრონცკად** – გადაპრანჭულად; აზიზად (იხ. „ფრონცქი“). „გამიგონია ძველებისგან, ცოტა ეგრე ფრონცკად ვაზდილი სანამ პარაშებს მიეწვევაო, ერხევაო და ბალნიცა და ამბები უნდაო“ (აკა მორჩილაძე).

**ფრონცქი** – თავმომნონე; პრანჭია; გადაპრანჭული. (რუს. фронтский – ფრონტელი, ფრონტიდან დაბრუნებული). გავრცელდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ასე უწოდებდნენ ფროტიდან დაბრუნებულთ, რომელთაც ხალხი განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა, ვითარცა ბევრი რამით (მათ შორის სამხედრო ფორმით) სხვათაგან გამორჩეულთ. მერე ასე შეარქვეს თავმომნონე, თავის გამოჩენისკენ მიდრეკილ, პრანჭია ადამიანს. „არ იყო, ძმაო, თქვენც იცით, ფრონცქი ქალი“ (რეზო ჭეიშვილი); „მოკლედ, დაიწყო გადაცემა და, რომ გამოვიდნენ ეს ფრონცქი-ფრონცქი ნაზიკო ბიჭები, ტიტუ, შემოვიკარი თავში ხელი“ (ინტერნეტი); „ჩემი ბიჭი ჩემს მოქსოვილ ფაჩუჩებს უფრო კარგად ხმარობს, ვიდრე ინტერნეტით გამონერვილ „ფრონცქ“ ფეხსაცმელებს“ (ინტერნეტი).

**ფრონცქობა** – თავმომნონეობა, პრანჭიაობა (იხ. „ფრონცქი“). „ამ ამბის გარდა სხვაც ატყდებოდა – რეალური კულტურული რევოლუცია და არა აჩერედნოი ფრონცქობა“ (ინტერნეტი).

**ფრუქტი** – ტიპი, ვინმე (უარყოფითი მნიშვნელობით, აგდებულად). (რუს. фрукт – ნაყოფი). ნარჩენი გამოთქმისა: „ვიცი, რა ფრუქტიც არის (რა ნაყოფიც არის) [ეგ ვაჟბატონი]!“ . „– რა ნაგვებიც ხართ, ჯობს იმად დარჩეთ!– თქვა გელამ. – ნაგავიც ხარ და „ფრუქტიც“! – გალიზიანდა იმნაძე“; „და რა ბაირამ-დუდუკი და ფრუქტიც გამოდგა ეს მესნი პაპუასი და მაგისი ფინფონფლო ცოლი, მაგას მერე გეტყვი“ (მიხო მოსულიშვილი).



ფუფლო – ვინც აზარტულ თამაშში წაგებულ თანხას არ ან ვერ იხდის. „– რას ერჩით? – ჰკითხა მჩაგვრელებს. – წაგებულშია, – ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასთვის. – რამდენშია. – ორმოცდაათი მანეთი გუშინწინ აქანე უნდა ყოფილიყო (...). ფუფლოა აგი“ (ჯემალ თოფურიძე).

ფუფლოში გადავარდნილი – ვინც აზარტულ თამაშში წაგებულ თანხას ვერ იხდის. (შდრ. „ფუფლო“). „– რას ვიზამ და ფუფლოში გადავარდნილი ყომარბაზივით მოგჭრი თავს!– დაექადნა ოჩიაური“ (მიხო მოსულიშვილი).

ფუფლო ჭრელია – ამბობენ, როცა უნდათ ხაზი გაუსვან აზარტული თამაშის წესების სიმკაცრეს. „ფული, ამდენი ფული უნდა მიეტანა ზეგისთვის, მეტი გზა აღარ იყო და რა ექნა, რა მიეტანა, რა მიეტანა, რაც აღარ ჰქონდა. „ფუფლო ჭრელია, ძმაო!“– ჩაესმა კახა იმნაძის ბოლმიანი ხმა, ერთნამს მისი მოქნეული მუშტიც წარმოიდგინა“; „ფუფლოში, ჭრელ ფუფლოში ვარდებოდა! თანაც რამხელა ამბავში, ამდენ მაყუთს ვინ შეარჩენდა“ (მიხო მოსულიშვილი).

## - ქ -

ქაჯი - სალიტერატურო ენაში ავ სულს, ეშმაკს ნიშნავს, გადატანით - თავზე ხელალებულ ადამიანსაც, ჟარგონში კი ჩამორჩენილის, ხალხში გამოუსვლელის მნიშვნელობით იხმარება (სინონიმები: რქიანი, გოიმი, გორსალა, ჯიხვი). „- ის ქალი ორივეს ჯობია, რომ იცოდე! - ნამეტანი ქაჯია, ისე მართალი ხარ“ (რეზო ჭეიშვილი); „ჰმ, რას ნიშნავს, რომ ქაჯი ხარ, ტო!“ (ზაალ ტაბალუა); „მე რომ ვლადაობ, მართლა ვლადაობ და უნდა გაიცინო: თუ ქაჯი არა ხარ, გაიცინებ“ (აკა მორჩილაძე).

ქაჯურად - უგემოვნოდ, უგერგილოდ, უნიჭოდ, არაელეგანტურად. „...გოგო ან ქალი თუ მოგონთ, სულ უნდა აქოთ (...). - ოლონდ ქაჯურად კი არ უნდა გამოგივიდეთ“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

ქაჯური - უგემოვნო, ქაჯის (იხ.) შესაფერისი. სინონიმი „გოიმური“ (იხ.). „ღმერთო, რა ქაჯური ჰალსტუხი უშოვია“ (აკა მორჩილაძე).

ქეთინო - ქალურად ნაზი მამაკაცი (ქეთინო - ქალის სახელის, ქეთევანის, მოფერებითი ფორმა). „- ეე, - ხელი აიქნია ზახოდამ, - იმათ ისეთი ქეთინო ძაღლები ყავთ!“ (აკა მორჩილაძე).

ქეიფის აგდება - ქეიფის ინიცირება. „რალაც სასწაული შნო და ნიჭი ჰქონდა ქეიფის აგდებისა, აჩენისა, გამოქექვისა და დაბდურა ლოთებსაც მეტი რა უნდოდათ, ჯგროდ დასდევდნენ კუდში“ (ზაურ კალანდია).

ქეში - ნარკოტიკის მწვეელი. „...სვამენ, თავიანთ ცოლებს სცემენ, ქურდები არიან, ქეშები და ზარისტები და მორფინისტები...“ (ირინე ბაქანიძე); „გურგენა სტაჟიანი „ქეში“ იყო, დილიდან საღამომდე ეწეოდა და უბანში შაყირობდნენ, ტვინი „პლანის შმატოკად“ აქვს გადაქცეულიო“ (მიხეილ ანთაძე).

ქვაზე დახატულ ეშმაკს ჰგავს - მეტისმეტად მახინჯია. „იცი რას ჰგავხარ? (...) შელებილ საფრთხობელას. ქვაზე დახატულ ეშმაკს. ღამის მოჩვენებას“ (ჯემალ ქარჩხაძე).

ქვეშიდან გამოვიდა - კრიტიკული ვითარებიდან ნაკლებ ღირსეული გამოსავალი აირჩია (რაიმეს ქვეშ გაძრომა უმეტეს შემთხვევაში ნელში მოდრეკას გულისხმობს, რაც თავის დამცირებად აღიქმება). „სიმშვიდით დაუთოხმახე, არ გამოსულხარ ქვეშიდან“ (ვახტანგ ჯავახაძე).



ქინძზე მკიდეა – არ მაინტერესებს, არ ვნალვლობ, ჩემთვის სულა ერთია. იგივეა, რაც „ფეხებზე მკიდეა“ (იხ. თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“). რატომ ჩაენაცვლა „ფეხებს“ „ქინძი“, ძნელი სათქმელია. „ნახევარ საათში ქურაში უნდა ვიყო, თუ ჯერ კიდევ არ დამიკიდეა მთლად ყველაფერი ქინძზე“ (დიანა ვაჩნაძე).

ქლიავი – შტერი (შდრ. „გამოქლიავებული“ და „დაქლიავდა“). „–ორსულადა ვარ, შე ქლიავო, ფეხმძიმედ“; „–აიარალებ, შე ქლიავო, ბავშვებს?“ (ზურაბ სამადაშვილი).

ძნელი სათქმელია, ხილის ეს სახეობა რატომ დაიტვირთა ჟარგონში ასე დამამცირებელი შინაარსით.

ქოთი – სპარსულიდან შემოსული ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულში იგივეა, რაც შფოთი, ღრიანცელი, ჟარგონში კი ცემას, გალახვას ნიშნავს (ალბათ იმიტომ, რომ ცემა, გალახვა შფოთთან და ღრიანცელთან არის დაკავშირებული). „ბუხოი ქაჯები, ქოთი, ამბავი?“ (ზურღან გემაზაშვილი); „ქოთი კი, მგონი, კეფაში მუშტის ნაკვრას უნდა ნიშნავდეს. სტუდენტებისგან გამიგონია, მაგალითად: ისეთი „ქოთი“ გამოვუნერო, რო!“ (გიზო ზარნაძე).

ქოთი გამოუნერა – სცემა, გალახა. წარმოქმნილია სამედიცინო გამოთქმის „ნამალი გამოუნერა“-ს ანალოგიით (აქაოდა, ცემა ჭირვეულის მოსარჯულებელი ნამალიაო). „რა გინდა, რას გადამეკიდე? – იკითხა ნიკომ, – გამოგიწერო ქოთი?“ (გურამ კაპანაძე).

ქოქავს – აქეხებს. „რას ვუყურებთ, ლევან, რა პრობლემაა მაგათი დაქოთვა! – ქოქავს ლევანას“ (ზურაბ სამადაშვილი).

ქსივი/ქსივა – დოკუმენტი, საბუთი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (ксива), ებრაულად ნანერს ნიშნავს. „აჰა შენი ქსივები, – საბუთები გაუნოდა, – კარგიც ეს არის“ (ოთარ ჩხეიძე).

ქსივი მიაქვს – კვდება (შდრ. „წერილს წაიღებს“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში). „ჩამოვედი თუ არა, უბნის ბიჭებმა მითხრეს, ქსივი მიაქვსო... – რაო? – ჰკითხა ბაჩანამ. – კვდებაო! – აუხსნა ამბოკაძემ“ (ნოდარ დუმბაძე).

**ღადაობა** – ლაზლანდარობა. „...შოილი ერთი უბირი და ბრახანა ბერიკაცი იყო, მაგრამ მისი ღადაობა დღესაც მახსოვს, სასმენად ღირდა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ღადაობს** – ლაზლანდარობს. „ნადი, შენი კბილა მოძებნე და იმას ელადავე“ (რევაზ მიშველაძე).

**ღობე აქვს** – შეზღუდულია (უფრო გონებრივად). „მე როცა გავმდიდრდები, არ ვიცი, რას გავუკეთებ, რა ვიცი, ყველაფერს, სტიჰენდიას დავუნიშნავ, მაგარს, და ვეტყვი, ჰუმბოლდტისაა-მეთქი. ისე, ფანტაზიაში აშკარად ღობე მაქვს, არა?“ [ნიშნავს: ფანტაზიის უნარი შეზღუდული მაქვს] (სოფიო კირვალიძე).

**ღუნავს** – ითვისებს, თავისკენ მიითლის იმას, რაც კანონით არ ეკუთვნის (ნამყო სრული „გადაღუნა“ (იხ.) ან „მოღუნა“). „მაინც თვეში რამდენს ღუნავ? – ვწონი, არა ვთვლიო!“ (ალექსი ჭინჭარაული). იხმარება სამპირიანი ზმნის ფორმითაც: „ასე მგონია, ქვეყანას მშობელს ყველამ რაღაცა გადაუღუნა“ (ემზარ კვიციანიშვილი), ნიშნავს: ყველამ მიითვისა ისეთი რაღაც, რაც მშობელ ქვეყანას ეკუთვნოდა, მშობელ ქვეყანას დააკლო და თვითონ შეიმატა.

– ყ –

**ყელი გამოიგლიჯა** – ძალიან სთხოვა, ძლიერ შეეხვეწა. ეს იგივე გამოთქმაა, რაც «ყელგამონევით ხვეწნა» (იხ. თ. სახოკიას ლექსიკონი), ოღონდ ჰიპერბოლიზებული. ხელის თითებით ყელის გამოწვევა ჟესტების ენაზე თხოვნას ნიშნავს. *„ბაჩანამ ყელი გამოიგლიჯა და ანიშნა, საუბარი განაგრძეო“; „- გელა, მოდი რა?! - გამოიგლიჯა ყელი ნელიმ“* (ნოდარ დუმბაძე).

**ყელში ჩანგლებს იყრის** – იჭიმება, დიდ ვინმედ მოაქვს თავი. *„...მე ბაქოში ძმები მყავს, მიმიქარავს აქ ზოგიერთი, ყელში ჩანგლებს რო იყრის“* (მიხო მოსულიშვილი).

**ყველამ საკუთარ ბოზ მამიდას მოუაროს** – ყველამ თავის საქმეს მიხედოს, სხვის საქმეში ცხვირს ნურავინ ჩაყოფს. *„- ბიჭო, შენ მართლა განძეული ხომ არ გიპოვნია, - ისევ დაიჩურჩულა სანდრო გედენიძემ, - თქვი, არ გაგამხელ! - ყველამ საკუთარ ბოზ მამიდას მოუაროს, ბატონო სანდრო! - ავად გაულიმა ვაჩემ“* (მიხო მოსულიშვილი).

**ყიყლიყო** – ქალური ბუნების მამაკაცი (შდრ. რუსული ირონ. петьх). *„- არა, კაცო, გიყი არ იყო! ვაგოიმებდი, ყიყლიყო ტიპია, რას გადაგვიშლის ხოლმე გულს! - რა ვიცი, ქალებში მაგრად იჩითებაო, ამბობენ (...). - ასიანი ყიყლიყოა; წამო გავაბოლოთ“* (ზურაბ სამადაშვილი).

**ყომარი** – აზარტული თამაშის სახეობა; თანამედროვე ჟარგონში მიიღო აგრეთვე ჩვეულების, ადათის, წესის მნიშვნელობა: *„ცხრანომერამ (...) მოშნი რეჩები გაახურა - „მე სულ ფეხებზე მკიდია თქვენი თბილისური ყომარი, სოფლელი ბიჭი ვარ და ღვინის მერე ქალი მინდებო, წავალ ახლა მაგ კახპებს დავება ზრებიო“* (ზურაბ სამადაშვილი).

**ყოფა ეტირა** – შავ დღეში ჩავარდა, ცუდად წაუვიდა საქმე (თითქოს მისმა ყოფამ – არსებობამ, ცხოვრებამ – სიმწრით ტირილი დაიწყო). *„...თუ მომპარავთ, გეტირებათ ყოფა“* (გურამ დოჩანაშვილი).

- შ -

**შავი გაგება** – ქურდული გაგება, ქურდული აზროვნების წესი. „რატომ უნდა მოაგვაროს საქართველოში კონსტიტუციური პრობლემები „შავმა გაგებამ“ ან „შავმა ანაფორამ“? (გაზ. „ახალი ეპოქა“).

**შავი მასტი** – „შავი“ სამყაროს წარმომადგენელი, ქურდი, ჯიბგირი. (შდრ. „მასტი“ და „შავი ხალხი“). „სამი ახვარი დაგვხვდა ბნელ და ანაშით აშშმორებულ ოთახში, ჩემთვის უცნობი შავი მასტები, და გავლიზიანდი“ (ზაურ კალანდია).

**შავი ხალხი** – კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი. „მართალია, ხელისუფლებაცა და მილიციაც არსებობდა ქალაქში, მაგრამ, როგორც იტყვიან, იმ წლებში „შავი ხალხის“ მოზღვავება იყო...“ (ზაურ კალანდია).

**შავს მიაწვა** – ქურდობა დაიწყო. (შდრ. „შავი ხალხი“). „...ეს გამორფინისტდა მაგრათო და მაგრა შავს მიაწვა უცბათო. ესე იგი, პროსტო მორფინისტობას კი არა, ვდრუგ დაანვა პრისტუპნიკობას (...). ეგ სხვანაირი პრისტუპნიკობა იყო. რო ვთქვი, შავს მიაწვა-თქო, ეგენი დიდად შავს კი არ აწვებოდენ, აწვებოდენ უფრო განგსტერი და რამე ეგეთს. კინოში რაც იყო“ (აკა მორჩილაძე).

**შავური** – ქურდული. (შდრ. „შავი ხალხი“). „ეხლა მამაჩემს რო შევატყვე, ამ სასტავში დიდათ იმის თქმა არ უნდა, რო [შვილი] ჯარში ძალათი გავაგდე, ტრავმა არ მოვარჩენინე და რამეებო (...). რათ უნდა ეგეთ სასტავში, რო ძალაზე შვილი შავურზე არ გაუშვა“ (აკა მორჩილაძე).

**შამპო** – შამპანიური ღვინო. „მიყვარს შამპო-კონო-შოკო“ (ქართლოს კასრაძე); „ჩვენ კონოსა და შამპოს ვსვამთ“ (გურამ გომართელი).

**შანსავიკი** – მოხერხებული, მარჯვე, შანსის ხელიდან არგამშვები (ფრანგულიდან მომდინარე „შანსი“ რუსული სუფიქსით გაფორმებული). „ვინ გააკვირვებს დღეს ამ შანსავიკს“ („საქართველოს სამრეკლო“).

**შანსიანად** – მარჯვედ, მოხერხებულად. „საქმეს უიმისოდაც მოვაბამთ თავს, თანაც საკმაოდ შანსიანადაც, არა, ბიჭებო?“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

**შანსპეელა** – გაქნილი, გამოქეჩილი ადამიანი. „გაშანსვა“, „შანსიანი“, „შანსავიკი“, „შანსპეელა“, აი, ასეთი სიტყვები დაიბადა და



ყველა მათგანში იგულისხმება მოხერხებული უსინდისობა (გურამ პეტრიაშვილი).

**შანტრაბა** – რუსულად шатрапа არამზადების, ყალთაბანდების ჯგროა. ქართულ ჟარგონში ასეთი მძაფრად უარყოფითი ელფერი არა აქვს და ცოტა აგდებულად ახალგაზრდების ჯგუფს, გუნდს ნიშნავს. „შარლის შანტრაბამ წამომავდო თავის ჟივილ-ხივილით“; „ხუთი წუთის შემდეგ შარლის შანტრაბა მთელი შემადგენლობით ჩემს უკან იყო გამწკრივებული“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**შარაფი** – ღვინო; ქეიფი (სპარსულად ღვინოს ნიშნავს). „შარაფს არ ეკარებოდი, არ გიზიდავდა შიკები“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**შარაფისტი** – მოქეიფე, მსმელი (იხ. „შარაფი“). „მატერიალისტი კი არა, შარაფისტი ხარ“ (ნოდარ დუმბაძე).

**შარიკი გადაატრიალა თავში** – ჭკუას მოუხმო. „კარგი კიდეც ამ სმების დროს ის იყო, რომ, მიუხედავად ამდენი სმისა, 30 ივნისის მერე სივარეტს არ გავკარებიავარ, ეს კი უკვე იმის ნიშანია, რომ ისევ სწორ გზაზე ვარ. უბრალოდ, შარიკი უნდა გადაატრიალო თავში და ნასვამზეც იოლად აკონტროლებ სივარეტის ამბავს“ (გიორგი კაკაბაძე).

**შარიკი გადაუბრუნდა** – გააფრინა, აურია. „რა ვიცი მე, რალაც შარიკი გადაუბრუნდა და დირექტორს სულ დედა აგინა...“ (ინტერნეტი)

**შატალოზე ნასვლა** – გაკვეთილის გაცდენა. როგორც ჩანს, მომდინარეობს რუსული ზმნიდან шататься, რასაც უსაქმოდ ყიალის, ხეტიალის, ნანწალის მნიშვნელობაც აქვს. „ამ მუხიკას ისეთივე ხიბლი ჰქონდა მოზარდებისთვის, როგორც კევის ლეჭვას, გინებას, შატალოზე ნასვლას“ (ზაალ სამადაშვილი).

**შაყირი** – ხუმრობა, მასხრობა. მომდინარეობს სიტყვიდან „შაირი“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის (...) ლექსი“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). „სიაბანდი და შაყირი არც ჯვარზე აგიკრძალია“ (ვახტანგ ჯავახიძე); „და მე ვკითხულობ მართლა – თავი მოუკვდეს შაყირს – რა ღირს აი, ეს წიგნი! – ეს ცრემლის თქეში რა ღირს!“ (ტარიელ ჭანტურია).

**შაყირისტი** – ვისაც მასხრობა, შაყირი (იხ.) უყვარს. „ავალიანი ბავშვობიდან უბედური ენის პატრონი და შაყირისტი გახლდათ“ (პაატა ბერიკაშვილი).

**შაყირობს** – ხუმრობს, მასხრობს. „ხან შაყირობ და ხან ვალობ“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**შეაბა** – მოხიბლა, სასიყვარულო ურთიერთობაზე დაიყოლია. იგივეა რაც „დააბა“ (იხ.). „მევიმ რა გკითხა, მამაჩემი როგორ „შეაბიო“? (გვანცა აბდალაძე).

**შეასალა** – მოახერხა ისეთი რამე მიეყიდა მუშტრისთვის, რისი შეძენაც არ ღირდა. „ნახევარ ფასადაც ვერავის შევასალეთ ბილეთები“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**შეაყენა** – გაძარცვის მიზნით შეაჩერა გამვლელი. „ბოლოს, როგორც იქნა, ერთი დიდქოჩრიანი ბიჭი „შეაყენეს“ ვანომ და სიომამ მოპირდაპირე მხარეს“ (ზაალ სამადაშვილი).

**შეაყოლე!** – აქედან მოუსვი, აქედან მოშორდი! „აქედან შეაყოლე, – შეულრინა მოხუცს, – შეაყოლე-მეთქი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „– თავისუფლება გინდოდათ და... აბა, ჰოპ-ჰოპ! შეაყოლეთ, თავისუფლები ხართ!“ (გიზო ნიშნიანიძე). ამ მაგალითებში განსამარტავი ზმნა ერთპირიანია. როცა მას სამპირიანი ზმნის გაგება აქვს (შეაყოლე შენ, მას, ის – იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), მაშინ ის აღარ არის ჟარგონის კუთვნილება.

**შეანერა** – იძულებული გახადა „საკუთარი ნებით“ დაეთმო ფული, ძვირფასეულობა ან მისთ. იგივეა, რაც „დაანერა“ (იხ.). „– ასესხე არა ისა კიდევ... – დაუყვირა ქალმა, – შეგანერა, არიფი გნახა და შეგანერა“ (ირინე ბაქანიძე); „შემსვლელ-გამომსვლელს ფული შევანერეთ, – ზოგს მანეთი, ზოგს სამი მანეთი...“ (ზურაბ სამადაშვილი).

**შეაჭრა** – სწრაფად შევიდა, შეირბინა. „ნუ, კაიო და შევაჭრით ავსტრიის სინამდვილეში, რომელ სინამდვილეშიც გვეძინა და მეორე დღეს ჩავაცილეთ ქალაქ ზალცბურგამდე“ (მიხო მოსულიშვილი); „ეგრევე შეაჭრეს კაბინეტში“ (თამარი ფხაკაძე).

**შეაჯდა** – ექსპლუატაციას უწევს. „– ბინის გასაღები აგართვი... შენი მანქანაც მე მაქ... შევაჯექი, რა, – დაიმორცხვა კოტიკომ“ (ლამა ბულაძე).

**შებერტყილი** – ეშმაკი, ცბიერი, გაქნილი. „დიდი შებერტყილი იყო! ბოდის გიხდით ამ სიტყვაზე, მაგრამ მართლა შებერტყილი იყო!“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „ისეთი შებერტყილია, ისეთი ზოგი მათგანი, იმათთან, ღმერთო, მართლა ვარ მამა აბრამის ბატკანი“ (შოთა ნიშნიანიძე); „– შენ რა, სიცხე გაქვს?! ჩვენ ეზოში იმდენი წარაკუა და შებერტყილი ხელცქეციტი ცხოვრობს, ჩემზე ეჭვს ვერავინ მოიტანს...“ (ოთარ დემეტრაშვილი). ამ სიტყვის ჟარგონული მნიშვნელობა ძნელი დასაკავშირებელია ამავე სიტყვის სალიტერატურო



მნიშვნელობასთან. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „შებერტყილი“ ასეა ახსნილი: „რაც (ვინც) შებერტყეს ან შეიბერტყა“, ხოლო ზმნა „შებერტყავს“ კი – ამგვარად: „ბერტყვით შეარხევს, რისამე ცემით მტვერს გააყრევინებს“.

**შეეთესა** – გაექცა. შდრ. „აითესა“. „სროლა ატყდა და შევეთესე“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**შეეკრა** – საიდუმლო კავშირით დაუკავშირდა (უპირატესად შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს). როგორც ჩანს, ეს არის შემოკლებული „ფიცით შეეკრა“ ან „პირობით შეეკრა“ (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7, სვეტი 748. შდრ. აგრეთვე ხალხური სიმღერა: „ხიდისთავს შავკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანიო“). „ფიცის“ და „პირობის“ ჩამოცილების შემდეგ ეულად დარჩენილი „შეეკრა“ უარგონულ უღერადობას იძენს. „მას იმ დათარსულ წელიწადს შევეკარი, ოდესაში იტალიური ოპერა რომ ჩაფლავდა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**შეკეთებული** – პაპიროსი, რომლის თამბაქოში ნარკოტიკია შერეული. „...უკვე შეკეთებულ“ კოლოფებს ხუთჯერ მეტ ფასში ყიდდა, ვიდრე ანაშის ნატურით – გრამობით ან „ბაშობით“ გაყიდვა დაჯდებოდა“ (გია ლომაძე).

**შეეკრა** – სახელზმნა „შეეკრვა“ ასე აქვს განმარტებული თ. სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში“: „მოტყუება, ეშმაკობით წართმევა ფულისა, მოფერებით ჭკუის წაგებინება“, მაგრამ საილუსტრაციო მაგალითები არ მოჰყავს. „აიყვანე და შეეკრე: საკენკს უყრიდი არიფებს“ (ვახტანგ ჯავახიძე); „ვეკრე, ვეკრე, ვერ შევეკრე“ (არლი თაყაიშვილის სახუმარო გამოცანა; პასუხი: ოპონენტი).

**შეეკრილი** – გადმოხიზებული, დაყოლიებული (შდრ. „შეეკრა“). „არადა, ჩვენ ვერ გავდივართ იქით, რუსი ჰყავთ შეეკრილი, ასიანი სიკვდილია“ (ზაურ კალანდია).

**შეკრული** – საიდუმლო კავშირით დაკავშირებული (უპირატესად შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან). „შეეკრა“ (იხ.) ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობა. „ზოგიერთი პროფორგანიზაციის და დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები შეკრულები არიან ადგილობრივ მაფიასთან“ („ახალგაზრდა ივერიელი“); „ხმას გვიყრიდნენ, მხედრონი“ ოსებთან არისო შეკრული“ (ჯაბა იოსელიანი); „სისხლს უშრობდა გიგანტს [გალაკტიონ ტაბიძეს] მთავრობასთან შეკრული“ პოეტი-ფუნქციონერი“ (მურმან ლებანიძე); „არადა, ვინც შეკრულია, ხშირად სწორედ ის უკრავს ხაზგასმითა და მონდომებით ტაშს“ (კობა იმედაშვილი); „...საბაბი

არავისთვის მიგვიცია, რომ ჩვენთვის „შეკრულობა“ დაენამებინათ. ან რას ნიშნავს ეს ჟარგონი? რომელ „სიტყვის კონაში“ მოიძიეთ?“ (ელიზბარ ჯაველიძე).

**შემადგენლობა** – იგივეა, რაც „სასტავი“ (იხ.). „შმაისერიანი შემადგენლობებიც შემოირბენდნენ ხოლმე“ (აკა მორჩილაძე).

**შემეტენე ტიპი** – თავმომაბეზრებელი ვინმე, რომელსაც სურს იურთიერთოს მასთან, ვისაც მის გვერდით ყოფნა არ სიამოვნებს. „ტკიპასავით არიო, ფიქრობდა, ვის უნდა შეუყვარდეს ეგეთი შემეტენე ტიპიო“ (ლაშა ბულაძე).

**შენი...** – ევფემიზებული გინება. აქ ევფემიზება ხდება საგინებელი ფორმულის შემოკლებით, უნმანური სიტყვების გამოტოვებით. „სიტყვის (ან გამოთქმის) ევფემისტური დანიშნულებით გამოტოვება მეტწილად სალანძღავ ან ნყევლის გამოთქმებში იხმარება“ (კ. ჯორჯანელი, ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ). „ელიმებოდა ლადო ბიძიასაც, მაგრამ მშვიდი არ იყო ეს ღიმილი, ყოველ ახლო გამოვლილ მანქანას ადევნებდა: – ქაჯი ხარ, შენი, რქიანი“ (რევაზ ინანიშვილი).

**შენი აჯობებს!** – ცუდად წაგივა საქმე, ცუდი რამ დაგემართება (ირონიული გაფრთხილება: ანუ, სინამდვილეში, შენი არ აჯობებს სხვისას). „მისწევ და გამოსწევ, არაფერი არაა მაგი, ხერხი აქაა, ხე აქაა, შენ აქ რჩები, მოჭრი, წამოხვალ, თუ არა და, შენი აჯობებს!“ (რეზო ჭეიშვილი).

**შენი შუბა დავხიე** – სახუმარო შეგინებასავით. „– შუბა ხომ მოგიტანე? – მერე რომ ისევ დავხიე მთვრალმა? – ვინ? მე შენი შუბა დავხიე? ო, არარაობავ, მამაკაცი უნდა გერქვას შენ!“ (ნოდარ დუმბაძე). ამ ნაწყვეტის იუმორისტული ეფექტი ჟარგონში გავრცელებული სახუმარო გამოთქმისა და „რეალობის“ ამსახველი ფრაზის ურთიერთდამთხვევაზეა დამყარებული.

**შენოდენს ცალ ყურში ჩავისხამ** – შენზე ბევრად მეტ ღვინოს დავლევ. ნასატრაბახებელი ჰიპერბოლური ხატოვანი თქმა. „– შენოდენს, ქუკო, ცალ ყურში ჩავისხამ, როცა ხოში მექნება“ (რუსლან ღონლაძე).

**შენ რო მიდიოდი, მე მოვდიოდი** – ნიშნავს: მე შენზე გამოცდილი ვარ, შენზე მეტის მნახველი და ვერ მომატყუებ, ვერ გამაცუცურაკებ. „– იცი, რას გეტყვი, შვილო?... შენ რო მოდიოდი, მეც მოვ..., შენ რო მიდიოდი, მეც მივ... (...), როგორც არი!..“ (ქართლოს კასრაძე).

**შენს პასპორტში ჩაიხედე!** – შენს საქმეს მიხედე, სხვის საქმეში ნუ



ეჩრები! „კაროჩე, დაიმალა თუ რალაცნაირ სამუშაოზე წავიდაიკვებ არ ვიცო, არც უთქვია და რამდენი მიკითხია, მეუნებოდა, შენ პასპორტში ჩაიხედო“ (აკა მორჩილაძე).

**შესტიორკა** – ადამიანი, რომელიც იძულებულია სხვას ემსახუროს, ნვრილმანი დავალებები შეასრულოს სხვისთვის. Шестёрка (ექვსიანი) ყველაზე დაბალი კარტია 36 კარტიან დასტაში, მას ყველა კარტი ჭრის, „ჩაგრავს“. „პატარა რომ იყო, სუსტი იყო ეს კაცი და ყველას შესტიორკასავით ყავდა“ (ირინე ბაქანიძე).

**შესუნა** – შევიდა, ახლოს მივიდა (თითქოს ისე მიუახლოვდა მიზანს, რომ მისი დაყნოსვა შეძლო, როგორც ეს ძაღლმა იცის ხოლმე). ჩვეულებრივ, უარყოფით ნაწილაკთან ერთად იხმარება. „უმრავლესობამ ეზოში ვერ შესუნა, დაკრძალვის ცერემონიალს ვერ უყურა“ (რეზო ჭეიშვილი).

**შეტენა** – ერთის მიერ ჩადენილი დანაშაული სხვას გადააბრალა, ერთის მაგიერ მეორეს აგებინა პასუხი. „...გამოსაძიებელ საქმეთა ნახევარი გაუხსნელი რჩება, მერე ვინმე განტყვების ვაცს ჩაავლებენ და ყველაფერს შეტენიან“ (ზურაბ სამადაშვილი).

**შეუბერა<sup>1</sup>** – დიდი სისწრაფით გაქანდა. „რულს ჯორჯი მიუჯდა და შევუბერეთ ქალაქისაკენ“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**შეუბერა<sup>2</sup>** – საქმეს შეუდგა. „რალაცა დავხატოთ. რამდენიმე ისეთი თემა მაქვს, გეტყვი და, თუკი შესაძლებელია, გადავიტანოთ სახვითი ხელოვნების ენაზე. დანარჩენი, შენ რაც გინდა, მიდი რა შეუბერე, ხომ ხოში გაქვს ფრესკების მიმართო“ (კოკა იგნატოვი).

**შეუბერა<sup>3</sup>** – გაუტია, გარეკა (იხ. პირველი მნიშვნელობა). „ასე გაიგო (...) ახალი თუ ძველი ქართველების მეტმა წილმა პიროვნული თუ საერთო თავისუფლება და, უკაცრავად გამოთქმისათვის, შეუბერა და შეუბერა კიდევ, როგორც სურდა და რამდენადაც შეეძლო“ (ბაკურ სვანიძე).

**შეუგდო** – შეაჩეჩა (ან შეატყობინა) ისეთი რამ, რისი ფლობა (ან შეტყობა) ობიექტს სიკეთეს არ დააყრიდა. „ამის შემდეგ შედგა მიუნხენური წერილის პირი და დედანი საგვარეულო ბეჭედთან ერთად ობიექტს შევუგდეთ (...). – სიმართლეს ლალადებთ პოლკოვნიკო, უმაღლესი თავი მოთოკა გენერალმა, – როგორ „შეუგდეთ“?“ (მიხო მოსულიშვილი).

**შეუდო** – შავი დღე აყარა. „ლევანამ გული მოიფხანა. კმაყოფილი დარჩა, მაგრად შევუდეთო“ (ზურაბ სამადაშვილი).

**შეუპრინტა** – გააფრინა, აურიდა, წამოუარა. „ყველაფერი ნორ-

მალურად მიდიოდა, მაგრამ, როგორც მაშინ ვამბობდით მის შესახებ, ერთხელ კიდეე „შეუპრინტა“. როდესაც სიმნიფის ატესტატის და გამოცდების დრო მოვიდა, ნიკომ გამოგვიცხადა, ეგ ზამენზე არ წარვსდგებო“ (ექვთიმე თაყაიშვილი).

**შეუსრულა** – ოინი უყო; შავი დღე აყარა; სძლია. მომდინარეობს სპორტული ჟარგონიდან: „ალექსანდრე იაშვილმა ჩეხებს დუბლი შეუსრულა“ (ინტერნეტი) – ნიშნავს: ალექსანდრე იაშვილმა ჩეხების გუნდს ორი გოლი გაუტანა; „პროტესტის გრძნობაც გაჩნდა, მაგრამ თურმე ჯერ სად ვარ! ვახსოვთ ის ქალი, შუალედში შემოვიდა-თქო რომ გითხარით? ჰოდა, ამ ქალმა, რომელსაც პირობითად მგელი შევარქვათ, მაგრად შეგვისრულა, ჩვენ – ცხვრებს“ (გიორგი კაკაბაძე).

**შეუშვა** – დალია (ძირითადად ალკოჰოლიან სასმელზე ითქმის). „– შეუშვით? – შიგ ჭაჭებში“ (ზურღან გემაზაშვილი).

**შეუცურა** – შეაპარა (სათქმელი). „შენს მეტი ვერავინ ბედავს ტრანსპორტით სიარულს ქალაქშიო, შეუცურა ქალმა“ (ზაურ კალანდია).

**შე(ჰ)ყავს** – სვამს (ძირითადად ალკოჰოლიან სასმელს). „გუდანის ხატთან შელამდა, ვაპირქვავებდი გრძელ სურებს, ყიპიტაური შემყავდა თუშეთს, ფშავსა თუ ხევსურეთს“ (დავით მაღრაძე).

**შეყენება** – გამვლელის შეჩერება გაძარცვის მიზნით (შდრ. „შეაყენა“). „სამეულმა რომიკო ტუალეტებისკენ გაიხმო და შეყენების რიტუალის აღსრულებას შეუდგა“ (ლაშა ბულაძე).

**შეყვანილი აქვს** – ნარკოტიკი აქვს მიღებული. „ცოტა შეყვანილი კი მქონდა, მაგრამ ისე, ჩვეულებრივად“ (ვაჟა გიგაშვილი).

**შე ჩემის გადანგრეულო** – მცირედ ევფემიზებული გინება. „– შე ჩემის გადანგრეულო, ეგ მსოფლიოში ყველაზე ძნელი პროფესია – მათხოვრობა რომ აგირჩევია, ნადი რა, ან კაცი მოკალი, ან ბანკი გატეხე, ან იჯიბგირე“ (ნოდარ დუმბაძე). კიდეე უფრო ევფემიზებული ვარიანტი – შე ჩემისა: „შე ჩემისა, მოვდივარ, მიხარია, რომ შენ და ჩემი ძმაკაცი ერთად ხართ“ (აკა მორჩილაძე). და კიდეე უფრო ევფემიზებული – შეჩემა: „შეჩემა-მეთქი, ვეუბნები, განა ვისმენს?!“ (ოთარ ჭილაძე).

**შენწერვა** – წართმევა, ოლონდ არა აშკარა ძალადობით, არამედ „ნებით“ დათმობინება რაიმესი. (შდრ. „შეანწერა“). „მაყუთის შეწერვა მოუნდომა და შინ მიადგა“ (ზაურ კალანდია).

**შეჭამა** – თავი მოაბეზრა, ეჩიჩინა, ერთი და იმავეს გამეორებით გული გაუნყალა. „რომ შემჭამე, ნიჭიერი ვარო, დაამტკიცე კიდეე“ (თამაზ ჭილაძე).



-ში – მიცემითი ბრუნვის თანდებული, ძალიან პოპულარული ხალხურ გაზრდულ ჟარგონში. ხშირად ცვლის „ქონა“ ზმნას: „*ეტყობოდა, გაკეთებულში რომ იყო*“ (ირინე ბაქანიძე), ნიშნავს: გაკეთებული რომ ჰქონდა (ნარკოტიკული ნივთიერება); „- *შენ დღესაც გადაყლაპულში ხარ, ხო იცი?*“ (ირინე ბაქანიძე), ნიშნავს: გადაყლაპული გაქვს (ნასვამი ხარ); „*ნაგებულშია, - ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასთვის*“ (ჯემალ თოფურიძე), ნიშნავს: ნაგებული აქვს; „*რამდენშია?*“ (იქვე), ნიშნავს: რამდენი აქვს ნაგებული?

ზოგჯერ ანარმოებს ზმნიზედებს ზედსართავებისგან: „ნალდში ან სიგნალი ექნებოდა იქ, ან გატენილი დურა უჯრაში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.), „ნალდში“ აქ ნიშნავს: „ნალდად“; „- ნალდი საქმეა!.. - *ნატურში?! - ნატურში*“ (ოთარ ჩხეიძე), „ნატურში“ აქ ნიშნავს: „ნამდვილად“.

შიზიკა – ტანმორჩილი ადამიანი. (რუს. шинзик/шинздик/). „*ამ შიზიკა იაპონელებმა მართლაც დაიპყრეს ეს სამყარო*“ (ინტერნეტი).

შიგა აქვს – ჭკუაზე ვერ არის, აფრენს. „ერთ ნუთს გავიფიქრე: *„ამას შიგ ხომ არა აქვს?!.. ჰუმანიტარულ დახმარებაზე გადავიდა?..*“ (ვაჟა გიგაშვილი).

შიკარნად – ბრწყინვალედ, დიდებულად. (რუს. шикарно. შდრ. „შიკე-ბი“). „*სალამოს მოთამაშეთა შორის გაიჩითება - ელევანტური, ძვირფასი სივარეტი, „შიკარნად“, სიმონ, „შიკარნად“!* (მიხო მოსულიშვილი).

შიკები – ბრწყინვალეა, დიდებულეა, ფუფუნეა. გერმანულ-ფრანგული წარმოშობის ეს სიტყვა შემოსულია რუსულის მეშვეობით (шик). ქართულ ჟარგონში უპირატესად მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება. „*შარაფს არ ეკარებოდი, არ გიზიდავდა შიკები*“ (ვახტანგ ჯავახიძე).

შიპიტი – ჩხუბი, აყალმაყალი. სინონიმები: დაგნარი (იხ.), შუხური (იხ.), ხიპიში (იხ.). „*ცოტა კი დამანდრაჟდა, ასე ოთხნი რომ დავეჩითეთ ზრდილად და ლიმილით, მაგრამ შიპიტი არ დაუნყია*“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

შისოტკა – „მერსედეს-ბენცი“ 600. „- *რა შისოტკა ყავთ ტიპებს!* - ჩაილაპარაკა ხაბელამ“ (ლაშა ბულაძე).

შიფერდაცურებული – შერეკილი, ჭკუასთან მწყრალად მყოფი. შდრ. „*კრამიტებდაჩოჩებული*“ (შიფერიც კრამიტისგან სახლის გადასახურავი მასალა). „*ამ მართლა შიფერდაცურებულს ხრილით ჩასდის ნვიმა თავში*“ („ლიტერატურული საქართველო“).

**შკაფი** – დიდი ტანის ადამიანი, ზორბა. (რუს. шкаф – კარადა). „ერთი **შკაფი** იდგა იქვე, გაჯგვიმული, მთელი ამ ხნის განმავლობაში ნარბიცი არ გაუტოკებია“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**შკაფივით** კაცი – დიდი ტანის ადამიანი, ზორბა. მომდინარეობს რუსული სიტყვიდან шкаф – კარადა. „ამოდენა აღნავობის, ანუ როგორც თეატრში ეძახდნენ, **შკაფივით** კაცი ბრწყინვალედ გაართმევდა თავს ჰამლეტის მამის აჩრდილის უსიტყვო როლს“ (რევაზ ჩხარტიშვილი).

**შმონი** – ჩხრეკა. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (шмон). „ამ დილით **შმონი**“ დაგვარტყეს ორჯერ... **შმონი** ჩხრეკაა“ (ნოდარ დუმბაძე).

**შმონი დაჰკრა** – გაჩხრიკა. „ის ანეული ტანსაცმელი რო დადო ოთახში და პოლიციამ **შმონი დაჰკრას**, ნაილებენ“ (მიხო მოსულიშვილი).

**შმოტკები** – სასაუბრო რუსულში шмотки ტანსაცმელია, ქართულ ჟარგონში მოდურ, ძვირფას ტანსაცმელს ნიშნავს. „რაში მჭირდება შენი **შმოტკები**“ (ოთარ ჩხეიძე); „შენ არც **შმოტკები** გიყვარდა, არც ვილვეტი და ხავერდი“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**შნირი** – ვინც სხვას ემსახურება, მის ნვრილმან დავალებებს ასრულებს. სინონიმი „შესტიორკა“ (იხ.). „ხვალ-ზეგ ორი **შნირია** სანახავი“; „– ჩემ ყოფილ **შნირს** ველაპარაკე“ (ლაშა ბულაძე).

**შოკო** – შოკოლადი. „მიყვარს შამპო-კონო-შოკო“ (ქართლოს კასრაძე).

**შპარგალკა** – რუსულ ქურდულ ენაზე დოკუმენტს ნიშნავს, მოსწავლეთა ჟარგონზე კი ჩანანერებს, რომლებსაც მალულად იყენებენ გამოცდებზე. „დედის ნანერი გერჩიოს დის გადანერილ **შპარგალკებს**“ (ტია-ტია).

**შპილკები** – გესლიანი შენიშვნები, რეპლიკები (შდრ. რუსული გამოთქმა подпускать шпильки). „არ გინდა ამნაირი **შპილკები**“ (რევაზ მიშველაძე).

**შტუკა გააძრო** – ოინი ჩაიდინა. (რუს. штука – ოინი). „მასტერია. გამოვა და რამე **შტუკას** გააძრობს...“ (აკა მორჩილაძე).

**შუტკის** გახსნა – ახლობლური, ფამილიარული ურთიერთობის დამყარება ვინმესთან. (რუს. шутка – ხუმრობა). „მოკლედ, დღეს უნივერსიტეტში პირველკურსელებს შორის ასეთ საუბარს მოვკარი ჟური: „დღეიდან, ბრატ, **შუტკას** გიხსნიო“. „რას ნიშნავსო?“ სხვამ კითხა. რასო და, ანო შეჩემათი შეუძლია მომმართოსო, **შუტკაში** შემავინისო“ (ინტერნეტი).



შუშაბანდებიანი – სათვალისიანი. „...ეს შუშაბანდებიანიც ახლა ალბათ ერთადერთი გვიანი მოჩლახუნე იქნებოდა უბანში“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

შუხური – ჩხუბი, აყალმაყალი. მომდინარეობს რუსული ქურდული სიტყვიდან шухер, რაც ალიაქოთს, განამანის ნიშნავს. სინონიმები: დაგნარი (იხ.), შიპიტა (იხ.), ხიპიში (იხ.). „ვახშაშზე ნაღდად შუხურს ატეხავენ-მეთქი, ვუთხარი და მაგრადაც გამიმართლა“; „მერე გაგვაფრთხილეს, კიდე რამე შუხური თუ ატყდა, ვაი თქვენი ბრალიო“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

შუხურობს – ბრაზობს. (შდრ. „შუხური“). „სად დავყაროო, შუხურობს შოფერი“ (რეზო ჭეიშვილი).

— ჩ —

**ჩაადო** – ჩაარტყა. „ერთი კვირის წინ „ისნის“ მეტროსთან თავში რაღაც ჩაადეს და სიძის კურტკა გახადეს“ (ბექა ქურბული).

**ჩაავლო** – დაიჭირა, გამოიჭირა. მომდინარეობს გამოთქმიდან „ხელი ჩაავლო“. „შენ ის ჯეელი არა ხარ, გუშინ ჰონომ და სემმა რომ ჩაავლეს?“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.).

**ჩაკიმარა** – ჩაეძინა. რუსულ ქურდულ ენაზე кимарить დაძინებას ნიშნავს (იხ. ს. სნეგოვის ლექსიკონი). „მე კიდე რა ისეთი მსმელი, ხოდა, მეთქი, რო ჩაგვაკიმარებს, წაუძინოთ, რაც არ უნდა ვიჯდეთ, ხო და რაც არ უნდა საკაიფოთ ვსვათ, ხო ექვს საათზე მაინც ჩაგვაკიმარებს“ (აკა მორჩილაძე).

**ჩააპარკოვკა (მანქანა)** – მანქანა დააყენა ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. (შდრ. გერმ. parken და რუს. паркование). „ერთ მაგარ სახლთან წავაჩერეთ, ჩავაპარკოვკეთ მანქანა და გზაში მოპარული ყვავილების თაიგული გადმოიღო კახამ ვედრით“ (მიხო მოსულიშვილი).

**ჩაარტყა** – დალია. შდრ. „დაურტყა“. „როგორც კი დავარღვევ ალთქმას და პირველ ას გრამს ჩავარტყამ, მაშინვე გამახსენდება“ („ქომაგი“).

**ჩატასავა** – ჩაიარა. „სანამ ოპერამდე ჩავატასავე, ვფიქრობდი სად წავსულიყავი და დრო როგორ გამეყვანა სადღაც შვიდამდე“ (გიორგი კაკაბაძე).

**ჩაჩმორა** – დაჩაგრა; დააბეჩავა, დააგლახკა. იგივეა, რაც „დააჩმორა“ (იხ.). „უფრო ძერსკად მიაწექიო, ეუბნებოდა თაზიკა, კიდე უფრო ჩაჩმორეო“ (ლაშა ბულაძე).

**ჩააწყო** – საიდუმლოდ გაურიგდა, საიდუმლო გარიგებით მოაკვარახჭინა საქმე. მომდინარეობს „კარტის ჩააწობიდან“, რაც დასარიგებელი კარტის წინასწარ (ჩვეულებრივ, აჭრის პროცესში) ისეთნაირად დალაგებას გულისხმობს, რომ დამრიგებელს უკეთესი ქალაქი მიუვიდეს (შდრ. გერმ. abkarten, abgekartetes Spiel). „მეორე მექანიკოსთან საქმეც ჩაააწყე“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ეს კაცი პირდაპირ ჩამწყობად არის დაბადებული... ახლა დამსახურების ნოდება მიანიჭეს! – ალბათ იქაც ჩაააწყო!“ („ნიანგი“); „ქალაქგარეთ დიდი ქარხანა ააშენა, მერე პროდუქციის წართმევა მოგვიხდომა,



უმაღლეს დონეზე ჩააწყო“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ჩაგეთვალა!** – ეტყვიან მას, ვინც მოსწრებულად იხუმრებს. გულისხმობენ: ნათქვამი მახვილგონივრულობაში ჩაგეთვალაო. „ჯერ იყო და რალაც „საზრიანთა კლუბის“ ვარიანტში სუვენირად დაგვირიგა ჟურნალისტის განუყრელი იარაღი – ფანქარი, რომელსაც არც ერთი მხარე წამახული არ ჰქონდა და ორივე მხარეს სტაციონარულად ჰქონდა დამაგრებული საშლელი, თან იკითხა, რას უნდა ნიშნავდესო ეს? პასუხი მგონი **ჩამეთვალა**: ახლა ჩვენ ვცხოვრობთ პერესტროიკის ეპოქაში და ეს საშლელი დიდ სამსახურს გაგვიწევს წარსული შეცდომების წაშლაში-მეთქი“ (გიზო ნიშნიანიძე); „არ ჩაგეთვალათ, ვისკოვსკი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ჩაჯვდეთ** – ვიქეიფოთ (საფუძვლიანად). შდრ. „ჩაჯდომა“. გრამატიკულად სწორი ფორმაა „ჩავსხდეთ“ (ზოგჯერ ასეც ამბობენ). „– ეხლა ჩვენ ჯერ ერთ ჩვენ ძველ ძმას გავუაროთ და მერე ჩაჯვდეთ, – საბათვალს მიკრავს. უსიამოვნო გრძნობა მეუფლება. ამის მიზეზია სიტყვა „ჩაჯვდეთ“. არ მომწონს ეს სიტყვა“ (დავით ქართველიშვილი).

**ჩაზმანული** – ძვირფასად, მოდურად ჩაცმული. იგივეა, რაც „დაზმანული“ (იხ.), სინონიმი „ჩაშმოტკილი“ (შდრ. „შმოტკევი“). „სამი ბიჭი შემოეხეტა მარანში, ჩაზმანულები, ჩაკაიფებულები, გაჯეჯილებულები“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ჩათლახმავსტრობა** – ვერაგობაში, უზნეობაში განაფულობა. (შდრ. „ჩალიჩმაისტრობა“). „ჩემსოფლელია და მისი ჩათლახმავსტრობა სხვაზე უკეთ ვიცი“ (ზაურ კალანდია). თურქული წარმომავლობის სიტყვა ჩათლახი (ჩათლაქ) ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ორი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1. ძვ. უვარგისი, უხეირო. „[ლამურა] ისეთი ტაატით მოძრაობს, რომ ჩათლახ კუსაცკი შეუძლია გაასწროს სიარულში“ (ი. გოგებაშვილი). 2. სალანძღავი სიტყვაა. „ისევ ბატონების უღელში შეებით, ცინგლიანებო! ნუპაკებო! ჩათლახებო!“ (მ. ჯავახიშვილი). ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: „უზნეო, გათახსირებული, პედერასტი, გაცვეთილი, პირველყოფილობადაკარგული ადამიანი“.

**ჩაიზაკაჟნიკა** – ჩაიჯიბა, აილო (ქრთამი). „...ნახევარი მილიონი ჩაიზაკაჟნიკეო?.. – რაო? – გაუკვირდა ბაჩანას. – ჩაიზაკაჟნიკაო, აილოვო რა. – აუხსნა ბულიკამ“ (ნოდარ დუმბაძე).

**ჩაითიშა** – გრძნობა (გონება) დაკარგა. იგივეა, რაც „გაითიშა“ (იხ). „კაროჩე, ბევრი რო არ წავიდე, რა დავლიეთ და როგორ დავლიეთ, ჩურთე (პერსონაჟის მეტსახელია. – ლ. ბ.) ჩაგვეკეცა ბუტკაში (...).

ამათ ვეუნები, სადღაცას უნდა დაერეკა, რო იქ დავრჩენილიყავით და ჩაითიშა“ (აკა მორჩილაძე).

**ჩაისვარა** – თავი შეირცხვინა, წახდა (თითქოს შარვალში ჩაისვარა). „ამიტომ წახდნენ და ჩაისვარეს ოდესღაც „უდრეკმა“ რევოლუციონერებმა“ (აკაკი ბაქრაძე); „ეს ჰო არმიაა (...), ავლანეთში ჩაისვარა და ახლა სოხუმში იმაღლებს ღირსებასა, ჩასვრილ ღირსებასა“ (ოთარ ჩხეიძე); „სახეზე რომ შევხედე, ჩავისვარე: ისეთი მკვდრის ფერი ედო, თვალები ისეთი გამხვრეტი გაუხდა...“ (ვაჟა გიგაშვილი); „გუშინ კინალამ ჩაისვარა შიშით, ეხლა თავისი ფეხით მოგვადგა, მოდი და ნუ დაიცენტრები“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ჩაიშმოტკა** – მოდურ, ძვირფას ტანსაცმელში გამოეწყო (იხ. „შმოტკები“). ანმყო – იშმოტკება. „ცოლ-შვილი საუკეთესოდ გამონყობილი დამიდიოდა და მეც (...) უმაღლესად „ვიშმოტკებოდი“ (მიხეილ ანთაძე).

**ჩაინვა** – წახდა, გაფუჭდა, განადგურდა (ადამიანი). „ახლა თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამაზე მაგრად ჩავინვი ან საქმროს ამბავი მომხვდა ჯიგარში, იმას მაგრა ეშლება, ხალხნო“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**ჩაიხვია** – გულში ჩარჩა რალაც ამბავი და ანუხებს, გუნებას უფორიაქებს. „რალაცებზე ვფიქრობ, მეშინია და არ შემიძლია... ყველაფერზე ვფიქრობ. წიგნი იყო გადმოდებული. წიგნი იყო გადმოდებული და მერე აქედან ჩაიხვითე... (...). რა ვიცი... რისი თქმა უნდოდა? წიგნში გახა ზულია რალაცებები. ვკითხულობდი, სულ ჩაიხვითე... (...). – კაი, გეხვებები, ნუ ჩაიხვევ... თავს რატო მოიკლავდა. წიგნი... ეგებ ისე გადმოდო...“ (აკა მორჩილაძე).

**ჩაკარტოჩკება** – ფოტოსურათის გადაღება. (რუს. карточка – [ფოტო] სურათი) „თვით მასპინძელი უარს ამბობს „ჩაკარტოჩკებაზე“ („ლიტერატურული საქართველო“).

**ჩაკლანდა** – ნარკოტიკული ნივთიერება მიიღო. ანმყო – კლანდება (გაუგებარია, რა კავშირი აქვს კლანთან – ნათესაურ ჯგუფთან). „– ჩაკლანდით, სიმონ? – შეეკითხა რიჩოს ბერო და მის გვერდით ჩაჯდა“; „აცალე, ბიჭები კლანდებიან და შენი შესვლა გაუტყდებათ“ (პაატა ქურდოვანიძე).

**ჩალიჩა** – ის, ვინც ჩალიჩობს (იხ.). „ხომ იცი მერე, რა ჩალიჩა კაცია!“ (ჯემალ ქარჩხაძე).

**ჩალიჩმაისტერობა** – საქმის ოსტატურად ჩანყობა, მოკვარახჭინება. „ამ გამოცდას, მიუხედავად თქვენი „ჩალიჩმაისტერობისა“, ვერც ჩააბარებთ და არც გაქვთ უფლება კონკურსში მონაწილეობისა“ (ირინე ტალიაშვილი).



**ჩალიჩობს (იჩალიჩა, იჩალიჩებს)** – თურქულიდან შემოსული „ჩალიჩი ჩისაგან“ ნაწარმოებ ამ ზმნას სალიტერატურო ქართულში ასეთი მნიშვნელობა აქვს: „ცდილობს რისამე გაკეთებას, – ვინაჩრობს, ცოდვილობს“ (განმარტ. ლექსიკონი). თანამედროვე ჟარგონში მისმა შინაარსმა ამგვარი ნიუანსიც შეიმატა: სარფიან, მაგრამ უკანონო, საეჭვო და სახიფათო საქმიანობას ეწევა. „*რატო არ მითხარი, თუ ჩალიჩობდი, ტო, ბრილიანტის ნილსაც გავარტყი, ერთად ვიქნებოდით, ტო*“ (აკა მორჩილაძე).

**ჩამოსხმა (გამოთქმაში: „ვატყობ, რა ჩამოსხმაც არის!“)** – ნიშნავს: ვატყობ, რა კაციც არის. ანალოგია სხვადასხვა ჩამოსხმის ღვინოსთან: ერთი და იმავე მარკის ღვინო, იმის მიხედვით, თუ სად, როდის და ვინ ჩამოსახამდა (ბოთლებში), სხვადასხვა ხარისხის იყო (სტანდარტი არ იყო დაცული). „*ფეხსაცმელებზე ვატყობ კაცს, რა ჩამოსხმაც არის*“ (ნოდარ დუმბაძე).

**ჩამოუყარა** – მოუთხრო (შდრ. სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული „ჩაუყაკლა“). „...*დიტო ქინქლადის სახელითაც საკაიფოდ ჩამოგიყრი ყველაფერს*“ (მიხო მოსულიშვილი).

**ჩამოყარა** – თქვა. „*კაცი: – იცი, მე რა ვნახე? მეგობარი: – ჩამოყარე!*“ (მანანა დოიაშვილი).

**ჩამსევდა** – ჩავიდა (აგდებულად). „*უკუბოდ, ყველანი უკუბოდ ჩამსევდით მიწაში*“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ჩამულამდა** – დიდად გაიტაცა რალაცამ, გემო გაუგო რალაცას („მულამი“ ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ ასეა ახსნილი: „გამოცანა, საიდუმლოება“). „*მაგრა ჩავმულამდი, დღეში ოთხ ფილმს ვუყურებ, ვწევარ*“ (აკა მორჩილაძე).

**ჩამუხამბაზება** – ქართველის ქართველთან ისე დაახლოება, რომ ერთმანეთის ლხინისა და ჭირის გაზიარების ვალდებულება დაეკისროთ. მუხამბაზი ქართულ პოეზიაში აღმოსავლეთიდან შემოსული ლექსის სახეობაა, საკრავის თანხლებით სიმღერით შესასრულებელი, მოქეიფეთა ხასიათის გამსწორებელი. „...*და იმათთან ჩამუხამბაზებაც მოგინევს, გინდა თუ არა. რახან ქართველობა ხართ, უცხო მხარეში ერთიმეორეს უნდა გაეცნოთ და ხელის განვდენა-გამონვდენაც უნდა ატყდეს, ურთიერთდახმარებაც გამოვლინდეს და ეს კი ეგებ არც გეხალისებოდეთ, არც თქვენა და არც იმათ, მაგრამ რას იზამთ, თუკი ქართველობა ხართ?*“ (აკა მორჩილაძე).

**ჩამშვები** – დამბეზლებელი, დამსმენი (იხ. „ჩაუშვა!“). „*დამბეზლე-*

ბლები ყველა დროს დამბეზლებლებად რჩებიან, ყველა დროს ჰყავს თავისი „ჩამშვები“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

**ჩამწყობი** – საიდუმლო გარიგებით საქმის მომკვარახჭინებელი (იხ. „ჩაანყო“). „ვინ – თავხედი, ვინ – ჩამწყობია, ვინ – შებერტყილი და მანიაკი“ (ემზარ კვიციანიშვილი).

**ჩანაჯენი** – ნაპატიმრალი, ციხეში ნაჯდომი. „ფრანსუა ვარ, ჩემდა ჭირად, ნარბენი და ჩანაჯენი“ (დავით წერეთლიანი. თარგმ.).

**ჩანგალზე წაყვანა** – დაპატიჟებულის მიერ დამპატიჟებელთან დაუპატიჟებელი მეგობრების მიყვანა. „ეგრეთ წოდებული უძრობის ხანაში ერთი უცნაური თვისება გვექონდა – დაპატიჟებდნენ (დაბადების დღეზე, ვთქვათ) ვინმეს და დაპატიჟებულს სტუმრად მინიმუმ ათი ადამიანი მანაც მიჰყავდა ეგრეთწოდებულ „ჩანგალზე“ (დათო ტურაშვილი).

**ჩანჩურ ივანიჩი** – უხეირო, უგერგილო და გარეგნულადაც (ჩაცმულობითაც) მოუწესრიგებელი ადამიანი („ჩანჩურა“ ქეგლ-ში ასე განმარტებული: „უშნო, ულაზათო, უგერგილო ვინმე“). „ამისთანა ჩანჩურ ივანიჩები ხშირად ჩადიან ასეთ სასაცილო საქმეს! – მიუგო ტარიელმა ამხანაგს, როცა სიცილს მორჩენ“ (ეგნატე ნინოშვილი).

**ჩარეცხილი** – ხელიდან წასული, მოთავებული. „შენნაირად მხოლოდ ჩარეცხილ ნარკომანებს აცვიათ“ (სოფიო კირვალიძე).

**ჩართო** – ბევრი ილაპარაკა. (ანალოგია რადიომიმლების ჩართვასთან). „ამ ფიქრში გაიმწარა სიფათი და ჩართო და ჩართო, სულ ეკლები ამოყარა პირიდან“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ჩარტყმა** – დაღევა (ალკოჰოლიანი სასმელის). (მდრ. „ჩაარტყა“). „აი, ბოშა ბებიას კი „ჩარტყმა“ უყვარდა, „სლოვოვიცას“ გადაჭკრავდა ხოლმე და ხუთი წლის შვილიშვილთან ერთად რომანსებს ღიღინებდა“ (ვასო ხვიჩია).

**ჩასასტავდა** – სასტავის (იხ.) წვერი გახდა. „...მაგრამ სანამ ვინმეს „ძმას“ დაარქმევ და „ჩასასტავდები“, უფრო დიდი დრო გავა...“ (ბექა მოლაშვილი).

**ჩაუკეტა** – მაგიური საშუალებების მეშვეობით მიზნის მიღწევაში ხელი შეუშალა. „რო ვიტყვი ტიბეტელი შამანები მოდიან, ყველამ იცის ეგ რა არი და მერე იცინიან ხოლმე, ჩაუკეტა ქემერამო. მაგეებს მარტო თამაშის ყურების დროს ვამბობ (...). ჩაკეტვები ვიცი...“ (აკა მორჩილაძე).

**ჩაუშვა**<sup>1</sup> – დააბეზლა, დაასმინა (თითქოს ვილაცა უფსკრულში, ხრამში, ორმოში ჩააგდო, დასალუპავად გაიმეტა). „რა უნდა მეთქვა? ბადრავს ხომ არ ჩავუშვებდი?“ (გივი ალხაზიშვილი).



**ჩაუშვა<sup>2</sup>** – რალაცა ჩაარტყა (თავში). „...თუ რამეს დაუშავებს ან ჩემ ძმას, ან ჩემ დას, მივეპარები და ქვას ჩავუშვებ თავში“ (ნაირა გელაშვილი).

**ჩაუნყო** – შექმნა ხელოვნური სიტუაცია ვილაცის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ქვემოთ მოტანილ მაგალითში საწინააღმდეგოდ („გასაფუჭებლად“) საქმის ჩაწყობა (ხაფანგის დაგება) იგულისხმება: „მანც არ ტყდება, ჩამინყვესო, ამბობს და, რო დათვრება, ცოლი ჰყავს შავ დღეში“ (ზაურ კალანდია).

**ჩაფახდა** – შეშინდა, დაფრთხა (შდრ. „აიფახა“). „ერთხელ ექსკურსიაზე მაგარი დაგნარი აიწია, განსხვავებული არ დალია ერთმა ტიპმა, გაიჩითა დამრიგებელი, კულიჩამ ლიმონკა დაუძრო, ეგრევე ჩაფახდა“ (ირაკლი ლომოური).

**ჩაქცეული** – ძალიან მდიდარი. „– ეგ შენი ლექტორი ისეთი ახვარი ყოფილა, კაი ჩაქცეული იქნება. – სახლი აქვს, მეფეს შეშურდება“ (ავთო ხეთანელი).

**ჩაშვება** – დასმენა, დაბეზლება. „...აქაც მძლავრობდა კარიერისტული მისწრაფებანი, ერთმანეთის „ჩაშვება“, „ქულეების მოგროვება“ (რომან მიმინოშვილი); „როცა ოსტატებს უსმენთ ლალატის, ლიქნის, ჭორების, კაცის ჩაშვების“ (ტარიელ ჭანტურია).

**ჩახდელი** – შერცხვენილი (თითქოს სახალხოდ შარვალჩახდელი). „რო არ მიშველოო, – ბიძამისისთვის უთქვამს, – ჩახდელი ვარ საშვილიშიელოდო“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ჩახრახნა** – დალია ალკოჰოლიანი სასმელი. „– სიცივეა, მოდი, ჩახრახნე. – სანერი მაქვს. – მიდი, კაცო, ჩახრახნე“ (აკა მორჩილაძე).

**ჩაჯდომა** – ქეიფი (საფუძვლიანი). შდრ. „ჩაჯდეთ“. გრამატიკულად სწორი ფორმაა „ჩავსხდეთ“ (ზოგჯერ ასეც ამბობენ). „ამის მერე კაი ჩაჯდომა და კაი „შარაფიც“ შეიძლება“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

**ჩემა ნალა** – (ზოგჯერ ერთ სიტყვად წერენ) ძლიერ ეფფემიზებული გინება (შდრ. „შეჩემა“). „– შენ ყოჩალად იყავი, ი ჩემა ნალა თათრები ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ“ (მიხეილ ჯავახიშვილი); „რამ დაგაბრმავათ, თქვე ჩემანალეზო“ (გურამ დოჩანაშვილი); „ვერა ხედავ, იმ ჩემანალეზმა პაპაშენი კიტრივით გააგორეს“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „– გიჟია ეს ჩემანალა! სადლა უნდა წახვიდე. შეიკრა წრე!“ (ჯემალ ქარჩხაძე).

**ჩემი გული ვჭამე!** – ამბობენ, როცა ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს; გულისხმობენ: ჩემი გულის მჭამელი ვიყო, თუ ეს შევარჩინო შეურაცხმყოფელსო! „– მანდ დეეტიე, მე რა ვიცი, შენ

ქურდი ხარ თუ ბულალტერი? – ვაიმე, ჩემი გული ვჭამე! – მკერდი გადაიღელა ფეხზე წამომხტარმა...“ (გურამ გეგეშიძე).

ჩემის თვრამეტიანი – სალანძღავი გამოთქმა, გაურკვეველი წარმომავლობის. „მაინც ცაში დაფრინავს ეს ჩემის თვრამეტიანი“ (მიხომოსულიშვილი).

ჩემი კარგ(ებ)ი... – ევფემიზებული ავტოგინება (ევფემიზაცია უწმანური სიტყვის გამოტოვებით ხდება). „ჩემი კარგი, ტო, იმას უმაღლესი, მე უმდაბლესი. აზრზე ხარ, ტო, ჩემი კარგები... ხელოვნების გამოცდაში, ტო, იმ ქაჯმა ჩემზე მეტი სად ისწავლა?.. თეატრალურ პესნაში, აზრზე მოდი, ტო“ (რეზო ჭეიშვილი).

ჩემის ტრულაილა – ევფემიზებული გინება. ევფემიზება აქ ხდება უწმანური სიტყვის ნაცვლად ხელოვნურად შექმნილი ექსცენტრიკული სიტყვის გამოყენებით. „ალარ გადადის ჩემის ტრულაილა? – იკითხა ამჟამად სხვებზედ ყოჩაღმა წრეელმა...“ (გურამ დოჩანაშვილი); „მოეცალეთ ტროლეიბუსს, ჩემის ტრულაილებო“ (ტარიელ ჭანტურია).

ჩერეზ ძმა – ძმაკაცის ძმაკაცი. (რუს. через – მეშვეობით, შუამავლობით). „– ა, იმათი ძმა ხარ? ჩერეზ ძმა ყოფილხარ...“ (ბექა მოლასვილი).

ჩერესჩურ – მეტისმეტად, ძალიან (რუს. чересчур). „ქალაქშიც ჩერესჩურ ტყდება, ტო... მთელი სოფელი იქ არი“ (პაატა ქურდოვანიძე).

ჩეჩამს ბებიაამისის მუთაქებს – მიედ-მოედება; მაიმუნობს, საქმეს ურევს (ისე ურევს საქმეში ხელს, თითქოს ბებიაამისის მუთაქა იყოს). „– რა ბებიათქვენის მუთაქებსა ჩეჩამთ! თუ კარქია, თქვენ უთხარით!“ (მიხომოსულიშვილი).

ჩვენ ბოდიში – ირონიული მობოდიშება. აქ პაროდირებულია საკუთარ თავზე მრავლობით რიცხვში საუბარი, რაც თავმდაბლობის გამოხატულებად ითვლება მეცნიერულ ტექსტებში („ამ ნაშრომში ჩვენ ვიკვლევთ...“ და მისთ.). „– აჰა, ორმოცდარვა კაპიკზე მეტი არა მაქვს... ჩვენ ბოდიში“ (რევაზ ინანიშვილი).

ჩითვა – ცქერა, ყურება; სინჯვა (შდრ. „გაიჩითა“). „– რას აკეთებდი, ტო? – არაფერს, წვიმას ვუყურებდი. – ტიპი ხარ! წვიმას რა ჩითვა უნდა, ტო!“ (ზაალ ტაბალუა).

ჩიტი (გამოთქმაში: მაგის ჩიტი ვინ არის!) – გულუბრყვილო, იოლად მოსატყუებელი ადამიანი (მახეში ჩიტივით იოლად გასაბმელი). „ან მაგის ჩიტი ვინ არის, ან მაგას ვინ ჭამს, მამო?!“ (ვახტანგ ჯავახიძე).



ჩმორი – უხეირო, ჯაბანი, ბედოვლათი. „– ძმებო, ახალსკოლაში გადავედი, ხომ იცით, და ერთი-ორჯერ ამომაკითხეთ, ვინმეს ჩმორი არ ვეგონო. იქაურმა „სასტავმა“ ნახოს, რომ კაი ტიპი ვარ, რა...“ (ბექა მოლაშვილი).

ჩმორიკი – იგივეა, რაც ჩმორი (იხ.), ოღონდ რუსული კნინობითი სუფიქსით (-ик) გაფორმებული. „ტიპი ლიანდაგზე იჯდა, მიიწიე, მეც დამსვიო, – ვილაცა „ჩმორიკი“ გაეჩითა“ (მიხო მოსულიშვილი).

ჩორტის ჩაგდება – განზრახ ისეთი რამის გაკეთება, რაც ადამიანებს ერთმანეთს ნაჰკიდებს (თითქოს მათ შორის ეშმაკმა გაიარაო. რუს. чёрт – ეშმაკი). „[ტელეპროგრამის წამყვანს] დაერქმევა „პად-ჟიგატელი“, რომელსაც პირდაპირ დაევალება ლუწი რაოდენობით მონვეულ „ცნობილებს“ შორის „ჩორტის ჩაგდება“ („ახალი ეპოქა“).

ჩხუბი აუწია – ჩხუბი აუტეხა, წაეჩხუბა. „ესენი თქვენზე ადრე რო გაუშვათ, დაგხვდებიან, ისევ ჩხუბს ავინწვენ, ამიტომ ჯერ თქვენ დაგვეკარგეთ აქედან, მერე ამათაც გამოვუშვებთ“ (ზურაბ სამადაშვილი).

- 3 -

**ცვენაა** – ამბობენ მაშინ, როდესაც რალაც მეტისმეტად ბევრია, იმდენად ბევრი, რომ თითქოს ციდან ცვივა უანგარიშოდ. „**პოეტების ცვენა იყო**“ (რეზო ჭეიშვილი); „**სხვათა ნააზრევით გაჯერებული მეტყველების წყალობით, ახლა „საზრიან-გონიერთა“ ცვენაა**“ (ჯანრი გოგეშვილი).

**ცვეტნოი ამბავი** – ნამდვილი (მართალი) ამბავი. (შდრ. „ცვეტში გეტყვი“). რალაც კავშირი უნდა ჰქონდეს რუსულ სიტყვასთან **цветной** – ფერადი, მაგრამ რა – ძნელი სათქმელია. „**გაზეთში ენერა, რო გოეთეს „ფაუსტის“ მოტივებზე კინო უნდა გადაიღონო, რომელ კინოშიც ტაქსის შოფერ ფაუსტის როლს მიხაელ შუმახერი ითამაშებსო, კლასუდია შიფერი შეუყვარდებაო და ბორის ბეკერი კიდე, ჩოგბურთელი როა, ეშმაკია და სულს მიჰყიდისო. კი, ტო, ცვეტნოი ამბავია! ტელევიზორშიც თქვეს“; „ქალაქურ ჟარგონზე იტყვიან ხოლმე – „ცვეტში“ გეტყვი, ვინ რას ფიქრობსო. ესე იგი, ნამდვილად გეტყვიო. ანდა თუ გითხრეს, „ცვეტნოი“ ამბავიაო, უნდა მიხედუ, რომ ნამდვილ ამბავს გეუბნებიან“ (მიხო მოსულიშვილი).**

**ცვეტში გეტყვი** – ნამდვილად გეტყვი, მართალს გეტყვი. (შდრ. „ცვეტნოი ამბავი“). „– ქალაქურ ჟარგონზე იტყვიან ხოლმე – „ცვეტში“ გეტყვი, ვინ რას ფიქრობსო. ესე იგი, ნამდვილად გეტყვიო. ანდა თუ გითხრეს, „ცვეტნოი“ ამბავიაო, უნდა მიხედუ, რომ ნამდვილ ამბავს გეუბნებიან“ (მიხო მოსულიშვილი).

**ცივი დაუჭირა** – ცივად შეხვდა. „**ჯერ ცივს დაგიჭერს, ოფიციალურს, მერე ჩვეულებრივი პონტები: ყვავილები, რამე... ყურადღება...**“ (ლაშა ბულაძე).

**ცირკი/ცირკები** – ოინი/ოინები; სეირი (ცირკი ხომ ოინების, თვალის სასეირო სანახაობათა ასპარეზია). „**აი ცირკი, თუ გინდათ, მაშინ დატრიალდა, პატარა მფრქვევანამ წნევას ველარ გაუძლო, ის დამპალი მილი გასკდა და ათ მეტრში ისე დააყვითლა ყველა, ჩინელები გეგონებოდათ“; „ისე, მაგარი ცირკები კი მოვანყვე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „თავდაცვის მეცადინეობა ცირკი იყო“ (ზურაბ სამადაშვილი); „ზოგი სამწყობრო სიარულით ჩამოივლის, ზოგი კი ტრიბუნების შესავსებად და ხალხმრავლობის ილუზიის შესაქმნელად სჭირდებათ, რადგან თავისი ნებით ვინ წავა, ვის რა შავ ქვად უნდა ეს ცირკი, ვის რა ეზეიმება“ (გიორგი ბაქანიძე).**



**ცუციკი** – ლაჩარი, მხდალი; სუსტი. (რუს. цуцик – ლეკვი; გადატ. მანა-ლიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ადამიანი). „ზოგი ცუციკი სიმთვრალეში გმირი ხდება ხოლმე“ (ინტერნეტი); „ბნელ ოთხმოცდაათიანებში, როდესაც თბილისის ყოველ უბანში ძველბიჭური ბოჰემა სუფევდა, ხშირად მსმენია გამოთქმა „ცუციკი ძალი“, ან ცალკე აღებული „ცუციკი“, რომელიც „მხდალის“ და „ზადნის მიმცემის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა“ (ინტერნეტი).

**ცხრა მთავრობის შებერტყილი** – გაქნილი ადამიანი, რომელიც ახერხებს წარმატებით ემსახუროს სხვადასხვა მთავრობას (ცხრას ქართულში მრავალის მნიშვნელობაც აქვს). შდრ. „შებერტყილი“. „ზის გიორგი სააკაძე – ცხრა მთავრობის შებერტყილი. წინ, ვაზირთა წესისამებრ, სინი უდგას შერბეთ-ხილით“ (ტარიელ ჭანტურია).

**ცხრანომერა** – ჩამორჩენილი ადამიანი, სოფლელი, ტეტია. (შდრ. „ცხრა ნომერი კალოში“). „მოკლედ, მე, ლევანა და ეს ნაბოზარი ცხრანომერა „არაგვი“ ვართ“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ცხრა ნომერი გლეხი** – ვარიაცია გამოთქმისა „ცხრა ნომერი კალოში“ (იხ.). „რთული, ერთობ საშიში უბანიცაა; ვის არ გადაეყრები: ჰალსტუხიან პიუონს თუ ტუჩზე რძეშეუმშრალ მამლაყინნას, კანონიერ ქურდს თუ ცხრა ნომერ გლეხს“ (ზაურ კალანდია).

**ცხრა ნომერი კალოში** – ჩამორჩენილი ადამიანი, სოფლელი, ტეტია. ცხრა ნომერი კალოში (ავდარში სახმარი რეზინის ფეხსაცმელი) ძალიან დიდი ზომისაა, უფრო სოფლად ხმარობენ, იოლად რომ ჩაიცვან და გაიხადონ (ტალახიან ეზოში გასვლისას). „...მეორემ ახსენა „ცხრა ნომერი კალოშის“ ჭინჭყლი, რალაც ბედად რომ გადაურჩა ცემა-ტყეპას“ (ზაურ კალანდია).

- ძ -

**ძაან ნიტო** – ძალიან შეუსაბამო ან არასასურველი რამ. (რუს. *ни то* – შეუსაბამო). „– მისმინე... – წამოინია ზურა, – ლიკა მოკვდება. – ვა? – გამოხედა მერაბმა. – ან რამე ძაან ნიტო მოხდება, თუ უკვე არ მოხდა“ (აკა მორჩილაძე).

**ძაან ტაკოი** – ძალიან მაგარი. (რუს. *такой* – ასეთი). „გამვლელები იქაც ვაპრიკოლეთ. მერე ძაან ტაკოი გოგჩო ვნახე“ (გიორგი კაკაბაძე).

**ძაღლი** – მილიციელი, პოლიციელი, საერთოდ, წესრიგის დამცველი (ძაღლი ხომ პატრონის კარ-მიდამოს იცავს). „ბოქაულმა ძაღლები შეკრიბა და ელაპარაკა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „დიდ უნივერსალებსა და საიუველირო მალაზიებში ყოველ დახლთან თითო გადაცმული „ძაღლი“ (გია ლომაძე); „...მერე ძაღლებს მიუბრუნდა და ძველი ნაცნობებივით მიესალმა, გულითადად“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ძველბიჭური** – ძველი ბიჭისთვის (იხ.) დამახასიათებელი. „... უჩვენეს ქვეყანას ცისფერი სისხლისა და ძველბიჭური მარიფათის ფასი“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ძველბიჭური უჭირავს** – ძველი ბიჭივით (იხ.) იქცევა. „ძველბიჭური უჭირავს: მეკუთვნის, ძმაო... ვომობდი და წილიაო, დიდ გულზეა“ (ზაურ კალანდია).

**ძველი ბიჭი** – ქურდული გამოცდილების მქონე ტიპი. „რა გინდა, ამ ძველ ბიჭებს რომ ეტორღიალები... ხომ ხედავ, არ გიხდება ძველბიჭობიას თამაში“ (რევაზ მიშველაძე); „ისინი – უბნის ძველბიჭები – ჟოლოსფერ ყიღეტებში გამოწკეპილიყვნენ“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ძველო! შე ძველო!** – გამოცდილო, ცხოვრებანანახო (მეგობრული მიმართვა. შდრ. რუს. *старина*, გერმ. *alter Junge*). „თავი მალლა გეჭიროს, შე ძველო!“ (გიორგი და კარლო ჯორჯანელები. თარგმ.); „ადე, შე ძველო!.. – ბეჭზე მსუბუქად დაჰკრა გუჯამ ხელი“ (ზაურ კალანდია); „როცა დაბნეულ გივის შევხედე, გადავიხარხარე და ალგ ზნებულმა შუბლზე ნკიპურტი გავკარი – შე ძველო-მეთქი“ (მერაბ აბაშიძე).

**ძინგა** – მაგრად მოარტყა (მოქნეული ხელი ან რაიმე საგანი). ხმა-



ბაძვითი სიტყვა – დარტყმის შედეგად წარმოშობილი ბგერების იმიტაცია. „...რისი გეშინია... დიდი-დიდი ერთი გძინგონ კბილებში“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ძონძები** – მოდური, ძვირფასი ტანსაცმელი. (შდრ. „შმოტკები“).  
 „ბიჭებიც როგორ აიყოლია – ძონძები და კოსმეტიკა, საათი და ჯერის ძენკვიც კი მაყიდინა ამ ბოზი დიაცისათვის“ (მიხო მოსულიშვილი).

ნა- - ზმნისნინი, ერთობ პოპულარული ჟარგონულ სიტყვათწარმოებაში; სხვა ზმნისნინების მისით ჩანაცვლება ჟარგონულ ელფერს ანიჭებს ან უძლიერებს ზმნებს და ზმნისგან წარმოებ მეტყველების ნაწილებს: დამპალი - ნამპალი, გათიშა - წათიშა: „ამასობაში ამოვარდა ცხრანომერა, ეს ნამპალი და აგური ხია ამ ნაქცეულ, დამტვრეულ გიორგას, წათიშა ეგრევე, ლამის გაისტუმრა“ (ზურაბ სამადაშვილი); გააჩერა - წააჩერა: „წავაჩერეთ ბიჭები და მიდის სიტყვიერი ქაჩაობა“ (ზურაბ სამადაშვილი); დააყარა (დაუშინას მნიშვნელობით) - წააყარა (იხ.).

ნააბა - მოხიბლა, სასიყვარულო ურთიერთობაზე დაითანხმა. ანმყო „აბამს“ (იხ.). „ნააბა თუ აეკიდა ადამსა“ (ვახტანგ ჯავახიძე).

წამსერა - წაიყვანა (აგდებულად). „გვტაცეს ხელი და წავგამსერეს საძაღლეთში“ (ზურაბ სამადაშვილი).

წააყარა - ურტყა და ურტყა, დაუშინა (ძირითადად მუშტები). „მოიცა, თუ ძმა ხარ, მწერლები შარიანი ხალხია, ემანდ არ წააყარონ ვინმეს!..“ („ქომაგი“).


წაეზა - მახეში გაეზა, ანკესს წამოეგო (გადატანითი მნიშვნელობით). „წურავინ იფიქრებს, ამისთანებზე წავებმებოდი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

წაეთომარა - ბოლო დროს „თომარმა“ (იხ.), რაც ლაპარაკს ნიშნავდა, ფლირტის მნიშვნელობა მიიღო, თავის ხელების ფათურითურთ. „რომ ვიქილიკო, იმიტომ არა, უბრალოდ რითმა წამეთომარა“ (ალექსი ჭინჭარაული). ამ მაგალითში განსამარტავი ზმნა მეტაფორული მნიშვნელობით არის გამოყენებული, რითმა გაპიროვნებულია - ქალის სახით არის წარმოდგენილი.

წაეიაზვა - გესლიანად გადაუკრა სიტყვა (რუს. язва - გესლიანი, ავი ენის პატრონი). „ერთხელ დაეურეკე, ცოტა წაეიაზვე და ყურმილი დამიკიდა“ (ზურაბ სამადაშვილი).

წაენასტირნა - გესლიანად გადაუკრა სიტყვა. (შდრ. „ნასტირნი“) სინონიმი „წაეიაზვა“ (იხ.). „წაეიაზვენენ ერთმანეთს, წაენასტირნენ და ბოლო-ბოლო ჩხუბიც გაჩაღდა“ (ზურაბ სამადაშვილი).

წაეპადხოდა - გაეარშიყა (რუს. подхит - მიდგომა). „- ნათესავიარ და... შენ ნათესავს როგორ წაეპადხოდი?“ (აკა მორჩილაძე)



**წავიდა** – მოხდა, ადგილი ჰქონდა (რალაცას). „*არა, შენწერები არ წასულა, კაცურად გადაიხადეს*“ (მიხო მოსულიშვილი).

**წაიპაკაზუხა** – სხვის დასანახად, თავის გამოსაჩენად გააკეთა რალაც (რუს. показуха – მოჩვენებითობა). „*აბა რა, წაიპაკაზუხა! ვითომ ყველაზე მაგარი მე ვარო*“ (ირაკლი ლომოური).

**წაიძველბიჭებს** – ცდილობს ძველბიჭურად (იხ.) მოიქცეს, ძველ ბიჭებს (იხ.) მიბაძოს. „*მე მგონი, ცოტას წაიძველბიჭებს კიდეც...*“ (ზაზა დარასელი).

**წაკეტა** – შეწყვიტა (ლაპარაკი ან ქმედება). შდრ. „მოკეტა“. „*–თუ სმა აღარ გინდათ, თქვით და მეც წაკეტავ...*“ (რუსლან ლონლაძე).

**წაკლა** – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. „*ის წაკლა ისა, მდივანი, გაივლის – გააქნევს, გამოივლის – გამოაქნევს. ხან ასე დამიჯდება, ხან ისე. იმ პონტში კი არა, რო მეპრანჭება... იმ პონტში რო, – ვინა ხარ, ვის დაკარგვიხარო*“ (თამრი ფხაკაძე).

**წაკლაშკა** – იგივეა, რაც „წაკლა“ (იხ.). „*– რა სიყვარული? შენ ეგ წაკლაშკა გიყვარს?*“ (აკა მორჩილაძე).

**წამალზე ზის** – ნარკომანია. (შდრ. „წამალი“ და „წამალზე შეჯდა“). სინონიმი „კაიფობს“ (იხ.). „*გაბოსგან გამკვირვებია, არასდროს მჯდარა წამალზე. ის კი არა, იმათაც ვერ იტანს, ვინც კაიფობს*“ (ზაურ კალანდია); „*პრეზიდენტს, რომელიც მონარქად იქცა, 24 საათს წამალზე „დამსხდარი“ თანამდებობის პირები ჰყავს პირისფარეშებად*“ (გაზ. „ახალი ეპოქა“).

**წამალზე შესვეს** – ნარკოტიკებს დააჩვიეს, გაანარკომანეს. „*...უტკინო ხარ, ასიტაშვილებმა როგორ შეგსვეს წამალზე*“ (აკა მორჩილაძე).

**წამალზე შეჯდა** – ნარკოტიკზე დამოკიდებული გახდა. (შდრ. „წამალზე ზის“). „*...თანაც წამალზე შეჯდა ამ ბოლო ხანს, სულ გადაგვრია უბნის ნარკუსები, იმდენს იკეთებს*“ (მიხო მოსულიშვილი).

**წამალი** – ნარკოტიკი. „*ნიძლავზე ვარ, წამალი იხარშება სადღაც ახლომახლო*“ (ზაურ კალანდია).

**წამობრინჯული** – გაბლენძით მჯდარი (ბრინჯი ხარშვისას მოცულობაში მატულობს, იბერება). „*ეს ვაუბატონიც რალას უმტკიცებს – ამ სავარძელში წამობრინჯული?*“ (ჯემალ აჯიაშვილი. თარგმ.). შდრ. განმარტებით ლექსიკონში „გაიბრინჯება“ – ქამით გაიბერება.

**წამსერდა** – წავიდა (აგდებულად). შდრ. „ჩამსევდა“. „*ბულდოგი გამოვა, იმ ორთაგან ერთს გამოუძღვება, წამსერდითო, უბრძანებს ლენტოსა, უბრძანებს და თვალს ჩაუკრავს*“ (ოთარ ჩხეიძე).

ნაქოთა – სცემა. (შდრ. „ქოთი“). „ცოტა წაეყოთეთ ის და მისი ძმა კაცი“ (ლაშა თაბუკაშვილი).

ნაშანსავდა – ნავიდა (შანსის, შესაძლებლობის გამოსაყენებლად?). „ნამოშანსავებულიყავით!“ (ზურღან გემაზაშვილი).

ნება – გაარტყა (თითქოს სილაქი მიანება ლოყაზე). „აბა, ავეუდეთ! – დავიყეფე უცებ და ერთი გემოზე ვნებე იმ ბლიყეს, ჩემ გვერდით გათიშული რო იჯდა“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

ნერაობა – სექსუალური ურთიერთობა. „ვიციო, სიმონ, კარგათ ვიციო, რო შენ ეხლა ჩემთან ნერაობა გინდაო, მაგრამ მაგას ვერ ეღირსები, ჯერ თვალებს ამოგკანრავ, მერე ისე ვიკივლებ, მთელი გერმანიის პოლიცია აქ მოვაო“ (მიხო მოსულიშვილი).

ნენავს<sup>1</sup> – ფულს ართმევს. (იხ. „განენა“). „მეზობლებს წენავს, ყველაფერს ლენავს, / ნააგავს მეძავს, მეძავსაც წენავს“ (უცნობი).

ნენავს<sup>2</sup> – ძალიან კარგია, საუცხოოა. სინონიმები: „მაგარია“, „გლიჯავს“ (იხ.). „თუ ვინმეს დაიჭერდნენ, პოლიცია მოიყვანდა და არაფერი პრობლემა, მერე რა, რო სირენები ბლავიან. ჩვენ დიდი ზარ-ზეიმით ვხვდებოდით ხოლმე. უკვე ხუმრობაში გადადიოდა. არადა ამით გერმანელებს დამნაშავის შერცხვენა უნდოდათ, რო აი ნარუნჩიკებით მოიყვანეს და რალაცა, მაგრამ ქართველი მაინც ქართველია, იმას გულმან როგორ უნდა გაუძლოს, რო ამ დროს ტაში არ დასცხოს და „ბრავოც!“ არ შემოსძახოს. (...) ხო წენავს?“ (მიხო მოსულიშვილი).

ნილში გაიყვანა – უნილადა (ძირითადად არაკანონიერი გზით მოპოვებული ფული). „... გვითვლიან, რომ მანქანას გაყიდვიან შავ ბაზარზე და „ნილში გაგვიყვანენ“; „... ხომ არ გადიხართ თქვენც და იქნებ სხვებიც იმ „ნილში“, რომელიც შემოგვთავაზა ჩვენ ამ ბანდამ?“ (ედიშერ გიორგაძე).

ნილში ჩაჯდომა – მონილედ გახდომა. (შდრ. „ნილში გაიყვანა“). „... ეს სტატია შემთხვევით რომელიმე „შავმა“ რომ წაიკითხოს... [გაუჩინდება] მწერალთა კავშირის წევრების დაყარალების ან სულაც მათი „თავზე საყრელი ფინანსების“ „ნილში ჩაჯდომის“ სურვილი!“ (ია სულაბერიძე).

ნიწკვი – გოგონა. „ჩვენი ნიწკვები, მოკლედ, ჩვენი კლასელი გოგოები სახელოსნოშიც მინი-კაბებით მოდიოდნენ“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „– შენ იმ ნიწკვს რატომ აეკიდე?“; „დღეს მეთერთმეტე ნიწკვი უნდა დავაბა სადმე“ (ნოდარ დუმბაძე).

**ჭაკად არის საქმე** – ცუდად არის საქმე. „გარედან რკინის რიკულები ეკრა და ფანჯარა ამ დანესებულების შიდა ეზოში იყურებოდა, აქედან ვერსად წავიდოდა, საქმე ჭაკად იყო“ (მიხო მოსულიშვილი). ჭაკი (დედალი ცხენი, ფაშატი) სასაუბრო მეტყველებაში მხდალს, ლაჩარს და უვარგისს ნიშნავს (იხ. ქეგლ). შესაძლოა, ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად განსამარტავ გამოთქმას.

**ჭამა** – მოტყუვდა. შდრ. „აჭამა“. „შეტრიალდა და კასის უკან დაგაზა – ნაღდში ან სიგნალი ექნებოდა იქ, ან გატენილი დურა უჯრაში, მაგრამ მაგას ვინ ჭამდა – ბნელომ მოკლეზე მოხია“ (გია ჭუმბურძე. თარგმ.); „მაგას ვინ ჭამს!“ (ვახტანგ ჭელიძე. თარგმ.).

**ჭაჭებში შეუშვა** – დალია ალკოჰოლიანი სასმელი (ჭაჭები იგივე თირკმლებია – შარდის წარმოქმნელი და გამომყოფი ორგანო). „- შეუშვით? – შიგ ჭაჭებში“ (ზურღან გემაზაშვილი).


**ჭედა** – მოარტყა ტყვია, ჭურვი და მისთანანი; სპორტულ ჟარგონში გოლის გატანას ნიშნავს (შდრ. „ნაჭედი“). „თხლიშა ხუნჯგურუამ ყუმბართმტყორცნი და ააბოლა (...). კარგია, რომ ჭედა, ჩაანყვეტინა ხმა“ (ზაურ კალანდია).

**ჭედავს (რალაცაზე)** – ძალიან მოსწონს. „კულმინაციური, ორგაზმი მომენტი არის ეს ფრაზა: „მომისმინე ერთ წუთს აქა, იუზგარ!“ ვჭედავ ამ სიტყვაზე, ვაფანატებ“ (გიორგი კაკაბაძე).

**ჭინჭებიანად** – ტანსაცმლიანად; თავიდან ბოლომდე, მთლიანად. „ჩვენ ჭინჭებიანად ინტერნაციონალისტები ვართ“ (ტარიელ ჭანტურია).

**ჭიპზე გასკდა** – მეტისმეტად მოინდომა, ძალიან ეცადა, ბევრი ინვალა (თითქოს მცდელობისას ისე დაიძაბა, რომ ჭიპზე – სხეულის ყველაზე სუსტ ადგილზე – გაირღვა). „ჭიპზე გავსკდი, სანამ მათი მთელი პროგრამის ჩანანერი არ დავიადე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**ჭიჭიკო** – მამაკაცის საკუთარი სახელი. ჟარგონში: კერძო მსუბუქი ავტომანქანის მფლობელი, რომელიც ტაქსაობს (ტაქსივით იყენებს კერძო მანქანას ანუ ხალხი გადაჰყავს სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც იკრძალებოდა საბჭოთა ხანაში). გავრცელებული იყო მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში. „ავდექი, იმათ ბოდიში უთხარი და გამოვედი, ტაქსი არ მიჩქარია, ამოვედი ფეხით და მერე ჭიჭიკო დავიჭირე. მაშინ ჭიჭიკოობა იყო“; „ჩვენთან ერთი ჭიჭიკო



იყო. **ჭიჭიკოები** არ გახსოვს, ტო? **ჭიჭიკო** იყო, ხალტურაზე ვინც დადის. ბევრნაირი **ჭიჭიკო** იყო. ზოგი ხაზეინის მანქანით დადიოდა, მერე რო ტაქსაობა დაარქვეს რა, მაშინ იყო **ჭიჭიკო**. ზოგიც სამსახურის მანქანაზე, ზოგი თავის მანქანებით, მასკვირები იყო, ვასნავნომ, ვინც თავის მანქანით იყო, ან ძველი ნოლაძინები. მე ვაფშე მახსოვს, ვითომ აკრძალული ხო იყო ხალტურშიკობა და ვაგ ზალზე იყო დაბლა ბირჟა. დეცატაძინი **ჭიჭიკოები** მახსოვს დაჟე. ვაგ ზლისები მეძვირეები იყვნენ, იმიტო, რო ტაქსზე ხო პასტაიანი რიგი იყო, ტაქსის გაჩერებაზე და **ჭიჭიკო** ჩამოივლიდა და დავაი“ (აკა მორჩილაძე).

**ჭკუა ეკეტება** – ძალიან მოსწონს, ისე მოსწონს, რომ ჭკუას კარგავს (გონება უზნელდება). შდრ. „ტვინი ეკეტება“. „ერთი თვალის შევლებით შეაფასა ქალმა: ტიპიური ქალაქელი ბიჭები, პენით ჩაცმულები, ჭკუა რომ ეკეტებათ ნომრიან ოდეკოლონზე და უკანასკნელ მოდაზე იკრეჭენ თმას“ (პაატა ქურდოვანიძე).

**ჭკუაც ვატირე** (ამის/იმის) – სალანძლავი გამოთქმა (ეგფემიზებული გინება). „ერთი ამის ჭკუაც ვატირე, ნავიდეთ, მითხრა გიგიმ“ (მიხო მოსულიშვილი).

**ჭკუიდან აინია** – გადაირია, გაგიჟდა (აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით). „...მართლა ცოტა უნდა დავინიოთ მიწაზე, თორე ჭკუიდან ავინევიტ...“ (გურამ რჩეულიშვილი); „ბავშვები მართლა ისე ხატავენ, ჭკუიდან აინევი“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „გიჟად ვხდები, ვინმე რომ მუსიკის დროს ჩაერთვება, ავინევი ხოლმე ჭკუიდან“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.); „-აზრზე მოდი! ჭკუიდან აინევი, თოფი აქვს დამალული, ერთხელ არ უსვრია...“ (ამირან ჭიჭინაძე).

**ჭმევა** – მოტყუება (შდრ. „აჭამა!“). „ჭმევაც ამას ჰქვია!“ (ვახტანგ ჭელიძე. თარგმ.).

**ჭრელად** – იტყვიან პასუხად შეკითხვისა „როგორ?“ – და გულისხმობენ: რა არის აქ საკითხავი, ისედაც ნათელია ყოველივე. „- ამა-სწინათ ვნახე ერთ ტიპთან... ხავერაზე... - როგორ? - როგორ და ჭრელად“ (რუსლან ლონლაძე). განსამარტავი სიტყვის სალიტერატურო მნიშვნელობა („ნაირფერადად“) ძნელი დასაკავშირებელია მის ჟარგონულ მნიშვნელობასთან.

**ჭრელი ბაზარი** – ორჭოფული საუბარი. (შდრ. „რიჟა ბაზარი“). „- არ გვინდა რა ჭრელი ბაზარი!- გაბრაზდა კახა, - ესენი საქმეზე არიან“ (მიხო მოსულიშვილი).

**ჭყლიტა** – გაარტყა, ჩასცხო (თითქოს რალაცა მიაჭყლიტა სხეულზე). „გამაშიშვლეს, მჭყლიტეს მუცლის არეში“ (ნოდარ დუმბაძე).

**ხავერა** – მყუდრო, წყნარი ბინა, სადაც დაუპატიჟებელი მომსვლელი ვერ შეგანუხებებს და შეგიძლია შენთვის სასურველ ადამიან(ებ)თან ერთად მოყუჩდე. ქართულ ჟარგონში შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (хавира). მომდინარეობს ებრაულიდან. სინონიმი „ბაითი“ (იხ.). „მოვიწყვე პატარა ბუნგალო პირადად ჩემთვის და ნელ-ნალა ნამდვილ „ხავერად“ ვაქციე“ (მიხეილ ანთაძე); „ამას წინათ ვნახე ერთ ტიპთან... ხავერაზე“ (რუსლან ლონდაძე).

**ხაია გააკეთა** – მიზანს ააცილა. „საგოლე სიტუაციებში ხაიების გაკეთების ნუ შეგეშინდება!“ (დიანა ვაჩნაძე).

**ხანიგა** – გალოთებული, დაშვებული (ფსკერზე). „...ორი ოჯახი გაიჩითა. ერთი ბელგიიდან, ეგ ხო გითხარი და მეორე იყო, სიმონ, თბილისის ერთი კაი უბნის სინამდვილიდან: ცოლიი, შვილიი და ქმარიც. ეგ „ც“ იმიტო, რო ნი რიბა, ნი მიასა, თან მაგარი ხანიგა, ნირიახა რა და ცოტა ხანში ანიეს კიდევაც“ (მიხო მოსულიშვილი).

**ხატა** – მყუდრო, წყნარი ბინა, სადაც დაუპატიჟებელი მომსვლელი ვერ შეგანუხებებს და შეგიძლია შენთვის სასურველ ადამიან(ებ)თან ერთად მოყუჩდე. (რუს. хата – ქოხი). სინონიმები: „ბაითი“ (იხ.), „ხავერა“ (იხ.). „თუ მილიციაში არ ყავდათ, 24 საათი ლევანას ხატაზე ეგდო ხოლმე გათიშული“ (ზურაბ სამადაშვილი).

**ხეთქავს ნაკერავზე** – სასტიკად ცემს. ნაკერავი ადამიანს, თუ ნაოპერაციები არ არის, ცხადია, არა აქვს. ამ გამოთქმაში ლაპარაკია წარმოსახვით ნაკერავზე – თითქოს ადამიანი ისევე იყოს შეკერილი, როგორც თოჯინა. „ლამლამობით უსაფრდებოდნენ, მარტო მყოფებს გამოიჭერდნენ და ხეთქავდნენ ნაკერავზე“ (მიხეილ ანთაძე).

**ხეხა (ციხე)** – ციხეშია ნაჯდომი ხანგრძლივად (იმდენად დიდხანს მჯდარა, რომ ციხის კედლები მრავალგზის მიყრდნობის თუ შეხების შედეგად გაუხეხავს). „ციხე უკვე ხუთჯერ ვხეხე“ (ჯემალ დავლიანიძე).

**ხია<sup>1</sup>** – გაარტყა. „გაახურა, შეუბერა, ხია მოლალატესა“ (ვახტანგ ჯავახაძე); „მიეჭრა ახვარს და გაუქანა და ხია შიგ შუა ყბაში“ (გურამ დოჩანაშვილი).

**ხია<sup>2</sup>** – ერთბაშად, მოულოდნელად ჩაიდინა, მოიმოქმედა, შექმნა რალაც მნიშვნელოვანი. „ძაან „გაახურა“ ნაირამაცა, მსხვილ-მსხვილი რომანები რო „ხია“!“ (ალექსი ჭინჭარაული).

**ხიპიში** – ჩხუბი, სკანდალი. სინონიმი „შუხური“ (იხ.). „ამას წინათ სიგარეტი აიღო და მაყუთს არ მაძლევდა, ისეთი ხიპიში ავუტყებე, შენი მონონებული“ (ირინე ბაქანიძე).

**ხისთავა/ხისთავიანი** – რეგვენი (ვისაც თითქოს ხისგან გამოთლილი თავი ადგას მხრებზე). „ზედ გადავუარო ამდენ ხისთავიანს“ (მურმან ლებანიძე); „ჯერ რა ხისთავა რამე უნდა იყო, ამას აკეთებდე...“ (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ხიხო** – ი. გრიშაშვილი ასე განმარტავს: „მეტი სახელია გამოუსვლელი, უშნო კაცისა“ („ქალაქური ლექსიკონი“), მაგრამ საილუსტრაციო მაგალითი არ მოაქვს. „სოფელში რომ ჩავდივარ, ქალაქელ ციგანს მეძახიან, თბილისში რომ ჩამოვდივარ, ხიხოს“ (ნოდარ დუმბაძე).

**ხმარობს** – სქესობრივი ურთიერთობა აქვს (სუბიექტი – მამაკაცი). ნამყო სრული „იხმარა“. „და კიდევ ერთი სცენა [...], როცა მარლინ ბრანდო „რუსთავი-2“-ის „ფსიქოს“ თაყვანისმცემელთა გასახარად, უკან მიდგომილი „ხმარობს“ მარია შნაიდერს (მკითხველს ბოდიშს ვუხდი: ამაზე დელიკატურად ვერ ვიტყვი)“ (ნოდარ გურაბანიძე).

**ხოდები** – ვინმეს ან რამეს მისაგნები გზები, საშუალებები, რომლებიც მხოლოდ განდობილთათვის არის ცნობილი. (რუს. *ход* – სვლა). „ის არ უკვირს, მე რო მოვაგენი, იცის, რა მამაჩემის შვილი ვარ, ხოდები ვიცი და ეგ ევასება შიგნით, გულში, მარა პახოდუ ეაპასნება“ (აკა მორჩილაძე).

**ხოდზეა** – ფეხზე დგას, სიარული შეუძლია; ფორმაშია. (რუს. *ход* – სვლა). „ჩვენ გამოძინება და თბილისში ჩასვლა უნდა მოვასწროთ, რო იქაც ხოდზე ვიყოთ“ (აკა მორჩილაძე); „ამეებს... მერე დავნერ, ახლა ვერ ვარ რალაც ხოდზე და მასალა არ შემომიფუჭდეს ცუდად დანერით“ (გიორგი კაკაბაძე).

**ხოდი აქვს** – მიესვლება. (რუს. *ход* – სვლა). „იმ ქალაქში არი ერთი ინსტიტუტით, ქიმი და რალაცეებით და იქ მექნება ხოდიო“ (აკა მორჩილაძე).

**ხოდშია** – დიდი გასავალი აქვს; მოდაშია (მდრ. რუსული გამოთქმა в ходу). „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ, ახლა ხოდში მოდერნია“ („ნიანგი“).

**ხოზო/ხოზიკა** – მსუქანი. „ვაიმევე, გეოოო, საშინელო, საძაგელო, გინდა, რომ 40 კილო მოვიმატო და იმ ხოზიკა ქერა ქალს დავემგვანო, ხოოოო???“ (ინტერნეტი). შესაძლოა მომდინარეობდეს სომხური სიტყვიდან „ხოზ“ (ღორი). ნოდარ ებრაღიძემ ყურადღება



მიაქცია იმას, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში თბილისის, იბრა-  
დრომის ორი ცხენის პატრონის ფსევდონიმი ყოფილა Хозо ГЕПЕУ.  
მისი აზრით, „ესე იგი, ეს ჩვენი თბილისური ხოზო, არც მეტი, არც  
ნაკლები, რუსული აბრევიატურა ყოფილა – ალბათ, хозяйственный  
отдел (სამეურნეო განყოფილება). მოკლედ, ხოზო გეპეუ ქართული  
სინტაქსით გეპეუს ხოზო გამოდის“ („არილი“, <http://arili2.blogspot.com/2008/12/blog-post-26.html>). მაგრამ ამ მოსაზრების საწინააღმ-  
დეგოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ „ხოზიკას“ ფსევდონ-  
იმით გასაბჭოებამდე აქვეყნებდა თხზულებებს პრესაში ვლადიმერ  
ბერაძე (იხ. გ. მიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი. თბ., 1984, გვ. 47).

**ხოშიანი** – ძალიან კარგი. „ცოტა ძმარი რომ მოასხა მაგ ლექსებს,  
ხოშიანი წნილი გამოვა“ (ნოდარ დუმბაძე); „გარეთ ხოშიანი ამინდია“  
(თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ძმები რაიტების ხოშიანი ჰაერო-  
პლანი“ (ვალერიან მამუკელაშვილი). მომდინარეობს არსებითი სახ-  
ელიდან „ხოში“, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონ-  
ში ასეა ახსნილი: „(სპარ. ხოში „სიხარული“, „სიამოვნება“) ვულგ.  
სურვილი, ნდომა, ჟინი“, და იქვე დამონმებულია საილუსტრაციო  
მაგალითი ი. გრიშაშვილის თხზულებიდან. ი. გრიშაშვილი „ქალაქურ  
ლექსიკონში“ „ხოშის“ განმარტებისას შენიშნავს: „პირველად ეს  
სიტყვა მე ვიხმარე 1914 წელს, შემდეგ გაიმეორა გრ. რობაქიძემ,  
შემდეგ მიხ. ჯავახიშვილმაც. ეხლა არ მომწონს“. შემდგომ რომ მარ-  
თლაც აღარ მოსწონდა ყველა თაობის ჟარგონში მტკიცედ ფეხმო-  
კიდებული ეს სიტყვა, კარგად ჩანს ი. გრიშაშვილის ერთი საბავშვო  
ლექსიდანაც, რომელშიც ავტორი ყმანვილს უსაყვედურებს მის  
მიერვე (!) დამკვიდრებული ამ სიტყვის ხმარების გამო: „იშკილები“,  
„ხოში მაქვს“, „ბითურია“, „არა რო!..“ – აი შენი სიტყვების საუნჯე  
და სალარო“.

**ხოში გაისწორა** – გულის ნადილი აისრულა. „ვერ მივალწი, ვერ  
ველირსე უკეთუ მიზანს, ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, – რა ბედენაა  
დიდუბის თუ მთანმინდის მინა!.. თუ სიკვდილია! – აი, წოლა მესმის  
შამქორში“ (მუხრან მაჭავარიანი).

**ხოხმა** – სერი. „მაგარი ხოხმა კი იყო იმის ფართხალის ყურება...“  
(გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ხრეში** – ხურდა ფული (ხრეშთან – მსხვილ ქვიშასთან – გარეგნული  
მსგავსების გამო). „ბაზრებში „ხრეში“, წვრილი ფული, ხოლო ტრო-  
ლეიბუსებსა და ავტობუსებში ხუთი „მიღებული“ „ლაპატნიკიდან“  
დიდი-დიდი 100-150 მანეთი“ (გია ლომაძე).

**ხტუნავს** – საჩხუბრად არის განწყობილი (თითქოს კინკლაობის

ქინით შეპყრობილი ადგილზე ცმუკავს, ხტის). „რა და, ხომ იცო, ბნელი ხალხია, რას ხტუნავს მაგიო“ (რევაზ მიშველაძე).

**ხურავს** – ყველას (ყველაფერს) ჯობნის. ნამყო სრული „დახურა“ (იხ.). „ისე, მართლა მაგარი ნაკეთებია... ხურავს“ (რევაზ ჩხარტიშვილი).

**ხურდა** – სამაგიერო, რომელსაც უკეთურობის ჩამდენს უხდიან (თითქოს ხურდას – მსხვილი ფულის ნაშთს – უბრუნებენ). „როგორი ნამუშევარია? (იგულისხმება: როგორი ნაცემია? – ლ.ბ.) – ჰკითხა უფროსმა. – მაგარი, მაგრამ ხურდაც კარგი მიიღო, – მიაყოლა გულის მოსაფხანად“ (ნოდარ დუმბაძე); „მე მაგინებდნენ, მაგრამ ვიცი, ქებაც ბევრს სურდა, და უკაცრავად თუ თან გამყვა იმათი ხურდა“ (პაოლო იაშვილი).

**ხურდაში მოყვა** – შემთხვევით აღმოჩნდა არასასურველ ვითარებაში. „ის დაჭერილი ყოფილა რომელიღაც გახმაურებული მკვლევლობის ამბავში, თავად არავინ მოუკლავს, მაგრამ ხურდაში მოყვა, ცუდ დროს ცუდ ადგილას მოხვდა“ (გიორგი კაკაბაძე).

— ჯ —

**ჯაგა** – უხეში, გაუნათლებელი, ველური და სასტიკი ადამიანი. მომდინარეობს ინდოელი კინორეჟისორისა და მსახიობის რაჯ კაპურის ფილმის „ავარას“ პერსონაჟის სახელიდან. *„ჩვენ სულ ჯაგები გვასწავლიდნენ [სკოლაში]“* (ირაკლი ლომოური).

**ჯაგიჯუგი** – შეხლა-შემოსლით, დარტყმებით გამონვეული ხმაური. *„ამასობაში ყველაფერი გაახსენდა: როგორ იჯდა ტროტუარზე სასმელით გამოლენჩებული, როგორ ეხვეწებოდნენ ძმაკაცები, ჩქარა აახვიე აქედანო და როგორ ურტყამდა თავში კლუბის ღია კარიდან გამოჭრილი ჯაგიჯუგი“* (ასმათ ლეკიაშვილი. თარგმ.).

**ჯანავიკი** – ჯანიანი, ღონიერი. *„კაი ჯანავიკი ყოფილა ეგ ჩემისა, – ნაიბურტყუნა უცებ ბნელომ“* (გია ჭუმბურიძე. თარგმ.).

**ჯანებში წავიდა** – შემერგო. იტყვიან ალკოჰოლიან სასმელზე. *„მეც ავიღე და გადავუშვი, სულ გაყინულ ჯანებში წავიდა“* (აკა მორჩილაძე).

**ჯართი** – ძველი ავტომანქანა. *„კვირაობით ამ ჯართით ას ოც კილომეტრზე მივჯაყჯაყებდით“* (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.).

**ჯიგარი მასტი** – კარგი, მაგარი, გულიანი ტიპი (იხ. „მასტი“). *„ჯიგარი“* (პირდაპირი მნიშვნელობით საქონლის გულ-ღვიძლი) ამ გამოთქმაში იგივეა, რაც „ჯიგრიანი“, რომელიც აგრეთვე მეტად აქტიურად იხმარება ჟარგონში და განმარტებით ლექსიკონში ახსნილია როგორც „ლაზათიანი“. *„გაიგე, სიმონ, გოგა, ჩემი გოგა, ჯონ ლენონი რომ ევასებოდა, სულ პირველი რომ იყო ჩხუბში, ჯიგარი მასტი...“* (მიხო მოსულიშვილი).

**ჯიგარო** – კარგო, კეთილო (მეგობრული მიმართვა). *„მოგენატრა, ჯიგარო, იქნებ მწვანე ბალახი? წყალი და ქვამარილი, – სიზმრად ასჯერ ნანახი?“* (ელდარ კერძევაძე); *„ბარო, ჯიგრებო!“* (ნოდარ დუმბაძე); *„პრივეტ, ჯიგრებო! – მივესალმე მათ ხელის აქნევით“* („ნიანგი“).

**ჯიგრულად** – გულიანად. *„...რალაცას რო ჩაიფიქრებდა და გაგიკეთებდა ძაან ჯიგრულად...“* (აკა მორჩილაძე).

**ჯინსავიკი** – ჯინსების მოყვარული და მცნობი. *„არ გეგონოთ, ვისაც ნამდვილი ჯინსი აცვია, ყველა ნაღდი ჯინსავიკი იყოს“* (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); *„არც ჯინსავიკი ყოფილხარ, – ძველმანებს აგლაზავებდი“* (ვახტანგ ჯავახიძე).

**ჯიხვი** – სალიტერატურო ქართულში – ციცაბო კლდეებში მცხოვრები გარეული თხა. უარგონში ხალხში გამოუსვლელს, ჩამორჩენილს ნიშნავს (სინონიმები: რქიანი, გოიმი, გორსალა, ქაჯი). „*კიდევ ერთხელ გიმეორებ ვერგაევროპელებულო და ვერგაამერიკელებულო ჯიხვო ქართველო, რომ არავითარი კოსტა-რიკელი არ არსებულა*“ (დიანა ვაჩნაძე); „*ტერეზას დაბადების დღე პიესაა, ჯიხვო! რუსთაველში გადის*“ („ნიანგი“).

**ჯიხვურ პონტში** – ჯიხვს (იხ.), ანუ ხალხში გამოუსვლელს, ჩამორჩენილს რომ შეეფერება, იმგვარად. „– *მგონი მაგარი ავარდნილი ვარ, – კოტიკოს თავის შეყვარებულზე მოუნდა ლაპარაკი, – მარა მაიზმენებს... მე მიყვარხარ, ვეუბნები, რამე, ჯიხვურ პონტში, ის ვაფშე არა... მარა მაგარი ჯიგარი გოგოა, კაი ტიპია...*“ (ლაშა ბულაძე).

**ჯონჯოლი** – ბობოლა, დიდი ვინმე (დაცინვით). ჯონჯოლი (ჯონჯოლის ხის ყვავილებისაგან დამზადებული მწნილი) საუკეთესო მწნილად ითვლება. „*თუ მაგრე არის და მოვიდეს, ვნახოთ, რალაც ჯონჯოლია...*“ (ბარბარე ჯორჯაძე).



## დანართი

### ბიბლიიდან ქართულ ჟარგონამდე

ბიბლიაში, მეფეთა მეორე ნიგნში, მოთხრობილია, როგორ გაურბის მეფე დავითი თავის ვაჟს აბესალომს, რომელმაც ისრაელის მოსახლეობა აამხედრა მამის წინააღმდეგ.

გაქცეულ მეფეს თან ახლავს *ქერეთელები, ფელეთელები* და *გეთელები*. გეთელები ვინც არიან, იქვეა განმარტებული – გეთის მცხოვრებნი ყოფილან (მეორე მეფეთა, XV, 18).

მაგრამ ვინ იყვნენ ქერეთელები და ფელეთელები? (ძველქართულ თარგმანშია ქერეტელნი და ფერეზელნი, რუსულ თარგმანში – Хелефеи и Фелефеи, ლუთერის გერმანულ თარგმანში – Krethi und Plethi).

ესენი ბიბლიაში ცოტა ადრეც იხსენიებიან: როცა დავითმა ნესრიგი დაამყარა ისრაელში, იოაბ ცერუიას ძეს ჯარის სარდლობა დაავალა, ხოლო „ბენაიაჰუ იეჰოიადაყის ძე ქერეთელებს და ფელეთელებს განმგებლობდა“ (მეორე მეფეთა, VIII, 18).

რუსული „განმარტებითი ბიბლიის“ კომენტარებში ვკითხულობთ: „Под хелефеями и фелефеями разумеют личную почетно-охранную стражу государя“ (Толковая Библия, т.2, 1905, с. 318).

როგორც ვთქვით, ლუთერის გერმანულ თარგმანში ქერეთელებს Krethi შეესაბამება, ხოლო ფელეთელებს – Plethi. ამ სიტყვებს გერმანული ლექსიკონები ასე განმარტავენ: ესენი იყვნენ მეფე დავითის მცველები, დაქირავებული უცხოტომელები. „კრეტი“-ში ალბათ კრეტის მცხოვრებნი იგულისხმებიან, ხოლო „პლეტი“-ში ალბათ ფილისტიმელები (ფილისტერები).

მართლაც, ხელმწიფენი ხშირად მცველებად უცხო, მეომრული თვისებებით განთქმული ტომის წარმომადგენლებს ქირაობდნენ, მაგრამ აქ საეჭვო ის გახლავთ, რომ ფილისტიმელები ისრაელის მიმართ მტრულად განწყობილი ხალხია და რატომ დაიქირავებდა მაინცდამაინც მათ თავის მცველებად დავითი?

უფრო ღრმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ „კრეტი“ და „პლეტი“ ეთნოსის აღმნიშვნელი სიტყვები კი არ ყოფილა, არამედ პროფესიებისა.



გერმანელი კულტურის ისტორიკოსის მარტინ სტანკოვსკის ნიგანიდან „აინენ თიურქენ ბაუნ“ (სათაურად იდიომატური გამოთქმაა გამოყენებული და არ ითარგმნება) ვგებულობთ, რომ „კრეტი“ მომდინარეობს ებრაული ზმნიდან, რომელიც მოკვლას ნიშნავს, ხოლო „პლეტი“ – ზმნიდან, რომელიც გაქცევად ითარგმნება. ასე რომ, დავითის მხლებელთაგან პირველნი („კრეტი“) ჯალათები არიან, რომელთაც მეფის ბრძანებით სიკვდილით უნდა დასაჯონ დამნაშავენი, ხოლო მეორენი („პლეტი“) – მალემსრბოლები, რომლებმაც მეფის ბრძანება რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაავრცელონ ხალხში (M. Stankowski, Einen Türken bauen. Geschichten über Alltagsrituale und Redensarten. ISBN 3-925817-98-0. S. 124).

„კრეტი“-ს ამჯერად თავი დავანებოთ. ჩვენი ინტერესის საგანი ამჟამად არის „პლეტი“, რომელიც თურმე „გაქცევა“ ზმნიდან მომდინარეობს, მალემსრბოლებს ნიშნავს და ქართულ ჟარგონში ძალიან აქტიურად იხმარება გამოთქმის „პლეტი იყიდა“ ან „იპლეტა“ ზმნის ფორმით. ორივეს გაქცევის შინაარსი აქვს.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვის ისტორიას ბიბლიიდან თანამედროვე ქართულ ჟარგონამდე შეიძლება გავადევნოთ თვალი.

ეს უძველესი ებრაული სიტყვა, ამდენი თავსატეხი რომ გაუჩინა ბიბლიის მთარგმნელებს და კომენტატორებს, თავდაპირველი მნიშვნელობით ცოცხლობს და ფრიად ჭაბუკურად გრძნობს თავს დღევანდელ ქართულ ჟარგონში.

ლ. ბ.

## ჟარგონული ქართულის ჭაშნიკი

(სლენგის ლექსიკონის შექმნის ისტორიიდან)

I.

– ჟარგონს დიდი ძალა აქვს ლიტერატურაში.

ეს თვალსაზრისი მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს 1927 წლის დღიურში.

– ჟარგონი რო მოგვეძალა, ჟურნალისტიკაზე არაფერს ვამბობ, ტელევიზიასა და პარლამენტზე აღარას ვამბობ, ლიტერატურაში-მეთქი, მხატვრულ ლიტერატურაში...

ეს შეხედულება ოთარ ჩხეიძეს რუსუდან ნიშნიანიძესთან დიალოგისას („რა ამბავ მოხდა ელოსა“) გამოუთქვამს 2002 წელს, გულისტკივილს რომ უზიარებდა, გაგვიმრავლდა უცხოური სტილური კონსტრუქციები და სიუჟეტებიც უცხოური შემოგვერია, პერსონაჟებიც, გარემოც უცხოური და ბუნდოვანებანიც იქაურივეო.

ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება – თეზა და ანტითეზა?

რაც მიხეილ ჯავახიშვილს ასე მნიშვნელოვნად მიაჩნია, ოთარ ჩხეიძისათვის მხოლოდ ნაკლია?

მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაშინ დაგვრჩება, თუ ამ ფრაზებს კონტექსტს ჩამოვაშორებთ და არც ამ მწერალთა შემოქმედების ნიმუშებს გავიხსენებთ თვალის ერთი გადავლებით, თორემ ისინი ამჯერადაც სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს.

მიხეილ ჯავახიშვილს მარჯვე სტილურ ხერხად ეჩვენება ჟარგონი და გულს აკლია, თხრობისას ეს ელფერიც რომ არ გაიეღვებს მის თუ სხვათა ნაწერებში, და ამ ხარვეზის ამოვსება მიზანმიმართულად ჩაუფიქრებია, თორემ სლენგის ყოვლისნამლეკავი მოძალება მისთვისაც მიუღებელი იქნებოდა და უსათუოდ შეეცდებოდა, მონდომებით ჩარეულიყო ამ პროცესის მონესრიგებაში.

ოთარ ჩხეიძე მხოლოდ ჟარგონის მოძალებას უპირისპირდებოდა, მის ზომიერებამოკლებულ გამოყენებას, თორემ თავისთავად მარჯვე სტილურ ხერხად მიაჩნდა და 50-იან წლებში მის არარსებობას რომ მოისაკლისებდა ქართულ ლიტერატურაში, რომანში „აღმართ-დაღმართი“ თვითონვე შეეცდებოდა ჟარგონულ სიტყვათა თუ გამოთქმათა ჩართვას პერსონაჟთა მეტყველებაში.

ლევან ბრეგვაძე „ქართული ჟარგონის ლექსიკონს“ რომ შეადგენს

(უკვე ორი გამოცემა არსებობს – 1999 და 2005 წლების) არაერთხელ დაჭირდება „აღმართ-დაღმართში“ ჩახედვა შესაფერისი მასალის მოძიება-დაზუსტებისას და ხშირადაც მიუთითებს მის პასაჟებს ამ რომანივით საკითხავ ლექსიკონში, ამ მხრივაც გამორჩეულ მოვლენად რომ წარმოგვიდგა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში. მეცნიერული და მხატვრული ღირსებანი ისე ჩინებულად შეზავებია ერთმანეთს მის კომპოზიციურ ქარგაში, რომ შენც მოგანდომებს ლექსიკონის შედგენას: მერე რა, რომ უჯიათი გარჯა სჭირდება, სამაგიეროდ, მკითხველი ისედაც სიამოვნებით გადმოიღებს ხოლმე, მაინცდამაინც რაიმე განმარტებას რომ არც ეძიებდესო.

## II.

სურვილი სურვილად, „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ კი ასე გადასულა „აღმართ-დაღმართის“ ჟარგონული რკალი:

**აბამს** – ცდილობს დაითანხმოს; მოხიბლოს, სასიყვარულო ურთიერთობაზე დაიყოლიოს. ნამყო სრული – „დააბა“ (იხ.) ან „შეაბა“. სინონიმი „ახვევს“ (იხ. მეორე მნიშვნელობა). „– ახლა ზღვას არაფერი აჯობებს... ნადი, გაისეირნე, დაისვენე. – მაბამ?! – ვახ, ვითომ რადაო?! განა შევებულება არ გეკუთვნის?!“ (ოთარ ჩხეიძე).

საილუსტრაციოდ სხვა პასაჟიც გამოდგებოდა:

„– ვითომ რა თავში ვიხლიდი იმ ლექსებსა, რად მინდოდა?! – ჩემს დასაბმელადა... აკი დამაბი!“

**აჯო მიატოვა** – მოატყუა. „აჯო მივატოვეთ, ბადრიამ გვიბოზა, ვიდრე ხელახლა წამოვიწყებდეთ, გაიარ-გამოიარე, შავ ზღვაზე გაისეირნე“ (ოთარ ჩხეიძე).

ამ ფრაზაში მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა კიდევ ერთ ჟარგონულ სიტყვას: **გვიბოზა**, რომლის განმარტების დროსაც – დაასმინა. სინონიმი „ჩაუშვა“ – კვლავა განმეორებული ეს ციტატა.

„აჯო მიატოვა“ უკვე აღარ გამოიყენებოდა სასაუბრო მეტყველებაში, მაგრამ რაკილა ლევან ბრეგაძეს სმენოდა, ამ მხრივ რაიმეს დაზუსტება ზედმეტად მიაჩნია, მაგრამ, აი, ეს ბუდე გაჩნდება თუ არა:

**გეჩე** – ხალხში გამოუსვლელი, სოფლელი, ტეტია. „თუ ღმერთი გნამს, ბალანი არ ამიშალო!.. მეც ვითომ ერთი გეჩე ვინმე ვიყო... ორი სროკი გამითავებია, ციხეში არ მოვხვედრილვარ. სხვის „პახმელიაზე“ ვმჯდარვარ, არ ჩამიგდია“ (ოთარ ჩხეიძე).

ამგვარი მინაწერი მოედევნება:

„ამ სიტყვის ეტიმოლოგია ასეთია: ბატონი ოთარ ჩხეიძის განმარტებით, 40-50-იან წლებში იმ ავტომანქანებს, რომლებიც რაიონებს (სოფლებს) ეკუთვნოდა, ნომრის წინ უძლოდა რუსული

ასოები ΓΥ (გე-ჩე), რაც შემდეგ უარგონში სოფლელი, ხალხში გამოუს-  
ვლელი ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. ახლა აღარ იხმარება”.

რომანის ამ პასაჟში შესამჩნევია კიდევ ერთი უარგონული  
გამოთქმა: **ორი სროკი გამითავებია**. ამ სახით ის ლექსიკონში არ  
აღნიშნულა, თუმც განმარტებულია „სროკი აჰკიდა“, რაც ნიშნავს:  
ციხეში ჩასვა (საილუსტრაციოდ მოხმობილია ნოდარ დუმბაძის  
ფრაზა: „დურის ტარებისათვის სროკს ნუ ამკიდებ“). ასე რომ, ოთარ  
ჩხეიძის პერსონაჟი ამბობს: **ორი ვადა მომიხდია ისე, რომ ციხეში  
არა ვმჯდარვარო**.

და კიდევ ერთიც: **სხვის „პახმელიაზე“ ვმჯდარვარო**, – რაც  
გულისხმობს: სხვისი გულისათვის ვიჯექიო.

**დაბრიდა** – „– ხელს ნუ გამასვრევინებ... – დინგი გასვრილი  
გაქვს, გაისვარე ხელიცა, ჰა!.. – დაგბრიდავ! ნულარ გამათავებ  
ლოდინითა“ (ოთარ ჩხეიძე).

**დაუჭოჭა** – დატუქსა, გაუჯავრდა, შავი დღე აყარა. „აქაოდა,  
პოეტი ვარ, განა ასე გაფრენაც შეიძლება! – დაგიჭოჭეს?“ (ოთარ  
ჩხეიძე); ჯერ მეგონა მაგრა **დამიჭოჭებდა** და მეც საჩხუბრად  
მოვემზადე“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**იშკილებიდან დავარდა** – სულიერად დაეცა, მხნეობა დაკარგა.  
„ლენტომ შეაღვიდა დახლზე დაყვინთული ხიმშია, ფული მიუთვალა,  
მხარზე ხელი მიუთათუნა, გაამხნევა. – აბა, აბა, **იშკილებიდან არ  
დავარდე**“ (ოთარ ჩხეიძე).

„**იშკილი**“ სპარსულად „მოტყუებას“, „გაიძვერობას“ ნიშნავს და  
ქართულში ყალთაბანდობის, ოინის, ხრიკის სინონიმია. „**იშკილები**“,  
„ხოში მაქვს“, „ბითურია“, „არა რო!..“ „აი, შენი სიტყვების საუნჯე  
და სალარო!“ (იოსებ გრიშაშვილი).

„**იშკილ!**“ – მიაძახებდნენ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში კინ-  
ომექანიკოსს, როცა რაიმე ტექნიკური მიზეზით ფილმის ჩვენება  
დროებით შეწყდებოდა (მოგვიანებით ასეთ დროს „მეხაშესა“ და  
„საპოჟნიკს“ გაიძახოდნენ): „**ეკრანი ციმციმებს... ზედ არაფერს  
აჩვენებენ... – იშკილ!** – მოისმა ეხლა ბოხი ხმით... „უფრო მონიტელი-  
გენტოებმა“ ამ სიტყვას გვერდი აუარეს, მაგრამ სამაგიეროდ ფეხე-  
ბით და „ტროსტებით“ ასტეხეს იატაკზე ბრახუნი“ („ტარტაროზი“,  
1927, 124, გვ. 11).

**მაყუთი** – ფული (ებრაულიდან). „– მაყუთი მოგიტანე... – თქვა  
ლენტომ. – რაო?! – ჭერს შესძახა ფარნაოზმა. – მაყუთი-მეთქი...  
ფული მოგიტანე-მეთქი“ (ოთარ ჩხეიძე).

**მოაყურეს** – დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს. „**მე ჯანდაბამდის  
გზა მქონია, თუნდაც მომაყურონ**“ (ოთარ ჩხეიძე); „რა ოინი იქნება,



ამნაირ დღეს რომ მთელი მექორნილენი მოგვაყურონ!" (გელრგიალა კარლო ჯორჯანელები. თარგმ.); „ათი წლით არაფრის გულისთვის მოაყურეს“ (ჯემალ დავლიანიძე).

**მხეცივით** – ძალიან კარგი, ძალიან კარგად „– მწიფეს ესროდნენ, კუხე ცვივოდაო. – ვა, რა მხეცივით სიტყვაა, არა? მაინც ვისია? – ხალხურია, ანდაზაა“ (ოთარ ჩხეიძე).

**ნაშა** – გოგო; შეყვარებული (მომდინარეობს ებრაულიდან). „ერთი ნაშის დილიხორი ვარ, – თქვა გიგილომ“ (ნოდარ დუმბაძე); „ნადი რალა, გაინავარდე რალა, ნახე რა ნაშებია, აირჩიე, რომელიც გინდა“ (ოთარ ჩხეიძე); ვისაც ეს ამბავი ანუხებს, ნაშა გაიჩინოს, სხვა ვარიანტი არ არსებობს“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.).

**ნატური/ნატურში** – ნამდვილი, მართალი; ნამდვილად, მართლა. მომდინარეობს „ნატურალურიდან“, რაც ბუნებრივს, შეურყვნელს ნიშნავს. თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ ღვინის განსაზღვრებად – ნატური (ნატურალური) ღვინო უპირისპირდებოდა „გაკეთებულ“, ხელოვნურად დამზადებულ და ამიტომ უფრო დაბალი ხარისხის ღვინოს. შემდეგ მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. „ნატური ეგრე თქვა?!“ (გურამ რჩეულიშვილი) – ნიშნავს: „მართლა ეგრე თქვა?!“

ამ სიტყვის ჟარგონულობა კიდევ უფრო ძლიერდება -ში თანდებულის დართვით: „– ბიჭო, რას მიშვრები, ნალდი საქმეა!.. – ნატურში?! – ნატურში...“ (ოთარ ჩხეიძე). ძალიან გავრცელებული იყო 1950-60-იან წლებში. ახლა აღარ იხმარება.

ეს საილუსტრაციო მაგალითი განმეორებულია იმ ბუდეშიც, -ში მიცემითი ბრუნვის თანდებულს რომ განმარტავს, ძალიან პოპულარულია ახალგაზრდულ ჟარგონში და ხშირად ცვლის „ქონა“ ზმნასო:

– ეტყობოდა, **გაკეთებულში** რომ იყო (ირინე ბაქანიძე), ნიშნავს: გაკეთებული რომ ჰქონდა (ნარკოტიკული ნივთიერება);

– შენ დღესაც **გადაყლაპულში** ხარ, ხო იცი? (ირინე ბაქანიძე), ნიშნავს: გადაყლაპული გაქვს (ნასვამი ხარ);

– **წაგებულშია**, – ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასათვის (ჯემალ თოფურიძე), ნიშნავს: წაგებულია;

– **რამდენშია?** (იქვე), ნიშნავს: რამდენი აქვს წაგებული?

ლექსიკოგრაფი ამასაც რომ აღნიშნავს: ზოგჯერ აწარმოებს ზმნიზედებს ზედსართავებისგანო, იმონმებს გია ჭუმბურიძის თარგმანიდან ამ ფრაზას: „ნალდში ან სიგნალი ექნებოდა იქ, ან გატეხილი დურა უჯრაში“ („ნალდში“ აქ ნიშნავს „ნალდად“), და ოთარ ჩხეიძის რომანიდან იმ ამონაწერს, თანაც დასძენს: „ნატურში“ აქ ნიშნავს „ნამდვილად“.

**პიტიმესტკა** – ხუთმანეთიანი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან (შესაბამისად, ათმანეთიანი – „დესტიმესტკა“, სამმანეთიანი – „ტრიოხმესტკა“). იხმარებოდა ჩერვონეცობის დროს და რუბლის შემოღების შემდეგაც დარჩა. „ორი პიტიმესტკა მიეცი, ცხრაჯერ თავს დაგიკრავს“ (ოთარ ჩხეიძე).

სხვათა შორის, მწერალს დისტიმესტკაც გამოუყენებია:

„გინდა აიღე ერთი დისტიმესტკა, ერთადერთი, გინდა წადი, ხეირი ნახე“.

**ტერსი მისცა** – მუშტი უთავაზა. „– ეს ერთხელაც მითხრეს და ისეთი ტერსი მივეცი, ხუთმა კაცმა ძლივს ახვეტა მინიდანა“ (ოთარ ჩხეიძე).

**უპრიკატი გაუკეთა ან უპრიკატში ჩააგდო** – უსაყვედურა, ბრალი დასდო (რუს. упрекать). „თუ უპრიკატს მიკეთებ, შენი ამყოლი არცა ვყოფილვარ, არც ვიქნები“; „– მივდივარ... მანამდის გავსწორდეთ. – დაბრუნდები, აქ დაგხვდები. – დაბრუნებისას სხვა იქნება (...) – უპრიკატში ნუ ჩამაგდებ. – დაბრუნებისას სხვა იქნება-მეთქი“ (ოთარ ჩხეიძე).

**ქსივი/ქსივა** – დოკუმენტი, საბუთი. შემოსულია რუსული ქურდული ენიდან. ებრაულად ნანერს ნიშნავს. „აჰა, შენი ქსივები, – საბუთები გაუნოდა, – კარგიც ეს არის“ (ოთარ ჩხეიძე).

**შმოტკები** – სასაუბრო რუსულში шмотки ტანსაცმელია, ქართულ ჟარგონში მოდურ, ძვირფას ტანსაცმელს ნიშნავს. „რაში მჭირდება შენი შმოტკები“ (ოთარ ჩხეიძე); „შენ არც შმოტკები გიყვარდა, არც ვიღვეტი და ხავერდი“ (ვახტანგ ჯავახიძე).

**წამსერდა** – წავიდა (აგდებულად). შდრ. „ჩამსევდა“. „ბულდოგი გამოვა, იმ ორთაგან ერთს გამოუძღვება, „წამსერდითო“, უბრძანებს ლენტოსა, უბრძანებს და თვალს ჩაუკრავს“ (ოთარ ჩხეიძე).

\*\*\*

მწერლის სხვა რომანებიდან ლექსიკონის ავტორს „თეთრ დათვში“ მოუძებნია შესაფერისი პასაჟი:

**ტოროლა** (გამოთქმაში: „... არა, ტოროლა!“) – წარმოთქვამენ აგდებულნი ტონით, როცა უნდათ თანამოსაუბრეს აგრძნობინონ, სისულელეს ლაპარაკობ, უაზრობას ამბობო. მისი სინონიმებია „ფლავი“ (იხ.), „ნიახური“ (იხ.), „იხვის ტოლმა“ (იხ.). „რისი გასვლის უფლება, გასვლა არა, ტოროლა“ (ჯანსუღ ჩარკვიანი); „ჰო გაგვიშვეს?!“ – „გაგვიშვეს არა, ტოროლა!..“ „ტოროლა!.. განთიადის მახარობელი. ნუგეში ლამის მეხრისა. მშვენიერი სიმღერებიც მიუძღვნიათ სოფლადა... ჟარგონში ჩაუგდიათ ქალაქელებსა“ (ოთარ ჩხეიძე).



მკაფიოა ბოლო ფრაზის ირონია და გამჭვირვალე მისი პოლემიკური ქვეტექსტი. აქ იგივე გულისტკივილი გამოხვეწულა, დიალოგისას ასე რომ გახშიანდა: ჟარგონი მოგვეძალაო. „ტოროლას“ ჟარგონული ელფერით ხსენება „ალმართ-დალმართში“ რომ დასჭირებოდა, იქ ის უბრალოდ გაიელვებდა და ეს შეპირისპირება არ იჩენდა თავს: იქ მშვენიერი სიმღერები უძღვნიათ მისთვის, აქ კი ჟარგონში ჩაუგდიათო. „თეთრი დათვის“ შექმნისას კი – 1996 წელს – უკვე ნამლექავი გამხდარა ჟარგონი ჩვენი სალიტერატურო ენისათვის, და ტოროლას სიმბოლური, ამაღლებული სახების დამცირება-გაპამპულებას ყველაზე მეტყველ ნიმუშად მოიშველიებდა, თუ როგორ იმღვრეოდა ცნობიერება.

\*\*\*

თუ დაისაჭიროებდა, შეეძლო „ბორიაციდანაც“ ამოენერა შესაფერისი ნიმუში.

ლექო თათაშელი თავს იდებს კათარელების ოჯახში, ვითომ ნამლები ქალბატონ ეფემიასთან ელიზბარ ხეთერელმა კი არ გამოატანა, არამედ თვითონ ლექომ გაახსენა ექიმს და კიდევ აიძულა, ეზრუნა ხანშიშესულ ქალბატონზე:

„– შენ ეიმეთქი, შვეუტიე ელიზბარ ხეთერელსა, რა ბებიაშენის მუთაქებსა ხევმეთქი, რას მიგიტოვებია ის ქალიმეთქი, ახლავე მომიზადე ნამლებიმეთქი, ახლავე ამნუთშიმეთქი...“

ესეც ჟარგონული გამოთქმა: ხევს ბებიაშენის მუთაქებს.

ეს გამოთქმა არ მოიპოვება ჟარგონის ლექსიკონში. მართალია, იქ ამოიკითხავთ დაახლოებით მსგავსი გამოთქმის განმარტებას: ჩეჩამს ბებიაშენის მუთაქებს (მიედ-მოედება, მაიმუნობს, საქმეს ურევს), – მაგრამ რაკილა დახევა ჩეჩვაზე უფრო მძაფრია, ბებიაშენის მუთაქების დახევაც უფრო მძაფრ ვითარებას გულისხმობს. აბა, „ბორიაციის“ იმ პასაჟში „დახევა“ შეანაცვლეთ „ჩეჩვით“, თუ ექსპრესია არ განელდეს და ლექოს ბაქიბუქსაც მარილი არ მოაკლდეს.

„მთაგრეხილის“ ერთი ფრაზა ორ სხვადასხვა ბუდეშიც შეიძლება მოხვედრილიყო საილუსტრაციო მასალად:

– შაყირი არ იყოს!.. ჩვენ ბოდიში!..

ამას ერთი ბოხობა პერსონაჟი ამბობს, პატარა ბიჭების დასაცავად შემართული მონიფული კაცი, ერთობლივ გასაჭირს რომ დაუმეგობრებია და ლაპარაკშიც ასდევს მათ და თან თავის ღირსებასაც ინარჩუნებს.

შაყირს ლევან ბრეგაძე განმარტავს ხუმრობად, მასხრობად, მომდინარეს სიტყვიდან „შაირი“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაცაა

სახელდახელოდ თქმული გამკილავი ლექსი; „ჩვენ ბოდიში“ კი, ეს ირონიული მობოდიშება, მიაჩნია, პაროდიად საკუთარ თავზე მრავლობით რიცხვში საუბრისა, რაც თავმდაბლობის გამოხატულებად ითვლება მეცნიერულ ტექსტებში.

### III.

ეს ორიოდ მაგალითია, რაც სახელდახელო გადათვალიერებით შემხვდა ოთარ ჩხეიძის ნაწერებში, ზოგადი შთაბეჭდილებით კი ერთი რამ ცხადია: ჟარგონული სიტყვა-გამოთქმები თითქმის სრულიად აღარ ტრიალებს მის პერსონაჟთა მეტყველებაში. და „აღმართ-დაღმართი“ ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისად რჩება „მატიანე ქართლისას“ შემოქმედის მხატვრულ მემკვიდრეობაში.

ამ რომანში კი ჟარგონით უმთავრესად გაურკვეველი ეროვნების, ბულდოგად სახელშერქმეული პერსონაჟი მეტყველებს, ფული რომ გაუხდია ყოველგვარი ღირსების, საერთოდ ყველაფრის საზომად და ათასგვარი ხვრელიც მოეძებნება ფულის გამოსადნობად („ეს ქვეყანა დუშაა, მოთაღე, ჭამე, ფილოსოფია ეს არის და სხვა ყველაფერი მონაგონია“).

„აღმართ-დაღმართი“ იმ სამწუხარო, გულისშემძვრელი რეალობის წარმოსაჩენად დაიწერა, თუ როგორ იმღვრევა თბილისის საზოგადოებრივი ყოფა და ცნობიერება და როგორ მიექანება ყველაფერი გადაჯიშებისა და გადაგვარებისაკენ. საამისოდ კი დამახინჯებული მეტყველების მკვეთრი შემოჭრა რომანის ენობრივ ქსოვილში კიდევ ერთი გამჭვირვალე მინიშნებაა საზოგადოების ცნობიერების მოშლასა და დაქვეითებაზე.

ასე რომ, ბულდოგის ჟარგონული მეტყველება უშუალოდ უკავშირდება რომანის მხატვრულ-იდეურ მრწამსს.

ოლონდ ის ნიუანსიც ნუ გამოგვრჩება, იქნებ შეგნებულად გათვლილი, იქნებ ქვეშეცნეული, მაგრამ თავისთავად საგულისხმო:

ამხელა დანიშნულება რომც არ დაეკისრებინა ოთარ ჩხეიძეს პერსონაჟის მეტყველების ამ მანერისათვის, ისეც შეიძლებოდა ცოტა უხვად გამოეყენებინა ჟარგონული სიტყვები და გამოთქმები.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ: ჟარგონს დიდი ძალა აქვს ლიტერატურაში.

და მეორეც: როდესაც სახელმწიფო იდეოლოგია, თავისი ცერბერების – ცენზურისა და სალიტერატურო კრიტიკის – მეშვეობით, უპირისპირდება ყოველგვარ სტილურ გადახრას თუ თავისებურებას, ოდნავსაც კი, არამცთუ მკვეთრს, ვულგარიზმად მონათლული



და სალიტერატურო ენიდან განდევნილი ჟარგონის გამოყენება კიდევ ერთი რეაქციაა მწერლის მხრივ გაბატონებული ნორმების, ცრუ მოთხოვნების წინააღმდეგ.

თვითონ ოთარ ჩხეიძეს უკვე ორი ათწლეულიცაა კვალში ჩადგომიან და გაუთავებლად ქოლავენ სტილური თავისებურებისათვის!

არამცთუ არ ემორჩილება მკაცრ რეპრესიებს და სულ უფრო მკვეთრდება მისი სტილურ-ენობრივი ძიებანი, აგერ ჟარგონიც გაბედულად შემოუტანია – როგორც იდეური, ისე პირწმინდად მხატვრული თვალსაზრისითაც. როგორ მოიხდენს ენობრივი ქსოვილი ცალკეულ მონაკვეთთა ასეთ „ამღვრევას“, თუნდაც ასერიგად აუცილებელს პერსონაჟის პორტრეტის სრულყოფილი წარმოსახვისათვის? ბოლოსდაბოლოს, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწერებშიც სანთლით უნდა ეძებო ჟარგონული სიტყვები, მიუხედავად იმისა, ასე რომ აფასებდა ლექსიკის ამ სფეროს. ასევე სანთლითაა საძებნელი ჟარგონი საერთოდ ქართულ ლიტერატურაში „აღმართ-დაღმართის“ შექმნამდე, ანუ: 1960 წლამდე; და მას შემდეგაც არ გამოირჩევა დიდი სიუხვით ამა თუ იმ მწერლის თხზულება (თვით ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიც“, წინასწარი მოლოდინის საპირისპიროდ!), ვიდრე დალი ფანჯიკიძე მიმართავდა ჟარგონს 80-იანი წლების მიჯნაზე გერმანელი მწერლის ულრიჰ პლენცდორფის ვრცელი მოთხრობის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“ თარგმნისას. ამ კონტექსტში ნუ დავივიწყებთ, რომ გურამ ფანჯიკიძის მოთხრობებსა და რომანებში თითქმის ვერსად წავანყდებით ამ ყაიდის გამოთქმებს.

საბჭოთა ეპოქაში, ვიდრე ცენზურა მოიშლებოდა, ის კი არა, ყველაფრის გამოქვეყნება გახდებოდა ნებადართული, ყველაზე მკვეთრად ჟარგონული ლექსიკა დააჩნდება ირაკლი ლომოურის პიესის – „რა ურჩევნია მამულსა?“ – ენობრივ ქსოვილს, 80-იანი წლების შუა ხანებში.

მერე და მერე აკი ჟარგონულმა მეტყველებამ, მეტიც, უხამსობამ, ლამის სულაც გადაყლაპა სალიტერატურო ენაც და ყოველგვარი ინდივიდუალური თავისებურებაც და სხვადასხვა ავტორები ერთმანეთს პირწმინდად დაამსგავსა.

სანთლითაა საძებნელი ჟარგონი „აღმართ-დაღმართის“ შექმნამდეო...

ამიტომაცაა, „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ იმ დროიდან ასე ხშირად ეს რომანი რომ არის დამონმებული.

ისე მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემისას ლევან ბრეგაძეს უთუოდ დასჭირდება ეს სიტყვებიც და განმარტებანიც.

გადოლი – მდიდარი.

„– თუ სულაც აღარ გინდა, გადოლი გახდი!..“

ლოკში ყოფნა – ცარიელ-ტარიელი, არასმქონე.

„– მაშინ კარგად შემომცქნაოდი, ლოკში რომ დადიოდი?“

ან კიდევ

„– იმ შენს ლოკშია ამხანაგსა?!“

აი ჯან – მონონების შეძახილი.

„– აი ჯან, მეც მანდა ვარ“.

ბაბკი – ფული (ახლა ისეც შეიძლება მოხდეს, ჟარგონი ჟარგონითვე განგიმარტონ: ბაბკი მაყუთს ნიშნავს).

„– ... შვებულება არ გამოვა, მაშ რა იქნება?! – ბაბკი? – უჯრა გამოსწიე...“

დათირვა – მოტყუება, თვალის აბმა (ამჟამად მხოლოდ თვალიერების, ცქერის მნიშვნელობით გამოიყენება).

„– ბადრია უკვე ას მანეთზე ჩამოვიდა... – რას მათირებ?! – გეუბნები, ნატურია...“

სასალოვკა – რამის შემოღვევა

„– მაგრამ სასალოვკაც დიდი რამე ყოფილა, შეიძლება ძმობაშიც და მეგობრობაშიც ვერ გამოხვიდე, დიდი რამე ყოფილა... განა არა?! აბა! განა იმ დღეს „ზესტაფონს“ არ ავიღებდი, განა ასე გავჯანჯლდებოდი, სასალოვკა რომ არა მქონოდა?! აბა! მე და ჯანჯლობა?!“

სოტკა – ძველი ამბის მოგონება. ამა თუ იმ კონტექსტის მიხედვით, გულისხმობს ყოველგვარ ამბავსაც, ცნობასაც, ინფორმაციასაც, მაგრამ „აღმართ-დაღმართში“ იმ პირველადი მნიშვნელობითაა გამოყენებული:

„– კარგი ერთი და, რა დროს სოტკებია!.. – რა უდროვესია, ან რა სოტკაა, ახლა არ იყო?!“

შუტკა – ხუმრობა

„– შუტკები არ იყოს. – შუტკა არა მაქვს...“

რაც შეეხება დამატებით საილუსტრაციო მასალად ჩალაგებას, შეიძლება ეს მაგალითებიც ჩაერთოს „ქართული ჟარგონის ლექსიკონს“, შეიძლება არცა, ყოველ შემთხვევაში, „აღმართ-დაღმართის“ ჟარგონული პასაჟების სრული სურათის აღდგენისათვის ბარემ ესენიც მოგვეხმო.

ლევან ბრეგაძე „თომარს“ განმარტავს ებრაულიდან მომდინარე სიტყვად, რომელიც გამოიყენებოდა ლაპარაკის, საუბრის მნიშვნელობით, თუმც ბოლო ხანს შინაარსი შეიცვალა და გაუიგივდა ფლირტს, თავის ხელების ფათურიითურთ. პირვანდელი მნიშ-

ვნელობის გახსენებისას იმონშებს ნიმუშებს გიორგი დე. კარლთა  
ჯორჯანელების („ჩემზე რომ ყიამყრალი თომარი დაიწყოს, სკოტ-  
ლანდ-იარდში ჩემზე რამე მართლა ხომ არ მოიძებნება?“) და დავით  
ნერედიანის („უნდა უსტვენდე, რომ დაყაბულდე მსაჯულ-ვექილთა  
თაღლითურ თომარს“) თარგმანებიდან და ტარიელ ჭანტურიას ლექ-  
სიდან („მთელი დღე ისმოდა ქურდული თომარი“).

ოთარ ჩხეიძესაც სწორედ ამ პირვანდელი მნიშვნელობით  
გამოუყენებია:

„- ეგ რაღაა, „გარედან შეკვეთები“, „შენი შეკვეთები“. სადაური  
რაა, რა თომარია?!“

ან კიდევ:

„- ჩემი არ მოგწონს, ჩემთან არა ხარ... – რა თომარია?! მეც მომ-  
წონს და შენცა, ასე ვთქვათ, რაღა!..“

როდესაც „ბლატს“ განმარტავს ნაცნობობად და პროტექციად,  
იმონშებს „ნიანგიდან“ ერთ ამონაწერს („ბიძაჩემი ინსტიტუტში  
საქმეს „ბლათით“ მიკეთებს“). ოთარ ჩხეიძის რომანშიც ზუსტად  
ამავე მნიშვნელობითაა გამოყენებული:

„- მაგის ბლათი აღარა მაქვს?! ჭირში დაგტოვებ?! სადაც გავალ,  
შენც იქ გაგიყვან“.

„მოკეტვა“ განმარტებულია გაჩუმებად, ენის ჩაგდებად მუცელ-  
ში, და გათვალსაჩინოებულია დალი ფანჯიკიძის თარგმანისა  
(„ნელ-ნელა მივხვდი, ახლა თუ არ მოვკეტავდი... ნამდვილად ბოძი  
აფეთქდებოდა“) და ირინე ბაქანიძის („- მოკეტე მანდ, გამოსძახა  
ბიჭმა“) ციტატებით, „აღმართ-დაღმართში“ კი ამგვარ კონტექსტში  
შეგვხვდება:

„- გეყოფა, მოკეტე! ჩემთან ეგეები რაღად გინდა, შეინახე,  
გამოგადგება, ბრიყვები ჯერ ჰო არ გამოლენულან...“

რაკილა დაბეჯითებით მოინდომებდა ოთარ ჩხეიძე რომანში ჟარ-  
გონული ლექსიკის უხვად შემოტანას, გულმოდგინედაც მოემზადე-  
ბოდა საამისოდ.

არ იკმარებდა იმ ცოდნას, რაც ყველა ადამიანს მოეპოვება  
ქუჩური გარემოდან და ამა თუ იმ სიტყვა-გამოთქმის მნიშვნელობა  
ან ზუსტად მოეხსენება, ანდა ალლოთიც იოლად ხვდება. აუცილე-  
ბლად ხელთ უნდა ჰქონოდა სანდო წყაროები, რომელსაც თავის  
ცოდნას შეუდარებდა, გულდასმით შეარჩევდა პერსონაჟის ენო-  
ბრივი პორტრეტისათვის და უკვე თამამად შეეძლებოდა, შესაფერი-  
სადაც შეერია „აღმართ-დაღმართის“ სტილური ქსოვილისათვის.

ამიტომაც დაავალებდა ჟარგონული ლექსიკის თავმოყრას –  
განმარტებებითურთ.

ასე აღმოჩნდებოდა მის საწერ მაგიდაზე ორი ჩამონათვალი, დაზუსტებული მნიშვნელობებით.

სათაურებიც შეერჩიათ.

ერთისათვის: „სვოების“ ჟარგონიდან.

მეორისათვის: ქართული არგო.

გვარ-სახელის მონერა კი ზედმეტად მიეჩნიათ მის შემდგენლებს.

უმთავრესად ამ ფურცლებიდან ამოიკრიბებოდა ბულდოგის მეტყველებისათვის საჭირო ენობრივი ფიგურები.

ორივე ჩამონათვალი პირნათლად მოიხდიდა თავის ვალს და მათ გამოყენებას ასე უხვად ოთარ ჩხეიძე ალარც აპირებდა, მაგრამ გადახევა არც უფიქრია – ორი ადამიანის ნამუშევარი გახლდათ – და არქივში ჩატოვებდა.

მოგვიანებით, 90-იან წლებში გორის სალიტერატურო ჟურნალ „კლდეკარის“ გამოცემას რომ მოჰკიდა ხელი, ეს ფურცლებიც გაახსენდა, იქნებ გადაუმუშავებლად, ამ სახითვეც დაიბეჭდოს, როგორც სალექსიკონო მასალის ნიმუში, ერთგვარი ჭაშნიკი, და ვინმეს უბიძგოს, საგანგებოდ მოჰკიდოს ხელი ქართული ჟარგონის ლექსიკონის შედგენასო.

დაზვიანულ მასალებში ამ ფურცლების მოძებნა უცებ ვერ მოხერხდებოდა, მერე კი როგორღაც გადაქართულდებოდა... და ასე მირჩებოდა სამუდამოდ ეს განზრახვა.

თუმც გამომზეურების ჟამი ამ ჩანაფიქრსაც უნდა დადგომოდა.

#### IV.

### „სვოების“ ჟარგონიდან

შაყირი – გამასხრება ვინმესი ალეგორიებით ისე, რომ გამასხრებული (გაშაყირებული) ვერ ხვდებოდეს.

კრუპნი შაყირი – მაგრად გამასხრება, იხმარება მაგარი შაყირიც.

რქიანი – რომ არაფერი იცის, გაუთლელი, მიუხვედრელი საერთოდ.

ხიხო – მაგარი რქიანი.

გეჩე – (გჩ) სოფლიდან ჩამოსული ხიხო.

ჩამადანი – საჯდომი, მაგ.: კარგი ჩამადანი აქვს (ითქმის ქალზე).

შაბან-ყურბანა – მამაკაცის სარცხვინალი ასო, ჩვეულებრივ იხმარება შემდეგ კონტექსტში: „ამ ჩემს შაბან-ყურბანას“, რაც ნიშნავს იმას, რომ მთქმელს ესა თუ ის ამბავი, თუ მოვლენა არაფრად არ მიაჩნია, არ აღარდებს.

იმნაირი, იგივე მიმცემი, ბოზს ჰქვია.

ტრიაპკები – ტანსაცმელი, ითქმის კარგ ტანსაცმელზე. ამით მოქმელი ზიზღს გამოხატავს კარგი ჩაცმისადმი მაშინ, როცა კაცი საჭმელს იკლებს.

ზოკი – მდიდარი.

მორდა, იგივე სიფათი, სახის გამომეტყველება, მორდა ითქმის უხეშ გამომეტყველებაზე.

კაცის თავი აქ ნაჭამი – დაპატიმრება, ციხე და ყველაფერი ამნაირი რომ აქვს გამოვლილი.

ტო – მიმართვა „სვოებში“, უდრის ე-ს, მაგ.: „ტო, მოდი აქ“.

სიო – მიმართვა სვოებში დაძახების დროს.

მამაძალი – ჩართული სიტყვა, მოდის მამაძალიდან. მაგ.: „ტო ისე ლაპარაკობს, მამაძალი, თითქოს კაცის თავი არა ჰქონდეს ნაჭამი“.

ქორია – ელამი.

ხურო, იგივე ხურუშიანი – გერმანოლოგი.

რა ნაირი ხარ? – როცა მოპირდაპირე რალაცას გიყვება ან გიმტკიცებს და შენ არავაუკაცური გგონია მისი მოქმედება, გამასხრების, მასზე შენი ასეთნაირი შეხედულების გამოსახატავად იხმარება.

ყოყე – დოყლაპია, პირღია.

ლარე – მალალი და გამხდარი.

ჰაჯან, ჰამე – ითქმის შაყირის დროს. რალაცას რომ სერიოზულად არ მიიჩნევენ, ვითომ ვერ გაიგო, „ჰაჯან“, „ჰამე“ მიმართავენ ხოლმე. აბანო – ციხე.

აკიდება – უვარგისი რამის ან ტყუილის ვინმეზე გასალება.

დუხანკა – ლოთი, გაუბედურებული.

ხუტრიაკი – გასალები (ქურდებისთვის).

გაფიცებ პაპას! – შაყირია ესეც, რამე რომ არ გჯერა. ან უმნიშვნელოდ ან უაზროდ მიგაჩნია, ამბობ: „გაფიცებ პაპას!“

ლაპატნიკი – საფულე (ქურდებისთვის), ე.ი. სადაც ლაპა – თითი უნდა ჩაიყოს.

დურკა – ქალის ჩანთა.

გიუმაუი – შაყირია ესეც. მახვილსიტყვაობა რომ არ გამოდის, მაინც ვითომ მახვილსიტყვაობს.

ადულება, იგივე ასქესება, გაბრაზება რამეზე.

შიპიტი – ლაპარაკი, საუბარი.

ლაპა – ფეხი

ტონკი – ადვილად გამგები.

ბუყუშა – მსუქანი.

რედკი – შაყირია, უცნაურს რომ იტყვიან, ასე მიმართავენ.

ნეზღეჩიმი – გამოუსწორებელს ეტყვიან შაყირის დროს.

ხავერა – ბინა, ოთახი, სადაც ნაშას ხვდებიან საიდუმლოდ.

ტელევიზორი – ქალის გამჭვირვალე ტანსაცმელი, რომელიც კარგად აჩენს ნაკეთებს და ზოგჯერ კანსაც კი (მაგ., ნეილონის „ბლუზკა“).

აბა შენა ხარ! – (იდეომატური ფრაზა) როცა არ მოსწონთ სხვისი მოქმედება ან ნათქვამი – მაშინ მიმართავენ ასე.

ბაკა – საათი (ქურდების უარგონი).

შალაბანი – ძმაბიჭების კოლექტივი, ერთი სულით გამსჭვალული ჯგუფი შაყირი ბიჭებისა.

ისქესა – მიხვდა, გაიგო.

მაზალო – თავისებურ კაცზე იტყვიან.

სვოი – ყოჩაღ, მაგარ ვაჟკაცზე იტყვიან.

ატანტა! პალუნდრა! ზექს! // ზექს! – გამაფრთხილებელი შეძახილებია.

გოიმი, ხიხო, გეჩე – ბრიყვზე იტყვიან.

წამსერება – წასვლა სვოი ბიჭების ენაზე; ამბობენ მომსერებასაც (მოსვლა).

წერაობა, ქერაობა – სქესობრივი თანაცხოვრება, აქედან ნაწარმოებია: დაწერილი, დაუნერელი, დასაწერი...

მონერავე – ბოზი, ფინთსაც ხმარობენ ხოლმე.

(ვ)უსუხარე, გასუხარება – მოვპარე, მოპარვა.

სკულა – ჯიბე (სკულიდან უსუხარე – ჯიბიდან მოვპარე).

ბაბული – ფული.

დუხარიკი – მენამცეცე (სხვის ნამცეცეებზე რომ დადის).

სირი – სარცხვინალი ასო („ამ ჩემ სირს“).

## ქართული არგო

დურა – რევოლვერი

ფიგურა – რევოლვერი

პისკა – სამართებლის პირი

საწერი – „-“

მოიკა (რუს.) – „-“

ფონკა – კლიტის გასატეხი რკინა

ნუტრიაკი – კარის გასაღები

ატმიჩკა – „-“

ვისიაჩკა – ჩამოსაკიდებელი კლიტე (?)

გირავიკი – „-“ (?)

ტერსი მივეცი – გავარტყი  
 ქოთი მოვუტოვე – ვცემე  
 დავწერე – სამართებლის პირით სახე დავუჭერი  
 დავბრიდე – მოვკალი  
 გავასაღე – მოვკალი  
 ბაკა – საათი  
 მარხუშკა – ქათამი  
 პრახარები – ჩექმები  
 ვერხოვკა – გარეთა ჯიბე პალტოსი ან პიჯაკის  
 სკულა – შიგნითა „-“  
 ჩერდაკი – გულის ჯიბე ზემოდან დაკერებული  
 პისტონჩიკი – წინა ჯიბე  
 აჩკო – უკანა ჯიბე  
 შკარა – შარვლის ჯიბე  
 შმოტკები – ტანისამოსი  
 ბარახლო – „-“  
 ტრიაპკები – „-“  
 თოხლაობა – ქამა  
 ტობი – კარგი  
 ქამი – ცუდი (ღარიბიც)  
 მომსერდი – მოდი  
 წამსერდი – წადი  
 დალეხდი – წადი  
 იპლეტე – გაიქეცი  
 ისქესა – ეჭვი აიღო  
 გვიყიდა – „-“, მიხვდა  
 ისუხარა – ამოაცალა  
 წამსერა – წაიღო  
 გაყიდა – დააბეზლა  
 იბოზა – „-“  
 დაახვრეტინა – „-“  
 დასანჯეს – დააჭერინეს  
 დასწვეს – „-“  
 მოაყუჩეს – „-“  
 მოყუჩებულია – ციხეში ზის  
 სროკი აიკიდა – მიუსაჯეს  
 გიმელი – ქურდი, ღამის ქურდი  
 კარგი ბიჭი – „-“  
 სვოი – „-“

- განაბი – ჯიბგირი  
 სამაზვანეც – უხეირო ქურდი (თავს ქურდად ასალებს)  
 არიფი – გაქურდული, დაზარალებული  
 სიმონა – „-“  
 გოიმი – „-“  
 ბიტია – გამოცდილი არიფი  
 ტობი სიმონა – კარგი არიფია  
 ძაღლი – მილიციონერი  
 მენტი – „-“  
 ლეგავი – „-“  
 კუსოჩნიკი – „-“  
 თენგიზა – გადაცმული აგენტი  
 ვოლნიაჟკა – „-“  
 სასალოვკა (პურის სასალოვკა) – რამის შემოღევა, პაპიროსის „-“  
 სიდრი – „სეტკა“, ჩანთა  
 უგოლნიკი – ჩემოდანი  
 ლაპატნიკი – ჯიბის პორტმანი კაცის  
 დურკა – ქალის პორტმანი (რედიკული)  
 დასვეს – ტუსალები რომ ტუსალს სასამართლოს მოუწყობენ  
 გააფუჭეს – „-“  
 ზარის თამაში – კამათლით თამაში  
 ზარები – კამათლები  
 ნაშა – გოგო  
 პადკოპის აღება – გამონგრევა, გამოთხრა  
 სტეკლავატი – ფანჯრის შუშის ამოღება  
 საქმის გაკეთება – ქურდული ოპერაციის ჩატარება  
 გადოლი – მდიდარი  
 მოგადოებულია – მოგებულია  
 გრაბკი – ხელი  
 ატანდა – საშიშროებაა მოახლოებული  
 ზექს – „-“  
 ვასსერ – „-“  
 ლო – გაჩერდი  
 თომარი – ლაპარაკი  
 ბაბკი – ფული  
 მაყუთი – „-“  
 დისტიმესტკა – ათთუმნიანი  
 პიტიმესტკა – ხუთთუმნიანი  
 ხრუსტი – მანეთიანი

- დრაიკა – სამმანეთიანი  
 პესკრი – ხუთმანეთიანი  
 დიკნი – თუმნიანი  
 აჯოს მოტოვება – აჯო ოპერაციის ჩატარება  
 ხავერ – სახლი (ოთახიც)  
 ხავერა ავიღე – სახლი გავტეხე  
 სონიკი – როდესაც შიგ სძინავთ და ისე გააკეთებენ საქმეს  
 ლისიჩკები – ვინც შედის სახლში, რომელშიც სძინავთ  
 პრავილნი – კარგი  
 პავაროტრიკი – გაქანებულ მანქანაზე ამძრომი, იქიდან რამის  
 გადმოსაგდებად (მოსახვევში ადვილია ახტომა)  
 ბაითი – ციხე  
 აუშუხურდა – აცლის და გაიგეს (საერთოდ, გაიგეს, რომ ქურ-  
 დობა ხდება)  
 დაბმა (სიმონა დავაბი) – მოთაფვლა  
 დახადიაკი – მანანწალა  
 დაჩკა – „პერედაჩა“  
 ვიდილკა – პატიმარი, „პერედაჩიდან“ ქურდს წილს რომ აძლევს  
 ფუფლო დარჩა – წააგო და არ მისცა  
 ფუფლოჩნიკი – ის პირი, ვინც წააგებს და ფულს არ მისცემს  
 ზამაზკაში დარჩა – ფული დააკლდა  
 გამოყვანა – წაგებული ფულის უკან დაბრუნება  
 სოფრიკები – ბაზრის ქურდები, მატარებლის ქურდები  
 დიფიცითი – შოკოლადი, კარაქი, თაფლი (კარგი საჭმელი)  
 რიჟი – ოქრო  
 ქსივები – დოკუმენტები  
 კენჭები – კამათლები  
 კენჭები – რევოლვერის ტყვიები  
 ჩიჩმა – ყურება  
 თირვა – „-“  
 დაჩიჩმე, თირე – შეხედე (დაჩიჩმე, ხომ არ სქესობს)  
 ნატური – მართლა  
 ნატური – მართლა?  
 რას მაჭმევ – რას მატყუებ  
 რას მათოხლებ – „-“ „-“  
 ვინ არის მაგის შემჭმელი – „-“ „-“  
 მუქთად დაწვეს – უბრალოდ ჩავარდნა  
 სხვის პახმელიაზე ზის – სხვისი გულისათვის ჩავარდნა (სხვის  
 პახმელიაზე სროკი აიკიდა)

- შესუხარება – გაყიდვა  
ატოკდი – მობრუნება (მოპარვის დროს მომპარავის მობრუნება)  
რა გიგეშავს? – რა გაქვს?  
მარიჩკა – ცხვირსახოცი  
ფიქსები – ჩასმული კბილები (ფიქსებიანი ბიჭი იყო)  
შიმხონი – მთვრალი  
პავლიო – კამერიდან კამერაში (ზედა სართულიდან ქვედაში)  
დაფით რამის ჩაშვება (პავლოთი ჩამოუშვეს კარტები)  
შუტკა – ხუმრობა (შუტკა არა მაქვს – არ გეხუმრები)  
უპრიკატი გამიკეთა – გამალიზიანა, ჩხუბში გამომინვია (რა უპრიკატს მიკეთებ)  
რა მშივი დაჩკა მოუვიდა – ლარიბული „პერედაჩა“  
სოტკა – რაიმე ძველის მოგონება  
ნაგანუ – სადგურზე  
ხაზზე – მატარებლის გზაზე  
ტიხლაფინდია – გამოთაყვანებული  
სატკა – ხალხის ხროვა, ხალხით გაჭედელი ტრამვაი  
დრინი – ჯოხი, კეტი  
ვარი – შებრუნებით  
ქიასტუმ – არ მოვიდა (ზარის თამაშის დროს ზარის გატეხვა, ხელის გაჭრა)  
ფეშინა – გასამკეცებული  
უზლიაკი – ფუთა, გამოხვეული რამე ნაჭერში  
ლოკშია – ე.ი. ცარიელია (ჯიბე, სახლი და სხვ.)  
შუმოკი – აურზაური (შუმოკი ჩავარდა, – აურზაური ატყდა)  
გარდახვატი – ის პირი, რომელიც ართმევს ნაცნობებს

## V.

რაც ხანი გადის, ამ ფურცლების მნიშვნელობა უფრო იზრდება, როგორც მაშინდელი ჟარგონული ლექსიკის დოკუმენტური დადასტურებისა. ჟარგონის მოდურობა და მაღიმალ ცვალებადობა მოგეხსენებათ.

„აღმართ-დაღმართის“ ენობრივი გარემოსათვის შავ მასალად რომ გამოდგა, ეს დაუფასდებათ ლიტერატურის ისტორიაში – ოთარ ჩხეიძის მწერლური ლაბორატორიის შემსწავლელთ.

მაგრამ განა შეიძლება ქართული ჟარგონის ლექსიკონის შედგენის ისტორიით დაინტერესებისას ეს ჩანაწერები არ გავითვალისწინოთ?

თანაც, ერთი-ორი დამთხვევის გამოკლებით „ქართული არგო“



და „სკოების“ ჟარგონიდან“ სხვადასხვა სიტყვებს უყრიან თანეს და ისე გამოდის, რომ ერთმანეთს ავსებენ.

განმარტებანი სანდოა.

საჭიროა მხოლოდ იოლი პროცედურა – ამ ფურცლების გაერთიანება, სიტყვა-გამოთქმათა ანბანურ რიგზე დალაგება, საილუსტრაციო ნიმუშებით გამდიდრება, უმთავრესად, ცხადია, „აღმართ-დაღმართიდან“, და... ქართული ჟარგონის მცირე ლექსიკონი გვექნება ხელთ.

შექმნილი 1959-60 წლების მიჯნაზე.

მისი ერთგვარი ჭაშნიკი.

ლევან ბრეგაძის ლექსიკოგრაფიული თხზულების წინამორბედი, საბოლოოდ ალბათ თავიდან ბოლომდე რომ გაიფანტება „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ ახალი გამოცემის ფურცლებზე.

„კლდეკარში“ რომ გამოქვეყნებულიყო თავის დროზე, ალბათ კიდევ ერთხელ დაუდასტურებდა ლევან ბრეგაძეს ჟარგონის ლექსიკონის შედგენის საჭიროებას, თუმც უამისოდაც იგი საკმაოდ დიდხანს აგროვებდა მასალებს, თავიდან ისე, სახალისოდ, თავისებური ლიტერატურული ვარჯიშისათვის, ვიდრე ამასობაში ლექსიკონის ხერხემალი გამოიკვეთებოდა და ანბანურ რიგზე განწყობას თვითონვე მოითხოვდნენ უკვე საგრძნობლად თავმოყრილი მასალები.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებში არა ჩანს ჟარგონულ სიტყვა-გამოთქმათა საგანგებოდ შეგროვების კვალი, ლექსიკონის პირველმონახაზები, თუმც ის ჩანანერი ჟარგონის დიდ ძალაზე ლიტერატურაში, ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, რომ სახელმძღვანელოდ ისიც წინასწარვე მოუყრიდა თავს შესაფერის ლექსიკას, თვითონვე, ან ვინმეს მოიშველიებდა, საამისო პირობები რომ შექმნოდა. მაგრამ უკვე ისეთ ამბებში იხლართებოდა, სულ ჟარგონზე ზრუნვის დარდი არა ჰქონდა!..

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკები იმჟამად ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, შესაძლოა გეგონოს, ოთარ ჩხეიძეს ეს ჩანანერი ამოუკითხავს, გულისხმაში ჩავარდნილა და თავს უდევს თავისი წინამორბედის სურვილის აღსრულებათ.

რაც იმას არ დასცალდა, დაე მისი სულიერი მემკვიდრის რომანში შესხმოდა ხორცი.

თუმც ხელმისაწვდომობა რა აუცილებელია, როდესაც ეს სულიერი თანაზიარობა არსებობს. სწორედ თანაზიარობის მეოხებითაა, ალლოთი რომ მიგაკვლევინებს ყველაზე მღელვარე ფიქრებსაც და ფიქრის ნასხლეტებსაც, უმნიშვნელოვანესსაც და წვრილმანებ-

საც... თუმცა ჟარგონი სულაც არ ეჩვენებოდა მიხეილ ჯავახიშვილს  
წერილმანად.

...ისე მაინც რა მოულოდნელად შეიქმნა ჟარგონის ლექსიკონის ერთგვარი ჭაშნიკი, მის შემდგენელთ ასეთი რამ არასოდეს მოაფიქრებოდათ, ოთარ ჩხეიძისათვის რომ არ ყოფილიყო ჩვეულებრივი, სრულყოფილად გარკვეულიყო ყველაფერში, რის მხატვრულ გააზრებასაც მოინდომებდა.

## VI.

სულხან-საბაოზა გაკლდაო, – შეეხუმრებოდა გიორგი შატბერაშვილს, როდესაც იგი რვეულში ჩანიკნიკებულ მადლიან ქართულ სიტყვათა გალერეას გადაუშლიდა თვალწინ, შინაპატიმრობისას კავთურის ხეობის სოფლებში წამოკრეფილს – სწორედაც სულხან-საბა ორბელიანის შთაგონებით – განმარტებულს, დაზუსტებულს, საილუსტრაციო მასალებით უხვად გაჯერებულს, – ეგლა გაკლდა და ეგეც წამოგინციაო.

იმასავით ერთი ლიტერატურული ჟანრით ვერ შეეჯერებინა გული „მკვდრის მზის“ შემოქმედს.

მაღე „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ ამოვიდოდა იმ გაცრეცილი ფურცლებიდან, თვალსაჩინო სამეცნიერო ნაშრომი, ქართული ლექსიკოგრაფიისათვის ჭეშმარიტი შენაძენი, მაგრამ ამჯერად მის იმ მხარეს დაუფიქრებდეთ, რომ რომანივით საკითხავია გიორგი შატბერაშვილის მიერ შედგენილი ქართლური დიალექტის ეს ლექსიკონი, კიდევ ერთი გაბედული მცდელობა ჩვენს ლექსიკოგრაფიაში – თედო სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ შემდგომ – ლექსიკონის სიუჟეტურ ქარგას მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებასავით მიუყვებოდე.

ამის მიბაძვა შეუძლებელია, თუკი მადლი არ დაგყოლია, და სწორედ მადლი განსაზღვრავს „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ ღირსებასაც, ამავე რიგს რომ შემატებია, თედო სახოკიასა და გიორგი შატბერაშვილის სახელებით დამშვენებულს.

ლექსიკონთა თავისებურებაც იწვევს მათ საკითხაობას, ცხადია, მაგრამ გადამწყვეტი მაინც შემდგენელთა ხელოვნებაა.

...მაინც რა უეცრად ამოცვივდა ოთარ ჩხეიძის არქივიდან ამ ყაიდის ლექსიკონის პირველმონახაზები.

ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2009, №8 (86).

# საილუსტრაციო მასალის წყაროები

## წიგნები

1. მერაბ აბაშიძე, აქეთ მაშხალეები, კვაზიმოდო!, „საბჭოთა აჭარა“, 1978.
2. ახალგაზრდობა, „ნაკადული“, 1964.
3. ისააკ ბაბელი, მარია, „ნაკადული“, 1977. თარგმნა თამაზ კვაჭანტირაძემ.
4. ირინე ბაქანიძე, ნათელო, ნათელო ჩემო..., „მერანი“, 1994.
5. აკაკი ბელიაშვილი, თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, 1963.
6. ენტონი ბერჯესი, მექანიკური ფორთოხალი, „მერანი“, 1990. თარგმნა გია ქუმბურიძემ.
7. ბერტოლტ ბრეჰტი, პიესები, „ხელოვნება“, 1986. თარგმნეს გიორგი და კარლო ჯორჯანელებმა.
8. ნაირა გელაშვილი, დედის ოთახი, „მერანი“, 1987.
9. ზურლან გემაზაშვილი, მოულოდნელი დეპეშა, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1986.
10. გურამ გომართელი, გინდ დაიჯერე, გინდ – არა, 1968.
11. იოსებ გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, 1962.
12. გურამ დოჩანაშვილი, ბაქანი, „მერანი“, 1988.
13. გურამ დოჩანაშვილი, იქამდე, „ნაკადული“, 1991.
14. გურამ დოჩანაშვილი, ორი მოთხრობა, „მერანი“, 1984.
15. ნოდარ დუმბაძე, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, „მერანი“, 1982.
16. ნოდარ დუმბაძე, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. II, „მერანი“, 1983.
17. ნოდარ დუმბაძე, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, „მერანი“, 1984.
18. კოსტა ელია, ნეტავ ჩემთან ყოფილიყავი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1998.
19. მერაბ ელიოზიშვილი, წრებრუნვა, „მერანი“, 1991.
20. ფრანსუა ვიონი, ლექსები, „მერანი“, 1986. თარგმნა დავით წერედიანმა.
21. ილია ზურაბიშვილი, თეატრალური პორტრეტები, ნარკვევები მუსიკაზე, „ხელოვნება“, 1972.
22. არლი თაყაიშვილი, ჭკვიანი მანქანა, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1967.
23. ჯემალ თოფურძე, დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია, „მერანი“, 1979.
24. პაოლო იაშვილი, ერთტომეული, „საბჭოთა მწერალი“, 1959.
25. ზაურ კალანდია, ზვარაკი, უამი მესამე, „მერანი“, 1990.
26. ქართლოს კასრაძე, ტომატი, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1970.
27. ელდარ კერძევაძე, ლექსები, „მერანი“, 1982.
28. ემზარ კვიციანიშვილი, გაზაფხულის ვნებანი, 1980.



29. ვალერიან მამუკელაშვილი, გუტენ მორგენ, გურგენ!, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1968.
30. მუხრან მაჭავარიანი, ლექსები, პოემა, „საბჭოთა საქართველო“, 1983.
31. მუხრან მაჭავარიანი, მრავალჭირვარამ გადანახადი, „მერანი“, 1989.
32. რომან მიმინოშვილი, ბურთი ჩვენი არსობისა, 1967.
33. რევაზ მიშველაძე, ამ წიგნს ხვალ ველარ იშოვით!, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1976.
34. რევაზ მიშველაძე, ურჩი, „საბჭოთა საქართველო“, 1980.
35. რევაზ მიშველაძე, ჯაჭვი, 1885.
36. აკა მორჩილაძე, ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები, „კოლოსი“, 1996.
37. გიზო ნიშნიანიძე, სიცილის არქივიდან, 1971.
38. ნათელა ონაშვილი, მანძილი მიწამდე, „მერანი“, 1985.
39. ულრიჰ პლენცდორფი, ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი, „საბჭოთა საქართველო“, 1982. თარგმნა დალი ფანჯიკიძემ.
40. პოეზია-1981, „მერანი“, 1981.
41. თინა ჟორჟოლიანი, მაქსიმოჩის ანდერძი, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1975.
42. ჯერომ სელინჯერი, თამაში ჭვავის ყანაში, „ნაკადული“, 1969. თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ.
43. მარკ ტვენი, ტომ სოიერის თავგადასავალი, „ნაკადული“, 1959. თარგმნა გრიგოლ ყიფშიძემ.
44. გურამ ფანჯიკიძე, სპირალი, „მერანი“, 1985.
45. ჯემალ ქარჩხაძე, ანტონიო და დავითი, „მერანი“, 1987.
46. ჯემალ ქარჩხაძე, დღე ერთი, „ნაკადული“, 1982.
47. იუზა ყაჭეიშვილი, გამოცხადება, „მერანი“, 1984.
48. ჯანსუღ ჩარკვიანი, ვეფხვის წელიწადი, „მერანი“, 1987.
49. მონძაემონ ჩიკამაცუ, შეყვარებულთა თვითმკვლევლობა ციურ ბადეთა კუნძულზე, „მერანი“, 1980. თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა.
50. რევაზ ჩხარტიშვილი, ორი რომანი, 1989.
51. ოთარ ჩხეიძე, ბურუსი, აღმართდაღმართი, ნაკრძალი, „საბჭოთა საქართველო“, 1979.
52. ოთარ ჩხეიძე, თეთრი დათვი, „ლომისი“, 1999.
53. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, „სახელგამი“, 1950.
54. ტარიელ ჭანტურია, დინოზავრიდან დიზაინამდე, „საბჭოთა საქართველო“, 1989.
55. ტარიელ ჭანტურია, კოლხური კაპრიჩიო, „მერანი“, 1998.
56. ტარიელ ჭანტურია, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, 1982.
57. ტარიელ ჭანტურია, სიყვარული – რეფრენი, „მერანი“, 1987.
58. ტარიელ ჭანტურია (ტია-ტია), სმისგან გასწორდეს ყოველი, „ნიანგის“

ბიბლიოთეკა, 1982.

59. ტარიელ ჭანტურია, უცენზურო ლექსები, „მერანი“, 1989.
60. გოდერძი ჭეიშვილი, შავმოსასხამიანი კაცი, „კიდევაც დაიზრდებიან“, 1991.
61. ოთარ ჭილაძე, რკინის თეატრი, „მერანი“, 1981.
62. ალექსი ჭინჭარაული, ხუმრობაგაშვებით, „ნიანგის“ ბიბლიოთეკა, 1986.
63. მიხეილ ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. III, „საბჭოთა საქართველო“, 1960.
64. აკაკი ჯორჯაძე, ანგელოზი დედამინაზე დააბიჯებს, „ნაკადული“, 1983.

### ჟურნალები, ალმანახები

65. „განთიადი“, 1988, №1.
66. „განთიადი“, 1990, №6.
67. „კლდეკარი“, 1998, №1.
68. „მნათობი“, 1984, №10.
69. „მნათობი“, 1985, №8.
70. „მნათობი“, 1987, №2.
71. „მნათობი“, 1987, №3.
72. „მნათობი“, 1988, №11.
73. „მნათობი“, 1988, №12.
74. „მნათობი“, 1989, №2.
75. „მნათობი“, 1989, №№5.
76. „მნათობი“, 1989, №12.
77. „მნათობი“, 1990, №4.
78. „მნათობი“, 1990, №6.
79. „ნიანგი“, 1962, №8.
80. „ნიანგი“, 1966, №8.
81. „ნიანგი“, 1972, №10.
82. „ნიანგი“, 1972, №12.
83. „ნიანგი“, 1988, №24.
84. „ნიანგი“, 1989, №7.
85. „ნობათი“, 1990, №3-4.
86. „პიონერი“, 1985, №6.
87. „სათავე“, 1987№.
88. „სათავე“, 1990№.
89. „სტუდია“, 1998, №3.
90. „ქართული მწერლობა“, 1990, №3.

91. „ცისკარი“, 1961, №6.
92. „ცისკარი“, 1969, №11.
93. „ცისკარი“, 1973, №10.
94. „ცისკარი“, 1974, №9.
95. „ცისკარი“, 1975, №5.
96. „ცისკარი“, 1976, №5.
97. „ცისკარი“, 1976, №9.
98. „ცისკარი“, 1976, №12.
99. „ცისკარი“, 1977, №4.
100. „ცისკარი“, 1977, №5.
101. „ცისკარი“, 1977, №8.
102. „ცისკარი“, 1979, №1.
103. „ცისკარი“, 1979, №6.
104. „ცისკარი“, 1982, №4.
105. „ცისკარი“, 1982, №12.
106. „ცისკარი“, 1983, №3.
107. „ცისკარი“, 1984, №2.
108. „ცისკარი“, 1984, №4.
109. „ცისკარი“, 1984, №5.
110. „ცისკარი“, 1984, №7.
111. „ცისკარი“, 1985, №3.
112. „ცისკარი“, 1985, №5.
113. „ცისკარი“, 1985, №9.
114. „ცისკარი“, 1985, №10.
115. „ცისკარი“, 1986, №5.
116. „ცისკარი“, 1988, №2.
117. „ცისკარი“, 1988, №8.
118. „ცისკარი“, 1990, №8.
119. „ცისკარი“, 1998, №9.
120. „ცისკარი“, 1998, №10.
121. „ცისკარი“, 1998, №11.
122. „ცისკარი“, 1999, №4.

### გაზეთები

123. „ალტერნატივა“, 1998, №3.
124. „ალტერნატივა“, 1998, №7.
125. „ალტერნატივა“, 1998, №12.

126. „ალტერნატივა“, 1999, №2.
127. „ალტერნატივა“, 1999, №7.
128. „ალტერნატივა“, 1999, №9.
129. „ალტერნატივა“, 1999, №13.
130. „არილი“, 1998, №19.
131. „არილი“, 1999, №8.
132. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, №99.
133. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, №126.
134. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, №136.
135. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, №2.
136. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, №80.
137. „ბაღდათი“, 1990, №137.
138. „თავისუფალი საქართველო“, 1991, №28.
139. „თბილისი“, 1990, №170.
140. „თბილისი“, 1990, №232.
141. „თბილისი“, 1991, №3.
142. „კომუნისტი“, 1978, №203.
143. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №32.
144. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №16.
145. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №21.
146. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №27.
147. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №48.
148. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №5.
149. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №6.
150. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №7.
151. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №30.
152. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №32.
153. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №34.
154. „ლიტერატურული საქართველო“, 1992, №2.
155. „ლიტერატურული საქართველო“, 1992, №7.
156. „ლიტერატურული საქართველო“, 1992, №22.
157. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, №1.
158. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, №2.
159. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, №3.
160. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, №12.
161. „ლიტერატურული საქართველო“, 1994, №16.
162. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, №4.
163. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, №21.
164. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, №29.

165. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, №3.
